ISSN 1987 – 5789
ESSN 2587- 5426

# ეკონომიკა და ბიზნესი

# ECONOMICS AND BUSINESS

# 3

ტომი XII Volume

2020

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
რეფერირებადი და რეცენზირებადი
საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი

Refereed and Reviewed International Scientific and
Analytical Journal of the Faculty of Economics and Business,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

გამოდის 2008 წლის იანვრიდან ორ თვეში ერთხელ,
2015 წლიდან - კვარტალურად
Publish since January 2008 once in two months,
since 2015 – Quartertly

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ. #2
თსუ მაღლივი კორპუსი, III სართული, 316-317
ტელ. +995 32 2 25 04 84
მთ. რედაქტორი: 599794949, მოადგილე - 599103816,
პ/მდ. - 599218384,
მთ.სპეც. – 577970280. ვებრედ.- 595037455

Address: Tbilisi, University str. N2.
Tel: Chief Editor - 599794949, Deputy Chief Editor -599103816,
Responsible Secretary – 599218384,
Chief Specialist – 577970280, Web redactor -595037455

Tel: +995 32 2 25 04 84 - 9781, 9763, 9724.
eb.tsu.ge e-mail: ebf.journal@tsu.g

## სარედაქციო კოლეგია

თსუ პროფესორები: **იური ანანიაშვილი, თეიმურაზ ბერიძე, სიმონ გელაშვილი, რევაზ გველესიანი, რევაზ გოგოხია** (რედაქტორის მოადგილე), **თამაზ ზუბიაშვილი** (პასუხისმგებელი მდივანი), **ნუგზარ თოდუა, ირაკლი კოვზანაძე, მურთაზ მაღრაძე, ელგუჯა მექვაბიშვილი** (მთავარი რედაქტორი), **დავით ნარმანია, ნუგზარ პაიჭაძე, ლევან საბაური, დემურ სიჭინავა, მირიან ტუხაშვილი, გიორგი ღაღანიძე, თეიმურაზ შენგელია, ეთერ ხარაიშვილი, იოსებ ხელაშვილი;** პროფესორები: **რამაზ აბესაძე** - პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი, **ანზორ აბრალავა –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **იოსებ არჩვაძე –** ქუთაისის უნივერსიტეტი, **გიორგი თურქია -** საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მერაბ კაკულია -** საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, **მურმან კვარაცხელია -** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **პაატა კოღუაშვილი –** საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, **შალვა მაჭავარიანი –** ევროპული უნივერსიტეტი, **ვლადიმერ პაპავა** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ლალი სეხნიაშვილი –** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, **ავთანდილ სილაგაძე** – საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, **ვლადიმერ ღლონტი –** ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, **ნიკოლოზ ჩიხლაძე –** ქუთაისის უნივერსიტეტი, **მიხეილ ჯიბუტი –** საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

## სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები

**მიხეილ ალტმანი –** ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი, პროფესორი, მერედიტ კოლეჯის ბიზნესის სკოლის სტუმართმასპინძლობისა და ტურიზმის მენეჯმენტის პროგრამის დირექტორი (აშშ); **ვოლფგანგ ვენგი** – ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი, პროფესორი (გერმანია); **როსვიტა მ. კინგი –** ოსტფოლდის უნივერსიტეტის კოლეჯის ეკონომიკისა და სოციალური მეცნიერებების გამოყენებითი ეკონომიკის კვლევითი ჯგუფის ხელმძღვანელი (ნორვეგია); **დმიტრო ლუკიანენკო** – კიევის ვადიმ ჰეტმანის სახელობის ნაციონალური ეკონომიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი (უკრაინა); **ირაკლი მანაგაძე** - სილქროუდ ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, J. Stern&Co Investment ოფისის კონსულტანტი, დოქტორი (დიდი ბრიტანეთი); **გრეგორი ნ. მენქიუ –** ჰარვარდის უნივერსიტეტი, პროფესორი (აშშ); **იან მიხალეკი** – ვარშავის უნივერსიტეტის ეკონომიკურ მეცნიერებათა ფაკ-ის დეკანი, პროფესორი (პოლონეთი); **ლარი ნილი –** ილინოისის უნივერსიტეტი, ემერეტუსპროფესორი (აშშ); **დიმიტრი სოროკინი –** რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (რუსეთი); **ამეზიან ფერგუინი** – გრენობლის ალპების უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორი (საფრანგეთი); **ელიზაბეთ ჩაკო** - ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის გეოგრაფიისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროფესორი (აშშ); **ტოომას ჰალდმა** – ტარტუს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (ესტონეთი).

**EDITORIAL BOARD**

*TSU Professors:* ***Iuri Ananiashvili, Teimuraz Beridze, George Gaganidze, Simon Gelashvili, Revaz Gvelesiani, Revaz Gogokhia*** *(Deputy Redactor),* ***Eter Kharaishvili, Ioseb Khelashvili, Irakli Kovzanadze, Murtaz Maghradze, Elguja Mekvabishvili*** *(Editor-in-Chief),* ***Davit Narmania, Nugzar Paichadze, Levan Sabauri, Temur Shengelia, Demur Sichinava, Nugzar Todua, Mirian Tukhashvili, Tamaz Zubiashvili*** *(Executive Secretary), Professors:* ***Ramaz Abesadze –****Paata Gugushvili Economic Institute Director,* ***Anzor Abralava*** *- Georgian Technical University,* ***Ioseb Archvadze -*** *Kutaisi University* ***Nikoloz Chikhladze -*** *Georgian Institute of Public Affairs (GIPA),* ***Vladimer Glonti -*** *Batumi Shota Rustaveli State University,* ***Mikheil Jibuti -*** *Georgian Academy of Economic Sciences President,* ***Merab Kakulia*** *- Georgian Institute of Public Affairs GIPA),* ***Murman Kvaracxelia -*** *Sukhumi State University,* ***Paata Koguashvili -*** *Georgian Academy of Agricultural Sciences Academician****, Shalva Machavariani -*** *European University****, Vladimir Papava*** *- Georgia National Academy of Sciences Academician,* ***Dali Sekhniashvili -*** *Georgian Technical University,* ***Avtandil Silagadze*** *- Georgia National Academy of Sciences Academician,* ***George Turkia -*** *Georgian Institute of Public Affairs (GIPA).*

**FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD**

***Michael A. Altman -*** *Director, Hospitality and Tourism Management Program, Meredith College School of Business, North Carolina University (USA);* ***Ameziane Ferguéne –*** *Professor of Economics at Grenoble Alps University (France);* ***Toomas Haldma*** *– Tartu University (Estonia);* ***Roswitha M. King*** *– Leader of Research Group 'Applied Economics,' Faculty of Economics and Social Sciences, Ostfold University College (Norway);* ***Dmytro Lukianenko*** *– Vadym Hetman Kyiv National Economic University, Rector, Professor (Ukraine);* ***Irakli Managadze*** *- Chairman of Silk Road Bank Supervisory Board, Senior Advisor and Consultant at J.Stern & Co Investment Office Acad. Doctor (UK);* ***Gregory N. Mankiw –*** *Harvard University, Professor (USA);* ***Jan Mikhalek*** *– University of Warsaw, Dean of the Faculty of Economic sciences, Doctor of Economic Sciences, Professor (Poland);* ***Larry Neal*** *- Illinois University Emeritus Professor (USA); Dean of the Faculty of Economics and Business Administration, Professor.* ***Dmitry Sorokin*** *– Corresponding Member of the Russian Academy of Sciences, Doctor of Economic Sciences, Professor;* ***Wolfgang Weng*** *– Berlin Technical University, Professor.*

# ს ა რ ჩ ე ვ ი

## ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა

***იანოშ კორნაი*** - პატიოსნება და ნდობა გარდამავალ ეკონომიკაში ...............9

***თეიმურაზ ბერიძე*** - ინსტიტუტების მნიშვნელობა პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში (ზოგიერთი კომენტარი იანოშ კორნაის სტატიაზე „პატიოსნება და ნდობა გარდამავალ ეკონომიკაში“) ..................29

***ელგუჯა მექვაბიშვილი*** - „რატომ ვერ შეძლეს ეკონომისტებმა გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზირება?” ...................................33

***ვლადიმერ ბასარია*** - კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობებისა და მეწარმეობის გენეზისის საკითხისათვის...............................................................49

## მიკროეკონომიკა ◊ მაკროეკონომიკა ◊ ეკონომეტრიკა

***პაატა კოღუაშვილი, იოსებ არჩვაძე*** - საქართველოს სოფლის მეურნეობა აქტუალური გამოწვევების წინაშე ...................................................67

***ნინო ჯანელიძე*** - ბიზნესმოდელების ანალიზი საქართველოს სოციალური საწარმოების მაგალითზე ..................................................................85

## ფინანსები და საბანკო საქმე ◊ ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი

***მაია გოგოხია*** - საბანკო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე ..........................................................................................101

***ზუმრუდ ნაჯაფოვა, ნაზიკ გურბანოვი*** - ტექნოპარკების ფორმირების პროცესი და განვითარების ეტაპები აზერბაიჯანში .......................................108

***დავით სიხარულიძე, შოთა შაბურიშვილი, ლეილა ქადაგიშვილი, თეა მუნჯიშვილი, რუსუდან მაისურაძე, ხატია უდესიანი*** - მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის ანალიზი ეკონომიკური საქმიანობის ზომისა და სექტორების მიხედვით საქართველოში .............119

***ნაფი მექვაბიშვილი*** - ალტრუიზმის, პროსოციალური ქმედებისა და ქრისტიანული სიყვარულის მნიშვნელობა ქცევითი ეკონომიკის კვლევებში ........................................................................................................................ 138
***ამიჰან მაღრაკელიძე*** - ციფრული მეწარმეობის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში ..........................................................................154

## სხვადასხვა

ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილი III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: ***„კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“*** .............................163

## გახსენება

პროფესორი **ნოდარ ხადური** ..............................................................................176

# CONTENTS

## ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

***János Kornai -*** Honesty and Trust in a Transition Economy .................................... 9

***Teimuraz Beridze -*** The Importance of Institutions in PostCommunist Transition Economics (Some comments on Janos Kornay's article "Honesty and Trust in Transition Economics") ........................................................ 29

***Elguja Mekvabishvili -*** "Why Did Economists Fail to Predict the Global Financial Crisis?" ............................................................................................ 33

***Vladimer Basaria -*** About the Issue of Private Property Relations and the Genesis Entrepreneurship ......................................................................... 49


## MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

***Paata Koguashvili, Ioseb Archvadze -*** Georgia's Agriculture Faces Actual Challenges ............................................................................................... 67

***Nino Janelidze -*** Social Entrepreneurship Business Models in the Case of Georgian Social Enterprises ........................................................................... 85


## FINANCE, BANKING ◊ BUSINESS ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING

***Maya Gogokhia -*** Directions for Improving Banking Activities at the Contemporary Stage ............................................................................... 101

***Zumrud Nadjafova, Natiq Gurbanov -*** The Process of Formation and Stages of the Development of Technoparks in Azerbaijan ...................... 108

***Davit Sikharulidze, Shota Shaburishvili, Leila Kadagishvili, Tea Munjishvili, Rusudan Maisuradze, Khatia Udesiani -*** Total Factor Productivity Analysis According to the Size of Economic Activity and Sectors in Georgia ............................................................................................... 119

***Rati Mekvabishvili* - **On the Importance of Altruism, Prosocial Behavior and Christian Love in Behavioral Economics Studies ........................................138

***Amirani  Maglakelidze* - **Challenges and Perspectives of Digital Entrepreneurship in Georgia ........................................................................................154

**MISCELLANEOUS**

III National Scientific Conference  dedicated to the Economist Day on the topic: ***"Coronomics: Modern Challenges of Economic Science and Economic Policy"*** ..................................................................................................169

**MEMORIES**

Professor ***Nodar Khaduri***...............................................................................................176

# ეკონომიკური თეორია ◊ ეკონომიკური პოლიტიკა
# ECONOMIC THEORY ◊ ECONOMIC POLICY

## პატიოსნება და ნდობა გა*რდამავალ ეკონომიკაში



**იანოშ კორნაი**
*ეკონომიკის პროფესორი*
*ჰარვარდის უნივერსიტეტი (აშშ)*
*კოლეგიუმ ბუდაპეშტი (უნგრეთი)*
larosa@fas.harvard.edu

ყველა ქვეყანაში პატიოსნება და ნდობა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების განვითარებაში, მაგრამ მათ განსაკუთრებული როლი აკისრიათ გარდამავალ ეკონომიკაში. სწორედ ამიტომ საერთაშორისო ინტერდისციპლინარულმა კვლევითმა ინსტიტუტმა ***კოლეგიუმ ბუდაპეშტმა*** ჩაატარა ამ პრობლემატიკის ფართომასშტაბიანი კვლევა. სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის წარმომადგენლები 17 ქვეყნიდან - ეკონომისტები, პოლიტოლოგები, სოციოლოგები, იურისტები, ფილოსოფოსები და ანთროპოლოგები - შეიკრიბნენ გამოცდილების გასაზიარებლად და საკუთარი იდეების სამსჯავროზე გამოსატანად. მოცემული სტატია ემყარება აღნიშნული კვლევის შედეგებს. მე ასევე ბევრი რამ ვისწავლე იმ აქტიური დისკუსიების დროს, რომლებსაც მისი მონაწილეები აწყობდნენ. ჩვენ არ ვცდილობდით საერთო დასკვნების გამოტანას და არ ვეთანხმებოდით ერთმანეთს რიგ საკითხებში. ამ სტატიაში ასახულია მხოლოდ ჩემი რამდენიმე იდეა, რომელიც კოლეგიუმ ბუდაპეშტის პროექტში მონაწილეობის წყალობით დაიბადა. იმედი მაქვს ისინი ხელს შეუწყობს ამ სფეროში უფრო დაწვრილებითი კვლევებისადმი ინტერესის გაღვივებას. სტატიაში

* იანოშ კორნაი (1928) - უნგრელი ეკონომისტი. პოსტკომუნისტური ეკონომიკური ტრანსფორმაციის პრობლემების მსოფლიოში აღიარებული მკვლევარი. წინამდებარე სტატია დაიბეჭდა უნგრულ ენაზე 2003 წელს ჟურნალში Bcszelo, vol. 8, p. 20-29 (Kornai J. Tisztesseg es bizalom a poszt-szocialista atmenct fenyebcn). იმავე წელს ითარგმნა რუსულ ენაზე და დაიბეჭდა ჟურნალში “Вопросы экономики”, №9. (2003). რუსულიდან თარგმნა პროფ. ე. მექვაბიშვილმა.

ყურადღებას გავამახვილებ სამ საკითხზე: ფირმებს შორის ურთიერთობა; სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც შეიძლება ვენდოთ; ნდობის გამყარების სტრატეგია.

## ურთიერთობა ფირმებს შორის

ბაზარი ფუნქციონირებს მყიდველებსა და გამყიდველებს შორის კერძო კონტრაქტების საფუძველზე. მიკროეკონომიკის ერთ-ერთ პირველ ლექციაზე სტუდენტები ეცნობიან მყიდველსა და გამყიდველს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუშს, რაც გულისხმობს გამყიდველის მიერ ხელშეკრულებაში მითითებული საქონლის ან მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფას, მყიდველის მხრიდან კი შეთანხმებული ფასის გადახდას.

ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს წერილობითი ფორმით და მისი პირობების მიღება დასტურდება მხარეთა ხელმოწერებით. მაგრამ ხელშეკრულება ასევე ქმედუნარიანად ჩაითვლება, თუ იგი დადებულია ზეპირად, ანუ როდესაც ორივე მხარე წინასწარ ეთანხმება ყიდვა – გაყიდვის პროცესის დადგენილ წესებს. მაგალითად, რესტორნის სტუმრები არ აფორმებენ კონტრაქტს, რომლის თანახმადაც გადაიხდიან ფასს ჭამის შემდეგ, მაგრამ სუფრასთან ჯდომით ისინი ამყარებენ რესტორანთან სტანდარტულ, ზეპირ ხელშეკრულებას.

სინამდვილეში, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებები გარკვეულწილად განსხვავდება მათი იდეალური ნიმუშისგან. სრულყოფილი ხელშეკრულება საერთოდ არ არსებობს. ყველაზე დეტალურ კონტრაქტშიც კი შეუძლებელია ყველა ნიუანსის გათვალისწინება, რადგან რთული კონტრაქტი შეიძლება შეიცავდეს ათასობით პარამეტრს. უფრო მეტიც, ხელშეკრულებაში ჩამოყალიბებულია სამომავლო პირობები, რომლებსაც, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ გაითვალისწინებენ მხარეები.

მყიდველსა და გამყიდველს შორის ხელშეკრულების გაფორმების გარდა, აუცილებელია მათი პატიოსანი საქციელი. სწორედ აქ არის საჭირო ნდობა. ხელშეკრულების დადებისას, მყიდველი ენდობა გამყიდველს, რომ იგი იქნება პატიოსანი და სრულიად და ხარისხიანად დაიცავს ხელშეკრულებაში მოცემულ საქონლისა და მომსახურების მიწოდების პირობებს. ამავე დროს, გამყიდველი ენდობა მყიდველს, რომ ის გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხსას. რაც უფრო პატიოსანი არიან მხარეები, მათ შორის უფრო ღრმაა ნდობა და მინიმალურია გარიგების ხარჯები.

ნდობის ხარისხის გაზომვა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მაგალითად, წინასწარი გადახდის აქციებით. საინტერესოა, რომ შესაბამისი მაჩვენებელი ბელორუსში, უკრაინასა და რუსეთში დაახლოებით 40%-ია, ხოლო უნგრეთში, ჩეხეთში და პოლონეთში - დაახლოებით 10%.

მყიდველებსა და გამყიდველებს შორის კერძო ხელშეკრულებების პირობები ხშირად ირღვევა. ბაზრის (და ზოგადად, საზოგადოების) სამართლიანობის კარგი მაჩვენებელია ასეთი დარღვევების სიხშირე და სერიოზულობა. მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი მონაცემები ამ სფეროში არ გვაქვს, ზოგადად ითვლება, რომ პოსტ-სოციალისტური ქვეყნებში უფრო ხშირად გვხვდება შესაბამისი პრობლემები და მომწიფებული, ჩამოყალიბებული საბაზრო ეკონომიკისგან განსხვავებით, მათ ბევრად უფრო სერიოზული სახე აქვს. გარკვეულწილად, ხელშეკრულების დარღვევის სიხშირე და ინტენსიურობა კარგად ასახავს კონკრეტული ბაზრისთვის (და მთლიანად საზოგადოებისთვის) დამახასიათებელი ნდობისა და პატიოსნების ხარისხს. სახელმწიფოს მოუწოდებენ უზრუნველყოს კერძო კონტრაქტების შესრულება. საკითხზე, თუ რა როლი უნდა ითამაშოს მან თანამედროვე დემოკრატიულ საბაზრო ეკონომიკაში, არსებობს ფართო დისკუსია, მაგრამ სახელმწიფოს როლის მინიმუმამდე დაყვანის მომხრეებიც კი არ უარყოფენ მის მნიშვნელობას კერძო კონტრაქტების დაცვის საქმეში. ეს არის კლასიკური ამოცანა-მინიმუმი სახელმწიფოსთვის. რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამას იგი ცუდად აკეთებს, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში.

დავიწყოთ იმით, რომ თავად კანონები არასრულყოფილია. როგორც არ არსებობს სრულყოფილი კერძო ხელშეკრულება, ასევე არ არსებობს სრულყოფილი კანონი. თეორიულად შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივი ხარვეზები ყოველთვის შენარჩუნდება, მიუხედავად მათი გადაჭრის ყველა მცდელობისა. რაც უფრო ნაკლებად გამოცდილები და სულსწრაფები არიან დეპუტატები თავიანთ საქმიანობაში, მით უფრო შორს არის იდეალისგან მათ მიერ შექმნილი კანონები.

მხარეები, რომლებიც საჩივრით მიმართავენ სასამართლოს ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, ეჯახებიან რეალობას, სადაც სასამართლო პროცესი ძალიან ნელა მიმდინარეობს (პოსტ-სოციალისტური ქვეყნებში ამას შეიძლება კიდევ უფრო დიდი დრო დასჭირდეს, ვიდრე მომწიფრებული დემოკრატიების ქვეყნებში, სადაც უფრო განვითარებული და ეფექტიანი სასამართლო სისტემა გააჩნიათ). კიდევ უფრო დიდი პრობლემაა ის, რომ სასამართლო შეიძლება იყოს მიკერძოებული ან კორუმპირებული. და ბოლოს, ბევრი პრობლემა არსებობს სასამართლოს განაჩენის აღსრულებასთან დაკავშირებით. შესაბამისი ორგანო-

ები (სასამართლო აღმასრულებელთა სისტემა) სუსტია და შესაძლოა კორუმპირებულიც.

ზოგადად, მას, ვინც ფიქრობს, რომ სახელმწიფო სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფს კერძო კონტრაქტების შესრულებას, უყალიბდება მისდამი უნდობლობა. პროექტის ერთ – ერთმა მონაწილემ, ვ. რადაევმა, მოიყვანა კვლევის მონაცემები, რომლის თანახმადაც რუსეთში გამოკითხულთა მხოლოდ 24% ამბობს, რომ თუ ხელშეკრულების პირობები დაირღვა, ისინი სასამართლოს მიმართავენ.

როგორ დაიცავს თავს კომპანია, თუ არ ენდობა სახელმწიფოს და ეჭვი ეპარება, რომ შეუძლია დაეყრდნოს კანონის უზენაესობას? პირველ რიგში, მისი ხელმძღვანლები დიდხანს იფიქრებენ იმაზე, თუ ვისთან დაიჭირონ საქმე. ყველაზე აშკარა გამოსავალია შემოფარგლონ საქმიანი ურთიერთობები სანდო პარტნიორების წრით, რომელთა საიმედოობაში ეჭვი არ ეპარებათ. ეს აყალიბებს ურთიერთნდობას, მაგრამ ამცირებს პოტენციური კონტრაგენტების რაოდენობას, რაც იწვევს კონკურენციის შესუსტებას.

ამრიგად, არსებობს დაძაბულობა ნდობასა და კონკურენციას შორის ურთიერთქმედებაში: <u>რაც უფრო მეტია ნდობა შერჩევის კრიტერიუმში, მით უფრო ძლიერადაა შეზღუდული კონკურენცია.</u>

პირადი საქმიანი ურთიერთობების გაფართოება შესაძლებელია უფრო დეტალური ინფორმაციის გამოყენებით, თუკი რომელიმე ერთი მხარე შეეცდება წინასწარ მოიპოვის საჭირო ინფორმაცია პარტნიორის შესახებ. მეტ ნდობას ბადებს, თუ პარტნიორი წევრია რომელიმე პროფესიული ასოციაციის ან სავაჭრო პალატის, ეს უფრო მეტ ნდობას ბადებს. ნდობა ასევე შეიძლება ემყარებოდეს პოტენციური პარტნიორის რეპუტაციას ბიზნეს-საზოგადოებაში, რომელთა წევრები გამოთქვამენ აზრს იმის შესახებ, თუ ვისთან შეგიძლია ურთიერთობა და ვისთან - არა.

ეს მიდგომა დამახასიათებელია, მაგალითად, იმ ტურისტების ქცევისთვის, რომლებიც საზღვარგარეთ ჩამოდიან და მანქანის დაქირავება სურთ. ამ ბაზარზე დომინირებს მსხვილი მრავალეროვნული კომპანიები. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ფირმებმა შეიძლება უკეთესი გარიგებები შესთავაზონ თავიანთი ლოკალური კავშირების წყალობით, ტურისტებს ეუფლებათ შეშფოთება, რომ უცნობმა ფირმამ შეიძლება მოატყუოს ისინი და ამიტომ მიმართავენ ცნობილ მსხვილ კომპანიებს.

თუ ნდობა ემყარება სახელს და რეპუტაციას, ვიდრე ხელშეკრულების კონკრეტული პირობების ანალიზს, ეს ამცირებს ხელშეკრულების დარღვევის ალბათობას, მაგრამ ასევე ხელს უწყობს კონკურენციის შეზღუდ-

ვას. რაც უფრო ძლიერად და ეფექტიანად მუშაობს ნდობის ქსელი, მით უფრო რთულია ბაზარზე გასვლა. თუ ხელშეკრულების გასაფორმებლად საჭიროა პროფესიული ასოციაციის რეკომენდაცია, ამ უკანასკნელს შეუძლია გახდეს კლანი ან კარტელი და გამოავლინოს ანტიკონკურენტული ქცევა. ეს იმ ფაქტის კიდევ ერთი დადასტურებაა, რომ არსებობს დაძაბულობა ნდობასა და კონკურენციას შორის.

ვთქვათ, ვინმე აღმოჩნდა არასაკმარისად ფრთხილი და აირჩია პარტნიორი, რომელმაც დაარღვია ხელშეკრულება. დავუშვათ, რომ დაზარალებული მხარე ერთ-ერთი მათგანია, ვინც არასდროს მიმართავს სასამართლოს. რა შეუძლია მას ამ შემთხვევაში? ყველაზე ხშირად ადამიანები ეგუებიან დანაკარგს, თუმცა ზოგი ამჯობინებს «კანონის ხელში მოგდებას». მაგალითად, მას შეუძლია რამდენიმე ძლიერი ახალგაზრდა გააგზავნოს «საქმეზე» ბიზნესმენთან, რომელსაც ვალი არ აქვს გადახდილი. გამოკითხვაში, რომელსაც ვ. რადაევი ეყრდნობა, აღნიშნულია: გამოკითხულთა 11% ამბობს, რომ არ იტყვის უარს ძალის გამოყენებაზე ხელშეკრულების პირობების აღსასრულებლად.

დღეს უნგრეთში ტერმინი «მაფია» ხშირად გამოიყენება ორგანიზებული დანაშაულის თითქმის ყველა სახის დასახასიათებლად. რეალობაში მაფია არის «დამცავი ორგანიზაცია», არალეგალური კერძო პოლიცია, რომელიც იცავს მის «ჭერქვეშ» მყოფი ბიზნესმენების ინტერესებს თუნდაც ძალის გამოყენებით. მისი ერთ-ერთი ტრადიციული ფუნქციაა ფულის შეგროვება და სესხის იძულებით დაბრუნება. ზოგიერთი ბიზნესმენი თვითონ ეძებს მაფიის მფარველობას, სხვებს კი იგი თვითონ აიძულებს თავის სამსახურს. ორივე შემთხვევაში აშკარაა, რომ მაფია (ამ სიტყვის საწყისი გაგებით) აკმაყოფილებს რეალურად არსებულ მოთხოვნილებას. იგი უზრუნველყოფს კერძო კონტრაქტების შესრულებას იქ, სადაც ოფიციალურ იურიდიულ სამსახურებს არ ძალუძთ ამის გაკეთება. მაფია მნიშვნელოვან ძალად იქცევა, თუ კანონმდებლობას მრავალი ხარვეზი აქვს, სასამართლო სისტემა ნელია და კორუმპირებული, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილებები არ სრულდება.

კოლეგიუმ ბუდაპეშტის პროექტის ფარგლებში, იტალიელმა მკვლევარმა ფ. ვარსზსმა გააანალიზა, თუ როგორ ცდილობდა ერთ-ერთი რუსული მაფიოზური სტრუქტურა საერთაშორისო დონეზე გასვლას. მან თავისი საქმიანობა დაიწყო იტალიაში, მაგრამ არა სამხრეთით, სადაც, ასე ვთქვათ, ადგილი დაკავებული იყო, არამედ ჩრდილოეთით, რომ დამკვიდრებულიყო პატიოსანი ბიზნესის სფეროში,მსხვილი ლეგალური ინვესტიციების განხორციელების შემდეგ მან დაიწყო რეალური მაფიოზური სერვისების ქსელის შექმნა. ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. ეკო-

ნომისტების ენაზე პრობლემა იყო მოთხოვნის და არა მიწოდების მხარე. ჩრდილოეთ იტალიაში ბიზნესი ეყრდნობა კანონის უზენაესობას და სახელმწიფოს შესაძლებლობას უზრუნველყოს კერძო კონტრაქტები. აქ მაფიის მომსახურებაზე მოთხოვნა არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ იგივე მაფია მინიმუმ რამდენიმე წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა უნგრეთში, რასაც უნგრეთის პოლიციის მასალებიც მოწმობს. სამწუხაროდ, ამ ქვეყანაში მსგავს მომსახურებაზე მოთხოვნა იყო კონტრაქტებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ რამდენიმე ზოგადი დასკვნა. კონტრაქტების დადება და დარღვევა არ წარმოადგენს ორი ცალკეული მხარის იზოლირებულ ქმედებას სახელშეკრულებო ურთიერთობაში. გარემო, რომელშიც მზადდება და სრულდება გარიგება, ხასიათდება სამი სახის სოციალური მექანიზმით:

ა) იურიდიულ-სასამართლო-ბიუროკრატიული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კერძო ხელშეკრულების შესრულებას სახელმწიფო იძულების გზით;

ბ) მორალურ-ასოციაციური მექანიზმი, რომელიც დაფუძნებულია ხელშენკრულებაში მონაწილე მხარეების პატიოსნებასა და ურთიერთნდობაზე. პატიოსანი საქციელი ქმნის რეპუტაციას. მხარეებს შორის ყალიბდება არა მტრული, არამედ თანამშრომლობის პარტნიორული ურთიერთობები;;

გ) აგრესიის მექანიზმი, რომელიც ემყარება პირდაპირ ძალადობას საკანონმდებლო სფეროს გარეთ.

არსებობს ორი სახის კავშირი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ მექანიზმებს შორის. პირველი აერთიანებს (ა) და (ბ) მექანიზმებს პოზიტიური დამატებითი ურთიერთობის ფარგლებში. ორივე მექანიზმის მოქმედება ურთიერთგაძლიერებულია. რაც უფრო შეძლებს ბიზნესი ენდოს იურიდიულ მეთოდებს კერძო კონტრაქტების უზრუნველსაყოფად, მით უფრო იშვიათად მოუწევს მიმართოს იურიდიულ პროცედურებს. საჩივრის შეტანის საფრთხე ძალზე რეალური ხდება მაშინაც კი, თუ მას იშვიათად მიმართავენ. ბიზნესის წარმომადგენლებს ესმით, რომ არაკეთილსინდისიერი საქციელი წამგებიანია, მაშინ, როცა პატიოსანი საქციელი მომგებიანი ინვესტიციაა.

რაც უფრო მეტია ურთიერთნდობა ბიზნეს პარტნიორებს შორის, მით ნაკლებია სასამართლო საქმეები. ეს ასუსტებს სასამართლო სისტემაზე ზეწოლას, აჩქარებს იურიდიულ პროცედურებს და კიდევ უფრო აძლიერებს ნდობას სამართლებრივი სასამართლო-ბიუროკრატიული მექანიზმის მიმართ.

კავშირის მეორე ტიპი წინააღმდეგობას უქმნის (ა) და (ბ) მექანიზმებს (გ) მექანიზმთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში დესტრუქციული ჩანაცვლების სიტუაცია წარმოიქმნება. თუ პირველი ორი იურიდიული მექანიზმი ვერ ფუნქციონირებს გამართულად, ვაკუუმი ივსება მესამე, უკანონო მექანიზმით. რაც უფრო მეტად ეყრდნობა ბიზნესი მექანიზმ (გ)-ს და იყენებს უკანონო ზომებს, მით უფრო დაბალია კანონის ავტორიტეტი. რაც უფრო ეშინიათ მეწარმეებს ერთმანეთის, მით ნაკლებია ურთიერთნდობა მათ შორის. ვხედავთ, რომ ეს არის მანკიერი წრე, რომელშიც დესტრუქციული პროცესები ურთიერთძლიერდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სერიოზული დასკვნის გაკეთება შეგვიძლია საზოგადოებრივი მოქმედებების მიმართულების არჩევასთან დაკავშირებით. მთავარი ძალისხმევა არ უნდა იყოს კონცენტრირებული დანაშაულისა და მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, თუ ამოცანად ვისახავთ საქმიანი საზოგადოების „გასუფთავებას“. რა თქმა უნდა, ეს აუცილებელია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ (ა) და (ბ) პუნქტების გაძლიერებას, რაც თავისთავად შეამცირებს (გ) მექანიზმის სივრცეს.

### სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც შეიძლება ვენდოთ

წინა განყოფილებაში უპირატესად განხილული იყო მყიდველისა და გამყიდველის - ჰორიზონტალური ურთიერთობები, თუმცა ამავე დროს გაანალიზებულია სახელმწიფოს როლი ამ სფეროში. ახლა მივმართოთ ვერტიკალური ურთიერთობების კვლევას სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის. რა არის საჭირო სახელმწიფოსა და მის მოქალაქეებს შორის ნდობის დასამყარებლად და გასამყარებლად (უფრო სწორად სახელმწიფოსა და ისეთ ორგანიზაციას შორის როგორიცაა, მაგალითად, ფირმა)?

საინტერესოა პროექტის ამერიკელი მონაწილის, პროფესორ რ. ჰარდინის პოზიცია. მისი აზრით, ადამიანი უნდა გამოვიდეს არა ნდობიდან, არამედ იქიდან, რასაც ის „ლიბერალურ უნდობლობას“ უწოდებს. ნდობას გაფრთხილება უნდა, ის არ შეიძლება გაიფლანგოს.

გადავხედოთ პოლიტიკოსების საქციელს. მათი საქმიანობის ზოგადი განსჯისგან თავს შევიკავებ. ბევრ პოლიტიკოსს კეთილშობილი განზრახვები ამოძრავებს, ემსახურება ჰუმანიზმის პრინციპებს და ხელმძღვანელობს მაღალი იდეებით, ან თუნდაც პატიოსნად წარმოადგენს გარკვეული ფენის, ჯგუფის, რაიონის ან ელექტორატის ინტერესებს. მაგრამ კეთილშობილი ზრახვები შეიძლება შეერიოს ნაკლებად კეთილშობილთან:

- ძალაუფლების მოპოვების ან მისი შენარჩუნების სურვილთან;

- მიცემული ხმების მაქსიმალური რაოდენობის მოგროვებასთან;
- პოლიტიკური და ეკონომიკური კლიენტურის შექმნასთან;
- და ბოლოს, უბრალოდ, როგორც თვით პოლიტიკოსების, ისე მათი ოჯახებისა და მეგობრების შემოსავლისა და სიმდიდრის ზრდასთან.

ბევრ პოლიტიკოსს არ შეუძლია ობიექტური იყოს მათი პოლიტიკური მრწამსისა და პარტიისადმი ერთგულების გამო.

სახელმწიფოზე საუბრისას კიდევ ერთი - ბიუროკრატის ტიპი უნდა იყოს პერსონიფიცირებული. კიდევ ერთხელ, ნუ განვაზოგადებთ. ბევრი მათგანი ახლოს არის იდეალური ბიუროკრატის ტიპაჟთან, რომელსაც აღწერს მ. ვებერი - კომპეტენტური, პატიოსანი სახელმწიფო მოსამსახურე, რომელიც ხელმძღვანელობს პროფესიული მრწამსით და საზოგადოებრივი ინტერესით. მაგრამ მრავალი ბიუროკრატის ქცევა არ განისაზღვრება მხოლოდ ამ ფაქტორებით. ბევრი მათგანი მოწოდებულია დაიცვას ბიუროკრატიის (ან ცალკეული მისი ჯგუფის), როგორც კლასის ინტერესები. ბიუროკრატები, როგორც წესი, არ რჩებიან გულგრილი ფინანსური სარგებლის მიღების შესაძლებლობის მიმართ და ზოგს არ შეუძლია წინააღმდეგობა გაუწიოს კორუფციულ ცდუნებებს.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტები ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ რეალისტურად გაითვალისწინოს პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების ქცევის უარყოფითი მხარეები. ზუსტად იმიტომ, რომ ჩვენ არ ვენდობით სახელმწიფოს, ჩვენ უნდა შევქმნათ საჭირო ინსტიტუტები მოქალაქეებისა და მათი ორგანიზაციების დასაცავად. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუტი - პარლამენტი - ეფექტიანად მუშაობდეს და პარტიებს შორის, რომლებიც მხარს უჭერენ მთავრობას ან ოპოზიციაში არიან, იყოს პოლიტიკური მეტოქეობა.

მოქალაქეთა ინტერესების დამცველი სხვა ინსტრუმენტებიც არსებობს. გადავხედოთ ზოგიერთ მათგანს.

**1. კანონმდებლობის მომზადებაში მონაწილეობა.** კანონისადმი ნდობა ძლიერდება, თუ საზოგადოება გრძნობს, რომ მონაწილეობა მიიღო კანონპროექტებზე მუშაობაში პირდაპირ, ან მათი წარმომადგენლების მეშვეობით. პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში ან საერთოდ უგულებელყოფენ ასეთი მონაწილეობას, ან ფორმალურ ხასიათს აძლევენ მას.

საკანონმდებლო „ქორეოგრაფია“ სოციალიზმის დროს ასევე შეიცავდა იმას, რასაც „საზოგადოებრივი დებატების“ სახელი ეწოდა, რომლის დროსაც განიხილებოდა ცალკეული მნიშვნელოვანი წინადადება სპეციალური ინტერესის მქონე ჯგუფების წარმომადგენლების მიერ,

ანუ იმ ადამიანების მიერ, რომლებიც მმართველმა პარტიამ წარგზავნა ხელმძღვანელ პოზიციებზე ამა თუ იმ ორგანიზაციაში.

შესაძლოა, ადრინდელთან შედარებით პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიღწეულია გარკვეული პროგრესი ამ სფეროში, მაგრამ ნამდვილი ღია საზოგადოებრივი დისკუსიები, ან მოსაზრებების და პროფესიონალური მიდგომების შეჯახება ჯერ კიდევ საკმაოდ იშვიათია.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებში არ არსებობს სპეციალური კანონები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების მონაწილეობას კანონმდებლობის მომზადების პროცესში. აქ ყველაფერი მთავრობისა და შესაბამისი ორგანოების შეხედულებისამებრ ხორციელდება. შესაბამისად, საჭიროა ისეთი კანონის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას (თუნდაც მინიმალური ოდენობით), მისი ფორმების განსაზღვრას და იმ ვალდებულებების ჩამოყალიბებას, რომელიც უზრუნველყოფს სპეციალური ჯგუფების წარმომადგენლების ინფორმირებას და მათი პოზიციების განხილვას.

აქვე საჭიროა გაკეთდეს პატარა შენიშვნა: დავუშვათ, ასეთი კანონი მიღებულია. როგორც სხვა ნებისმიერ კანონში, მასშიც ბევრი ხარვეზი იქნება. ქვეყნის ხელმძღვანელობა შეეცდება შეასრულოს იგი სრულად და ენერგიულად, ან ფორმალურად. ასევე არ შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ საზოგადოება მიაქცევს ყურადღებას ამ კანონს. მან შეიძლება ჩათვალოს, რომ ის პოლიტიკოსებისა და იურისტების ინტერესთა სფეროს მიეკუთვნება.

**2. ნეიტრალური, მიუკერძოებელი ინსტიტუტები.** მოვიყვანოთ რამდენიმე მსგავსი ორგანიზაციების მაგალითები:

- ცენტრალური ბანკი;
- საბანკო სისტემა და, შესაძლოა ზოგიერთი საზედამხედველო ფინანსური ინსტიტუტი;
- ორგანო, რომელიც ახორციელებს საფონდო ბირჟის საქმიანობის კონტროლს
- სახელმწიფო აღრიცხვის პალატა;
- ენერგეტიკული კომისია;
- ანტიმონოპოლიური კომიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციას.

რა აქვთ ამ ინსტიტუტებს საერთო? სავარაუდოდ, ისინი გვერდზე რჩებიან ყოველდღიური პოლიტიკური ბრძოლიდან, ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს და მიუკერძოებლობას. მათ გადაწყვეტილებები უნდა მიიღონ მხოლოდ პროფესიული კრიტერიუმების საფუძველზე. მათი ლიდერების

პატიოსნება და პროფესიონალიზმი გარანტია უნდა იყოს იმისთვის, რომ ისინი პოლიტიკური ბრძოლის მაღლა დგანან და არ მონაწილეობენ პარტიულ ინტერესებში. ასეთი მოლოდინები ძალიან მოგვაგონებს იმას, რასაც საზოგადოება ელის დამოუკიდებელი სასამართლოებისგან.

ჩვენ ჩამოვთვალეთ მხოლოდ ექვსი დაწესებულება, მაგრამ მათი რიცხვი გაცილებით მეტია. ისინი ახორციელებენ სახელმწიფო რეგულირების ფუნქციებს და / ან კონტროლს არა მხოლოდ საჯარო სექტორში ან ეკონომიკაში, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებშიც.

რომელი ერთიც არ უნდა განვიხილოთ ამ დაწესებულებებიდან, მოცემული მოლოდინების რეალიზაციის შესრულებისას წარმოიშობა უამრავი პრობლემა. დავიწყოთ ნეიტრალური და მიუკერძოებელი ინსტიტუტების ლიდერების შერჩევითა და დანიშვნით. ეს შერჩევა, რასაკვირველია, განგების მიერ არ ხორციელდება. ვინმეს (შესაძლოა პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის ხელმძღვანელს, ან ქვეყნის პრეზიდენტს) აქვს გარკვეულ თანამდებობაზე კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილება. სხვას ან სხვებს აქვთ უფლება განიხილონ მოცემული კანდიდატურა მისი ამ თანამდებობასთან შესაბამისობის თვალსაზრისით. და ბოლოს, ვიღაც აწერს ხელს დანიშვნის ბრძანებას. ასეთი პროცედურა მიუთითებს იმაზე, რომ ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე დანიშვნა ვერ იქნება სრულიად დამოუკიდებელი.

ნეიტრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელი შეიძლება აღმოჩნდეს რომელიმე პოლიტიკური ხაზის მხარდამჭერი და სინამდვილეში იქნება ლოიალური იმ პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკოსის მიმართ, რომლის მეშვეობითაც მან მიიღო თავისი პოსტი.

ნდობა შეუძლებელია კონტროლის გარეშე. ხშირ შემთხვევაში ის არ ხორციელდება, ან ხორციელდება მხოლოდ ფორმალურად. შედეგად ირღვევა კავშირი ლიდერისთვის კონკრეტული პასუხისმგებლობის დაკისრებასა და მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობების აღსრულებას შორის. ერთის მხრივ, თუ ასეთი ინსტიტუტის ხელმძღვანელი ინიშნება თანამდებობაზე ხანგრძლივი ვადით (შესაძლოა სიცოცხლის განმავლობაში), ეს აძლიერებს მის მიუკერძოებლობას და დამოუკიდებლობას. მეორეს მხრივ, ასეთ დანიშვნას აქვს თავისი უარყოფითი მხარეები: მის საქმიანობაზე კონტროლი კიდევ უფრო შესუსტებულია. თქვენ არ შეგიძლიათ გაათავისუფლოთ ადამიანი, რომელიც ცუდად მუშაობს.

ჩვენ ხშირად ვაწყდებით წინააღმდეგობას, რომელიც ახასიათებს სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმით ორგანიზებას. საზოგადოების დემოკრატიული მოწყობის მნიშვნელოვანი გარანტიაა მრავალპარტიუ-

ლი სისტემა, პარტიული მეტოქეობა და მთავრობის დამოკიდებულება საპარლამენტო უმრავლესობაზე.

ამავე დროს, კარგად ჩანს მოქალაქეებში იმ ადამიანებისადმი ნდობის გამოღვიძების სურვილი, ვინც ასრულებს სახელმწიფოებრივ ფუნქციებს, არიან თავიანთი საქმის ექსპერტები და მუშაობენ პარტიისა და პარლამენტის საშინაო პოლიტიკისაგან დამოუკიდებლად. წარმომადგენლობით დემოკრატიაში ნდობა უნდა განმტკიცდეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების ფუნქციების დანიშნულ პროფესიონალებზე გადაცემით. ამ წინააღმდეგობამ ჯერ კიდევ ვერ მიიღო თავისი თეორიული გადაწყვეტა.

**3. რეფერენდუმები.** პირდაპირი დემოკრატიის ინსტიტუტების ფართო გამოყენების იდეას იცავდა პროექტის შვედი მონაწილე, პროფესორი ბ. ფრეი. მან ყურადღება მიაქცია მის რიგ უპირატესობებს. საპარლამენტო ან ადგილობრივი არჩევნების დროს ამომრჩეველი ხმა აძლევს პარტიას ან კანდიდატს. ეს ნიშნავს „პაკეტის" არჩევას, რადგან პარტია ან კანდიდატი წარმოადგენს კონკრეტულ პოზიციებს

რიგ საკითხებზე. ამომრჩეველი შეიძლება არ ეთანხმებოდეს პარტიას ან კანდიდატს რომელიმე საკითხში, მაგრამ მაინც მისცეს ხმა მათ პოლიტიკურ ფილოსოფიასთან და წინა საქმიანობასთან, ან სულაც პრობლემური საკითხებისადმი მათი მიდგომების უმეტესობასთან თანხვედრის გამო.

ამრიგად, ამომრჩეველი „ყიდულობს" სასურველს „პაკეტს", რომლის ნაწილზეც მან უარი თქვა. ამავე დროს რეფერენდუმები მოქალაქეებს საშუალებას აძლევენ ხმა მისცენ კონკრეტულ საკითხებს და არა - „პაკეტს". ეს ასტიმულირებს მოქალაქეთა კონსტრუქციულ აზროვნებას და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობას. სახელმწიფოს მიერ ინიცირებული მსგავსი აქციები უფრო ღრმად აღვიძებს მისდამი მოქალაქეთა ნდობას.

რეფერენდუმი შეიძლება ჩატარდეს არა მხოლოდ ეროვნული მნიშვნელობის საკითხების გარშემო, არამედ მცირე ადმინისტრაციული ერთეულებისთვისაც (მაგალითად, ქალაქები ან სოფლები). ეს ხელს უწყობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის უფრო მეტ დეცენტრალიზაციას.

აქ ისევ აუცილებელია პატარა შენიშვნა: არასწორია იმის თქმა, რომ რეფერენდუმმა, როგორც ინსტიტუტმა, შეიძლება თავიდან აიცილოს შიდა პოლიტიკის გავლენა. ხშირ შემთხვევაში, რეფერენდუმის ჩატარება პირდაპირ ან ირიბად ინიცირებულია პოლიტიკური პარტიების ან სხვა ორგანიზებული პოლიტიკური ძალების მიერ. იგივე ძალებს შეუძლიათ გავლენა ან თუნდაც მანიპულირება მოახდინონ ამომრჩეველთა ქცევაზე. რა თქმა

უნდა, შეუძლებელია პირდაპირ დემოკრატიაზე სწრაფი გადასვლა. საზოგადოებამ უნდა ისწავლოს მის პირობებში ცხოვრება. სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ან საკანონმდებლო საკითხების რეფერენდუმის სახით დაყენების პრაქტიკა უნდა ინერგებოდეს მუდმივად და ეტაპობრივად.

**4. არასამთავრობო ორგანიზაციები.** მნიშვნელოვანი როლი ნდობის აღდგენაში შეუძლიათ შეასრულონ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მოქალაქეთა ნებაყოფლობითმა ასოციაციებმა. ჩვენი დისკუსიების დროს, არაერთხელ აღვნიშნეთ რ. პუტნამის კლასიკური ნაწარმოები, რომელიც ეძღვნება ჩრდილოეთ იტალიაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. მას მოჰყავს მონაცემები, რომლებიც მიუთითებენ, ერთი მხრივ, მოქალაქეთა გაერთიანებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობასა და აქტივობას შორის მჭიდრო კორელაციაზე, და მეორე მხრივ - საზოგადოების წევრთა ურთიერთნდობაზე. ეს ურთიერთნდობა ქმნის „სოციალურ კაპიტალს". რაც უფრო აქტიურად ეკონტაქტებიან მოქალაქეები ერთმანეთს და რაც უფრო დიდია იმ ორგანიზაციების რიცხვი, სადაც ისინი ახერხებენ ამ კონტაქტებს, მით უფრო იზრდება „სოციალური კაპიტალი". პუტნამის პიონერული ნამუშევარი დაფუძნებულია რამდენიმე ემპირიულ კვლევაზე.. ზოგიერთმა მათგანმა დაადასტურა მისი საწყისი ჰიპოთეზა, ზოგიერთმა კი- არა. მართლაც არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც პოლიტიკური გამიჯვნის ზემოთ დგანან, მაგრამ ამავე დროს, ბევრი მათგანი რომელიმე პოლიტიკური ძალის ღია ან საიდუმლო გავლენის ქვეშ არიან, ან შეიქმნენ მათი მონაწილეობით.

რაც უფრო სეგმენტირებულია საზოგადოება (პოლიტიკური, ეთნიკური, რელიგიური თვალსაზრისით), მით უფრო ძლიერია „სამოქალაქო საზოგადოების" ორგანიზაციების ურთიერთ უნდობლობა.

**5. საერთაშორისო ორგანიზაციები.** რა თქმა უნდა, იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ცდილობენ ევროკავშირში შესვლას, ევროკავშირი - ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ორგანიზაციაა. შეგვიძლია დავასახელოთ სხვებიც, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF) და მსოფლიო ბანკი (WB); ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (WHO); შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO) და გაეროს სხვა სააგენტოები. რა თქმა უნდა, მოქალაქეებს მეტი იმედი აქვთ, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა უზრუნველყოფს ეროვნული მთავრობების, ან პოლიტიკოსებისა და ბიუროკრატების მიერ მათი უფლებების ბოროტად გამოყენებისა და უმოქმედობისგან გარკვეულ დაცვას. ამისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ატიპიური პნევმონიის ბოლოდროინდელი მაგალითი, როცა WHO-ს აქტიური ჩარევა გახდა საჭირო

იმისთვის, რომ ჩინეთის ხელმძღვანელობას ეღიარებინა პრობლემის სერიოზულობა და მიეღო ადეკვატური ზომები. ცალკეულ შემთხვევაში სავალუტო ფონდმა მხარი დაუჭირა პოსტსოციალისტური ქვეყნების გრძელვადიან ეკონომიკურ ინტერესებს და გააკრიტიკა ფინანსების პოპულისტური ხარჯვა ნაციონალური მთავრობების მიერ. კვლავ უნდა გაკეთდეს შენიშვნა: გამოცდილება აჩვენებს, რომ არც საერთაშორისო ორგანიზაციები არიან უცოდველნი. ხშირად მათი ჩარევა მტკივნეულია და უფრო მეტი ზიანი მოაქვთ, ვიდრე სარგებელი. თუნდაც მაშინ, როცა საერთაშორისო ორგანიზაციის პოზიცია სწორია, მას ყოველთვის არ შეუძლია დაძლიოს ნაციონალური მთავრობისა და ბიუროკრატიის წინააღმდეგობა.

აღსანიშნავია, რომ ხუთიდან თითოეული პუნქტის განხილვის დასრულების შემდეგ ჩვენ ვაკეთებთ შემდეგ დასკვნებს: დიახ, ამ ინსტიტუტს შეუძლია ითამაშოსძალიან სასარგებლო როლი, მაგრამ იქვე მისი გავლენა შეზღუდულია და შეიძლება უარყოფითი შედეგებიც კი გამოიწვიოს. ხალხს შეუძლია ბოროტად გამოიყენოს ნებისმიერი ინსტიტუტის უფლებები და ძალაუფლება; ფაქტია, რომ საუკეთესოდ დაპროექტებული და ორგანიზებული ინსტიტუტის გაცურებაც კი შესაძლებელია.

გამოვთქვამთ რამდენიმე მოსაზრებას ეკონომიკურ თეორიასთან დაკავშირებით.

ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ვიღაცისთვის „ინსტიტუციონალური ეკონომისტის“ წოდება დამამცირებლად მიიჩნეოდა. რაც იმას ემყარებოდა, რომ თითქოსდა, ადამიანს არ შეუძლია ეკონომიკური მოვლენების სწორად გაანალიზება, მოდელების შექმნა და მათი გამოყენება გარკვეული დასკვნების გაკეთების მიზნით. მას მხოლოდ სიტყვიერად შეუძლია აღწეროს ეკონომიკური ინსტიტუტები. მაგრამ რამდენი წლის წინ სიტუაცია შეიცვალა. ალბათ გარდამტეხი მომენტი აღმოჩნდა დ. ნორტისთვის ნობელის პრემიის მინიჭება ეკონომიკაში 1993 წელს, რამაც ნათლად აჩვენა ინსტიტუციონალიზმის სამეცნიერო მნიშვნელობა. მას შემდეგ ამ მიმართულებამ განვითარების ახალი ბიძგი მიიღო და გახდა ძალიან მოდური. რაც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევაში, ამის შემდეგ იწყება ინსტიტუციონალიზმის მნიშვნელობის გაზვიადების პერიოდი, როდესაც სწორი, ხშირად გამოყენებული მიდგომა აბსურდულობამდე დავიდა. რა პრობლემასაც არ უნდა შეხებოდნენ, პასუხი წინასწარ მზად იყო: ის წარმოიშვა ინსტიტუტების არასრულყოფილების გამო და მაშასადამე, ეს პრობლემა რომ აღმოვფხრათ, აუცილებელია ახალი შესაბამისი ინსტიტუტების შექმნა.

ამ სტატიის პირველი ორი ნაწილი ხაზს უსვამს ინსტიტუტების მნიშვნელობას. აუცილებელია შეგნებულად ჩამოვაყალიბოთ ისეთი ინსტი-

ტუტი, რომელიც გაუმკლავდება ამა თუ იმ ამოცანის გადაჭრას და იმავდროულად შევუქმნათ პირობები მის სპონტანურ განვითარებას. თუმცა საუკეთესო ინსტიტუტიც კი შეიძლება გამოყენებულ იქნას არც თუ ისე საუკეთესო მიზნებისთვის.

მრავალი შესაძლო ფაქტორიდან აქ გამოვყოფთ მხოლოდ ერთს: ინსტიტუტის ხელმძღვანლის სუსტი ხასიათი. რასაც არ უნდა განსაზღვრავდეს კანონი გარეგნულად ნეიტრალური, მიუკერძოებელი ინსტიტუტის შესაქმნელად, მისი ყველა მოთხოვნა ილუზორული იქნება, თუ ინსტიტუტის ხელმძღვანელი აღმოჩნდება მორჩილებაში მთავრობასთან, ან ნებისმიერ სხვა პოლიტიკურ ძალასთან მიმართებაში. თუ დაწესებულება დაფუძნებულია წინაპირობაზე, რომ მის ლიდერში პერსონიფიცირებულია პროფესიონალიზმი, ობიექტურობა და ზნეობრივი პატიოსნება,მაგრამ სინამდვილეში ლიდერი არაკომპეტენტური, შეზღუდული, არაობიექტური და თუნდაც კორუმპირებულია, ასეთი ინსტიტუტის არსებობას აზრი აღარ ექნება.

პოსტსოციალისტურ ქვეყნებს კარგი შანსი აქვთ მიიღონ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ისეთი კანონმდებლობა და რეგულირების სხვა ზომები, რომელიც დაფუძნებულია დემოკრატიის თანამედროვე ტიპებსა და კერძო საკუთრებაზე. ეს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა სახელმწიფოს მიმართ ნდობის შესაქმნელად. როგორ მუშაობს ხელმძღვანელთა შერჩევის მექანიზმები? ვინ არის პირადად პასუხისმგებელი ინსტიტუციების ფუნქციონირებაზე? შეეფერებიან თუ არა ისინი დასახული ამოცანების გადაწყვეტას? ამზადებენ თუ არა ადამიანებს, რომლებსაც უნარის შესწევთ ახალი ამოცანების გადასაჭრელად?

## ნდობის გამყარების სტრატეგია

სტატიის წინა ნაწილის ბოლოს ფორმულირებულ საკითხებს მივყავართ ჩვენი სტატიის მესამე თემაზე - როგორი უნდა იყოს ნდობის აღდგენის სტრატეგია? არსებობს კი „პრიორიტეტული ამოცანები", რომელთა სწრაფად გადაჭრამ შეიძლება მკვეთრად დააჩქაროს მთელი პროცესი, ან „საკვანძო რგოლები" მათ ჯაჭვში? პროექტის ერთ-ერთი მონაწილის თქმით, შვედი პოლიტოლოგის ბ. როტშტეინის აზრით, აუცილებელია ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რათა სახელმწიფო ბიუროკრატია გახდეს მკაცრი, პროფესიონალური და არაკორუმპირებული. პროექტის ამერიკელი მონაწილე, ე. უსლანერი თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი აღზრდაა. საზოგადოების წევრები საკმარისად სოციალიზირებულები უნდა

იყვნენ, რათა მათი საქციელი შეესაბამებოდეს ზნეობრივ ნორმებს და პრინციპებს.

უნგრეთში კორუფციისა და და საზოგადოებრივი რესურსების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა წინა პლანზე წამოვიდა არა როგორც დეკლარირებული პროგრამა, არამედ როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა. ამავე დროს, ტელევიზიის, პარლამენტის და პრესის განხილვის სივრციდან ამოვარდა ნდობისა და პატიოსნების მრავალი სხვა ასპექტი. თითქმის არ მოიხსენიება, თუ როგორ მოატყუა ერთმა ბიზნესმენმა მეორე, როგორ ატყუებენ გამყიდველები მყიდველებს, მშენებლები - მომავალი სახლის მესაკუთრეებს, ხოლო მოვალეები - კრედიტორებს. პრაქტიკულად არ არის გამოკვლეული (გარდა ცალკეული შემთხვევებისა, რომლებსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა საზოგადოებაში) პროფესიული სტანდარტების ხარისხი და ე.წ. ობიექტური ინსტიტუტების მიუკერძოებლობა.

ჩვენი სამეცნიერო ჯგუფის წევრები ვერ მივიდნენ კონსენსუსთან იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს. ასეთი ამოცანა ჩვენს წინაშე არც იდგა. თუ მთავრობა ან პარლამენტი შექმნის კომისიას, რომელიც შეისწავლის ამ საკითხს, აუცილებელია მოამზადდეს პრაქტიკული რეკომენდაციები შიდა დისკუსიებისა და შეთანხმებების შემდეგ. ჩვენს ჯგუფში ასეთი კომისია არ არსებობდა. ჩვენ განვიხილავდით ფრიად

მნიშვნელოვან თემას და ჩვენი მთავარი ამოცანა იყო მკაფიოდ ჩამოგვეყალიბებინა პრობლემა, გამოგვეყო უარყოფითი შედეგების მომტანი ფაქტორები და რაც შეიძლება ღრმად ჩაგვეხედა შესაბამის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებებში. ზოგიერთმა ჩვენგანმა მიაღწია პრაქტიკული ფორმულირების დონეს, სხვები შემოიფარგლნენ პრობლემის ანალიზით. გარკვეული რეკომენდაციებს პროექტის ყველა ან თითქმის ყველა მონაწილე ეთანხმებოდა, დანარჩენებმა კი გამართეს აქტიური დისკუსია.

მე გამოვდივარ წინაპირობიდან, რომ არ არსებობს „პრიორიტეტები“ და „საკვანძო რგოლები“ და ნურც შეეცდებით მათ მოძებნას. ჩვენ წინაშე ძალიან რთული

ამოცანების კომპლექსი დგას. თუ ზოგიერთი მათგანი უგულებელყოფილია, მაშინვე თავს იჩენენ პრობლემები და ურთიერთნდობა გაქრება. სწრაფი დარტყმით ამის მოგვარება შეუძლებელია. ამ კამპანიაში მუდმივად ყველა ფრონტის მიმართულებით უნდა უტევდეთ.

სტრატეგიის დაგეგმვისას მნიშვნელოვანი ამოსავალი წერტილი არის იმის გათვალისწინება, რომ ასეთი მოვლენები მთელ მსოფლიოში

არის გავრცელებული, თუმცა ჩვენ ვცხოვრობთ სპეციფიკურ რეგიონში, პოსტსოციალისტური ტრანსფორმაციის საზოგადოებაში.

ბევრი პრობლემა, მათ შორის ამ სტატიაში განხილული, ახასიათებს უკლებლივ ყველა ქვეყანას, გამონაკლისის გარეშე. ამის მიუხედავად, ისტორიის მიმდინარეობა დღევანდელ დღემდე დიდწილად განპირობებულია იმით, თუ როგორ მიიღება ესა თუ ის გადაწყვეტილება. ვგულისხმობ ხშირად ნახსენებ ეფექტს „წინა განვითარების ტრაექტორიაზე დამოკიდებულებას“ (path dependence). თუნდაც ორი ქვეყანა თუ არის ძალიან მსგავს მდგომარეობაში, როგორც წესი, მათ განსხვავებული ისტორიული გზებით მიაღწიეს ამ მდგომარებას. ეს ისტორიკოსისთვის აშკარაა, მაგრამ ხშირად ბევრს ავიწყდება, რომლებიც რეკომენდაციას იძლევიან მექანიკურად გადმოაკოპირონ უცხოური გამოცდილი ინსტიტუტები, რეგულირების ნორმები და ორგანიზაციის ფორმები.

პოსტსოციალისტური ქვეყნების წინაშე მდგარი ამოცანები შეიძლება გავაერთიანოთ ორ ჯგუფად, რასაც განსაზღვრავს მათი გადაწყვეტისთვის საჭირო სიჩქარე და წარსულიდან მემკვიდრეობით მიღებული პირობები. პირველ ჯგუფში შედის საკანონმდებლო, სასამართლო და ინსტიტუციური ამოცანები. ისინი დაკავშირებულია პოლიტიკური დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ნორმებთან შეთავსებით სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნასთან, რომელშიც დომინირებს კერძო საკუთრება. ეს უზრუნველყოფს ეკონომიკური აგენტებისადმი ნდობის გამყარებას, მოქალაქეთა დაცვას თანამდებობის პირთა თვითნებობისაგან და თავისი მოქალაქეების ნდობის ღირსი სახელმწიფოს შექმნას.

რა მემკვიდრეობა დაგვრჩა ამ მხრივ სოციალიზმისგან? რა თქმა უნდა, კონსოლიდირებული სოციალისტური სისტემის ფარგლებში, არ შეიძლება ლაპარაკი რევოლუციური არასამართლებრივი სახელმწიფოს შენარჩუნებაზე. პირიქით, აქ თითოეული მოქმედება მილიონობით ნორმით და ინსტრუქციით რეგულირდება. ამ მკვრივი „ქსოვილის“ გახლეჩა ვერ მოხერხდა მახვილის რამდენიმე თამამი მოქნევით 1989-1990 წლებში. რიგმა ქვეყნებმა (მაგალითად, რუმინეთმა) განსაკუთრებული მოვლენები განიცადეს, მაგრამ მთლიანობაში რეგიონი ხასიათდებოდა მშვიდობიანი გადასვლით. იურიდიული სტრუქტურის „ქსოვილი“ დაიშალა და ბევრ მცირე დეტალში ნაწილ-ნაწილ თავიდან აეწყო. ეს არც ისე შესამჩნევია, მაგრამ უფრო ეფექტიანია და მისაღები. ყველა წინა ნორმა ძალაში რჩებოდა მათ ინდივიდუალურ გადასინჯვამდე. ზოგიერთი წინა კანონი მთლიანად შესაცვლელი და ახლიდან შესაქმნელი იყო. ბევრი ახალი კანონის მიღება გახდა საჭირო, რომ დარეგულირებულიყო ის მოქმედებები და დამოკიდებულებები, რომლებიც სოციალიზმის პირობებში არ არსებობდა.

ევროპული ბანკის თანამშრომელი მ. რეიზერი ჩვენი ერთ – ერთი მონაწილეა, რომელმაც წარმოადგინა შემდეგი რეალობის დამადასტურებელი სტატისტიკური მონაცემები: რაც უფრო წინ არის წასული ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო რეფორმები, მით უკეთ მუშაობს სახელმწიფოებრივი ადმინისტრაცია და მით უფრო მაღალ შეფასებას იმსახურებს სასამართლოების საქმიანობა, და მით უფრო ძლიერია საქმიან პარტნიორებს შორის ურთიერთნდობა.

სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობას შეუძლია მიაღწიოს იმ ეტაპს, როდესაც ეს ამოცანა მეტწილად შესრულებულია. ამ გაგებით, პოსტსოციალისტურ სახელმწიფოს შეუძლია დაეწიოს იმ ქვეყნებს, სადაც უკვე ფუნქციონირებს თანამედროვე, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც სოციალისტურ ექსპერიმენტებზე გადასვლის გარეშე განვითარდა. რამდენიმე პოსტ-სოციალისტური ქვეყანა უკვე არის ამ ეტაპზე: უნგრეთი, პოლონეთი, ჩეხეთი, სლოვენია და ბალტიის ქვეყნები. სხვები ჯერ კიდევ შორს არიან მომწიფებული, დემოკრატიულ-კონსტიტუციონალური ფორმისაგან. მათ ამ გზის მხოლოდ ნახევარი გაიარეს. ეს ეხება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმეტეს ნაწილს. მაგრამ მათთან მიმართებაშიც ზუსტად შეგვიძლია განვსაზღვროთ, თუ რომელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ამოცანები იქნება გადასაჭრელი უახლოეს მომავალში.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს პროცესის საბოლოოდ დასრულებას. არსებული კანონების გაუმჯობესებისა და ინსტიტუციების განვითარების საჭიროება დარჩება. მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების გავლენა, ძვრები მოსახლეობის სტრუქტურაში, ცვლილებები გარემო სამყაროში და ა.შ. ხელს შეუწყობს ახალი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ამოცანების წარმოქმნას. ამ გაგებით, ეს პროცესი უსასრულოა. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამუშაოების უმეტესი ნაწილი უნდა შესრულდეს გარდამავალი პერიოდის დასაწყისში. ასეთ ამოცანებს ვერ გადავჭრით შოკური თერაპიით თუ ზედმეტი სიჩქარით. აქ უნდა ვიმოქმედოთ თანდათანობით, ეტაპობრივად, რამდენიმე წელზე გათვლით. ისტორიული საზომის მიხედვით, ეს პერიოდი მოიცავს დაახლოებით 10-20 წელიწადს. მას შემდეგ, რაც პრობლემა მეტნაკლებად მოგვარდება, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეიძლება, არის სამართლებრივი სახელმწიფოს „შეკეთება“ და „განახლება“.

მეორე ჯგუფი მოიცავს განსხვავებულ ამოცანებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი დაკავშირებულია ადამიანთა მენტალიტეტთან. პირველ რიგში, აუცილებელია წარსულის მემკვიდრეობის გადალახვა.

კომუნისტურმა რეჟიმმა ადამიანთა გონებაში შექმნა ნდობისა და ეჭვის უცნაური ალიანსი. მეგობარს ვენდობი, მაგრამ არ ვიცი ჩემი უახლოესი მეგობრების წრის გარეთ ვინ არის ჩამშვები. მე ეჭვით ვუყურებ პარტიისა თუ სახელმწიფოს ნებისმიერ ორგანიზაციას, იქნება ეს პოლიცია, საგადასახადო სამსახური ან ადგილობრივი საბჭო. ხალხი ჩართულია ნდობის მრავალრიცხოვან ქსელებში. თუ რაიმე დეფიციტს წარმოადგენს, მისი შოვნა შეიძლება ასეთი ქსელის სხვა წარმომადგენლის დახმარებით და არა პატიოსანი გარიგებების საშუალებით შესაბამისი ნაღდი ფასით. პირიქით, ასეთი ქმედება ითვლება სამოქალაქო სიმამაცის პოლიტიკურ აქტად, რომელიც ხშირად ხორციელდება უფროსების მიერ და რასაც ბავშვებიც სწავლობენ.

შემდეგ დადგა 1989-1990-იანი წლები. განა მოსალოდნელი იყო ასე ღრმად ფესვებგადგმული ჩვევების მალე გაქრობა?

1990-იანი წლების შუა პერიოდში ერთხელ ვუსმენდი რადიოგადაცემას, რომლის წამყვანიც თხოვდა აუდიტორიას აეხსნა მისთვის, თუ როგორ ახერხებდნენ საბაჟო ორგანოების მოტყუებას საზღვარგარეთ გატარებული შვებულებიდან დაბრუნებისას. ხალხი სათითაოდ რეკავდა და ტრაბახობდა, თუ როგორ მოახერხეს კანონის დარღვევა და სახელმწიფოს მოტყუება. რა თქმა უნდა, ეს ასევე ხდება ყველაზე კანონმორჩილ ქვეყნებშიც. მთავარი განსხვავება მოტყუების სიხშირე კი არ არის, არამედ ასეთი საქციელის სოციალური მიუღებლობაა. აშშ-სა და ნორვეგიის რადიოწამყვანი ვერც კი დასვამდა მსგავს შეკითხვას და მოპასუხე არც იტრაბახებდა საბაჟო ორგანოების მოტყუებით. ყველგან ხდება გადასახადების თავიდან აცილება, მაგრამ მოწინავე დემოკრატიულ ქვეყნებში ადამიანები გრძნობენ სირცხვილს და არ იწონებენ თავს საზოგადოებაში ასეთი საქციელით.

პოსტსოციალისტური გარდატეხის პროცესმა მოიტანა ზნეობრივი დაბნეულობა. მრავალი ადამიანის გონებაში კვლავ ფეხგადგმულია ძველი პრინციპები, მაშინ, როცა სხვები ქცევის ახალ და ძველ ნორმებს ერთდროულად მისდევენ, თუმცა ისინი სრულიად შეუთავსებელია. განვიხილოთ ერთი მაგალითი.

ხალხმა ხშირად არ იცის როგორ უნდა მიიღოს ის ფაქტი, რომ მათი თანამოქალაქეების შემოსავალი და სიმდიდრე გაიზარდა. პროექტის ერთ-ერთმა მონაწილემ ა. ორკენმა და მისმა თანაავტორებმა ეს ფენომენი შეისწავლეს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების და სხვა მრავალი სახელმწიფოს მაგალითზე. რესპონდენტებს ჰკითხეს, რა ფაქტორებით აიხსნება სხვისი სიმდიდრე. თითოეულ შემთხვევაში, რამდენიმე ვარიანტი იყო

შემოთავაზებული, როგორიცაა შრომისმოყვარეობა, კავშირები და არაკეთილსინდისიერება. არსად რესპონდენტები უარს არ ამბობენ რომელიმე ფაქტორის დასახელებაზე, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში რესპონდენტთა უმრავლესობამ ხაზი გაუსვა პირად კავშირებს და, სამწუხაროდ, არაკეთილსინდისიერებას, როგორც სიმდიდრის წყაროს. ეს აშკარად ახასიათებს რეგიონში მცხოვრები ადამიანების მენტალიტეტს. მათ არ შეუძლიათ შეეგუონ იმ ფაქტს, რომ ვინმეს შეეძლო პატიოსნად ბევრი ფულის შოვნა, თუმცა მსგავსი ახასიათებს კაპიტალისტურ სისტემას.

რთულია ორიოდე ათწლეულის განმავლობაში ხალხის მენტალიტეტის შეცვლა. ამ პროცესის სიჩქარე დიდად არის დამოკიდებული პიროვნების თვისებებზე. სინამდვილეში, ეს პროცესი შესამჩნევად დაჩქარდება, როდესაც ძველი თაობა დაუთმობს ადგილს ახალს, რომელიც სულ სხვა პირობებში ყალიბდება და რომლის ზნეობრივი ნორმები და ქცევის მოდელები ფორმირდება სხვა გავლენის ქვეშ. ეს არ ნიშნავს, რომ უბრალოდ უნდა დაველოდოთ, სანამ დრო ყველაფერს მიუჩენს თავის ადგილს და პასიურად ვუყუროთ საზოგადოებაში დამთრგუნველი უწესობისა და გაურკვევლობის გავრცელებას. ძირითადი ამოცანები - მოსახლეობის აღზრდა და განათლება - უნდა გადავჭრათ ოჯახებში, სკოლებსა თუ ინსტიტუტებში. ბევრი სარგებლის (მაგრამ ზიანისაც) მოტანა შეუძლია პრესას და ტელევიზიას. ადამიანთა ქცევაზე დიდ გავლენას ახდენს საჯარო პერსონის სიტყვები თუ საქციელი. ამ პრობლემის მოგვარება ერთხელ და სამუდამოდ შეუძლებელია. ვუსურვებდი პოსტ-სოციალისტური ქვეყნების ყველა მოქალაქეს იმ მოთმინებასა და სიმტკიცეს, რომელსაც ეს მოითხოვს.

**ლიტერატურა:**


- Building a Trustworthy State in Post-Socialist Transition; Creating Social Trust in Post-Socialist Transition (N.Y.: Palgravc Macmillan, 2002).
- Reiser M., Rousso A., Stein F. Firms Trust? Evidence from a Survey of 26 Transition Economies. Collegium Budapest, 2003.
- Radaev V. How Trust Is Established in Economic Relationships When Institutions and Individuals Are not Trustworthy (The Case of Russia). Collcgium Budapest, 2003.
- Hardin R. Liberal Distrust. - European Review, 2001, vol. 1, p. 73-89.
- Rose-Ackerman S. Public Participation and Government Accountability in Consolidating Democracies: Hungary and Poland. Collegium Budapest, 2003.
- Rose-Ackerman S. Op. cit,; Sajo A. Neutral Institutions. Collegium
- Budapest, 2003.

- Frcy B. Direct Democracy for Transition Countries. Collegium Budapest, 2003.
- Putnam R. Making Democracy Work: Civic Traditions in Modern Italy.
- Princeton, Princeton University Press, 1993.
- Putnam R. Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community. New York, Simon and Schuster, 2000, p. 19).
- Rothstein B. Social Capital and the Quality of Government: The Causal Mechanism. Collegium Budapest, 2003.
- Uslancr E., Badcscu G. Honesty, Trust and Legal Norms in the Transition to Democracy. Collegium Budapest, 2003; Uslancr E. The Moral Foundation
- of Trust. N.Y.: Cambridge University Press, 2002.
- 13. Orkeny A., Cscpcli G., Szekelyi M., Barna I. Blindness in Success: Social Psychological. Objectives on the Way to the Market Economy in Eastern and Central Europe. Collegium Budapest, 2003

ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 29-32
ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 29-32

# ინსტიტუტების მნიშვნელობა პოსტკომუნისტურ გარდამავალ ეკონომიკაში

## (ზოგიერთი კომენტარი იანოშ კორნაის სტატიაზე „პატიოსნება და ნდობა გარდამავალ ეკონომიკაში“)

**თეიმურაზ ბერიძე**
*პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*teimuraz.beridze@tsu.ge*

ეკონომიკაზე, ზოგადად, არაეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რამეთუ ეკონომიკა, როგორც სოციალური მეცნიერება, ინდივიდების ურთიერთქმედების შედეგია. ამ დროს წინა პლანზე იწევს ისეთი სოციო-ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორიცაა სიმართლე, ჭეშმარიტება, ადამიანებს შორის ურთიერთობა, *პატიოსნება და ნდობა*, ანუ ეთიკის კატეგორიები, რომლებიც, ერთი შეხედვით, არ განეკუთვნება ეკონომიკის დისციპლინას.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ისინი იძენენ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში. ამდენად, შემთხვევითი არ არის, რომ ცნობილმა ბრიტანელმა სოციოლოგმა, ისტორიკოსმა ***მაიკლ ბურავოიმ*** (Michael Burawoy) შემოიღო ტერმინი ტრანზიტოლოგია - მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკაში გადასვლის პროცესს. უნგრელი ეკონომისტი ***იანოშ კორნაი*** არის ტრანზიტოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ჯერ კიდევ 1990 წელს მან გამოაქვეყნა ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომი „გზა თავისუფალი ეკონომიკისკენ“ (Корнай, 1990), რომელიც ეძღვნება პოსტკომუნისტურ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების კანონზომიერებებს. ამ წიგნის შესავალში ავტორი აღნიშნავს, რომ ნაშრომი დაიწერა ცნობილი ავსტრო-ამერიკელი ნობელიანტი ეკონომისტის ***ფრიდრიხ ა. ფონ ჰაიეკის*** ზეგავლენით. თავად სათაური ინსპირირებულია ჰაიეკის ცნობილი ნაშრომით „გზა მონობისაკენ“, რომელიც შეეხებოდა საბჭოური ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას.

პროფ. ი. კორნაის წინამდებარე სტატიაში ამოსავალ წერტილს (წანამძღვარს) წარმოადგენს პრობლემის მიკროეკონომიკური ასპექტი, რაც შემთხვევითი არ არის, ვინაიდან სწორედ ფირმებს, კომპანიებს შორის ურთიერთობები უნდა ეყრდნობოდნენ ნდობას და საქმიან ეთიკას, რაც, სამწუხაროდ, გასული საუკუნის ბოლო დეკადაში საქართველოში დეფიციტი იყო და დღესაც დეფიციტია.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია განხილულია სტატიის ბოლოში, ავტორი სტატიის დასაწყისშივე აღნიშნავს, რომ „სახელმწიფოს მოუწოდებენ (იგულისხმება ბიზნესი - თ.ბ.) უზრუნველყოს კერძო კონტრაქტების შესრულება“, ადეკვატური საკანონმდებლო ბაზის შექმნა და, რაც მთავარია, მისი რეალიზება. უცხოელი ინვესტორებისათვის ეს პირობა აუცილებელ კრიტერიუმად მიიჩნევა საინვესტიციო სრულყოფილი გარემოს შექმნისათვის. ამავე დროს, ეკონომიკაში (ბიზნესში) სახელმწიფო არ უნდა იყოს ძალდატანების აპარატი, არამედ სამართლიანი არბიტრი და კონკურენტული გარემოს შემქმნელი.

ავტორი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „ნეიტრალური, მიუკერძეობელი ინსტიტუტების“ მნიშვნელობას (ცენტრალური ბანკი, კონტროლის პალატა – აუდიტი, ანტიმონოპოლიური სამსახური (კონკურენციის ხელშემწყობი სააგენტო) და სხვა). ნიშანდობლივია ავტორის თეზა - „ნდობა შეუძლებელია კონტროლის გარეშე“.

განიხილავს რა რეფერენდუმის მნიშვნელობას და როლს, ავტორი აღნიშნავს მის დადებით (მოსახლეობის თითქმის სრული მოცვა, მთლიანი „პაკეტის განხილვა“ - ეკონომიკა, პოლიტიკა, სამართალი) და უარყოფით მხარეებს (ხშირად ვიწრო პარტიული ინტერსების გათვალისწინება). აქ გვინდა მოვიყვანოთ მაგალითი ჩვენი ახლო წარსულიდან: საბჭოთა კავშირი უკვე დაშლის პირას იდგა, როდესაც გამოცხადდა რეფერენდუმი - კითხვა გახლდათ - ხართ თუ არა მომხრე, რომ შენარჩუნდეს ეს კავშირი? გამოკითხულთა 75 პროცენტმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას. შედეგი ცნობილია, ადგილი ჰქონდა მოვლენების საწინააღმდეგო განვითარებას, ანუ რეფერენდუმი პანაცეა არ არის.

ავტორი ასევე აქცენტს აკეთებს არასამთავრობო ორგანიზაციების მნიშვნელობასა და როლზე, სამთავრობო სტრუქტურების საქმიანობის გამჭვირვალობასა და ნდობის აღდგენაზე, რაც ხელს უწყობს „სამოქალაქო საზოგადოების“ ჩამოყალიბებას. აქ უპრიანი იქნება ხაზი გავუსვათ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: ხშირად არასამთავრობო ორგანიზაციები ატარებენ იმათ ინტერესებს, ვინც აფინანსებს მათ საქმიანობას. წინასაარჩევნო პერიოდში ეს აქტიურობა ჯერადად იზრდება, ხოლო მათ მიმართ ნდობა - მცირდება.

ქვეყნების მთავრობების კონტროლის თვალსაზრისით (საერთაშორისო ასპექტი), მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროკავშირი - EU, საერთაშორისო სავალუტო ფონდი - IMF, მსოფლიო ბანკი - WB, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია - ILO, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია - WTO და სხვ.) მიდგომა „ენდე და აკონტროლე". აქვე აღვნიშნავთ, რომ ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანება გულისხმობს ქვეყნის სუვერენიტეტის გარკვეული ნაწილის დათმობას. „მათი ჩარევა ზოგჯერ მტკივნეულია", დასძენს ავტორი.

სახელმწიფოსადმი ნდობა, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება მისი ინსტიტუციებისადმი ნდობაში. ინსტიტუციების როლი და ხელმძღვანელის როლი (პირადი მაგალითი) ნდობის არსებობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სოციალისტური სისტემის დროს ხელმძღვანელების (შესაბამისი კვალიფიკაციის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნა ხდებოდა, ხოლო დემოკრატიისა და გარდამავალ პერიოდში ტარდება არჩევნები. სად არის გარანტია, რომ საუკეთესო იქნება არჩეული? - კითხულობს ი. კორნაი და თავადვე პასუხობს - არ არის. მაგრამ რას იზამ, ეს არის დემოკრატია. კაცობრიობას მართვის ამაზე უკეთესი ფორმა ჯერჯერობით არ გამოუგონებია. ეს ეხება ეკონომიკის საბაზრო სისტემასაც.

რაც შეეხება *ნდობის აღდგენის სტრატეგიას*, ავტორი სამართლიანად ანიჭებს უპირატესობას სახელმწიფოს როლს. მისი აზრით, „სახელმწიფო ბიუროკრატია უნდა გახდეს მკაცრი, პროფესიონალური და არაკორუმპირებული". ბიუროკრატიზმის გადაჭარბებულ კრიტიკას მივყავართ დეზორგანიზაციასთან და საბოლოოდ ოქლოკრატიასთან (მართვის ჯოგური პრინციპი). ნდობასა და კორუფციასთან „ბრძოლის" მინდა ერთი ფაქტი გავიხსენო - 2001 წელს საქართველოს მეორე პრეზიდენტი (ე. შევარდნაძე) ხვდებოდა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებს (ამ შეხვედრას ესწრებოდა თქვენი მონა-მორჩილი, როგორც სტატისტიკის სამსახურის ხელმძღვანელი). პრეზიდენტმა დასვა რიტორიკული კითხვა - როგორ დავძლიოთ კორუფცია? და თვითონვე უპასუხა - უნდა დავაკავოთ დარბაზში მსხდომი „ძალოვნები" (იუმორით), რაც იმაზე მიუთითებდა, რომ იმ პერიოდში ძალოვანი სტრუქტურების მიმართ როგორც პრეზიდენტის, ისე მოსახლეობის მხრიდან ნდობის უაღრესად დაბალი დონე იყო.

საინტერესოდ ჟღერს ავტორის დებულება, რომ „არ არსებობს „პრიორიტეტები" და „საკვანძო რგოლები" და ნურც შეეცდებით მათ გამოვლინებას", ვინაიდან ჩვენ ვცხოვრობთ „პოსტსოციალისტურ" ქვეყნებში და ვართ „წინა ტრაექტორიაზე დამოკიდებული". ჩვენი აზრით, ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისას უნდა შევეჭიდოთ მთავარ რგოლს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ამოვიყვანოთ „მთლიანი ჯაჭვი"

(ცნობილი გამონათქვამი). და ეს რგოლი, ვფიქრობთ, საზოგადოების წევრთა *მენტალიტეტია*. „რთულია ორიოდე ათწლეულის (სტატია დაიბეჭდა 2003 წელს - თ.ბ.) განმავლობაში ხალხის მენტალიტეტის შეცვლა", გვაუწყებს ავტორი, მე კი დავამატებდი, რომ *უფრო რთულია, ვიდრე ეკონომიკის მაღალი დონის მიღწევა*.

როგორც აღვნიშნეთ, სტატია თითქმის ორი ათეული წლის წინ დაიწერა, თუმცა მასში განხილული საკითხები საქართველოსათვის დღესაც უაღრესად მწვავე და აქტუალურია. დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების გზაზე წინწასული ქვეყნების (მათ შორის უნგრეთის) გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ფორმალური და არაფორმალური ინსტიტუტების განვითარების გარეშე ჩვენი საზოგადოების წინაშე მდგარი ფუნდამენტური ამოცანების წარმატებით შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია. ამგვარი ინსტიტუტების ჩამოყალიბება კი რთული, ხანგრძლივი პროცესია. იგი, პირველ რიგში, ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასა და პროცესისადმი საზოგადოების ფართო მხარდაჭერაზეა დამოკიდებული.

ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელსაც პროფ. ი. კორნაის სტატია „პატიოსნება და ნდობა გარდამავალ ეკონომიკაში", გვთავაზობს.

**ლიტერატურა:**


- კორნაი ი. (2020). „პატიოსნება და ნდობა გარდამავალ ეკონომიკაში" (რუსულიდან თარგმნა პროფ. ე. მექვაბიშვილმა);
- Kornai J. (2009). From Socialism to Capitalism. Journ. „Society and Economy",vol. 31, No. 1 pp. 155-160.
- Корнай Я. (1990). Путь к свободной экономике: Страстное слово в защиту экономических преобразований. Изд.: М.: Экономика.
- Корнай Я. (2012). Размышления о капитализме. Изд. Института Гайдара, 2012 г.


**References:**


- Kornai I. (2020). patiosneba da ndoba gardamaval ekonomilashi [Honesty and Confidence in a Transition Economy], in Georgian;
- Kornai J. (2009). From Socialism to Capitalism. Journ. "Society and Economy",vol. 31, No. 1 pp. 155-160.
- Kornai I. (1990). Put k cvobodnoi ekonomike. Strastnoe slovo v zashitu ekonomicheskix preobrozovanii. M., Ekonomika. [The Road to a Free Economy: Shifting from a Socialist System: The Example of Hungary]. In Russian;
- Kornai I. (2012). Razmishlenia o kapitalizme. Inst. Gaidara [Thinking Capitalism]. In Russian.

ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 33-48
ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 33-48

# "Why did Economists Fail to Predict the Global Financial Crisis?"

**Elguja Mekvabishvili**
*Professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*eguja.mekvabishvili@tsu.ge*

*The article sets out a critical analysis of the different views of economists about financial and economic crises, especially on their forecasting problem. There is a well-founded assumption that the gaps in the research of economic crisis are largely due to the methodological weakness of the prevailing mainstream economic theory. Moreover, the global financial crisis was a direct expression of the crisis of neoclassical economic theory. This article offers a new approach to crisis research based on fundamental principles of economic dynamics and contains the views of I. Schumpeter and N. Kondratiev.*

***Keywords:*** *Global financial and economic crisis, economic crisis forecasting, mainstream economic theories, economic dynamics, economic statics, methodologizms.*

***JEL Codes:*** *B20, B22, B4, F01*

## What do Economists Disagree About?

On November 4 (2008), Queen Elizabeth II attended the opening ceremony of the new campus of the London School of Economics (LSE). Concerned by the severe consequences of the global financial crisis, the Queen asked the members of the British Royal Academy of Economics the question posed in the title of our article that revealed the current problems in economic theory and brought about the discussion on the preconditions, causes and the development logic of economic and financial crises. Crisis forecasting and prevention issues caused particularly different opinions.

The views of scientists on these issues are divided into two opposing parts. According to one group of economists (Colander D., Follmer H., Haas A., ... Sloth B. (2009) the global financial crisis was a direct consequence and manifestation of the collapse of economic theory. Similar views are expressed by Georgian

economists [(Papava V. 2018), N. Khaduri (2018), R. Kharbedia (2018)], etc, as well as Nobel Laureate economists A. Sen (Sen A., 2009), R. Schiller (Schiller R., 2015), prominent Polish economist and statesman, G. Kolodko (Kolodko Gj., 2010) and others. The latter, for example, concludes: "Economic theory has failed to study and predict the underlying causes of the global crisis." According to renowned Norwegian economist E. Reinert, "The direct cause of the devastating effects of the crisis was the loss of a theoretical tradition based on a qualitative understanding of the economy" (Reinert E., 2016).

The American Nobel Laureate Economist Mr. Sargent has an opposite view. He believes that the accusation of economists at the onset of the financial crisis indicates either a deliberate ignorance of critics or a deliberate distortion of the subject of macroeconomic science (Sargent T., 2010). American Nobel Laureate Economist P. Krugman published a letter to the New York Times entitled "How Did Economics Get So Wrong"? (Krugman P., 2009), in which he attempted to explain the reasons for the researchers' lack of interest in economic crises. The main reason the scientist cited was that "There was nothing in the prevailing models suggesting the possibility of the kind of collapse that happened last year." Consequently, the study of crises and the attempts to predict them was, as Krugman considers, a fruitless endeavor. According to a prominent neoclassicist R. Lucas, "central problem of depression-prevention has been solved, for all practical purposes" (Lucas R., 2003). Lucas also believed that "economic crises was the phenomenon of the past" (Tsilimpounidi, M., 2017). Famous American economist, former chairman of FEDE B.C. Bernanke coined the term "The Great Moderation" to express the possibility of the long-term development of a capitalist market economy (Bernanke B., 2004).

The general approach to the problem of economic crisis identifies the position of some researchers involved in crisis forecasting. According to the same prof. R. Lucas, the global financial crisis was not predicted because economic science tells us: it is impossible to predict such crises (Lucas, R., & Lucas Jr, G. R. 2009). Similar views have been put forward by Prof. GR. Mankiw G., 2007, the Russian scholar of economic crisis, Iakovec (Iakovec I., 2004) and others. In a monograph edited by Prof L. Grigoryev, we read: "A major drawback of modern business cycle theory is that it has voluntarily refused to predict conjuncture" (Gregoruev L., 2013). Prof. R. Entov writes: "The modern theory of the cycle does not aim to predict crises" (Entov. R., 2009).

In our opinion, The aforementioned attitude to economic crises in general,

and in particular to their prediction, is due in large to the current methodological features of the mainstream neoclassical (neoliberal) direction[1], which we will discuss below.

## “Methodologizms” of Neoclassical Economic Theory and their Critical Analysis

In the modern mainstream theoretical-economic field, there are stereotypes that we call methodologizms. They, in our view, hinder the understanding of many of the most important problems (including crises). Let’s review some of these methodologizms consistently.

**The First Methodologizm.** Analysis of economic events and processes within a static approach. It is based on L. Walras’ general equilibrium theory, according to this theory a ratio of relative prices which are forming on the markets, provides full realization of the volume of manufactured goods. Therefore, there is neither a surplus nor a deficit of products and services in the markets. In this issue L. Walras continues the idea of J. Sei. well-known scholars of the Valrassian General Equilibrium Theory K. Arrow, G. Debreu, M. Allais, etc. Arrow and Debreu devised a two-period model, which in some cases, does not deny possibility of origination of some imbalances and systemic risks in the economy, but allows them to be prevented (Grinberg, R., Rubinstein, A. 2010).

According to the French economist M. Allais, the general equilibrium is the natural outcome of the relationship of economic agents focused on maximizing their own well-being under limited resources. The general equilibrium automatically ensures maximum economic efficiency (Allais, M., 1978). Therefore, in the general equilibrium theory, the emphasis is placed on the equilibrium in the economic system, on the necessity to achieve and maintain it, the economic changes that are the process of breaking the “old” equilibrium and the creation of the “new” equilibrium are not essential for this theory.

According to the Valrassians, the equilibrium in certain markets leads to a general, macroeconomic equilibrium. In addition, any intrinsic (endogeneous)

1 “Many of the dominant policy ideas of the last few decades are supported neither by sound economics nor by good evidence. Neoliberalism—or market fundamentalism, market fetishism, etc.—is not the consistent application of modern economics, but its primitive, simplistic perversion”.– Economics after Neoliberalism. S. Naidu, D. Rodrik, G. Zucman. http://bostonreview.net/forum/suresh-naidu-dani-rodrik-gabriel-zucman-economics-after-neoliberalism (Last seen 30.04.2019). See also Kolodko G. (2010) Neoliberalism and the World Economic Crisis. Voprosy Ekonomiki, Vol. 3. and etc.

cause of equilibrium disturbance is excluded. The “tranquility” of economic system can only be violated by external (exogenous) factors (eg, technological shocks, active state interventions in the economy, institutional weaknesses, etc.). It is essential that this system has the ability to self-correct. It occurs automatically and does not require much time and effort. At first glance, it is clear that the theory of general equilibrium, despite its internal orderly logic, does not correspond to the reality. Based on this, it is less possible to study the phenomenon of economic crisis.

**The Second Methodologizm.** The behavior of the subjects of market economy (economic agents) is rational, which is manifested in the maximization of their own benefits. Rational behavior determines the optimal decisions made by economic agents, which are not affected by the uncertainty of the environment and the increase in the degree of risk. The reason for this, according to neoclassicists, is the fact that human behavior is determined by mind, which is always characterized by rationality. The basis of this methodologizm of neoclassical theory is the selfish-rational “unified psyche” of A. Smith’s “Economic Man”, (Homo Economicus) F. Von Hayek’s “Methodological Individualism”. He developed “A Theory of Individual Behavior”, which considered the individual as a creator of a complex market structure system. The scientist called such methodological approach “atomistic” or “compositional”. (Tokmazishvili, M., 2004).

Thus, the neoclassicists consider the behavior of individuals who solve the difficult optimization problems in conditions of uncertainty to be the cornerstone of theoretical economic analysis[1]. Consequently, the regularities of functioning of the economy are determined by the behavior of individuals and are considered as a result of their rational behavior.

In reality the situation is completely different. In many cases the behavior of individuals is irrational. Unlike fictional reality, in the real world, people not so rarely make erroneous predictions, make wrong decisions, and act ineffectively. This can lead to very bad consequences. (Thaler, R. H., 2015) A conspicuous example of this is the global financial crisis of 2007-2008. The irrational behavior of people in the most advanced financial sector of the modern economy, the irrational behavior of people and the disregard by regulatory bodies became one of the main reasons for this crisis.

**The Third Methodologizm.** “The Efficient-Market Hypothesis,” developed by Nobel Laureate Economist Professor of Finance at the University of Chicago, E. Fama. This theory has many proponents including prof. R. Lucas, who wrote that

1 It should be noted, that the Neo-Keynesian theory representatives have the same view as well.

deviation from the efficient market hypothesis is a random phenomenon (Lucas, R. 2004). According to Fama the information available in the market is accessible to everyone and circulates freely. Any external intervention in the functioning of the market distorts this process[1] and has only negative consequences (Cassidy 2010). " The Efficient-Market Hypothesis" is based on three paradigms:

A) Behavior of the subjects of market relations is rational and they always make optimal decisions;

B) Markets operate in conditions of perfect competition;

C) Information on markets is spread without hindrance and it is accessible to everyone.

In reality, none of these conditions are fulfilled. We have already discussed the irrationality of the subjects' behavior. The market for perfect competition in modern conditions is only a theoretical construction and and virtually doesn't exist anywhere.Today, the economy is dominated by monopolistic and oligopolistic markets. Instead of freely disseminating information in the markets, there is so-called "Asymmetric information," which is the antipode of free information. Therefore, a "free," "efficient" or ideal market is only a theoretical abstraction, and based on that the effective and crisis-free development of the real economy is essentially impossible.

**The Fourth Methodologizm.** Prevalence of the mechanistic approach in economic analysis. Therefore, attention is focused on the study of systemic-functional connections and systemic-genetic connections within society (economy) are not considered. This approach is clearly presented by, for example, With R. Lucas, who considers the economy as a world populated with robots (Lucas, 2003). Although the "neoclassicists," primarily, Lucas and I. Sargent returned humans in the macroeconomy (Gochnane, 2014); these are not 'ordinary' people, but individuals beyond time and space. So called "Resident agents", who are characterized by behavior highly unified and rational. In this context, in our opinion, it is worth taking into account the well-known American economist D. Rodrick's next remark: "real-world people do not act like the rational automatons" (Rodrik, 2015).

**The Fifth Methodologizm** is logically derived from the fourth and implies the overuse of mathematical apparatus and econometric models in economic

1 Prominent American economist J.K. Gelbraith during the evaluation of theoretical merit of founder of Monetarism, Milton Friedman, writes, that Friedman was and always will remain the main American defender of the classical competitive market. He writes: "Friedman ignored speculation and the failure of the market as he focused on the failures of the Federal Reserve. To Friedman, government was the problem, not the solution". (Mekvabishvili E., 2012, Stiglitz J. E. 2006)

analysis. Member of the British Academy R. Skidelski points out in this regard: "economists' favoured image of the economy is that of a machine. If you believe that economies are like machines, you are likely to view economic problems as essentially mathematical problems." (Skidelski, R. 2016). This particular view is based on the unshakeable belief of the "omnipotence" of mathematics and it is so widespread in modern neoclassical theories that it is advisable to discuss it in more detail. Before that, in our opinion, we will make important general remarks.

It deals with the strong influence of the social philosophy or ideology of liberalism and libertarianism on neoclassical economic theory, which is conditioned by material interest. In the broadest sense of this term, the neoclassical direction today serves to protect the interests of the most wealthy part of the capitalist society, above all, of the financial oligarchy.

To illustrate this provision, we will recall two facts from the economic history of the developed countries.

**The first fact.** In the early 1970s, the need to change, the economic model focused on the growth of aggregate demand and hence, the economic policies based on it, with the model (economic policy), focused on supply growth, became apparent. This change was followed by the general liberalization and deregulation of the economy. Over time, the shortcomings of the neoclassical "supply model" became apparent and the seeking for a compromise between these two models began. As a result, we got the so-called "Neoclassical Synthesis" model, which was not implemented in practice primarily due to ideological considerations.

The political elites of leading capitalist countries, including the US, have favoured the various theoretical directions "mixed" with liberal and libertarian doctrines. Theory of Rational Expectations, Real Business Cycles (RBC) etc. The governmental economic policy was exactly in line with them.

**The second fact** is related to the explosive growth of the financial sector in the economies of developed countries in the early 1990s. Even then decisions were made that were aimed to rapidly enriching the financial oligarchy. This was reflected in the general deregulation of the financial sector, that according to many economists, later became one of the important factors of the beginning of the global financial crisis.

Thus, a static economic approach is acceptable for many today, as it does not raise the question about the transient (historical) nature of the market economy and the need of change it in the future.

## Economic Models and Economic Reality

There is a fairly rich experience in using economic models in economic analysis. The process began in the 1950s. The first econometric models as prof. O. Blanchard considers was “a mathematical formulation of the Keynesian thought” (Blanchard, 2010). It is known from history, that Keynes was well versed in the mathematical apparatus, but in his genius “The General Theory of Employment, Interest and Money” (1936) he prioritized qualitative analysis. Later, Real Business Cycle (RBC) and Dynamic Stochastic Common Equilibrium (DSGE) models (Mekvabishvili, 2018) were based on neoclassical theory.

The use of models in economic analysis had a great importance, primarily for solving practical content tasks. It is well known that econometric models using empirical data provide a clear, consistent formulation of elements of general theoretical tasks (guides, subject behavior mechanisms, main findings, etc.) and thus brings the economics closer to the exact sciences (Rodrik, D., 2015). In addiɵ tion, the practice of using econometric models has identified many disadvantages and drawbacks. “Models - are both economics’ strength and its Achilles’ heel,” (Green. D., 2015).

The main disadvantage is that models are often based on unrealistic assumptions, that make them abstract and contradictory to actual facts in practice[1]. A good example of this is the DSGE model, in which the economy is represented as a combination of rational expectations entities (“representative agents”) and fully competitive markets. The famous macroeconomist R. Caballero regarding with these models, notes that its authors and supporters have become captives of the internal logic of their own approach. This led to their detachment from reality, raising questions about both theory and politics (Caballero, R., 2010). This criticism of the scientist, in our opinion, can be extended to the whole “family” of econometric models. As stated in one of the textbooks in the history of economics, abstract mathematical models lead to “nowhere”. “... We collect data, use advanced statistical techniques, but failed to understand how the real economy works” (Greedy, (1991) p. 665).

Econometric models, especially their modern types, require the use of complex mathematical apparatus. Many researchers consider mathematics to be an

1 An econometric model can "be completely flawless in mathematical regard, but still fail to explain the object of the models if it is based on false assumptions and preconditions” (Leiashvili 2002, p. 23). This is, of course, a serious disadvantage. for overcome this, D. Rodrick offers us “critical assessment,” or notion of assumptions that is much closer to reality.

universal tool for scientific research[1]. However, “the math itself is not perfect enough to adequately reflect the social field” (Papava, V., 2018). “Mathematical determinism”, as an expression of the absolutization of quantitative approaches to economic analysis, can be regarded as a hindering factor of the development of economic theory as it impedes the origination of new theoretical paradigms and breakthrough in economic thought. Indeed, all of the above-mentioned does not mean that we should abandon the use of mathematical apparatus and econometric models in research. It is necessary to find a certain “golden mean”, or econometric models should be considered in organic connection with general theoretical models as one of their constituent elements.

General models do not have a universal nature and each individual model is correct only in a certain context, and its conclusions are applicable only in certain circumstances (Rodrik, 2015, p.27). Therefore, it is necessary to formalize and empirize general theoretical models. This approach implies a certain symbiє osis of theoretical economics, econometrics and economic statistics where the leading role, in our view, belongs to theoretical economics. This thesis can be substantiated by the fact that on the basis of correct and innovative paradigms it is possible to construct econometric models that are close to reality. Moreover, an in-depth understanding of the economic reality requires the application of modern advances in various social sciences and humanities in research.

In this regard, in our opinion, it is especially important to bring the historical method of research to the forefront[2]. Studying and understanding the past experiences helps us to know the present and the future. The unity of time and space is achieved through conservation or inheritance.

## About a New Paradigm of Forecasting Financialand Economic Crises

In the preceding section of this article, we have tried to validate that studying the phenomenon of economic crises is less productive within the framework of neoclassical economic thinking. Consequently, it is extremely important to establish a new paradigm based on different approaches. Namely:

---

1 According to famous Scientists J. Neiman and O. Morgenstern, mathematical quantitative methods are used for substantiate decisions made in all areas of human activity.( Von Neumann, J., Morgenstern, O., & Rubinstein, A. (1944). Theory of Games and Economic Behavior)

2 “...The main problem is that the ahistorical theorising generated by all this has replaced and therefore lost a far richer tradition of social and economic thought, which Reinert characterises as “The Other Canon.””(Ghosh. J., 2007).

a) "General Organizational Science," or "Taxology", Formed by the Russian economist Bogdanov, (Bogdanov, 1989). The scientist wrote: "Equilibrium for the system is only a private case ... but the notion of crises is universal." According to him, "any change in the system should be considered as a special crisis. Any "discontinuity" may be broken through analysis into an infinite chain of crises." Bogdanovs' philosophical interpretation of economic crises presents them as an event inherent for capitalist market economics, the rule of its existence.

b) The use of economic dynamics, which is based on Schumpeter's main postulate of evolutionary economic theory and implies the problem of change (development) at the centre of economic analysis instead of equilibrium. Innovation is seen as the main impetus for change (Schumpeter's term - "creative destruction"). This approach enables any researcher to systematically examine the causes of economic (financial) crises, internal causes of development, logic, impulses, general trajectories, etc.

As thesis the postulates of economic dynamics can be formulated as follows:

- The linear development of the economic system is an abstraction that correctly describes processes only in the short term. In the long run, the system develops nonlinearly and the process goes through several phases. The most important of these is the moment of "bifurcation", that is, the depth of change. It is characterized by the formation of the so-called "trap of uncertainty" that is resulted by a lack of correct information and / or an abundance of incorrect information.
- The long-term cyclic dynamics of the system are multidimensional and multifactorial. It contains a large number of random fluctuations, making it impossible to accurately describe them with mathematical formulas and econometric models.
- The system crisis is preceded by the so-called "forecast corridors," in the context of which the possibility of preliminary forecasting of processes is sharply increasing due to the fact that the expectations of economic actors are largely adequate to the change of the main parameters of the system.

N. Kondratiyev's[1] theory of large cycles of the economic conjuncture, based on a relatively long period of economic system development, characterized by

1 Kondratief was a prominent theoretical economist in the 1920s and 1930s. He, along with American Mitchell and the Austrian Schumpeter, is considered as founder of the theory of economic cycles. Konradatief was arrested in 1930 and executed in 1938. His work became available for a wide community of readers only in the late 1980s.

the periods of somewhat “calm” and “anxious,” therefore, high probability of economic (financial) crises, can also be applied in the framework of economic dynamics.

## Conclusion

- Capitalist market economy is characterized by “financial fragility” (Minsky, 1993), which implies the real possibility of financial crises.
- Economic theory teaches us, and economic practice asserts, that it is impossible to determine the exact dates of the onset or “point-by-point prediction” of crises.
- Large cycles of Kondratiev’s conjuncture can be grouped into monotonous economic events and processes; The “stationary modes” inside them are “forecast corridors.” In the latter the possibility of predicting the development of events is high.
- Analysis of accumulated experience enables us to conclude that on the financial markets so-called “Financial bubbles” are created by the economic agents after receiving the unexpected good news. It creates an overly optimistic expectation in them, which is followed by their excessive activity. In such circumstances, even a slight interruption is enough for the financial markets and the entire economic system to experience stress and panic. This is the main precondition of the financial crisis, the detection and fixing of which, if desired, is not a great deal at all.

**References:**


- Allais M. (1977). Theories of General Economic Equilibrium and Maximum Efficiency. In Equilibrium and Disequilibrium in Economic Theory Springer, Dordrecht.
- Balarjishvili I. (2018). [Paradigmuli Krizisi da Institutsiuri Ekonomikis “Meinstrimuli Potentsiali”] The Paradigmatic Crisis and the “Mainstream” Potential of the Institutional Economics. In Georgian.
- Bernanke B. (2004). The Great Moderation. Washington, DC.
- Blanchard O. (2010) Macroeconomic. 5th edition. Prentice Hall.
- Bogdanov A. (1989) Teqtologia. Vseobshaya organizatsionnaya nauka. Kniga 2. [Tektology: Universal Organization Science]. Moskva, “Ekonomika”. In Russian.
- Balarjishvili I. (2018). Paradigmuli krizisi da instituciuri ekonomikis “meinstrimuli”potenciali. [The Paradigm Crisis and the “Mainstream Potential” of the Institutional Economy. Journ. “Globalization and Business”, N6.] in Georgian.

- Caballero R. J. (2010). Macroeconomics after the Crisis: Time to Deal with the Pretense-of-Knowledge Syndrome. Journal of Economic Perspectives, 24(4).
- Cassidy J. (2010). Interview with Eugene Fama. The New Yorker, 13(01).
- Cochrane J. (2014) Lucas and Sargent Revisited. 10 January https://www.econjobrumors.com/topic/lucas-and-sargent-revisited-cochrane#rest_1636036
- Colander D., Goldberg M., Haas A., Juselius K., Kirman A., Lux T., & Sloth B. (2009). The Financial Crisis and the Systemic Failure of the Economics Profession. Critical Review, 21(2-3).
- Entov R. (2009) Nekotorie problemi isledovania delovix ciklov. [Some Problems of Business Cycle Research]. Moskva, “Prospect». In Russian.
- Ghosh J. (2007). A Worldly Philosopher for Our Times. How Rich Countries Got Rich and Why Poor Countries Stay Poor (book review). International Development Economics Associates. 23 February. http://www.networkideas.org/books/2007/07/how-rich-countries-got-rich-and-why-poor-countries-stay-poor/
- Goldmith R. (1982) Financial Crisis, Theory, History and Policy. Cambridge University Press.
- Green D. (2015). “Economics Rules”, Dani Rodrik’s love letter to his discipline (Review of Dani Rodrik’s Book) <https://oxfamblogs.org/fp2p/economics-rules-dani-rodriks-love-letter-to-his-discipline/>.
- Gregoriev L. (2013). Mirovaya ekonomika v nachale XXI veka. [“World Economy Early in XXI Century”], edited by Leonid Grigoriev. M. Direct Media. In Russian.
- Grinberg R., Rubinstein A. (2010). Teoria inovatsii i konturi budushei ekonomiki v dialoge s Kennetom Erou [Theory, Innovations, and Features of New Economy in the Dialogue with K. Arrow].Voprosi ekonomiki, N10. In Russian.
- Kindleberger C. P. (1991). Bubbles. In the World of Economics. Palgrave Macmillan, London.
- Kolodko G. (2010). Neoliberalizm i mirivoi ekonomicheskii krizis. [Neoliberalism and World Economic Crisis.] Voprosi ekonomiki, N3. In Russian.
- Kondratiev N. (2002) Bolshie tsikli koniuqturi i teoria predvidenia [The Major Cycles of the Conjuncture and Theory of Forecasting]. Moskva. Ekonomika. In Russian.
- Krugman P. (2009). How did Economists Get it so Wrong?. New York Times, 2(9), 2009.
- Leiashvili P. (2002) Ekonomikuri Teoria da Praqtika Gardamaval Etapze [Economis Theory and Practice on Transition Phaze]. Tbilisi, “Azri”. In Georgian.
- Lucas Jr. R. E. (2003). Macroeconomic Priorities. American Economic Review, 93(1),
- Lucas R., Lucas Jr, G. R. (2009). In Defence of the Dismal Science.
- Lucas R. E. (1983). Studies in Business-Cycle Theory. MIT Press.
- Mankiw, N. G. (2007). Principles of Economics, 2007. Mason, Thomson Higher Education–Thomson Soth-West.
- Mekvabishvili E., (2018) Ekonomikuri Krizisebis Teoria tu Ekonomikuri Teoriis

Krizisi? [The Theory of Economic Crisises and Economic Crisis?]. Journ. "Globalizaɵ tion and Business", vol 6. In Georgian.

- Mekvabishvili E. (2012) Tanamedrove Makroekonomikuri Teoriebi [The Modern Macroeconomic Theories]. Tbilisi, "Inovatsia". In Georgian.
- Minsky H. (1993). "Finance and Stability: The Limits of Capitalism", Hyman P. Minsky Archive. 43.
- Morgenstern O., Von Neumann J. (1953). Theory of Games and Economic Behavior. Princeton University Press.
- Naidu S., Zucman G., Rodrik D., Robin, C., Cass, O., Easterly, W. R., ... & Orr, C. (2019). Economics after Neoliberalism. MIT Press.
- Papava V. (2018).[Ekonomikuri Metsnierebis Krizisi da Axali Paradigmis Dziebisatvis [The Crisis of Economics and for Search of the new Paradigm]. Journ. "Globalization and Business". Vol. 6
- Rodrik D. (2015). Economics Rules: The Rights and Wrongs of the Dismal Science. WW Norton & Company.
- Sargent T. (2010). Interview with Thomas Sargent. Federal Reserve Bank of Minneapolis,[www. minneapolisfed. org/publications_papers/pub_display. cfm. https://digitalcommons.bard.edu/hm_archive/43
- Schumpeter J. (1954). History of Economic Analysis. London: George Allen and Unwin.
- Sen A. (2009). Capitalism beyond the Crisis. New York review of books.
- Shiller R. (2015). What Good Are Economists?. Project Syndicate, 1, 15.
- Skidelsky R., (2016) "Uchonnie Idioti" Pochemu uchonnie ne panemayut chto proiskhodit c mirovoi ekonomikoi ["Scients are Idiots" why scientists don't understand what is going on world economic]. In Russian.
- Stiglitz J. E. (2006) John Kenneth Galbraith Understood Capitalism as Lived – not as Theorized https://www.csmonitor.com/2006/1228/p09s02-coop.html
- Thaler R. H., Ganser, L. J. (2015). Misbehaving: The Making of Behavioral Economics. New York: WW Norton.
- Von Neumann J., Morgenstern O., Rubinstein A. (1944). Theory of Games and Economic Behavior (60th Anniversary Commemorative Edition). Princeton; Oxford: Princeton University Press. doi:10.2307/j.ctt1r2gkx

## ლიტერატურა:

- Allais M. (1977). Theories of General Economic Equilibrium and Maximum Efficiency. In Equilibrium and Disequilibrium in Economic Theory Springer, Dordrecht.
- ბალარჯიშვილი ი. (2018). პარადიგმული კრიზისი და ინსტიტუციური ეკონომიკის „მეინსტრიმული პოტენციალი“. ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N6.
- Bernanke B. (2004). The Great Moderation. Washington, DC.

- Blanchard O. (2010) Macroeconomic 5th edition. Prentice Hall.
- Богданов А. (1989). Тектология. Всеобщая организационная наука. Книга 2. Москва, «Экономика».
- Caballero R. J. (2010). Macroeconomics after the Crisis: Time to Deal with the Pretense-of-Knowledge Syndrome. Journal of Economic Perspectives, 24(4).
- Cassidy J. (2010). Interview with Eugene Fama. The New Yorker, 13(01).
- Cochrane J. (2014) Lucas and Sargent Revisited. 10 January https://www.econjobrumors.com/topic/lucas-and-sargent-revisited-cochrane#rest_1636036
- Colander D., Goldberg M., Haas A., Juselius K., Kirman A., Lux T., Sloth B. (2009). The Financial Crisis and the Systemic Failure of the Economics Profession. Critical Review, 21(2-3).
- Энтов Р. (2009). Некоторые проблемы исследования деловых циклов. Москва, «Проспект».
- Ghosh J. (2007). A Worldly Philosopher for Our Times. How Rich Countries Got Rich and Why Poor Countries Stay Poor (book review). International Development Economics Associates. 23 February. http://www.networkideas.org/books/2007/07/how-rich-countries-got-rich-and-why-poor-countries-stay-poor/
- Goldmith R. (1982) Financial Crisis, Theory, History and Policy. Cambridge University Press.
- Green D. (2015). “Economics Rules”, Dani Rodrik’s love letter to his discipline (Review of Dani Rodrik’s Book) <https://oxfamblogs.org/fp2p/economics-rules-dani-rodriks-love-letter-to-his-discipline/>.
- Григорьев Л. (2013). Ред. «Мировая экономика в начале XXI века. Москва, Direct Media.
- Гринберг Р., Рубинштейн А. (2010). Теория инновации и контуры будущей экономики в диалоге с Кеннетом Эрроу. Вопросы экономики, №10.
- Kindleberger C. P. (1991). Bubbles. In the World of Economics. Palgrave Macmillan, London.
- Колодко Гж. (2010). Неолиберализм и мировой экономический кризис. Вопросы экономики, №3.
- Кондратьев Н. (2002). Большие цикли коньюнктуры и теория предвидения. Москва, «Экономика».
- Krugman P. (2009). How Did Economists Get it so Wrong?. New York Times, 2(9), 2009.
- ლეიაშვილი პ. (2002). ეკონომიკური თეორია და პრაქტიკა გარდამავალ ეტაპზე.
- Lucas Jr. R. E. (2003). Macroeconomic Priorities. American Economic Review, 93(1).
- Lucas R., Lucas Jr. G. R. (2009). In Defence of the Dismal Science.
- Lucas R. E. (1983). Studies in Business-Cycle Theory. MIT Press.
- Mankiw N. G. (2007). Principles of Economics. Mason,: Thomson Higher Education–Thomson Soth-West.

- მექვაბიშვილი ე. (2018). ეკონომიკური კრიზისების თეორია თუ ეკონომიკური თეორიის კრიზისი. ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი", N6.
- მექვაბიშვილი ე. (2012). თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორიები. თბ., „ინოვაცია".
- Minsky H. (1993). "Finance and Stability: The Limits of Capitalism" Hyman P. Minsky Archive.
- Morgenstern O., Von Neumann J. (1953). Theory of Games and Economic Behavior. Princeton University Press.
- Naidu S., Zucman G., Rodrik D., Robin, C., Cass, O., Easterly, W. R., Orr, C. (2019). Economics after Neoliberalism. MIT Press.
- პაპავა ვ. (2018). ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის. ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი", N6.
- Rodrik D. (2015). Economics Rules: The Rights and Wrongs of the Dismal Science. WW Norton & Company.
- Sargent T. (2010). Interview with Thomas Sargent. Federal Reserve Bank of Minneapolis, www.minneapolisfed.org/publications_papers/pub_display.cfm. https://digitalcommons.bard.edu/hm_archive/43
- Schumpeter J. (1954). History of Economic Analysis. London: George Allen and Unwin.
- Sen A. (2009). Capitalism beyond the Crisis. New York review of books.
- Shiller R. (2015). What Good Are Economists?. Project Syndicate, 1, 15.
- Скидельски Р. (2016). «Учёные идиоты»: почему учёные не понимают что происходит с мировой экономикой.
- Stiglitz. J. E. (2006) John Kenneth Galbraith Understood Capitalism as Lived – not as Theorized https://www.csmonitor.com/2006/1228/p09s02-coop.html
- Thaler R. H., & Ganser L. J. (2015). Misbehaving: The Making of Behavioral Economics. New York: WW Norton.
- Von Neumann J., Morgenstern O., Rubinstein A. (1944). Theory of Games and Economic Behavior (60th Anniversary Commemorative Edition). Princeton; Oxford: Princeton University Press. doi:10.2307/j.ctt1r2gkx

# „რატომ ვერ შეძლეს ეკონომისტებმა გლობალური ფინანსური კრიზისის პროგნოზირება?”

**ელგუჯა მექვაბიშვილი**
*პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახ.*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*elguja.mekvabishvili@tsu.ge*

*მეოცე საუკუნის ბოლო და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი აღსანიშნავია ეკონომიკური კრიზისების სიმრავლით, რაც სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. ამ კრიზისებს შორის სიღრმითა და სიმწვავით 2007-2009 წლების გლობალური ფინანსური და COVID-19 პანდემიით გამოწვეული კორონომიკური კრიზისები გამოირჩევა.*

*მიზეზები, რომლებმაც თავის დროზე გლობალური ფინანსური კრიზისი განაპირობა, დღეს კვლავ სახეზეა. შესაბამისად, მათი მეცნიერული კვლევა აქტუალურობას არ კარგავს. სხვადასხვა საკითხს შორის მეტად მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ეპოქის ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისების პროგნოზირების თემა. სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ საკითხის მიმართ ეკონომიკურ ლიტერატურაში, ჩვენი აზრით, არსებული არასწორი მიდგომები, არის ეკონომიკური კრიზისების წარმოშობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც მეტწილად განპირობებულია გაბატონებული მეინსტრიმული ნეოკლასიკური თეორიის მეთოდოლოგიური ნაკლოვანებებით, რასაც ჩვენ „მეთოდოლოგიზმებს“ ვუწოდებთ.*

*სტატიაში კრიტიკულადაა განხილული ხუთი ასეთი მეთოდოლოგიზმი:*

- *ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების კვლევა სტატიკური მიდგომის ჩარჩოებში;*
- *ეკონომიკური ადამიანის ფენომენის ფეტიშიზაცია თეორიულ-ეკონომიკურ ანალიზში;*
- *„ეფექტიანი ბაზრის“ ჰიპოთეზის შეურყეველი რწმენა ნეოკლასიკოს ეკონომისტებში;*
- *მექანისტური მიდგომის პრევალირება ეკონომიკურ ანალიზში;*
- *მათემატიკური აპარატისა და ეკონომეტრიკული მოდელების გადაჭარბებული გამოყენება.*

*ნაშრომში შემოთავაზებულია ეკონომიკური კრიზისების კვლევის ახალი პარადიგმა, რომელიც ემყარება მეოცე საუკუნის დასაწყისში მოღვაწე რუსი თეორეტიკოსი ეკონომისტის ა. ბოგდანოვის „საყოველთაო ორგანიზაციული*

მეცნიერების“, ანუ „ტაქსოლოგიის“ ფარგლებში ჩამოყალიბებულ ფილოსოფიურ ინტერპრეტაციებს და 1930-იან წლებში რეპრესირებული ეკონომისტის, ნ. კონდრატიევის ეკონომიკური დინამიკის თეორიას, მისგან გამომდინარე კონიუნქტურის „დიდ ციკლებს“, რომელსაც ი. შუმპეტერმა „კონდრატიევის დიდი ტალღები“ უწოდა.

ახალ პარადიგმაზე დაყრდნობით, სტატიაში ჩამოყალიბებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნა:

- კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას ახასიათებს „ფინანსური სიმყიფე“ (ჰ. მინსკი), რის გამოც ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისების პერიოდულად წარმოქმნა მუდმივი პროცესია;
- ეკონომიკური კრიზისების დაწყების ზუსტი თარიღის განსაზღვრა, ანუ კრიზისების „წერტილოვანი პროგნოზირება“ პრაქტიკულად შეუძლებელია;
- ნ. კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლების ფარგლებში შესაძლებელია ერთტიპური მოვლენებისა და პროცესების დაჯგუფება, ანუ „სტაციონარული რეჟიმების“ განსაზღვრა. შესაბამისად, გამოიყოფა „პროგნოზირების დერეფნები“, რომლებშიაც შედარებით მაღალია მოვლენათა განვითარების წინასწარი განჭვრეტის შესაძლებლობა.

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისი, ეკონომიკური კრიზისის პროგნოზირება, მეინსტრიმული ეკონომიკური თეორიები, ეკონომიკური დინამიკა, ეკონომიკური სტატიკა, მეთოდოლოგიზმები.*

***JEL Codes:*** *B20, B22, B4, F01*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 49-66
ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 49-66

# კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობებისა და მეწარმეობის გენეზისის საკითხისათვის

**ვლადიმერ ბასარია**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი
vbasaria@yahoo.com

ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში სერიოზული (რევოლუციური) სოციალურ - პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს. ეს თვისებრივი გარდაქმნები, სოციალურ - პოლიტიკური ცვლილებების გატარებასთან ერთად, გულისხმობს, პირველ რიგში, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებას, ამისათვის კი - საჭირო სამეურნეო საქმიანობის მაღალი ხარისხის ეკონომიკურ თავისუფლებას, უპირველესად, კერძო საკუთრების ფლობა - განკარგვის უზრუნველყოფას.

ახალ სოციალურ - ეკონომიკურ წესრიგზე გადასვლისთვის საჭირო გარდამავალი პერიოდი, პრინციპში, თითქოს გავიარეთ, მაგრამ, ერთგვარი საერთო წინსვლის მიუხედავად, წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით (კეთილდღეობის დონის მხრივ), სამწუხაროდ, ჯერჯერობით წარმატებაზე მსჯელობა არამართლზომიერია. ამის მიზეზთა შორის კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების (ასეთი ურთიერთობებით გამოწვეული მოტივაციის) არასათანადოდ გათავისება-გამოყენებაც შეიძლება დავასახელოთ. შესაბამისად, სტატიაში ყურადღება გამახვილებულია კერძოსაკუთრებითი ურთიერთობის არსსა და ორად ხასიათზე, საკუთრებით ურთიერთობათა გენეზისზე საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, მეწარმეობის განვითარებისათვის აუცილებელ სოციალურდეკონომიკურ წესრიგზე და ა.შ. ასევე – საკუთრების ახალი ფორმის სახეების და საკუთრებრივი ურთიერთობების საკითხზე ისტორიულ ასპექტში, რაც აუცილებლობას წარმოადგენს საკუთრების არსის, საკუთრებრივი ურთიერთობების და ადამიანების ქცევის სწორად გაგებისათვის.

**საკვანძო სიტყვები:** *საკუთრება, კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობები, მეწარმეობა, ბიზნესი, მოტივაცია, კეთილდღეობა, მეტოქეობა, სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური სისტემა.*

***JEL Codes:*** *L20, L21, L26, L32, L33.*

## შესავალი

ნებისმიერი ქვეყნის საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის იმას, თუ როგორ აქვს მას გათავისებული თავისი სამეურნეო საქმიანობის განმსაზღვრელი (საბაზისო) მიზეზები (საკუთრებრივი ურთიერთობები და მის მიერ გამოწვეული საქმიანობის მოტივაცია) და როგორ იყენებს მას სასურველი შედეგის - კეთილდღეობის ამაღლების მისაღწევად. კაცობრიობის ისტორიაში საკუთრების ორი ფორმის - კერძო საკუთრებისა და საზოგადოებრივი საკუთრების თანაარსებობა და თანაფარდობა ყოველთვის განაპირობებდა და ახლაც განაპირობებს სოციალურ - ეკონომიკური წესრიგის არსს, ეკონომიკური საქმიანობის რეზულტატს. ამასთან, კერძო საკუთრება, როგორც ადამიანების მეწარმეობრივი თუ მთლიანად მეურნეობრივი საქმიანობის მოტივაციის განმსაზღვრელი სუბსტანცია, ყოველთვის დომინანტურ პოზიციაშია. სწორედ ამ ურთიერთობებში გარკვევა, მათი საუკეთესო შეხამება და შესაძლებლობების გამოყენება უნდა გახდეს ჩვენ ქვეყანაში სოციალური ორიენტაციის და დოვლათ - სიკეთის ზრდის თვალსაზრისით, მაღალშედეგიანი წარმოების წესის წარმატებით დამკვიდრება - განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ამოცანის გადაწყვეტის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება. ამიტომ, მეტად სასარგებლო და აუცილებელია ამ მიმართულებით ქვეყანაში კვლევების გააქტიურება.

## საკუთრებრივი ურთიერთობების განვითარების ისტორიული ასპექტი

ყოველი სოციალურ-ეკონომიკური წესრიგი (საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია) მნიშვნელოვანწილად მისთვის დამახასიათებელი საკუთრების ფორმებით განსხვავდება. მწარმოებლური ძალების განვითარების ამა თუ იმ დონეს შეესაბამება სათანადო ეკონომიკური ურთიერთობები; ამ ურთიერთობებში კი არსებითი და გადამწყვეტი საკუთრებრივი ურთიერთობებია. საზოგადოების ისტორიული განვითარების პროცესში საკუთრებრივი ურთიერთობები, თავისი სტრუქტურითა და ხასიათით იცვლებოდა მრავალრიცხოვანი ფაქტორის ზეგავლენით, იქნებოდა ეს დოვლათის შექმნა - კვლავწარმოება, მიტაცებები ომების ან სხვა იძულებითი ზომების საშუალებით, პოლიტიკური რევოლუციები, საკანონმდებლო აქტები თუ სხვა მისთ. ამ ცვლილებების შედეგად საკუთრება იღებდა ახალ ფორმას, რაც წარმოების საზოგადოებრივ წესს განაპირობებდა (შე-

ესაბამებოდა), ახალი ურთიერთობების განმტკიცება კი სათანადო საკანონმდებლო აქტებით ხდებოდა.

განვიხილოთ ამ ფორმის, სახეებისა და საერთოდ საკუთრებრივი ურთიერთობების საკითხი ისტორიულ ასპექტში, რაც აუცილებელია საკუთრების არსის, საკუთრებრივი ურთიერთობების და ადამიანების ქცევის სწორად გაგებისათვის.

კაცობრიობის წინაკაპიტალისტური განვითარების პერიოდში გაბატონებული დარგი იყო სოფლის მეურნეობა, ხოლო წარმოების ძირითადი ფაქტორი - მიწა იყო. ამიტომ განმსაზღვრელი როლიც მიწის საკუთრებას ეკუთვნოდა. თავიდან მიწაზე საკუთრებას თემური ხასიათი ჰქონდა: ცალკეულ ადამიანს, როგორც ინდივიდუუმს, შეეძლო მხოლოდ ესარგებლა მიწით (საკუთრების ობიექტით), მაგრამ ის, როგორც წესი, მიწის მესაკუთრე არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან შრომის დაბალი მწარმოებლურობის გამო, დამოუკიდებლად ვერ ირჩენდა თავს. ამიტომ, საკუთრების პირველი სუბიექტი თემი (ტომი) იყო.

მწარმოებლური ძალების განვითარების, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავების, შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად მიმდინარეობდა თემების დაშლა და კერძო მესაკუთრეების გამოყოფა. ამასთან, კერძო საკუთრებამ თავიდან მონათმფლობელური კერძო საკუთრების სახე მიიღო ძირითადად, როდესაც საკუთრების ობიექტი, ჩვეულებრივ საგნობრივ სიკეთესთან ერთად, თვით საზოგადოების გარკვეული ნაწილიც გახდა (მონები). კერძო საკუთრების ეს ფორმა დაფუძნებული იყო მონის შრომის ექსპლუატაციაზე და ეყრდნობოდა მონათა შრომის შედეგის მონათმფლობელის მიერ მითვისებას. მონას კი არავითარი საკუთრება არ გააჩნდა; მისი შრომის შედეგი არ იყო პირდაპირ დაკავშირებული მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების დონესთან, ამიტომ ძალზე დაბალმწარმოებლური იყო.

მიუხედავად თავიდან ასეთი ნეგატიური (დღევანდელი პოზიციიდან ყოვლად მიუღებელი) ხასიათისა, მთლიანობაში, კერძო საკუთრების წარმოქმნა იმთავითვე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კაცობრიობის ისტორიაში, რომელმაც გამოიწვია, საქმიანობაში ფართოდ ჩართო და განავითარა ადამიანის შემოქმედებითი, მეწარმეობრივი და საერთოდ შრომითი შესაძლებლობები (მოტივაცია), განამტკიცა მისი სტატუსი ბუნებაში და ის დღევანდელ ცივილიზაციამდე მიიყვანა.

შუა საუკუნეებში გაბატონებული ხასიათი მიიღო ფეოდალურმა კერძო საკუთრებამ, რომლის საფუძველს ფეოდალის მიწაზე საკუთრება და პირადად არათავისუფალ, დამოკიდებულ გლეხთა ექსპლუატაცია წარმოადგენდა. ამასთან, მონისაგან განსხვავებით, ყმა (ფეოდალურად დამოკი-

დებული გლეხი) უკვე საკუთრებრივი ურთიერთობების ფაქტობრივი მონაწილე (სუბიექტი) იყო, ვინაიდან მას მიწის მცირე ნაკვეთი და მის დასამუშავებლად საჭირო წარმოების საშუალებები გააჩნდა (მართალია, მიწა ფეოდალის საკუთრება იყო, ხოლო თავად ყმა – გლეხი – მნიშვნელოვანწილად ფეოდალური საკუთრების ობიექტი). თავისი შრომის შედეგის დიდ ნაწილს ყმა გლეხი იძულებითი წესით განასხვისებდა მიწის მესაკუთრის სასარგებლოდ - სამუშაოს შესრულების ან ნატურალური რენტის სახით. მიწის ფეოდალური საკუთრება იყო პიროვნული, პირადი დამოკიდებულების იერარქიული კავშირებით შეზღუდულ - შემოფარგლური საკუთრება. მიუხედავად ამისა, ყმა - გლეხის შრომა, მონის შრომასთან შედარებით, უფრო მწარმოებლური იყო.

ფეოდალური საკუთრების წიაღშივე წარმოიშვა ურთიერთობები, რაც არ იყო დაკავშირებული მწარმოებლის მიწისადმი მიმაგრებასთან. თავისუფალ გლეხთა წვრილ კერძო საკუთრებასთან ერთად, აქ არსებობდა მიწის საკუთრებისაგან გამოყოფილ, ფეოდალური დამოკიდებულებისაგან თვისუფალ ქალაქელ ხელოსანთა საკუთრება, რომლებიც (ხელოსნები) აწარმოებდნენ გასაყიდად გამზადებულ პროდუქტს. მიუხედავად იმისა, რომ ხელოსნები ამქრებში იყვნენ გაერთიანებული და ეს უკანასკნელნი რეგლამენტაციას უწევდა მათ საქმიანობას, ისინი პირადად დამოუკიდებელნი იყვნენ და გამოდიოდნენ როგორც წარმოების საშუალებებისა და პროდუქციის შედარებით განცალკევებული მესაკუთრეები. ხელოსანთა კერძო საკუთრება მთლიანად უკავშირდება სასაქონლო წარმოებას და გაცვლას, ამიტომ მისი სუბიექტები საქონელმწარმოებლებად გვევლინება, ამ საქმიანობის შედეგად მათ ნაწილს ერთგვარი დანაზოგი უჩნდება - კაპიტალისტური ურთიერთობების დამყარებისთვის აუცილებელი დაგროვება.

სასაქონლო ურთიერთობების განვითარების კვალობაზე გარკვეული დანაზოგები დაუგროვდათ ფეოდალებსაც, რისი გამოყენება შეიძლებოდა წარმოების სხვა საწყისებზე ორგანიზებისათვის.

მწარმოებლური ძალების, სასაქონლო წარმოების განვითარების და კაპიტალის პირველადი დაგროვების შედეგად, რასაც მესაკუთრე ფეოდალების (მომავალი კაპიტალისტების) მხრიდან მეტად ხისტი და სასტიკი ძალდატანება ახლდა თან, წარმოიშვა კაპიტალისტური კერძო საკუთრება. ასეთი საკუთრებისათვის იმთავითვე დამახასიათებელი იყო უშუალო მწარმოებელთა დიდი ნაწილის შრომის მატერიალური პირობებისაგან, როგორც საკუთრების ობიექტისაგან, სრული გათიშვა (გამოყოფა) - სოფლის მშრომელი მოსახლეობის საკუთრების ექსპროპრიაცია. ამის შედეგად შეიქმნა გლეხებისაგან გამოთავისუფლებულ მიწაზე მსხვილი

კერძო საკუთრება და გაჩნდა პიროვნულად თავისუფალი, ეკონომიკური რესურსების (გარდა შრომისა) არმქონე ადამიანების მასა. ე.ი. საკუთრება გათავისუფლდა პიროვნული დამოკიდებულებისაგან, შეიქმნა, ასე ვთქვათ, „სუფთა" კერძო საკუთრება.

როგორც ვხედავთ, კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების ზემოგანხილული განვითარების პროცესში მისი არსი მთლიანობაში იცვლებოდა ისე, რომ სულ უფრო იკვეცებოდა უარყოფითი გამოვლინება (ნეგატიური მხარე) და ძალებს იკრებდა შემოქმედებითი, მეწარმეობრივი ასპექტები (ორადი ხასიათის დადებითი მხარე). შეიძლება ითქვას, რომ კაპიტალისტური წარმოების წესის დამკვიდრება იყო კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების, ასე ვთქვათ, ზოგადსაკაცობრიო სამართლიანობის დამკვიდრების (ამ ურთიერთობების „გაკეთილშობილების" თავისებური მწვერვალი, როდესაც მნიშვნელოვნად ლოკალიზებული იყო ამ მოვლენის უარყოფითი გამოვლინება და ფართოდ, თითქმის შეუზღუდავად გაიშალა დადებითი მხარე.

მაგრამ ეს ურთიერთობები კვლავინდებურად შინაგანად ორადი ხასიათის მატარებლად დარჩა, როგორც ობიექტური ხასიათის მოვლენა. უფრო მეტიც, სწორედ კაპიტალისტური სოციალურ - ეკონომიკური წესრიგის უკვე ფართოდ დამყარების შემდეგ მოხდა კერძოსაკუთრებრივი მოტივაციის ნეგატიური მხარის მოქმედების გაფურჩქვნა - აღმავლობის პერიოდი, რომელიც რამდენიმე საუკუნე გრძელდებოდა. რიგმა ევროპის ქვეყანამ და აშშ-მა, მათი საზოგადოების შეძლებულმა, უფრო მეტად გამდიდრების სურვილით შეპყრობილმა ნაწილმა აფრიკის, აზიის, თვით ამერიკის კონტინენტის დაბალგანვითარებული ქვეყნების თითქმის მთლიანი მოსახლეობა მონებად აქციეს და პირუტყვის მსგავსად უბრალო ყიდვა - გაყიდვის ობიექტი გახადეს. ეს მოვლენა, ეს შემზარავი ფაქტი - საქციელი ისტორიული კანონზომიერება კი არა, არამედ ცივილიზებული განვითარებიდან გადახვევა და საერთო-საკაცობრიო დანაშაული იყო. ამ რასისტული, დაკანონებული და ფაქტობრივად მენტალურად გათვისებული საყოველთაო ბოროტების გამოძახილი დღესაც ვლინდება სხვადასხვა ქვეყანაში და, ბუნებრივ, სამართლიან მოთხოვნებთან ერთად, ზოგჯერ აბსურდულ, უაზრო მასობრივ ქცევა - მოქმედებაში და ულტიმატუმებში (თავისებურ „შავ რასიზმში") გადაიზრდება. ასე მოხდა 2020 წლის ივნისში, როდესაც ამერიკელმა პოლიციელმა დამნაშავის დაკავებისას ძალაუფლებას გადააჭარბა და შავკანიანი მოქალაქე გამოასალმა სიცოცხლეს, რასაც არნახული უმართავი პროტესტი მოჰყვა როგორც აშშ-ში (ქვეყანა თითქმის ორად გაიყო), ისე ბევრ ევროპულ ქვეყანაში. ამ პროცესმა, კა-

ნონმორჩილ მოქალაქეებთან ერთად, ათიათასობით კრიმინალი თუ რადიკალური შეხედულების მქონე პირი მოიცვა, რომლებიც მიჰყვნენ ყველაფრის დარბევა-დაყაჩაღებას, სამართალდამცავების დაცინვა-გამასხარავებას; ბრბოს მოთხოვნები გასცდა ყოველგვარ ლოგიკას; მასობრივი ხასიათი მიიღო კაცობრიობის ცივილიზებულ განვითარებაში შესამჩნევი წვლილის შემტანი ისტორიული პიროვნებების (ა. ლინკოლნის, ჯ. ვაშინგტონის, უ. ჩერჩილის და სხვების) ძეგლების ხელყოფა - შეურაცხყოფა, ქრისტეფრე კოლუმბის ძეგლებსაც კი შესწვდნენ გაუგებარი არგუმენტაციით.

ზემოაღწერილ, თითქოსდა უფრო პოლიტიკურ მოვლენაზე ყურადღების გამახვილებით ხაზს იმას ვუსვამთ, რომ საზოგადოების კომფორტული, სტაბილური მიმდინარე და მომავალი ცხოვრების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საზოგადოება კარგად ერკვეოდეს საკუთრებრივი ურთიერთობების (განვითარების განმაპირობებელი ამ საბაზისო ფენომენის) არსში; გათავისებული ჰქონდეს, რომ: ერთნაირად აუცილებელია კერძოსაკუთრებრივი მოტივაციის (მოვლენის) როგორც დადებითი, სასიკეთო მხარის ხელშეწყობა, ისე მისი მეორე (უარყოფითი) ნაწილის გამოვლინების შემზღუდველი ღონისძიებების გატარება; და რომ მხოლოდ ასეთ მიდგომაზე დაფუძნებულ სოციალურ-ეკონომიკურ წესრიგს ხელეწიფება მოსახლეობისთვის კეთილდღეობისა და სამართლიანობის მაღალი სტანდარტებით უზრუნველყოფა.

## კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობები, როგორც საზოგადოების ცხოვრების დონის ამაღლების საშუალება

წარმოშობის ადრეულ საფეხურზე ადამიანი ყოველგვარი შეგნებული შეცვლა-გადაკეთების გარეშე მოიხმარდა იმას, რაც მზამზარეულად ხვდებოდა ბუნებისაგან; ამ პირობებში რესურსების შეზღუდულობა-საკმარისობა არ წარმოადგენდა მისთვის განსაკუთრებულ პრობლემას. დროთა განმავლობაში კი, ადამიანთა ერთობლიობის გონივრული და ტექნიკური შესაძლებლობების განვითარების შედეგად, სიტუაცია პრინციპულად შეიცვალა: გარემოს მიერ ბოძებული ზოგიერთი სიკეთე ადამიანმა მეტი დოვლათის შექმნის რესურსად და მეტის მოხმარების მომცემ საშუალებად აქცია. ამან კი გააჩინა მასში ნივთ - საგნების დაუფლების ინტერესი, ანუ გაუღვივა მას კერძომესაკუთრეობრივი იმპულსი. დადგა არსებობისათვის საჭირო დოვლათ-სიკეთის საზოგადოების წევრების მიერ გამოყენება-დაუფლების პრობლემა, ადამიანთა ერთობის ერთი ნაწი-

ლის მიერ რესურსების (და მათი გამოყენების შედეგის) მნიშვნელოვანი წილის დაუფლების სურვილი. გასაგებია, რომ ერთობის მეორე ნაწილს ამ შემთხვევაში ნაკლები ერგებოდა. ეს კი კერძო საკუთრების ნიშნებია. რესურსების მფლობელს, რომელიც ხედავს, რომ მათი გამოყენებით მეტის შექმნა შეიძლება, წარმოების ორგანიზაციის მოტივაცია უჩნდება. ამას კი შესაბამისი ძალისხმევა-შრომა და უნარის გამოყენება სჭირდება. ამასთან, ნებისმიერი ადამიანისთვის იმთავითვე ცხადი ხდება, რომ მეტი სიკეთის დაუფლება სხვანაირადაც (ასე ვთქვათ, ნაკლები ჯაფით) შეიძლება ან სხვა პიროვნებისაგან დოვლათის ძალდატანებით თუ სხვა ხერხების გამოყენებით მითვისებას, კერძომესაკუთრეობრივ მოტივაციას ჩანასახიდან ორადი ხასიათი აქვს: წარმოების ორგანიზაციით მეტი დოვლათ-სიკეთის შექმნა-მონაგრება და უკვე არსებულის (შექმნილის) თავის სასარგებლოდ და სხვების საზიანოდ გადანაწილება.

შეიძლება ითქვას, რომ ამ მომენტიდან იწყება კაცობრიობის არსებობის თვისებრივად ახალი ეპოქა, როდესაც ადამიანების ცხოვრებისეული ინტერესები მძაფრად უკავშირდება დოვლათის ქონა-არქონას, საკუთრების პრობლემას; ეს ადამიანის, როგორც შეგნებული ცოცხალი არსების, ფუნქციონირების ფუნდამენტური მოვლენაა: მისი ხასიათის თვისებრივი ცვლილება, როგორც წესი, თვით საზოგადოებრივი ყოფის შეცვლას, სოციალურ - ეკონომიკური წყობილების (წესრიგის) ჩამოყალიბება - გარდაქმნას განაპირობებს.

საკუთრებრივ ურთიერთობებზე საგნობრივი საუბარი მიზანშეწონილი იქნება თვით საკუთრების განმარტებით დავიწყოთ. **საკუთრება** არის „საგნების, მატერიალური და სულიერი ფასეულობების გარკვეული პირების კუთვნილება, ასეთი კუთვნილების იურიდიული უფლება და ეკონომიკური ურთიერთობები ადამიანებს შორის საკუთრების ობიექტების კუთვნილების, გაყოფის და გადანაწილების საბაბი“ [სილაგაძე ა. 2011, 472].

საკუთრების სუბიექტებს შორის საკუთრების ობიექტების განაწილება არსებულ სოციალურ - ეკონომიკურ წესრიგზეა დამოკიდებული. ამასთან, საკუთრების ამა თუ იმ ფორმით არსებობის თვისუფლება ადამიანების (ინდივიდების), მთელი საზოგადოების მეწარმეობრივი მოტივაციის ინტენსივობას განაპირობებს. ნებისმიერ ფორმაციაში კვლავწარმოებას უპირველესად ადამიანის შინაგანი გენეტიკური მისწრაფებები განსაზღვრავს (იარსებოს, გვაროვნობა გააგრძელოს); გაფართოებული კვლავწარმოების მიზეზად კი, პირველ რიგში, თავად საკუთრებრივი ურთიერთობე-

ბიდან გამომდინარე მეწარმეობრივი (და მთლიანად შრომითი) მოტივაცია გვევლინება.

საკუთრება, კერძო საკუთრებრივი მოტივაცია ადამიანებს შორის ურთიერთობებს და მათი ქცევის პრინციპებს გამოხატავს უპირველესად საკუთრების ობიექტის (ნივთების, დოვლათის, ქონების, კაპიტალის) დასაკუთრების და გამოყენების გამო. მაგრამ საკუთრება და მისი მონაგრება მეწარმეობრივი საქმიანობის გარეშე არ არსებობს (მსჯელობაა საბოლოო ანგარიშით, და არა კონკრეტულ შემთხვევებსა და ფაქტებზე). მესაკუთრეს თანდაყოლილი სურვილი და იმანენტური მისწრაფება აქვს გაზარდოს თავისი საკუთრება, მისი საგნობრივი მოცულობა, თანაც ეს სურვილი გააჩნია ყველა ცალკეულ მესაკუთრეს და, მაშასადამე, მთელ საზოგადოებას. მესაკუთრე ხედავს, რომ, თუ მისი საკუთრება წარმოებაში (მეწარმეობაში) არაა ჩართული, ის არა მარტო არ იზრდება, არამედ უცვლელიც არ რჩება და, როგორც წესი, კლებულობს.

საკუთრების მეწარმეობრივ საქმიანობაში ჩართვა შეიძლება სხვადასხვანაირად: 1) როცა მესაკუთრე თავად ახდენს წარმოების ორგანიზებას, თვითონ ეწევა მეწარმეობრივ საქმიანობას და, შესაბამისად, თვითონვე ითვისებს შექმნილი ფასეულობის მისთვის კუთვნილ ნაწილს; 2) როდესაც მესაკუთრე თავისი საკუთრების ობიექტს (კაპიტალს) ფულის სახით სხვაზე გაასესხებს, ე.ი. სხვას დაუთმობს გამოსაყენებლად გარკვეული დროით და გარკვეული საზღაურის გადახდევინებით; 3) როდესაც მესაკუთრე მისი საკუთრების მეწარმეობრივ გამოყენებას ძირითადად მაღალი ანაზღაურებით მოზიდულ (დაქირავებულ) პროფესიონალ მმართველებს (მენეჯერებს) ანდობს, თვითონ კი საკუთრების ტიტულს (აქციებს) ფლობს და მასზე შემოსავალს (დივიდენდს) იღებს.

ამ სამივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ბიზნესის გამართვისა და მისი შედეგების განაწილების ეკონომიკურ ურთიერთობებთან, რაც ძირითადად საკუთრებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე ყალიბდება: ეს არის ურთიერთობები მესაკუთრესა და დაქირავებულ მუშაკებს შორის, კაპიტალის მესაკუთრესა და მენეჯერს შორის, კაპიტალის მესაკუთრესა და მეწარმეს (ფირმის მესაკუთრეს) შორის, მეწარმესა და მის მიერ დაქირავებულ სამუშაო ძალას შორის, მესაკუთრესა და მთელ დანარჩენ საზოგადოებას შორის. მაგრამ ეს ურთიერთობები, ჩვეულებრივად, როგორც ცნების განმარტებიდან ჩანს, იურიდიულ სამოსელში გვევლინება, როგორც საკუთრების (მესაკუთრის) უფლებები.

საკუთრების უფლება არის ცალკეული პირის, ჯგუფის ან სახელმწიფოს ნება-სურვილის შესაბამისად მის საკუთრებაში არსებული წარმოე-

ბის საშუალებებით თუ სხვა ქონებით სარგებლობის იურიდიულად (კანონით) უზრუნველყოფილი უფლება, რომელიც „მოიცავს ფლობის უფლებას, განსაკუთრებული სარგებლობის უფლებას, განადგურების და სხვა უფლებებს“ [Толковый словарь. 1998, 469].

საკუთრების უფლებების კანონმდებლობით მოწესრიგებას და სახელმწიფოებრივ დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი წყალობით საზოგადოებაში ყალიბდება მესაკუთრეთა, აგრეთვე მესაკუთრეთა და საკუთრების არმქონეთა თანასაქმიანობის და თანაარსებობის პირობები, თავისებური საზოგადოებრივი, ეკონომიკური და სხვა „თამაშის წესები“. საკუთრების უფლებებში უპირველესად იგულისხმება მესაკუთრის მიერ თავისი რესურსების გამოყენების და ამ გამოყენების დროს წარმოქმნილი ხარჯების და სარგებლის განაწილების უფლებამოსილება. მაშასადამე, სწორედ იურიდიული ნორმატიული აქტები არეგულირებს საკუთრების ფლობას, გამოყენებას და განკარგვას.

ისტორიულად ცნობილია საკუთრების ორი ტიპი: კერძო და საზოგადოებრივი: კერძო საკუთრება არის „კერძო პირთა და ფირმების უფლება შეიძინონ, ფლობდნენ, აკონტროლებდნენ, გამოიყენონ, გაყიდონ და უანდერძონ მიწა, კაპიტალი და სხვ. აქტივები“ [Макконел, Кемпбелл, Брю, Стэнли. (1992, 399-400). დოვლათის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლება იურიდიულად გაფორმებულია ამ სუბიექტებზე და მისი მოხმარება თუ მეწარმეობრივ საქმიანობაში ჩართვა მხოლოდ ამ კერძო მესაკუთრის ინტერესებიდან გამომდინარე და მისი სურვილით ხდება.

საზოგადოებრივია (მ.შ. სახელმწიფო) საკუთრება, რომლის ფლობაზე, გამოყენებასა და განკარგვაზე თანაბარი უფლება აქვს მთელი საზოგადოების ყველა წევრს. საკუთრების ამ სახის ფართო განხილვა-ანალიზისას სტატიაში მხოლოდ იმას გავუსვამთ ხაზს, რომ სახელმწიფო საკუთრების არსებობა დაკავშირებულია ადამიანთა ერთობის (სახელმწიფოს) ფუნქციონირების ხარჯების დაფარვისა და საზოგადოებრივი სიკეთის შემქნის აუცილებლობასთან (თავდაცვა, გარემოს დაცვა და სხვა მისთ.), აგრეთვე, თვით კერძო, საკუთრებრივი მოტივაციის არსთან (მისი დადებითი მხარის უზრუნველყოფასა და ნეგატიურის მოთოკვა-ლიკვიდაციასთან).

## კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების ორადი (ნეგატიური და პოზიტიური) ხასიათი

ყოველივე აღნიშნული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების (მოტივაციის) ჩამოყალიბებით (გაჩე-

ნა-გათავისებით) კაცობრიობამ თავისი პერმანენტული განვითარების, თავისი ცხოვრების დონის საუკუნედან საუკუნემდე ამაღლება-გაუმჯობესების შეუცვლელი საშუალება მიიღო. მაგრამ სწორი ვიქნებით, თუ ამ მოვლენის შეფასებისას მხოლოდ ასეთი კატეგორიული აღფრთოვანებით შემოვიფარგლებით? – ალბათ, არა, და სწორედ ამ პოზიციის დასაბუთებას შევეცდებით ქვემოთ.

საქმე ისაა, რომ კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების (მოტივაციის) სიკეთესა და უკეთურებაზე ერთმანეთისაგან განცალკევებით, მსჯელობა გაუმართლებელი, არამართლზომიერია. ეს ობიექტური, ცოცხალი ადამიანის (პიროვნების) არსებობის განმაპირობებელი ფსიქოლოგიური განწყობაა, რომლის განხორციელება - დაკმაყოფილებამ შეიძლება მოუტანოს:

- ერთ შემთხვევაში, როგორც ამ ადამიანს, ისე დანარჩენ საზოგადოებას სიკეთე, დოვლათი, ბედნიერება (ეს ამ მოტივაციის დადებითი მხარეა);
- მეორე შემთხვევაში - სიკეთე (დოვლათი) ამ ადამიანს და უკეთურება (დოვლათის შემცირება) როგორც ურთიერთობების სხვა სუბიექტებს კონკრეტულად, ისე მთელ საზოგადოებას (ეს ამ მოტივაციის ნეგატიური, საზოგადოებისთვის მიუღებელი მხარეა).

ეს თვისება, ანუ ორადი ხასიათი, პერმანენტულად, განუწყვეტლივ (ნებისმიერი სოციალურ - ეკონომიკური წესრიგის პირობებში) ახასიათებს კერძოსაკუთრებრივ ურთიერთობა - მოტივაციას მისი ორი მხარის სიმწვავისა და გამოვლინების განსხვავებული თანაფარდობით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ უარყოფითი შედეგი შეიძლება საზოგადოებრივ საკუთრებასაც მოჰყვეს, როდესაც მისი უშუალო განმკარგველი, საკუთარი შესაძლებლობების შესახებ გადაჭარბებულად თავდაჯერებული სახელმწიფო საჭიროზე მეტად ჩაერევა კერძოსაკუთრებრივ საქმიანობაში და დაასუსტებს მისი მოტივაციის დადებით გამოვლინებას (მეწარმეობრივ მუხტს).

კერძოსაკუთრებრივი მოტივაციის დაკმაყოფილების ჟინს შინაგანი გაძლიერებული სიხარბე და გაუმაძღრობა ახასიათებს. ამ ჟინის მატარებელ სუბიექტთა დიდ ნაწილს (თუ ყველას არა) არამარტო კონკრეტული სიკეთის დაუფლების სურვილი ასულდგმულებს, არამედ მათთვის ეს განწყობა სულ უფრო მეტის დაუფლების უწყვეტ პროცესად გადაიქცევა. მაქსიმ გორკი იხსენებდა, თუ როგორ ვერ გაუგეს ერთმანეთს ამ თემაზე გამართული საუბრისას მან და ერთ-ერთმა ამერიკელმა მილიარდერმა: მწერალს უკვირდა, თუ რატომ იხარჯებოდა ასე შეუსვენებლად ისედაც

მდიდარი ბიზნესმენი მოგების კიდევ უფრო გაზრდისათვის; კომერსანტი კი გაკვირვებას ვერ მალავდა, რომ მის ადამიანთმცოდნე ვიზავის ასეთი უბრალო ჭეშმარიტება არ ესმოდა.

დოვლათ-სიკეთის პერმანენტულად გაზრდა-გამრავლების მოტივაცია აგულიანებს მესაკუთრეს ამ ჟინის დაკმაყოფილებისათვის გადაუხვიოს არსებულ წესებს, გამოიყენოს აკრძალული, კანონსაწინააღმდეგო ხერხები და საშუალებები. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ, ჩვეულებრივი მოქალაქეებისაგან განსხვავებით, მდიდრები შედარებით უფრო იშვიათად და ნაკლებად აგებენ პასუხს ჩადენილი დარღვევა-დანაშაულისათვის (ასეთი სამწუხარო რეალობაა ფაქტობრივად ყველგან).

სადავო არ უნდა იყოს ისიც, რომ კერძოსაკუთრებრივი მოტივაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება საზოგადოების მიერ დოვლათით დაკმაყოფილებისას ზომიერების გათვალისწინების აუცილებლობას, რაც რესურსების შეზღუდულობასთან დაკავშირებით ყოველთვის იყო აუცილებელი კაცობრიობისათვის და რაც განსაკუთრებით საჭირბოროტო გახდა ბოლო საუკუნეებში.

კერძოსაკუთრებრივი მოტივაციის ჟინი-წადილის დაკმაყოფილება საზოგადოების ფუნქციონირების რეალობაში სხვადსხვა სახით, ფორმით და მასშტაბებით წარმოჩინდება. ამის პირდაპირი გამოვლინებაა თითქმის ყველა საზოგადოებაში, ყველა ქვეყანაში არსებული ბრაკონიერობა - ბუნების სიკეთეთა მოხმარებისას (ექსპლუატაციისას - ნადირობა, ტყის ჭრა, თევზაობა და სხვ.) მათი მომავალი თაობებისათვის შესანარჩუნებლად საჭირო წესების უგულებელყოფა და ეკოლოგიის განადგურება (ამის მაგალითია მსოფლიო ოკეანეში გარემოსადმი უგუნური დამოკიდებულების შედეგად გაცამტვერებულ-გაჩანაგებული, ოდესღაც ფლორისა და ფაუნის საოცარი მრავალფეროვნებით გამორჩეული კუნძულები).

კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების (მოტივაციის) ორადი ხასიათის დასაბუთება, მისი უარყოფითი მხარისათვის ხაზგასმა, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ამ მოვლენის, თუ ფენომენის (კერძო საკუთრების) შეფასებაში არც უპირობო, რაღაც რწმენისებური ქებადითირამბები და გაფეტიშება იქნება სწორი (რაც, არც თუ ისე იშვიათად გვხვდება) და არც გაუმართლებელი, აკვიატებული გაკიცხვა (არც ეს გვაკლია). ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამ სმითის მიერ კერძო კაპიტალის „ცუდი ჩვევების“ თაობაზე შეგონებების იგნორირებას მაინც ნუ მოვახდენთ [1, გვ. 150].

## სააქციო საზოგადოება როგორც კერძო საკუთრების კოლექტიურ საკუთრებად გარდაქმნის შედეგი

საკუთრებრივი ურთიერთობების განვითარების შეფასებისას ზემოთ ხაზი გავუსვით იმას, რომ, თუ კერძო საკუთრების ადრინდელი ფორმების პირობებში არ იყო უზრუნველყოფილი საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილე ორივე მხარის (მესაკუთრის და უშუალო მწარმოებლის - მონის, გლეხის, მუშის) პიროვნული თავისუფლება, ეს კერძოკაპიტალისტური ურთიერთობების არსში ძევს: სამეურნეო (კომერციული) საქმიანობის ორგანიზაცია წარმოების ორივე ფაქტორის (შრომა და კაპიტალი) მესაკუთრე - მფლობელთა თავისუფალი მოლაპარაკების და პირობების ურთიერთშეთანხმების შედეგად ხდება თავისუფალ, კონკურენციულ ბაზარზე. აქ კი აღვნიშნავთ იმას, რომ, ჯერ ერთი, „თავისუფალი ბაზრის" კონცეფცია მხოლოდ თეორიული დაშვებაა, ტენდენციაა, მეორე, არც ეს ურთიერთობებია რეალურად (აბსოლუტურად) თავისუფალი, განსაკუთრებით კაპიტალიზმის განვითარების ადრინდელ პერიოდში. ამ და სხვა მიზეზების გათვლისწინებით (ბასარია ვ. ბასარია რ. 2017,234) შეიძლება ვთქვათ: ბაზრის კონიუნქტურა, თითქმის ყოველთვის კაპიტალისტისთვის უფრო მისაღები და სასარგებლოა, ვიდრე დაქირავებული მუშაკისთვის. ამასთან, ისიც ცხადია, რომ კერძოკაპიტალისტური საკუთრებრივი ურთიერთობები, როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, მარადიულად გაშეშებულ-გაქვავებული კი არ არის; დროთა განმავლობაში იცვლება და ამას საზოგადოების (სახელმწიფოთა) შეგნებული ქცევა - ზემოქმედება განაპირობებს („საკუთრების დიფუზია").

საკუთრების დიფუზია - სახეცვლილების შედეგად მეწარმეობრივი რეზულტატის განაწილებაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა (მათი აღმნიშვნელი ტერმინიც კი შემოვიდა თეორიაში „წილობრივი ეკონომიკის" სახელწოდებით). კაპიტალიზმის განვითარებაში ეს ცვლილებები ძირითადად XX საუკუნის ბოლოდან დაიწყო. (ცაგოლოვი გ. 2016, 151-158) და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში იმდენად სოლიდური ხასიათი მიიღო, რომ ეკონომიკის ახალი მოდელის, ახალი ფორმაციის (სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის) ჩამოყალიბებაზე სერიოზული დისკუსია დაიწყო. თანაც, ეს შეცვლა რევოლუციური წესით კი არ მომხდარა, არამედ – ევოლუციური გზით. სიახლეები შეეხო კვლავწარმოების სტრუქტურის თითოეულ შემადგენელ რგოლს - წარმოებას, განაწილებას, გაცვლას და მოხმარებას. ამასთან, ეს ცვლილებები ხდებოდა, როგორც სტიქიურად (თავისუფალი ბაზრის თვითსრულყოფა), ისე შეგნებულად (სა-

ხელმწიფოს, პროფკავშირების, მთელი საზოგადოების მცდელობა – გაეკეთილშობინათ სისტემა სამართლიანობის საწყისებზე). ამ პროცესის მსვლელობაზე უეჭველად მოქმედებდა ჯერ საბჭოთა კავშირში და შემდგომ მთელ სოციალისტურ სისტემაში განხორციელებული სოციალურ - ეკონომიკური ღონისძიებები[1].

თვისებრივად შეიცვალა კაპიტალისტური საკუთრების არსი სააქციო საზოგადოებაში, რომელშიც (გარდა იმისა, რომ ის თავისთავად მნიშვნელოვანწილად ჯგუფური საკუთრება იყო და არა კერძო - ინდივიდუალური), აქ მართვა - განკარგვას სულ უფრო მეტად მესაკუთრეები კი არ უზრუნველყოფენ, არამედ დაქირავებული პროფესიონალი მენეჯერები; მიმდინარეობს და სულ უფრო ღრმავდება კაპიტალ - ფუნქციის კაპიტალ - საუთრებისაგან განცალკევება; მმართველობითი (მენეჯერული) შრომის კაპიტალ-საკუთრებისაგან გამოყოფა სულ უფრო მეტად ამცირებს და ასუსტებს კერძოსაკუთრებრივ უფლებებს და გაფანტავს კერძო საკუთრების ძალას (ის მესაკუთრეთა კოლექტიურ ძალად გარდაიქმნება); ამავდროულად ფართოვდება და გარკვეულწილად გადამწყვეტი ხდება მმართველთა ფენის, მენეჯერების როლი (როგორც ამბობენ ხოლმე, ადგილი აქვს მმართველობით რევოლუციას).

ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ კაპიტალისტურმა კერძო საკუთრებამ, როგორც ინდივიდუალურმა საკუთრებამ, გარკვეულწილად დაკარგა ეკონომიკური ურთიერთობების ერთადერთი განმაპირობებლის პირვანდელი როლი (ამის ნაწილი მან, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ - სახელმწიფო საკუთრებას „დაუთმო“) და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, შეიცვალა მოქმედების ხასიათი. დღეს თვისუფალი მეწარმეობის პრინციპზე ორგანიზებული წარმოებისათვის მნიშვნელოვანწილად დამახასიათებელია, კერძო საკუთრებასთან ერთად, ჯგუფური (კორპორაციული) და სახელმწიფო საკუთრება. მოსაზრება, რომელიც საბჭოურ პოლიტეკონომიაში იყო გაბატონებული, და რომლის მიხედვით საზოგადოებრივ საკუთრებას მხოლოდ სოციალისტურ ბანაკში არსებულ სახელმწიფო და კოლექტიურ საკუთრებას უწოდებდნენ, ვფიქრობ, არასწორია. საზოგადოებრივია მნიშვნელოვანწილად ჯგუფური აქციონერული საკუთრებაც; სააქციო კაპიტალიც საპაიო საწყისებზე დამყარებული საზოგადოებრივი, ასოცირებული კაპიტალია. ეს საკუთრების კოლექტიური, კორპორაციული

1 ცნობილია, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ფ. რუზველტი შეაგულიანებდა ბიზნესს სოციალური ღონისძიებების გასატარებლად საჭირო უფრო მაღალი გადასახადების გადახდის აუცილებლობაზე: „...ამაზე თუ არ წახვალთ, შეიძლება ყველაფერი დაკარგოთ“.

და ინდივიდუალური საკუთრების შერწყმის თავისებური წარმონაქმნია და არა სუფთა სახის კერძო საკუთრება.

საბაზრო ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში ამჟამად დამკვიდრებულია საკუთრების პლურალიზმი, საზოგადოების წევრების სურვილის შესაბამისად არსებობს და წამყვანი ადგილი კვლავ უკავია ერთგვარად სახეშეცვლილ საკუთრებას სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკური იდეოლოგიის მატარებელ სახელმწიფოთა მიერ მისთვის უარყოფითი მხარის მოქმედების მნიშვნელოვნად შეკვეცა - შერბილებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უზრუნველყოფილია ეკონომიკური დემოკრატია, ეკონომიკური თვისუფლება, რომელიც განაპირობებს (როგორც ბაზისური მოვლენა) პოლიტიკურ დემოკრატიას, პოლიტიკურ თავისუფლებას. ე.ი. ადამიანი, ინდივიდი თვისუფალია თავის არჩევანში, თუ როგორ, რა ფორმით მოჰკიდებს ის ხელს ბიზნესს (მეწარმეობრივ საქმიანობას) - დამოუკიდებლად, როგორც კერძო (ინდივიდუალური) მეწარმე, თუ სხვა მესაკუთრესთან გააერთიანებს ან გაასესხებს თავის კაპიტალს, რა აწყობს მას, წარმოების ორგანიზაციის როგორი ფორმა იქნება მისთვის უფრო სარგებლიანი, უფრო მოგებიანი; ის თავისუფალია ამავდროულად თავისი შემოსავლის (მოგების) გამოყენებაში. პირველ რიგში, მესაკუთრეთა ეს მოტივაცია - სურვილები (პლუს ამას ხელისუფლების ზეგავლენა, გამომდინარე საერთო სახელმწიფო ამოცანებიდან, სახალხო მეურნეობის მთლიანად განვითარებისა და მისი ცალკეული დარგების სპეციფიკიდან) განაპირობებს იმას, რომ დღეს, ფაქტობრივად, ყველგან გავრცელებულია (განზოგადებულად) საკუთრების შემდეგი ფორმები: ინდივიდუალური კერძო საკუთრება; კოლექტიური (კოოპერაციული) საკუთრება; სახელმწიფოს საკუთრება და შერეული საკუთრება.

რეალურ ცხოვრებაში (სხვადასხვა დარგში, სახელმწიფოში, რეგიონში) გვხვდება საკუთრების ამ ფორმების განსხვავებული სახეობები, საკუთრების ამ განზოგადებული ფორმების სხვადასხვანაირი ტიპები. გარდა ამისა, არსებობს საკუთრების უფლებების რანჟირებაც: შეიძლება, მაგალითად, საკუთრების უმაღლესი უფლება (განკარგვა) ჰქონდეს ერთ მესაკუთრეს, გამოყენებისა და ფლობის უფლება კი მეორეს (ე.წ. „ტრასტი“). საერთოდ, საკუთრებრივ ურთიერთობებს წარმოების დღევანდელი ორგანიზაციის რეალობაში მეტად რთული ხასიათი აქვს, რაც პირველ რიგში, სააქციო საზოგადოების და მის მსგავს საწყისებზე მოქმედ სხვა სამეურნეო სუბიექტებს ახასიათებს. სააქციო საზოგადოების რეალური კაპიტალი, მთლიანობაში, მნიშვნელოვანწილად ფუნქციონირებს როგორც კორპორაციული კაპიტალი; მისი საქმიანობის შედეგის სოლიდურ ნაწილს სააქციო საზოგადოებაში მომუშავე წევრები და დაქირავებული მუშაკები

ეუფლებიან და გამოიყენებენ (განაგებენ). ამავდროულად თითოეული აქციონერი (მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა უშუალოდ საზოგადოებაში) საზოგადოების საქმიანობის შედეგებიდან იღებს შემოსავალს დივიდენდების სახით, გამომდინარე მის საკუთრებაში არსებული აქციების მოცულობიდან (ე.ი. მისი ინდივიდუალულრი კაპიტალის სიდიდიდან). მაშასადამე, აქციონერული საკუთრება კერძო ინდივიდუალური საკუთრების კოლექტიურ (საზოგადოებრივ) საკუთრებად თვისებური გარდაქმნა - გარდასახვის შედეგია.

## კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების გაკეთილშობილების საზოგადოებრივი ამოცანის მნიშვნელობა

საკუთრების ფლობა, მისი განკარგვის უფლება, როგორც უკვე აღინიშნა, განაწყობს მესაკუთრეს მისი შენარჩუნება - გაზრდისაკენ. ეს მოტივაცია, როგორც კერძო საკუთრების ორადი ხასიათის დადებითი მხარე, ახასიათებს ნებისმიერ კერძო მესაკუთრეს და, თუ კერძო საკუთრების ნეგატიური ნაწილი აღმოფხვრილ-მინიმიზებული იქნება სახელმწიფოს მიერ, მეწარმეობრივი საქმიანობა წარმატებული, მეტი დოვლათ-სიკეთის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების რეალური საფუძველი - გარანტია იქნება. საკუთრების კვლავწარმოებაში ჩართვა კი ნიშნავს, რომ მესაკუთრე ერთვება კონკურენციულ ბრძოლაში, ვინაიდან სასაქონლო ურთიერთობების პირობებში სამეურნეო საქმიანობა იმანენტურად მეტოქეობრივია, აუცილებლად შეჯიბრებას გულისხმობს. მაშასადამე, მეწარმეობრივ საქმიანობას რომ ჰკიდებს ხელს, მესაკუთრემ (თუ ის უშუალოდ წარმართავს წარმოებას) ან მის მიერ დაქირავებულმა მმართველმა (მენეჯერმა) უნდა გამოიჩინონ სათანადო მონდომება, ნიჭი, საზრიანობა, ცოდნა და უნარი, რათა ამ პაექრობაში დადებითი შედეგი მიიღონ. ასეა ეს ყოველთვის, ასეთ პირობებშია წარმოებაში ჩართული კაპიტალის უკლებლივ ყველა მესაკუთრე და მმართველი. მაშასადამე, უბიძგებს რა ყველა მონაწილეს სარგებლიანი საქმიანობა - შრომისაკენ, კერძო საკუთრება (კაპიტალი) მთლიანობაში წარმოჩინდება სიახლის მაძიებელ მწარმოებლურ ძალად.

რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს არა აქვს ბიზნესმენის (მეწარმეობრივი) ტალანტი. საქმის ორგანიზაცია და გაძღოლა, კომერციული საქმიანობის უნარი ისეთივე თანდაყოლილი ნიჭია, როგორც, მაგალითად, მუსიკოსის, მხატვრის ან სხვა დარგის ხელოვანისა. ნიჭიერი, უნარიანი ბიზნესმენები, შეიძლება ითქვას, ხალხის, ქვეყნის „ოქროს ფონდია". ამიტომ საზოგადოება, სახელმწიფო ყველაფერს უნდა აკეთებდეს საიმისოდ, რომ

ადამიანებში მეწარმეობრივი სული - მუხტი კი არ ჩაქრეს, არამედ მაქსიმალურად გამჟღავნდეს, განვითრდეს და გაიშალოს. ასე რომ საზოგადოების ზრუნვა - მეცადინეობა – გააკეთილშობილოს კერძოსაკუთრებრივი საქმიანობა, უნდა იყოს მაქსიმალურად მაღალპროფესიულ და ზნეობრივ (მიუკერძოებელ) დონეზე დაანგარიშებულ - გათვლილი და გააზრებული. ეს ძნელია, მაგრამ აუცილებელი მაღალი საზოგადოებრივი და საკაცობრიობო მიზნების მისაღწევად.

ბიზნესმენობა არის ცდები, მოიგონო და გააკეთო რაიმე ახალი ან გააუმჯობესო უკვე არსებული; მეწარმეობა რეალობად აქცევს მრავალ საინტერესო იდეას; თავისუფალ მეწარმეობაში სრულად და სასარგებლოდ გამოიყენება ადამიანის ბუნებრივი პატივმოყვარეობა, მისი სწრაფვა თვითრეალიზაციისა და თვითდამკვიდრებისაკენ. ვინაიდან კომერციის ძირითადი მოტივი მეწარმის საკუთარი მატერიალური და მორალური მდგომარეობის განმტკიცებაა, ბიზნესმენი იძულებულია განუწყვეტლივ იფიქროს და იმოქმედოს, ეძებოს და იპოვოს ახალი გზები და გადაწყვეტილებები. მეწარმეობა არ ეგუება უძრაობას, უმოქმედობას და მოდუნებას. ასეთ განწყობას მთელ ეკონომიკაში განუწყვეტლივ უნდა უწყობდეს ხელს სახელმწიფო მთელი თავისი შესაძლებლობებით იმისათვის, რომ ბიზნესი, მეწარმეობრივი საქმიანობა მაქსიმალულრად სასარგებლო გახდეს როგორც თავად მეწარმისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

**დასკვნა.** მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში მეტად მნიშვნელოვანია კერძოსაკუთრებრივ ურთიერთობებში, კერძო მესაკუთრეთა მოტივაციაში გარკვევა, ამ მოტივაციის დადებითი და უარყოფითი მხარეებისა და მათი საზოგადოების კეთილდღეობაზე გავლენის სწორი თეორიული შეფასება და პრაქტიკულ ცხოვრებაში გამოყენება, რაც საქართველოში მაღალშედეგიანი წარმოების წესის წარმატებით დამკვიდრება - განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების უდავო წინაპირობაა. ჩვენს რეალობაში ამ ამოცანის გადაწყვეტა იმითაც არის გართულებული, რომ ქვეყანაში კერძო მესაკუთრეობის აღდგენა - ჩამოყალიბება მოხდა არა სიკეთის (საკუთრების) კანონიერად მონაგრების გზით, არამედ ძირითადად არსებული საზოგადოებრივი საკუთრების პრივატიზაციისას ცალკეული პირების მიერ მთელი მოსახლეობის კუთვნილების სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო, კრიმინალური მეთოდების გამოყენებით. ამას დაემატა 2002-2012 წლებში სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებში მოკალათებული კრიმინალური „ელიტის" მიერ კერძო მესაკუთრეთათვის დოვლათის მასობრივი ძალდატანებითი წართმევა. გასაგებია, რომ პროცესის ასეთი ხასიათი ვერ შეუწყობდა ხელს კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობების მოტივაციის „გაკეთილშობილებას", მისი უარყოფითი მხარის შეკვეცა - შესუსტებას. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ სა-

ქართველოს ხელისუფლებამ უნდა გაისიგრძეგანოს პრობლემის მნიშვნელობა და სიმწვავე, თანმიმდევრულად და ერთდროულად გაატაროს კერძოსაკუთრებრივი ურთიერთობის (მოტივაციის) როგორც დადებითი მხარის მხარდაჭერის, ისე ნეგატიური გამოვლინების მაქსიმალურად შეზღუდვის მაღალპროფესიულ დონეზე შემუშავებული კომპლექსური პოლიტიკა.

**ლიტერატურა:**


- ბასარია ვ. ბასარია რ. (2017). „ეკონომიკის პრინციპები“. საქართველოს აკადემიური გამომცემლობა, თბილისი, გვ.362).
- ეკონომიკური ლექსიკონი (2011). პროფესორ ა. სილაგაძის რედაქტორობით. თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი.
- ცაგოლოვი გ. (2016). „მეშვიდე ფორმაცია“. ინტერვიუ „ეკონომიკა და ბიზნესი“ N1, გვ. 151-158.
- Бизнес. Толковый словарь. (1998) Англ. - русск. - М.: ИНФРА ст.760.
- Макконел, Кемпбелл Р., Брю, Стэнли Л. (1992). Экономикс – Принципы, проблемы и политика в 2 т. Т. II. – "Республика" ст. 400.
- Макмиллан (1997). Словарь современной экономической теории. - М.: ИНФРА – М, ст.608).
- Табаков С. (1997). Эволюция отношений собственности. Ж. "Экономист" N2.


**References:**


- Basaria V., Basaria R. (2017). „ekonomikis printsipebi". sakartvelos akademiuri gamomtsemloba. ["Principles of Economics". Georgian Academic Publishing House, Tbilisi pp.362).] In Georgian.
- ekonomikuri leksikoni (2011). propesor a. silagadzis redaktorobit. tsu-is gamomtsemloba, tbilisi. [Economic Dictionary. (2011). Under the leadership of Prof. A. Silagadze. TSU Publishing House, Tbilisi.] In Georgian.
- tsagolovi g. (2016). „meshvide pormatsia". interviu „ekonomika da biznesi" N1, [Tsagolov G. (2016). "The Seventh Formation." Interview. "Economy and Business" N1.pp.151-158.] In Georgian.
- Biznes. Tolkovyy slovar. (1998) Angl. - russk. - M .: INFRA. [Business. Explanatory dictionary. English - Russian - M .: INFRA pp. 760.] In Russian.
- Macconnell, Campbell R., Bru, Stanley L. (1992). Economics - Principles, Problems and Politics in 2 vol. V II. – "Republic" pp.400.
- Macmillan (1997). Glossariy sovremennykh ekonomicheskikh teoriy. [Dictionary Modern Economic Theory. - M .: INFRA – M, pp.608.] In Russian.
- Tabakov S. (1997). Evolyutsiya otnosheniy sobstvennosti. «Ekonomist» №2. [ Evolution of Property Relations. M. "The Economist" N2.] In Russian.

# About the Issue of Private Property Relations and the Genesis of Entrepreneurship

**Vladimer Basaria**
*Associate Professor*
*Sukhumi State University*
vbasaria@yahoo.com

An important role in ensuring the well-being of the population is how the society has mastered the defining (basic) reasons for its economic activities - its own relations and the motivation of the activities caused by them - and how it uses them to achieve the desired result. The coexistence and ratio of two forms of property, private property and public property, has historically always conditioned the essence of the socio-economic order, the result of economic activity. At the same time, private property, the substance that determines motivation, has always been dominant. Therefore, understanding the motivation of private owners, the correct theoretical assessment of the pros and cons of this motivation and the impact on the well-being of their society and its practical application should become one of the main means of developing high-yield production in our country. In our reality, the solution to this problem is complicated by the fact that private property was restored in the country not through the acquisition of wealth, but through the privatization of public property by individuals using various illegal, criminal methods of ownership of the entire population. Added to this was the seizure of wealth by private owners by the criminal "elite" imprisoned in state structures in 2002-2012. It is clear that such a nature of the process would not have contributed to the stimulation of the motivation of private property relations, weakening its downside. This indicates that the Georgian government must grasp the importance and severity of the problem, consistently and simultaneously pursue a comprehensive policy of maximizing the pros and cons of the relationship between private owners.

***Keywords:*** *Private property relations, entrepreneurship, business, motivation, welfare, rivalry, socially oriented economic system.*

**JEL Codes**: *L20, L21, L26, L32, L33,*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 67-84
ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 67-84

# მიკროეკონომიკა ◊ მაკროეკონომიკა ◊ ეკონომეტრიკა
# MICROECONOMICS ◊ MACROECONOMICS ◊ ECONOMETRICS

## საქართველოს სოფლის მეურნეობა აქტუალური გამოწვევების წინაშე

**პაატა კოღუაშვილი**
პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
paata_koguashvili@hotmail.com

**იოსებ არჩვაძე**
პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი
josepharchvadze@yahoo.com

*საქართველოს სოფლის მეურნეობა თანდათან გამოდის იმ მძიმე, გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისიდან, რაც მას 1990-იანი წლებიდან მოჰყვებოდა. მართალია, ბოლო წლებში გაიზარდა ამ სფეროში გამოშვებული პროდუქციისა და დამატებული ღირებულების მოცულობა და ამ უკანასკნელმა მოცულობამ 2019 წელს 3112.2 მლნ ლარი შეადგინა (მშპ-ის 7.2%), თუმცა, თუ ეკონომიკის სხვა სექტორებსა და დარგებს შევადარებთ, მდგომარეობა ჯერჯერობით არც ისე სახარბიელოა.*

*ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა აგრარულ სექტორს აშკარად დაეტყო, თუმცა დარგის ეკონომიკური ზრდა სახელმწიფო სუბსიდირების ზრდასთან ჯერაც საკმაოდ სუსტ კორელაციაშია. ამ პერიოდში მთელი ეკონომიკა 2.6-ჯერ უფრო სწრაფად გაიზარდა და 2012 წელთან შედარებით 33.2%–ით მოიმატა. ბოლო 7 წლიწადში (2013-2019 წწ.) მატების მიხედვით, სოფლის მეურნეობა ბოლოსწინა ადგილზე იყო ბოლო ადგილზე – გადამამუშავებელი მრეწველობა – 10%-იანი მატებით). ამასთან, მიუხედავად ერთგვარი ზრდისა, საქართველოს სოფლის მეურნეობადმი ყველაზე ნაკლებად მისასადაგებელია ცნება – „მდგრადი განვითარება“. სოფლის მეურნეობა კი – ბოლო 7 წლიწადში (2013-2019 წწ.) მატების მიხედვით, (რაც დაფიქსირდა მხოლოდ 2 წლის მანძილზე (2013წ. და 2018წ.), – ბოლოსწინა ადგილზე იყო. ამასთან, აღგილი ჰქონდა დარგში შექმნილი დამატებული ღირებულების კლებას 2017 წელს, 2013 წელთან შედარებით შემცირდა 11.2%–ით. მიუხედავად ერთგვარი ზრდისა, საქართველოს სოფლის მეურნეობისადმი, ჯერჯერობით, ყველაზე ნაკლებად მისასადაგებელია ცნება – „მდგრადი განვითარება“.*

*შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობა, მისი განვითარება საჭიროებს შედარებით მეტ სახელმწიფოებრივ ყურადღებას და მხარდაჭერის, მართვისა და ორგანიზაციის შედარებით ახალ მეთოდებსა და ფორმებს.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სოფლის მეურნეობა, აგროსასურსათო პროდუქცია, თვითუზრუნველყოფის დონე, ექსპორტი, იმპორტი.*

***JEL Codes:*** *Q10, Q12, Q13, Q14*

## შესავალი

საქართველოს აგრარული სექტორი შრომის მწარმოებლურობით, კაპიტალტევადობით, ინვესტიციებითა და რიგი სხვა ეკონომიკური ინდიკატორით ეროვნული მეურნეობის ერთ-ერთი ჩამორჩენილი დარგია. ამ დარგზე, ბოლო მონაცემებით, მოდის ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა 38.9% და ქვეყნის მშპ-ს 7.2%, ანუ ამ სფეროში შრომის მწარმოებლურობა ეროვნულ მეურნეობაში შრომის საშუალო მწარმოებლურობის მხოლოდ 18.2%-ია და აღნიშნული მაჩვენებლით ეკონომიკის დანარჩენი დარგების საშუალო დონეს 8.2-ჯერ ჩამორჩება.

**ეკონომიკაში (მშპ-ში), აგრარული სექტორის წილით საქართველო მსოფლიო სახელმწიფოთა შორის 93-ე ადგილზეა - ბელიზსა და ფილიპინებს შორის** [12]. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, როგორც წესი, მით უფრო დაბალი წილი უკავია ამ ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობას. ამიტომ, აგრარული სექტორის წილის შემცირება ეკონომიკაში ორ უკანასკნელ ათწლეულში 4.7-ჯერ (1996 წლის 34.1%-დან 2019 წლის 7.2%-მდე), ფორმალურად მაინც, არ უნდა ჩაითვალოს ნეგატიურ მოვლენად, თუმცა უდავოდ ნეგატიურია მოწინავე ქვეყნებთან შედარებით აგრარული სექტორის ჯერაც მაღალი წილი და შრომის დაბალი მწარმოებლურობა ეკონომიკის აღნიშნულ სექტორში. მაგალითად, სოფლის მეურნეობაზე მოდის აშშ-ის მშპ-ის მხოლოდ 0.9%. ევროკავშირის ყველაზე სუსტ ქვეყნებში - რუმინეთსა და ბულგარეთში, შესაბამისად, 4.2 და 4.3%, პოლონეთში - 2.4%, ხოლო ევროპის ისეთ უძლიერეს ქვეყნებში გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში - 0.6-0.6% თითოეულში. მიუხედავად საქართველოსთან შედარებით ეროვნულ ეკონომიკაში (მშპ-ში) 8-ჯერ დაბალი წილისა, მოსახლეობის ერთ სულზე, აშშ მაინც „ახერხებს“ საქართველოსთან შედარებით თითქმის 1.5-ჯერ მეტი აგრარული პროდუქციის წარმოებას.

დღეისათვის, აგრარულ სექტორში დასაქმებული ყოველთვიურად ქმნის პროდუქციას (დაახლოებით 350 ლარი), რომელიც ორი შრომისუნარიანი მამაკაცის საარსებო მინიმუმზე დაბალი, ანუ იმ **მინიმალური რაოდენობის მხოლოდ 2/3-ია, რაც საკმარისია სოფლის მეურნეობის არსებუ-**

**ლი დონის მხოლოდ მარტივი კვლავწარმოებისათვის.** მარტო ეს მონაცემებია საკმარისი საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის არასახარბიელო ვერდიქტის გამოსატანად:

**ა) საქართველოს სოფლის მეურნეობას საკმაოდ სუსტი საბაზრო ხასიათი აქვს და**

**ბ) იმპორტირებული აგროსასურსათო პროდუქციის გარეშე, საქართველოს სოფლის მეურნეობა ელემენტარულ, მინიმალურ დონეზეც კი ვერ უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობას აგროსასურსათო პროდუქციით.**

ბოლო წლებში საგრძნობლად გაიზარდა სოფლად მოქმედი შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დასაქონლიანების დონე - გაყიდული პროდუქციის წილმა მათ მიერ წარმოებულ პროდუქციაში 2019 წელს ნახევარს გადააჭარბა (შეადარე: 2012 წ. – 37.3%, 2019 წ. – 50.2%). მიუხედავად ასეთი შთამბეჭდავი ზრდისა, მას ჯერაც არ მიუღწევია 1980-იანი წლების დონისათვის (1985 წ. - 57%).

## საქართველოს აგრარული სექტორის ჩამორჩენის მიზეზები

საქართველოს აგრარული სექტორის ჩამორჩენის მიზეზი მრავალასპექტიანია. დიდი ხნის მანძილზე მას სათანადო ყურადღება არ ექცეოდა განსაკუთრებით დაფინანსების მხრივ. საბჭოთა კავშირის დროინდელი ერთგვარი პრივილეგირებული მდგომარეობა, როდესაც სოფლის მეურნეობაში დასაქმება და პირად დამხმარე მეურნეობებში მოწეული პროდუქციის ქვეყნის ერთიან ეკონომიკურ სივრცეში მაღალი ფასებით რეალიზაცია საშუალებას აძლევდა სოფლად მცხოვრებლებს საკმაოდ შეძლებულად ეცხოვრათ,[1] რაც პოსტსაბჭოთა პერიოდში აღარ არსებობდა, რამეთუ ასეთი „პრეფერენციები“, სსრკ-ის დაშლისთანავე, მყისიერად დასრულდა, რასაც მოყვა დარგის სისტემური კრიზისი, სტაგნაცია და სოფლად მცხოვრებთა კეთილდღეობის მკვეთრი დაცემა.

თითქმის სამი ათეული წელია, სოფლის მეურნეობაში კოლექტიურ მეურნეობებზე მასობრივი უარის შემდეგ, ფეხი ვეღარ მოიკიდა კოოპერატიულმა საქმიანობამ. ამის გამო ძნელდება მსხვილი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ხარჯზე მწარმოებლურობის ამაღლება და სინერგიის ეფექტის მიღწევა. ფაქტობრივად, არ მიმდინარეობდა აგრარული მეცნიე-

1 საბჭოთა პერიოდში საქართველოს მოსახლეობის თითქმის მეოთხედი (დაახლოებით 1300 ათასი კაცი) დაკავშირებული იყო ჩაისა და ციტრუსებზე ერთიანი საკავშირო მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან, საიდანაც მოსახლეობის შემოსავლები ჩაის წარმოება-დამზადებიდან შეადგენდა 200 მლნ საბჭოთა მანეთს, ხოლო ციტრუსების წარმოებიდან - არანაკლებ 270-300 მლნ. მანეთს [2; 9].

რების განვითარება, ტექნოლოგიური განახლება და კვლევები, მსოფლიო გამოცდილების გადმოღება-დანერგვა. ჩვენ მყარად ვდგავართ მოსაზრებაზე, რომლის მიხედვითაც **თანამედროვე საქართველოს სოფლის მეურნეობა მოწინავე ქვეყნებისას დაახლოებით ერთი ტექნოლოგიური ეპოქით ჩამორჩება** [არჩვაძე ი. 2017].

ის, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოს ეკონომიკის სუსტი რგოლია, იქიდანაც ჩანს, რომ მაღალია - საბჭოთა კავშირის დაშლიდან თითქმის სამი ათეული წლის შემდეგაც - სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის ის პროფილი, რომელიც ჯერ კიდევ XX საუკუნის შუა ხანებში ჩამოყალიბდა და რომელიც მთლიანად მორგებული იყო სსრკ-ს ერთიანი ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამის გამოა, რომ საქართველოში შედარებით მაღალი წილი უკავია სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების (ხილი, ციტრუსები, ყურძენი...) წარმოებას, მაშინ როდესაც ქვეყანას სჭირდება თვითუზრუნველყოფის შედარებით მაღალი დონე მარცვლეულისა და ხორცის წარმოების მიხედვით.

საქართველოს თვითუზრუნველყოფის დონე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ცალკეული სახეების მიხედვით **2019** წელს
(პროცენტი)



საქართველოს სოფლის მეურნეობის ამგვარი მდგომარეობა ვლინდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დაბალ დონეში. **100-პროცენტიანი უზრუნველყოფის დონე საქართველოს, თუ ყურძენსა და ციტრუსებს მხედველობაში არ მივიღებთ, არც ერთი ძირითადი დასახელების პროდუქტის მიხედვით არა აქვს.** აღნიშნულზე მკაფიო წარმოდგენას **დიაგრამა 1** იძლევა. თანაც, აუტსაიდერული პოზიცია ხორცსა და ხორბალს უკავია.

მაგრამ ეს ყველაფერი არაა: გრაფიკი აჩვენებს **ფაქტობრივად მოხმარებულ** სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებში სამამულო წარმოების წილს, მაგრამ არ აჩვენებს, თუ **რამდენადაა შესაბამისობაში იგი მოხმარების რეკომენდებულ (რაციონალურ) ნორმებთან.** ასე, მაგალითად, საქართველოში მოხმარებული ხორცი მოსახლეობის ერთ სულზე დაახლოებით 40 კგ-ია (39.7 კგ), რომელიც ხორცისა და ხორცპროდუქტების (რაციონალური ნორმის (63 კგ) დაახლოებით 63.0%-ია. შესაბამისად, სამამულო წარმოების პროდუქციის თანაფარდობა რეკომენდებულ ნორმებთან კიდევ უფრო ნაკლებია (იხ.დიაგრამა 2).

**დიაგრამა 2**



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ადგილობრივი წარმოება ფარავს მოხმარების რაციონალურ მოცულობას ხორცზე - 30%-ით, მარცვლეულზე (ხორბალი და სიმინდი ერთად) - მხოლოდ 26%-ით. შესაბამისად, იმისათვის, რომ მოხმარება რაციონალურ დონეზე ავიდეს, საჭიროა მარცვლეულის ადგილობრივი წარმოება გაიზარდოს თითქმის სამჯერ, ხოლო ხორცისა და ხორცის პროდუქტების წარმოება, შესაბამისად, დაახლოებით 2.7-ჯერ.

ბოლო წლებში სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა აგრარულ სექტორს აშკარად დაეტყო. თუმცა, სახელმწიფო სუბსიდირების ზრდასთან დარგის ეკონომიკური ზრდა ჯერაც საკმაოდ სუსტ კორელაციაშია. მაგალითად, 2019 წელს, 2012 წელთან შედარებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოფლის მეურნეობის დაფინანსება გაიზარდა 1.5-ჯერ და მეტად (50.9%-ით – 204.5 მლნ. ლარიდან 308.6 მლნ. ლარამდე) მაშინ, როდესაც დარგში შექმნილი დამატებული ღირებულება 2019 წელს 2013 წლის

**დიაგრამა 3**



დონეს არც კი აღემატება. ერთი საგრძნობი პოზიტიური მომენტია ის, რომ **აგრარული სექტორის ფაქტობრივი სტაგნაციის ფონზე, იზრდებოდა ქვეყნიდან აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი** (რაც, რა თქმა უნდა, კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დამსახურება უფროა, ვიდრე საკუთრივ სოფლის მეურნეობისა), რაზეც **დიაგრამა 3** იძლევა წარმოდგენას.

თუ აგროსასურსათო საქონლის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მონაცემებს შევადარებთ აგრარული სექტორის მთლიან პროდუქციასთან, დავინახავთ, რომ ბოლო წლებში სწრაფად იზრდება როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის თანაფარდობა აღნიშნულ გამოშვებასთან. ამასთან, აშკარად შეიმჩნევა ექსპორტის წინმსწრები ზრდა იმპორტთან შედარებით: 2012 წლიდან 2019 წლამდე აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის თანაფარდობა იმპორტთან გაიზარდა 40.2%-იდან 71.5%-ამდე, ხოლო აღნიშნული ინდიკატორების (აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი და იმპორტი) ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებასთან თანაფარდობათა სხვაობა შემცირდა 36.7 პუნქტიდან 19.9 პუნქტამდე (იხ.დიაგრამა 4).

**დიაგრამა 4**



ამავე დროს, მიუხედავად აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდისა, ის საკმაოდ დაბალ კორელაციაშია სამამულო წარმოებით ადგილობრივი მოსახლეობის დაკმაყოფილების პროცესთან, რის გამოც იმპორტის თანფარდობა აგრარული სექტორის მთლიან გამოშვებასთან შედარებით, სტაბილურად მაღალია და 70%-ს აღემატება, ხოლო იმპორტის თანაფარდობა საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის გამოყენების რესურსთან საკმაოდ მაღალია და ბოლო მონაცემებით (2019 წ.) 85.6%-ია. ღირებულებითი ფორმით **საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციით თვითუზრუნველყოფის დონე საკმაოდ დაბალია (46.9%) მაშინ, როდესაც საქართველოსთან შედარებით გაცილებით უარეს კლიმატურ პირობებში მყოფ ისრაელში ანალოგიური მაჩვენებელი 92%-ია.** ამასთან, ქვეყანაში წარმოებული აგრარული პროდუქციის ექსპორტის ზრდის გამო, საქართველოს მოსახლეობის სამომხმარებლო რესურსში კიდევ უფრო მკვეთრად იზრდება იმპორტირებული პროდუქციის წილი, რომელმაც ბოლო წლებში უკვე მთელი სამომხმარებლო რესურსის ნახევარსაც კი გადააჭარბა (იხ.დიაგრამა 5).

**დიაგრამა 5**




*წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური წელიწდეული. თბილისი, 2020. გვ. 89-100.*

აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის გაცილებით დაჩქარებული ზრდის გამო **მცირდება უარყოფითი სავაჭრო სალდო ამგვარი პროდუქციის ექსპორტსა და იმპორტს შორის** – 2012 წლიდან 2019 წლისთვის აღნიშნული სალდო შემცირდა 758.8 მლნ აშშ დოლარიდან 356.2 მლნ აშშ დოლარამდე, ანუ ორჯერ და მეტად (53.1%-ით). ამასთან, ბოლო 7 წლის მანძილზე (2013-2019 წწ.) უარყოფითი სალდოს ჯამურმა სიდიდემ 3036 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა შვიდწლიან პერიოდის ანალოგიური მაჩვენებლის (4217.8 მლნ აშშ დოლარი) მხოლოდ 72.0%-ია.

სოფლის მეურნეობის პროდუქციაში, ღირებულებითი ფორმით, მეცხოველების პროდუქციაზე მოდის ნახევარი (50%); მემცენარეობის წილად 43 პროცენტია, ხოლო სასოფლო-სამეურნეო მომსახურების წილად - მხოლოდ 7% [კოვზანაძე ი. 2019, 18]. ის, რომ მთლიანობაში ადგილობრივი აგრარული პროდუქცია ვერ აკმაყოფილებს შიდა მოთხოვნილებებს, იქიდანაც ჩანს, რომ აგრარული პროდუქციის ექსპორტში მემცენარეობის პროდუქციის წილი თითქმის 92%-ით, მეცხოველეობისა კი - მხოლოდ 8.4%. იმპორტში აღნიშნული დარგების თანაფარდობა კი დაახლოებით 80:20-ზეა (იხ.დიაგრამა 6)

**დიაგრამა 6**



იმის გათვალისწინებით, რომ იმპორტში მეცხოველეობის პროდუქციის წილი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მემცენარეობის პროდუქციის წილს, ეს მხოლოდ მოსახლეობის დაბალი მყიდველობითი უნარიანობითაა განპირობებული. - **მოხმარების რაციონალური ნორმების დონეზე უზრუნველსაყოფად, ამჟამინდელთან შედარებით რომ ექსკლუზიურად მხოლოდ იმპორტირებული პროდუქციით გვეცადა მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ამისათვის ჩვენ დაგვჭირდებოდა დამატებით დაახლოებით 730 მლნ აშშ დოლარის მეცხოველეობის პროდუქციის იმპორტის განხორციელება,** რაც მოსახლეობის ამჟამინდელი გადახდისუნარიანი მოთხოვნილების პირობებში, აბსოლუტურად არარეალურია.

**ექსპორტ-იმპორტის დისპროპორცია მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის მიხედვით პირველის სასარგებლოდ** გამოწვეულია იმით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობას საბჭოური პერიოდის განმავლობაში თავსმოხვეული ცალმხრივი განვითარების და სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების სპეციალიზაციის მემკვიდრეობისაგან თავი ჯერაც ვერ დაუღწევია. საქართველოს არასაკმარისი რაოდენობით აქვს საკუთარი წარმოების მარცვლეული, დიდწილად იგი იმპორტზეა დამოკიდებული. სამაგიეროდ, საექსპორტო დატვირთვა აშკარად ეტყობა ყურძნისა და ციტრუსების, ნაწილობრივ აგრეთვე ხილისა და ბოსტნეულის წარმოებას. ამის გამოა, რომ თუ სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვებაში მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციას თითქმის თანაბარი წილი უკავია, აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტში მემცენარეობის პროდუქცია (ან იმ პროდუქციას, რომლის სანედლეულო რესურსი მემცენარეობის პროდუქციაა, მაგალითად, შაქარი - იმპორტში და ღვინო - ექსპორტში) სრულად დომინირებს. საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტში მის წილად მოდის 9/10-ზე მეტი, ხოლო იმპორტში – 4/5-ზე მეტი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **2019 წელს მეცენარეობის პროდუქციამ მეცხოველეობის პროდუქციას გადააჭარბა: ექსპორტში - 10.9-ჯერ, ხოლო იმპორტში - 4.0-ჯერ.**

## საქართველოს აგრარულ სექტორის ეფექტიანობის ამაღლების ზოგიერთი მიმართულება

საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული სერიოზული პრობლემების გადაწყვეტის გარეშე შეუძლებელია ფიქრი საქმიანობის ამ სფეროში ეფექტიანობის არსებით ამაღლებაზე. მათ შორის მთავარია **დარგის დაფინანსების გაძლიერება.** საქმე ისაა, რომ აგრარული სექ-

ტორის წილი სახელმწიფო ასიგნებებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი) მოცულობაში საგრძნობლად ჩამორჩება დარგის წილს ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, რაზეც **ცხრილი 1** გვაძლევს წარმოდგენას.

**სოფლის მეურნეობის წილი ეკონომიკის მთლიან გამოშვებაში, სახელმწიფო ასიგნებებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში 2010-2018 წლებში (%)**

*ცხრილი 1*

| წლები | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მთლიანი გამოშვება | 8.2 | 8.8 | 8.6 | 7.8 | 7.1 | 6.4 | 6.9 | 6.3 |
| სახელმწიფო ასიგნებები | 3.0 | 2.7 | 3.0 | 2.5 | 2.6 | 1.8 | 1.5 | 2.5 |
| პირდაპირი უცხოური ინვესტიციები | 1.58 | 1.27 | 0.68 | 1.12 | 0.53 | 0.65 | 1.11 | 1.08 |

ცხრილიდან ჩანს უცხოური ინვესტიციების *ასიმეტრიული განაწილება* საქართველოს ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სექტორების მიხედვითაც. მაგალითად, 2013-2019 წლებში პუი-ების ჯამური მოცულობა აგრარულ სექტორში დაახლოებით 74.5 მლნ აშშ დოლარია, მაშინ, როდესაც საბანკო სექტორში, რომლის წვლილი ქვეყნის მშპ-ში სოფლის მეურნეობისას საგრძნობლად ჩამორჩება (წილი ეკონომიკაში: აგრარული სექტორი - 7.2%, საფინანსო-სადაზღვევო სექტორი - 5.4%) 19.7-ჯერ მეტია - თითქმის 1.5 მლრდ აშშ დოლარი (1466.6 მლნ აშშ დოლარი).

აღსანიშნავია, რომ ასევე ჯერადად (ცალკეული წლების მიხედვით, 3.5-15-ჯერ) მეტია უცხოური ინვესტიციების მოცულობა საქართველოს უძრავ ქონებაში სოფლის მეურნეობაში ინვესტიციებთან შედარებით. შეიძლება ითქვას, რომ საზღვარგარეთელი სუბიექტების მხრიდან ეს ქართული მიწისადმი, როგორც **საკუთრების ობიექტისადმი,** უფრო მაღალი ინტერესის (არამხოლოდ ეკონომიკური!) გამოხატულებაა, ვიდრე მისდამი, როგორც **მეურნეობის ობიექტისადმი.** (არჩვაძე ი. 2017).

მთლიანობაში იკვეთება ტენდენცია, რომლითაც სოფლის მეურნეობა თანდათან უფრო მეტ ყურადღებას იქცევს არამარტო სახელმწიფოსაგან, არამედ უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტორებისაგან, თვით ამ სფეროში დასაქმებული მეწარმენი, ფერმერები, გლეხური მეურნეობები უფრო ხშირად მიმართავენ საკრედიტო დაწესებულებებსაც თავიანთი საქმიანობის გაფართოებისათვის ფინანსური რესურსების მოსა-

ზიდად. მარტო **კომბანკებისაგან აგროდანიშნულებით გაცემული სესხების წლიური მაჩვენებელი 2013 წლის 1 იანვრის 59.2 მლნ ლარიდან, 2020 წლის 1 იანვრისათვის 482.2 მლნ ლარამდე გაიზარდა (8.1-ჯერ, მაშინ როდესაც მთლიანად ეროვნულ მეურნეობაზე გაცემული სესხების მოცულობა იმავე პერიოდში გაიზარდა მხოლოდ 3.2-ჯერ).** მთლიანობაში ამ დარგში აკუმულირებული ფინანსური რესურსები (სახელმწიფო სუბსიდირება, პუი-ები და კომერციული ბანკებისაგან აღებული კრედიტები) ჯამში 880.12 მლნ. ლარს შეადგენს, რაც „ნაციონალური მოძრაობის" ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო სამი წლის (2010-2012 წწ.) ანალოგიურ მაჩვენებელს 4,8-ჯერ აღემატება.

ბოლო წლებში (2017-2019 წწ.) აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის საშუალოწლიური ტემპი (აშშ დოლარებში) შეადგენდა 8.9%–ს, მაშინ, როდესაც იმპორტისა და მშპ-ს ზრდის ტემპები მას საგრძნობლად ჩამორჩებოდა (5.4-5.4% თითოეული მათგანის მიხედვით). 2019 წელს საქართველოდან ექსპორტირებული აგროსასურსათო პროდუქცია 2016 წელთან შედარებით, 202.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. ეს იმ დროს, როდესაც თავად ამ სახის პროდუქციის წილი საქართველოს მთლიან ექსპორტში შემცირდა 32.8%-დან 23.8%-ით. იმავე პერიოდში მხოლოდ აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტით შესაბამისი იმპორტის გადაფარვა გაიზარდა 64.9%-დან 71.5%-ით. (შედარებისათვის: დანარჩენი პროდუქციის მიხედვით ექსპორტით იმპორტის გადაფარვა დაახლოებით ორჯერ უფრო დაბალია - მხოლოდ 36.7%), რაზეც უფრო მკაფიო წარმოდგენას ცხრილი 2 იძლევა.

**საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის პოტენციალი 2016-2019 წლებში (%)**

*ცხრილი 2*

| წლები | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|
| **ექსპორტის თანაფარდობა იმპორტთან** | | | | |
| • სულ | 29.0 | 34.4 | 36.7 | 41.2 |
| • აგროსასურსათო პროდუქციის მიხედვით | 64.9 | 66.0 | 70.6 | 71.5 |
| **აგროსასურსათო პროდუქციის წილი** | | | | |
| • მთლიან ექსპორტში | 32.8 | 28.4 | 28.6 | 23.8 |
| • მთლიან იმპორტში | 11.4 | 11.0 | 10.9 | 9.7 |

ამასთან ერთად, მიუხედავად გამოკვეთილი შემცირების ტენდენციისა, სტაბილურად მაღალი რჩება აგროასურსათო პროდუქციის საგარეო სავაჭრო დეფიციტის მოცულობა. ის ბოლო წლებში დაახლოებით 400 მლნ აშშ დოლარის ფარგლებშია. მარტო ბოლო 4 წლის მანძილზე (2016-2019 წწ.) აღნიშნული დეფიციტის ჯამურმა სიდიდემ 1532.6 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია, რაც თითქმის საქართველოს 2010 წლის მთლიანი ექსპორტის ეკვივალენტურია. აღნიშნული დეფიციტის თანაფარდობამ, აგროსასურსათო პროდუქციის საგარეო სავაჭრო ბრუნვის მოცულობასთან, საშუალოდ 18.7%, მათ შორის მხოლოდ 2019 წელს - 16.6% შეადგინა. ქვეყნის შიდა მოხმარების მაღალი დამოკიდებულება ვლინდება იქიდანაც, რომ აგროსასურსათო პროდუქციის წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში არასდროს ჩამოსულა ორნიშნაზე დაბლა და მხოლოდ ბოლო წლებში ჩამოსცდა 15-პროცენტიან ნიშნულს.

საქართველოს აგრარული სექტორის ჩამორჩენილობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ **ბოლო წლებში აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის ღირებულება ან უტოლდება, ან აღემატება ქვეყანაში აგრარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებას,** ხოლო, თუ მხედველობაში მხოლოდ საქართველოს აგროსასურსათო პროდუქციის გამოყენების რესურსთან იმპორტის თანაფარდობას მივიღებთ, საქართველოს აგრარული სექტორის ჩამორჩენა კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება: აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის ღირებულება უკვე მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყნის აგრარულ სექტორში შექმნილ დამატებულ ღირებულებას, ხოლო ქვეყნის შიგნით გამოყენებულ აგროსასურსათო რესურსში იმპორტირებულის წილი, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ანომალიურად მაღალ დონეზეა (იხ.დიაგრამა 7).

ერთი პრობლემა ისაა, რომ სუსტი აგრარული სექტორის გამო ქვეყანას დიდი რაოდენობით სასურსათო პროდუქციის იმპორტი უწევს. მეორე, არანაკლები პრობლემაა ის, რომ ამგვარი იმპორტის დიდი ნაწილი ერთ ქვეყანაზე - რუსეთზეა დამოკიდებული. მაგალითად, 2020 წლის იანვარ-მაისში საქართველოში რუსეთიდან იმპორტირებულ იქნა ხორბლის 100%, სიმინდის 80.9%, ზეთის 90.6%. გაცილებით დივერსიფიცირებულია ენერგომატარებლების იმპორტი: რუსეთის წილად მოდის ნავთობპროდუქტების მხოლოდ 27.7% და ბუნებრივი აირის იმპორტის 12.4%.

**დიაგრამა 7**




## დასკვნა

ფაქტია, რომ ბოლო წლებში აგრარულ სექტორისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. სპეციალური სამთავრობო პროგრამა – „აწარმოე საქართველოში" ემსახურება ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებასა და მხარდაჭერას და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. ის, რომ ბოლო წლებში ამ სექტორში წარმოებული პროდუქცია უფრო მეტად გახდა სასაქონლო, ხოლო მასში საგრძნობლად გაიზარდა საექსპორტო პროდუქციის წილი, დიდწილად სწორედ ამ პროგრამის რეალიზაციის დამსახურებაა.

ამასთან, აგრარული სექქტორის წინაშე მდგარი სტრატეგიული ამოცანები ჯერაც გადაუჭრელია: ამ დარგში შრომის მწარმოებლურობა დაბალია, ხოლო ფინანსური ინექციებისა და ინვესტიციების მასშტაბები საგრძნობლად ჩამორჩება როგორც ეკონომიკის სხვა სფეროებში არსებულ მდგომარეობას, ასევე დარგის განვითარებისათვის მინიმალურად აუცილებელი რესურსების ოდენობას. თანაც, აგრარულ სექტორში სახელმწიფო ინექციების ეფექტიანობა საკმაოდ დაბალია.

არადამაკმაყოფლილებლად დაბალ დონეზეა დარგის წვლილი ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფაში, რის გამოც ყოველწლიურად რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი გაედინება ქვეყნიდან აგროსასურსათო პროდუქციის იმპორტის დასაფინანსებლად. განსაკუთრებით საგანგაშოა ქვეყნის სასურსათო თვითუზრუნველყოფის დონე სურსათის პირველადი სახეობების (ხორბალი, ხორცი) მიხედვით. აღნიშნული ვითარება განსაკუთრებით მოუთმენელია კორონავირუსის გლობალური პანდემიის პირობებში, როდესაც ქვეყნების უმრავლესობამ გეზი საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მკვეთრი ზრდის სტრატეგიაზე აიღო.

ვფიქრობთ, უახლოეს პერიოდში სახელმწიფომ უნდა გააგრძელოს და გაზარდოს მხარდაჭერა აგრარული სექტორისადმი, ხელი შეუწყოს, სამართლებრივად მოაგვაროს, დააჩქაროს და გაამარტივოს მიწის მოსახლეობის საკუთრებაში გადაცემისა და აღნიშნული აქტის იურიდიულად გაფორმების პროცედურა. გაატაროს ზომები, პირველ რიგში, ეკონომიკური წახალისებისა და მხარდაჭერის მხრივ, მიწების პარცელიზაციის პრობლემის დასაძლევად, რომელიც აშკარად ხელს უშლის მსხვილი ინვესტიციების და მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვას სოფლის მეურნეობაში, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებას. აღნიშნული პროცესის მედლის მეორე მხარეა აგრარულ სექტორში კოოპერატივების განვითარება, რაც მნიშვნელოვან სინერგიულ ეფექტს მოუტანს ამ სფეროს.

საქართველოს აგრარულ სექტორს განვითარებისათვის უზარმაზარი პოტენციალი აქვს, თუ უფრო რაციონალურად და ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, ისტორიულ-კულტურული და თავდაცვითი ფუნქციებიდან გამომდინარე, მეტი ყურადღება დაეთმობა ქვეყნის მთიანეთის პოტენციალის სრულ გამოყენებას. ფაქტობრივად, საქართველოს მთიანეთი, რომელსაც ქვეყნის ტერიტორიის ნახევარზე მეტი უკავია, ამ მხრივ უზარმაზარი პოტენციალის მატარებელია და შესაბამისად, მისი აგრარული კუთხით (პირველ რიგში) „რეკონკისტა" წაადგებოდა ქვეყნის დაჩქარებულ განვითარებას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

მთლიანობაში, ჩამოყალიბებული ღონისძიებები ერთობლივად არამარტო გაზრდიდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობას, მის მოცულობას, არამედ გააფართოებდა მსუბუქი და კვების მრეწველობისათვის სანედლეულო ბაზასაც, ხელს შეუწყობდა აგროსასურსათო პროდუქციის უარყოფითი საგარეო სავაჭრო ბალანსის თანდათანობით შემცირებას და დაძლევას, რაც გაზრდიდა ეკონომიკის მდგრადობას და პოზიტიურად იმოქმედებდა ეროვნული ვალუტის კურსსა და ინფლაციაზე, საბოლოო ანგარიშით კი - საქართველოს ეკონომიკურ გაძლიერებაზე, მის საერთაშორისო წონისა და ავტორიტეტის ამაღლებაზე.

**ლიტერატურა:**


- არჩვაძე ი. (2017). აგრარული სექტორის როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საქართველოს ეკონომიკაში. – „ეკონომიკური პროფილი“, N17.
- არჩვაძე ი. (2020). საქართველოს ეკონომიკა სსრკ-ის დაშლის წინა პერიოდში. - საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი.
- კოვზანაძე ი. (2019). საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური უზრუნველყოფის პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე. – „ეკონომიკა და ბიზნესი”, N1.
- კოღუაშვილი პ. (2019). სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების გამოცდილება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. – „ეკონომიკა და ბიზნესი“ N2.
- კოღუაშვილი პ., ჩიხლაძე ნ. (2019). სასურსათო დამოუკიდებლობა სახელმწიფოებრივი აუცილებლობაა. – „ეკონომიკა და ბიზნესი“, N 4.
- კოღუაშვილი პ. (2013). სოფლის გადარჩენა კოოპერაციული ტიპის ინტეგრირებული სისტემის შექმნაშია. „სოციალური ეკონომიკა“, №4.
- პაპავა ვლ. (2015). საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. თბილისი „ინტელექტი“.
- ქითანავა ნ. (2018). საქართველოს ეკონომიკის გამოწვევები და სტრატეგია. - თბილისი, „ივერიონი“.
- საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური წელიწდეული. - თბილისი, 2020. გვ. 89-100. www.geostat.ge.
- Сельское хозяйство Израиля: идеология плюс инновации. №2, 2013.
- List of Countries by GDP Sector Composition. http://statisticstimes.com/economy/countries-by-gdp-sector-composition.php

## References:


- Archvadze I. (2017). agraruli sektoris roli da mnishvneloba tanamdrove sakartvelos ekonomikashi. [The Role and Importance of the Agrarian Sector in the Economy of Modern Georgia. - "Economic Profile", N17.] in Georgian.
- Archvadze I. (2020). sakartvelos ekonomika SSRK-is dashlis tsina periodshi. [Georgian Economy in the Period before the Collapse of the USSR. - Georgian Foundation for Strategic and International Studies, Tbilissi.] in Georgian.
- Kovzanadze I. (2019). sakartvelos soplis meurneobis pinansuri uzrunvelqopis politika tanamedrove etapze. [Georgia's Agricultural Financial Support Policy at the Contemporary Stage. - "Economics and Business", N1.] in Georgian.
- Koguashvili P. (2019). sasoplo-sameurneo kooperatsiis ganvitarebis gamotsdileba msoplios skhvadaskhva kveqanashi. [Experience in the Development of Agricultural Cooperation in Different Countries of the World. - "Economics and Business", N2.] in Georgian.
- Koguashvili P., Chikhladze N. (2019). sasursato damoukidebloba sakhelmtsipoebrivi autsileblobaa. [Food Independence is a State Necessity. - "Economics and Business", N 4.] in Georgian.
- Koguashvili P. (2013). soplis gadarchena kooperatsiuli tipis integrirebuli sistemis shekmnashia. [Rural Saving is the Creation of an Integrated System of Cooperative Type. "Social Economy", №4.] in Georgian.
- Papava Vl. (2015). sakartvelos ekonomika. repormebi da psevdorepormebi [Economy of Georgia. Reforms and Pseudo-Reforms. Tbilisi "Intellect".]in Georgian.
- Chitanava N. (2018). sakartvelos ekonomikis gamotsvevebi da strategia. [Challenges and Strategy of the Georgian Economy. - Tbilisi, "Iverion".]in Georgian.
- sakartvelos soplis meurneoba. statistikuri tselitsdeuli.[Agriculture of Georgia. Statistical Yearbook. - Tbilisi, 2020. p. 89-100.] www.geostat.ge.
- Selskoye khozyaystvo Izrailya: ideologiya plyus innovatsii [Agriculture of Israel: Ideology Plus Innovation. №2, 2013.] in Russian.
- List of Countries by GDP Sector Composition. http://statisticstimes.com/economy/countries-by-gdp-sector-composition.php

# Georgia's Agriculture Faces Actual Challenges

**Paata Koguashvili**
*Professor*
*Georgian Technical University*
*paata_koguashvili@hotmail.com*

**Ioseb Archvadze**
*Professor*
*Kutaisi Univrsity*
*josepharchvadze@yahoo.com*

Georgia's agriculture is gradually emerging from the severe, protracted economic crisis that has plagued it since the 1990s. It is true that the volume of output and value added in this sector has increased in recent years and the volume of the latter amounted to 3112.2 million GEL in 2019 (7.2% of GDP), however, if we compare it with other sectors and fields of the economy, the situation is not so good.

In recent years, financial support from the state has clearly affected the agricultural sector, although the economic growth of the sector is still quite weakly correlated with the growth of state subsidies. During this period, the whole economy grew 2.6 times faster and grew by 33.2% compared to 2012. Agriculture - according to the increase in the last 7 years (2013-2019) (which was observed only for 2 years (2013 and 2018) - was in the penultimate place, however, there was a decrease in value added in the sector and due to it the volume decreased by 11.2% in 2017. Despite some growth, the concept of "*sustainable development*" is still the least appropriate for Georgia's agriculture.

Accordingly, the development of agriculture in Georgia requires relatively more state attention and relatively new methods and forms of support, management and organization.

**Keywords:** *Agriculture, agri-food products, self-sufficiency level, export, import.*

**JEL Codes:** *Q10, Q12, Q13, Q14*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 85-100
ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 85-100

# ბიზნესმოდელების ანალიზი საქართველოს სოციალური საწარმოების მაგალითზე

**ნინო ჯანელიძე**
*დოქტორანტი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
nin89@gmail.com

*სოციალური მეწარმეობა - ესაა ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე სუბიექტის ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც იყენებს სამეწარმეო მიდგომას იმ კონკრეტული სოციალური პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული მისიის შესასრულებლად, რომელიც ვერ იქნა გადაჭრილი საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნის გამო.*

*სოციალური საწარმოების კვლევისას ბიზნესმოდელების გამოყენება საშუალებას გვაძლევს გადავიდეთ ანალიზის ახალ საფეხურზე.*

*სტატიაში ბიზნესმოდელის კონცეფცია გამოყენებულია ცალკეული ქეისების განხილვისას, სოციალური მეწარმეობის წარმატებული მოდელების თავისებურებებისა და ნიშან-თვისებების გამოსავლენად.*

*სტატიაში წარმოდგენილია ოთხი წარმატებული ორგანიზაციის მაგალითი, რომლებიც საქმიანობენ სოციალური მეწარმეობის სფეროში. სოციალური მეწარმეობის ძირითადი მოდელების ფორმირების თავისებურებების გამოსავლენად, ნაშრომში კვლევის სტრატეგიად გამოყენებულია ქეის-მეთოდი.*

*ნაშრომში გაანალიზებულია თეორიული მოსაზრებები. წარმატებული სოციალური საწარმოები:*

*განსაზღვრავენ თავიანთ ადგილს ღირებულებათა ჯაჭვში შესაბამის სექტორში, ასევე დასაწყისშივე პროაქტიულად ახორციელებენ ღირებულებების შექმნის საკუთარი ქსელის ფორმირებას კომპანიებთან ერთად;*

*დეტალურად და ზუსტად განსაზღვრავენ საჭირო რესურსებს და შესაბამისად ახორციელებენ სარესურსო სტრატეგიის ფორმირებას, რისი დანერგვაც ხდება ბიზნეს-მოდელში საქმიანობის ადრეულ სტადიებზე;*

*ახორციელებენ მიზნობრივი ჯგუფების ინტეგრირებას სოციალური ღირებულებათა ჯაჭვში საქმიანობის ადრეულ სტადიებზე, რაც გულის-*

*ხმობს ამ ჯგუფების აქტიურ მონაწილეობას ღირებულების შექმნაში და მათ საშუალებას აძლევს აითვისონ შექმნილი ღირებულების გარკვეული ნაწილი.*

***საკვანძო სიტყვები:*** *სოციალური მეწარმეობა, ბიზნესმოდელი, ქეისების მეთოდი, ღირებულებათა ჯაჭვი, საკვანძო რესურსები.*

***JEL Codes:*** *L20, L21, L26*

## შესავალი

ბიზნესმოდელი - ეს არის მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული კომპონენტების სისტემა, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ორგანიზაციების მიერ ღირებულების შექმნის პროცესში. ბიზნესმოდელი, ერთი მხრივ, გვეხმარება გავიგოთ ფირმების მიერ ღირებულების შექმნის უნიკალური მეთოდების ლოგიკა, რომელიც მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, კლიენტებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, ხსნის ფირმების მიერ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ათვისების და მოხმარების პროცესებს.

ბიზნესმოდელების ანალიზის ერთეულის სახით გამოყენება, სოციალურ მეწარმეობაში გამოყენებული ბიზნესმოდელების ტიპებისა და სპეციფიკის შესწავლა, მათი ფორმირების თავისებურებების განხილვა საშუალებას იძლევა გავიგოთ, თუ როგორ იქმნება ღირებულება და როგორ ხდებიან ორგანიზაციები წარმატებულები.

კონკრეტული ორგანიზაციების ბიზნესმოდელების შესწავლაზე აქცენტირება საშუალებას გვაძლევს გავიგოთ ღირებულების შექმნის და მიკუთვნების რთული და სპეციფიკური პროცესი, რომელიც დამახასიათებელია სოციალური საწარმოებისთვის და ამავდროულად მივიღოთ გაცილებით უფრო ერთიანი, მთლიანი გაგება, თუ როგორ მუშაობს სოციალური საწარმო და როგორ აღწევს წარმატებას პარტნიორებთან, კლიენტებთან, მომწოდებლებთან ურთიერთქმედების რთულ სისტემაში.

## ქეისების ანალიზი

ნაშრომში განხილულია ოთხი ქეისი – ქართული სოციალური საწარმოები/პროექტები, რაც, წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ სხვადასხვა პროექტის ფარ-

გლებში გაცემული გრანტების ბენეფიციარებს[1].

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ თითოეული შერჩეული ორგანიზაცია საქმიანობას ახორციელებს ისეთი მიმართუოლებით, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით საკმარისი ხარისხით ვერ იქნა ათვისებული სახელმწიფოსა და ბაზრის მიერ, ეს მიმართულებებია - პატიმართა რესოციალიზაცია, რეგიონში მცხოვრებ ქალთა საზოგადოებრივი ინტეგრაცია, მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების დროული იდენტიფიკაცია და რეაბილიტაცია.

ცხრილში 1, თითოეულ პროექტთან მიმართებით, აღწერილია სოციალური პრობლემა, მასთან დაკავშირებული საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნა, მისი გადაჭრის გზები სოციალური მეწარმეების მიერ და ორგანიზაციების მისიების ფორმულირება.

სოციალური პრობლემის გამოვლენა, მისი საბაზრო შესაძლებლობად გადაქცევა, აგრეთვე ინოვაციური გადაწყვეტილებების ძიება და მათი რეალიზება სტაბილური ბიზნესმოდელის დახმარებით – ესაა გზა, რომელსაც გადის სოციალური მეწარმე თავისი პროექტის რეალიზების პროცესში.

გაანალიზებულ ქეისებში (ცხრილი 2) წარმოდგენილია ბიზნესმოდელების აგების ძირითადი კომპონენტები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია გარკვეული ვარაუდების გამოთქმა და ქართული სოციალური საწარმოების ბიზნესმოდელებისთვის დამახასიათებელი თავისებურებების ახსნა.

სოციალური მეწარმეობის ძირითადი მოდელების განხილვისას, ყველა კომპონენტი გაანალიზებულია მომხმარებელთან - ბენეფიციართან მიმართებით. იმ შემთხვევებში, როდესაც მომხმარებელი და მყიდველი სხვადასხვაა, მომხმარებელი გვევლინება ცენტრალურ დაინტერესებულ მხარედ, რომლისთვისაც ორგანიზაცია ქმნის ღირებულებას. ამგვარად ხდება პროექტის ხელოვნური დაყოფა სოციალურ და ეკონომიკურ ნაწილებად. მაგალითად, პროგრამაში „ფრილანსერი" შესაძლებელია გავავლოთ მკაფიო გამყოფი ხაზი შექმნილი სოციალური ფასეულობის ნაწილსა (განსაზღვრული ჯგუფის სოციალური პრობლემის გადაჭრა - პატიმართა თერაპია და რესოციალიზაცია) და იმ ნაწილს შორის, რომელიც

1 საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრმა 2009 წელს საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სოციალური მეწარმეობის განვითარებას ახალი პროგრამული მიმართულებით. ცენტრი 2010 წლიდან, სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, აცხადებს საგრანტო კონკურსებს სოციალური საწარმოს დაფუძნების მსურველთათვის. 2010 წლიდან დღემდე ფონდმა 37 სოციალურ მეწარმეს დაუჭირა მხარი (http://segeorgia.org/iinfo.php?ID=44).

*ცხრილი 1*

**სოციალური პრობლემები და გადაჭრის გზები: ქეისების ანალიზი**

| | **პრობლემა** | **საბაზრო და სახელმწიფო პოლიტიკის ჩავარდნა** | **გადაჭრის გზა** | **ორგანიზაციის მისია** |
|---|---|---|---|---|
| **ქეისი 1 –** პროგრამა „ფრილანსერი" - დასაქმების პლატფორმა მსჯავრდებულთათვის | არ გამოიყენება სასჯელაღსრულებების დაწესებულებებში მყოფი პატიმრების ინტელექტუალური პოტენციალი | პრობლემა არ არის აღიარებული სახელმწიფოს მიერ, ორგანიზაცია აღნიშნულ პრობლემაზე მუშაობს მხოლოდ ლოკალურ დონეზე | მსჯავრდებულთა გადამზადების საფუძველზე დამკვეთებისთვის პროდუქტის შექმნა (ტექსტების გაციფრულება, ვიდეო მასალებზე ტიტრების დადება, აუდიომონტაჟი) | პატიმართა რესოციალიზაცია, დასაქმება და საქონლის/მომსახურების პროცესის შექმნაში ჩართულობა |
| **ქეისი 2 –** პროექტი „გამჭვირვალე ხელები" | აფენის, ჰერეთის, შრომის, ვარდისუბნის და ცოდნისკარის თემში მცხოვრები ქალების თვითრეალიზება | რეგიონებში სათანადოდ არ ექცევა ყურადღება ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ და შემოქმედებით განვითარებას | შეირჩა 10 ყველაზე აქტიური ქალი, მოეწყო მათი ნამუშევრების გამოფენა | თემის მოსახლეობის გააქტიურება |
| **ქეისი 3 –** პროგრამა „ახალგაზრდები ცვლილებებისთვის" | მოზარდებს არ აქვთ სხვადასხვა აქტივობით დაკავების შესაძლებლობა | საბიუჯეტო სახსრები ძირითადად გათვლილია მცირე ასაკის კონტიგენტზე | წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ მუჟავაში სპორტული მოედნის მოწყობა | სოფელში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში |
| **ქეისი 4 –** პროექტი „ცისარტყელა" | განვითარების შეფერხების ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვების დროული იდენტიფიცირება | ბავშვებზე ზრუნვისა და სოციალური რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამების ხელმისაწვდომობა | სოფლებში მცხოვრები 0-7 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის სოციალური რეაბილიტაციის რესურსებზე ხელმისაწვდომობა | ბავშვებზე ზრუნვის სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა |

*წყარო: შედგენილია ავტორის მიერ*

## ქეისების მოდელის კომპონენტების აღწერა

*ცხრილი 2*

| ბიზნესმოდე-ლის კომპო-ნენტი | **ქეისი 1 –** პროგრამა "ფრილანსერი" - დასაქმების პლატფორმა მსჯავრდებულთათვის | **ქეისი 2 –** პროექტი „გამჭვირვალე ხელები“ | **ქეისი 3 –** პროგრამა „ჯანსაღი მომავალი თაობა - სპორტი და განვითარება“ | **ქეისი 4 –** პროექტი „ცისარტყელა“ |
|---|---|---|---|---|
| **სტრატეგიული მოდელი** | | | | |
| **ღირებუ-ლების შეთავაზებ** | პატიმართა რესოციალიზაცია მათი გონებრივი რესურსის გამოყენებით, კერძოდ ტექსტების გაციფრულება და აუდიო მონტაჟი | თემის მაცხოვრებელთა გააქტიურება, პიროვნული განვითარება | სპორტული მოედნის მოწყობა ახალგაზრდებისთვის სპორტით დასაკავებლად | ბავშვთა ადრეული განვითარების სკრინინგი |
| **სამომხმარებ-ლო სეგმენტი** | სასჯელაღსრულების დაწესებულებების მსჯავრდებულები | ლაგოდეხის მუნიცი-პალიტეტის სოფლე-ბის -აფენის, ჰერე-თის, შრომის, ვარდის-უბნის და ცოდნის-კარის თემის მოსახ-ლეობა | ბავშვები და მოზარდები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში | თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში 0-7 წლამდე ასაკის ბავშვები |
| **საკვანძო რესურსები** | კონტაქტები და მეთოდიკა, რომ-ლის მეშვეობითაც ხდება იმ პა-ტიმართა გამოვლენა, რომლე-ბსაც არ შეუძლიათ ფიზიკურად მუშაობა, მაგრამ გააჩნიათ შესაბამისი ინტელექტუალური პოტენციალი | სწორად შერჩეული სოციალური აქტივობა | სპორტული მოედანი, ტრენერები | ბავშვთა ადრეული განვითარების სპეციალისტები, მშობლების ჩართულობა |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **საქმიანობის ძირითადი სახეები** | პატიმართა მოძიება, გამოვლენა, ტრენინგები, გადამზადება, ურთიერთობების მართვა ნდობისა და კომფორტის ზონის განვითარების გზით | არაფორმალური განათლების მიღების ცენტრი, სემინარების მოწყობა, დასუფთავების აქციები | ტრენერებთან ვარჯიში | ბავშვის შეფასება მულტი-დისციპლინური გუნდის მიერ, განვითარების ინდი-ვიდუალური გეგმის შემუშა-ვება (მშობლის ჩართულო-ბით) ინდივიდუალური, ჯგუ-ფური მეცადინეობები, სა-ბავშვო ბაღის და აღმზრ-დელის კონსულტირება. პროგრამიდან გასვლის შემდეგ ბავშვის განვითა-რებაზე ზედამხედველობა |
| **საოპერაციო მოდელი** | | | | |
| **ღირებულებათა ჯაჭვი** | აქტიური თანამშრომლობა სხვადასხვა ორგანიზაციასთან პატიმართა მოძიების და შერჩევის მიმართულებით | საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით ორგანიზაციის პოპულარობის გაზრდა | ადგილობრივ ქალაქის ხელისუფლებასთან, სკოლებთან, სხვადასხვა რეგიონის სპორტული სუბკულტურების ლიდერებთან ურთიერთობები | ბავშვთა განვითარების პოტენციალის სრულად გამოვლენა, განვითარების შეფერხების პრევენცია, სხვადასხვა საჭიროების დროული იდენტიფიცირება და შესაამის პროგრამაზე გადამისამართება |
| **მომხმარებ-ლებთან ურთიერთობა** | ადგილობრივ და საერთაშორისო პლატფორმებზე კურატორის მეშვეობით დამკვეთების მოძიება | აღვიძებენ ბავშვებში ცნობისმოყვარეობას, გვევლინებიან მათ თა-ნამგზავრებად ცოდნის მიღების სამყაროში მოგზაურობისას | ახალგაზრდების მოზიდვა ვარჯიშების მოწყობით, სხვადასხვა ღონისძიება, სოციალური ქსელები | ოჯახებთან კონტაქტების დამყარება, სკოლების და ბაგა-ბაღების აღმზრდელებთან კონსულტაციები |

*გაგრძელება*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **გასაღების არხები** | მომხმარებლის გამოვლენა სპეციალური მეთოდიკის მეშვეობით, კონტროლის განხორციელება დაწესებულების გარეთ საერთო კურატორის მეშვეობით | მომხმარებელთა ინფორმირება სოციალური ქსელების მეშვეობით, სამოქალაქო აქტივობაში, ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება | მომხმარებელთა ინფორმირება გაცნობითი ხასიათის ვარჯიშებით | განვითარების აქტიური მეთოდების გამოყენება პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით |
| **შემოსავლის წყარო** | შემოსავლების მიღების შერეული მეთოდი, გრანტების მოზიდვა და აგრეთვე შემოსავლები პროგრამის ბენეფიციართა მიერ დამზადებული პროდუქტის/სერვისის გაყიდვიდან | შემოსავლების მიღების შერეული მეთოდი (შემოსავლები საქმიანობიდან და დაფინანსების არასაბაზრო წყაროები) | დაფინანსების არასაბაზრო წყაროები | დაფინანსების არასაბაზრო წყაროები |

წყარო: *შედგენილია ავტორის მიერ.*

წარმოადგენს პროექტის ფინანსური სტაბილურობის წყაროს (შექმნილი სერვისის რეალიზაცია). ეს საკმაოდ ხელოვნური დაყოფაა, რამდენადაც, მაგალითად, მიღებული შემოსავლების ნაწილის გადაცემა პატიმრებისთვის შესრულებული სამუშაოების ანაზღაურების სახით, წარმოადგენს ამ პირების ფინანსური სტაბილურობის მნიშვნელოვან წყაროს და ქმნის საბოლოოდ დადებით სოციალურ ეფექტს. კომერციულ ორგანიზაციებში მყიდველი წარმოადგენს ბენეფიციარსაც, მაშინ როდესაც არაკომერციულ ორგანიზაციებში არსებობს მხოლოდ მომხმარებელი-ბენეფიციარის გაგება, სოციალურ მეწარმეობაში კი ამგვარი განცალკევებული გაგება არ არსებობს, აქ საქონლის/მომსახურების მოხმარება ქმნის სოციალურ ღირებულებას და ბენეფიციარი შესაძლებელია იყოს როგორც მყიდველი, ასევე სხვა სამიზნე ჯგუფი.

***ღირებულების შეთავაზება*** თანდათანობით განიცდის ტრანსფორმაციას სოციალური საწარმოს მოდელის ცვლილებასთან ერთად და ხდება უფრო ფართო, ვიდრე კომპანიის მიერ თავდაპირველად იყო დეკლარირებული. მაგალითად, პროგრამაში - „ფრილანსერი", ორგანიზაციის საქმიანობის გაფართოვებასთან ერთად, იზრდება იმ ამოცანათა რაოდენობაც, რომელიც უნდა გადაჭრას ორგანიზაციამ, ანუ თუ თავდაპირველად ძირითად მიზანი მდგომარეობდა პატიმართა ფსიქოლოგიური დახმარების აღმოჩენაში, თანდათანობით მას მიუერთდა ისეთი ამოცანებიც, როგორიცაა ვიდეო-აუდიო მონტაჟის და ტექსტების გაციფრულების სწავლება მათი სოციალურ-ეკონომიკური ადაპტაციის პროცესის ხელშეწყობისთვის, ბიუჯეტირების საბაზისო უნარების განვითარება შემოსავლების მიღების გზებთან დაკავშირებით მათი დამოკიდებულების შეცვლის მიზნით.

ფასეულობების გაფართოება სოციალურ მეწარმეობაში ხდება იმაზე უფრო სპონტანურად, ვიდრე ტრადიციულ მეწარმეობაში, როდესაც კომპანიები ადრიდანვე გეგმავენ ახალ ბაზრებზე გასვლას, ახალი პროდუქტების დანერგვას და სხვ. სოციალურ მეწარმეობაში ფასეულობათა გაფართოვება უფრო მეტად იძულებითი ხასიათისაა, რომელიც გამოწვეულია ბენეფიციართა სპეციფიკურობით, მაგალითად, მოწყვლად სოციალურ ჯგუფებს, რომლებიც არიან ძალადობის მსხვერპლნი, ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხშირად არ გააჩნიათ გარე სამყაროსთან კომუნიკაციის დამყარების სურვილი, ამ შემთხვევაში სოციალური საწარმოს ძირითადი მიზანი შესაძლოა მდგომარეობდეს ასეთი ჯგუფების რეინტეგრაციაში, მაგრამ საჭირო გახდეს დამატებითი კომპეტენციების განვითარება (ბენეფიციართათვის ფსიქოთერაპიის კურსების შეთავაზება), ან მისი მიღება პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით, ამ შემთხვევაში სოციალური მეწარმე იძულებულია ცვლილება შეიტანოს ბიზნეს-

მოდელში და გააფართოვოს განსაზღვრულ სეგმენტზე თავდაპირველად შეთავაზებული ფასეულობა. თუმცა, სოციალური მეწარმის შესაძლებლობა გააფართოვოს შექმნილი ფასეულობა, შეზღუდულია ორგანიზაციის ოპერაციული ეფექტიანობით. ამგვარად, სოციალურ მეწარმეს, როგორც წესი, აქვს განვითარების ორი შესაძლო გზა - გააფართოვოს შექმნილი ფასეულობა საკუთარი ბიზნეს-მოდელის შეცვლით, ან კონცენტრირდეს მხოლოდ საკუთარ ძირითად კომპეტენციებზე და შეკრას პარტნიორების საიმედო ქსელი, რომელთათვისაც ორგანიზაციას შეეძლება იმ ფუნქციების გადანაწილება, რომლებიც მოითხოვს დამატებითი კომპეტენციების განვითარებას.

***საკვანძო რესურსები.*** წარმატებული სოციალური მეწარმეები პროაქტიურად ამყარებენ კონტროლს საკვანძო რესურსებზე. მაგალითად, ბავშვთა ადრეული განვითარების ცენტრი „ცისარტყელა"-სთვის ძირითად რესურსს წარმოადგენს პედაგოგები. პროგრამაში „ფრილანსერი" კი ძირითადი სტრატეგიული რესურსი - ესაა ის სისტემა (მეთოდიკა, კონტაქტები სპეციალურ დაწესებულებებთან და ა.შ), რომლის დახმარებითაც ხდება პატიმრებთან მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციული მეწარმეობისგან განსხვავებით, როდესაც ორგანიზაციები აკონტროლებენ ისეთ რესურსებს, როგორიცაა, მაგალითად, ადამიანური და ფინანსური რესურსები, სოციალურ მეწარმეობაში ფირმები ხშირად არიან დამოკიდებულნი სხვა ორგანიზაციებზე (მაგალითად, იყენებენ მოხალისეთა შრომას, იღებენ გრანტებს, სუბსიდიებს და ა.შ). რესურსებზე დამოკიდებულების თეორიის თანახმად, ამგვარ სიტუაციებს ხშირად მივყავართ სოციალური მეწარმეობის სფეროში მომუშავე ფირმების კონფრონტაციულ დამოკიდებულებამდე (Pfeffer და Salancik 1978) გარე დაინტერესებულ მხარეებზე. ამიტომაც, ამგვარ სიტუაციებში მნიშვნელოვან როლს თამაშობს პარტნიორთა ქსელი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პარტნიორებთან ურთიერთობების განვითარება ითამაშებს კიდევ უფრო მნიშვნელოვან როლს ორგანიზაციის სტაბილურობისთვის სოციალურ მეწარმეობაში ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეებთან შედარებით. პარტნიორებთან სტაბილური, გრძელვადიანი ურთიერთობების განვითარება არის კომპანიის წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

***საქმიანობის ძირითადი სახეები.*** ყველა პროექტში საქმიანობის ძირითად სახეს მიეკუთვნება მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვა. უპირველეს ყოვლისა, ეს უკავშირდება იმას, რომ უმეტეს შემთხვევებში ორგანიზაციები ახორციელებენ არა-მხოლოდ განსაზღვრული საქონლის/მომსახურების მიწოდებას, არამედ წყვეტენ ადამიანთა კონკრე-

ტული ჯგუფების სოციალურ პრობლემებსაც. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ მეწარმეობაშიც ბევრი კომპანია თავის საქმიანობაში გამოყოფს კლიენტებთან ურთიერთობების მართვას, როგორც საკვანძო მიმართულებას, თუმცა, სოციალური მეწარმეობის სპეციფიკა ურთიერთობების ემოციურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებზე აქცენტირებაა. ამგვარი მიდგომა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია თავად სოციალური მეწარმეობის არსთან - საქმიანობის მიმართვა კონკრეტული სოციალური პრობლემის გადაჭრაზე - და აგრეთვე დაკავშირებულია ბენეფიციართა თავისებურ ბუნებასთან, რომელიც ხშირად გამოხატულია კარჩაკეტილობით, გარშემო მყოფებთან კომუნიკაციის დამყარების სურვილის არქონით, რაც ორგანიზაციებისაგან მოითხოვს მომხმარებლებთან უფრო მეტად ემოციური და ფსიქოლოგიური კონტაქტების დამყარებას.

***ღირებულებათა ჯაჭვი.*** ღირებულებათა ჯაჭვი იძენს უფრო დიდ მნიშვნელობას სოციალურ მეწარმეობაში, ვიდრე ტრადიციულში, ორგანიზაციის საქმიანობის ყველა ეტაპზე სხვა ორგანიზაციების რესურსების ხშირი გამოყენების აუცილებლობიდან გამომდინარე.

თავიანთი მიზნების განხორციელების გზაზე, სოციალური მეწარმეები ხშირად აწყდებიან ინსტიტუციურ ბარიერებს არამხოლოდ ფორმალური (მაგალითად, სამართლებრივი), ასევე არაფორმალური (მაგალითად, ნორმები, წეს-ჩვეულებები, ტრადიციები) კუთხითაც. მათი შეცვლა მოითხოვს არამხოლოდ მოთმინებას, არამედ პროაქტიურ პოზიციასაც ძირითად პარტნიორებთან სტაბილური, გრძელვადიანი, ფასეულობათა გაზიარებაზე დაფუძნებული ურთიერთობების ფორმირებასთან მიმართებით. ღირებულებათა ჯაჭვის ფორმირების სირთულეები განხილულ ორგანიზაციებში შესაძლებელია აიხსნას სოციალური მეწარმეობის ზოგადი სპეციფიკით, რომელიც დაკავშირებულია ახალ სფეროებში გარღვევის განხორციელებასთან.

***მომხმარებლებთან (ბენეფიციარებთან) ურთიერთობა.*** ყველა პროექტში შესაძლებელია გამოიყოს მომხმარებლებთან პროაქტიური ურთიერთქმედების საკითხი. აუცილებელია ხაზგასმა, რომ მომხმარებლის მოთხოვნაზე ორიენტირება, მისი ჩართულობა ღირებულების შექმნაში და პერსონალური მხარდაჭერა დღესდღეობით ხდება ნორმა ყველა გრძელვადიან განვითარებაზე ორიენტირებული კომპანიისთვის, სოციალური მეწარმეობა კი - ამ მხრივ გამონაკლისი არ არის. თუმცა, სოციალური მეწარმეობის სპეციფიკად მიიჩნევა მომხმარებელთან ურთიერთქმედების განსაკუთრებული თავისებურებები. პირველ რიგში, ბენეფიციარები, ხშირად ობიექტური მიზეზების გამო, არიან ჩაკეტილნი და არ სურთ კონტაქტის დამყარება გარშემომყოფებთან, მეორეც, ბენეფიციარებს, როგორც წესი,

აქვთ დაბალი თვითშეფასება, რაც სოციალური მეწარმეების მხრიდან მოითხოვს სპეციალური ტექნიკის შემუშავებას კეთილდღეობის პოტენციურ მომხმარებელთა განსაზღვრისთვის. მესამე, სოციალური მეწარმეები ხშირად ახორციელებენ გარღვევას იმ სფეროებში, სადაც ადრე არ არსებობდა ბაზარი, რაც თავის მხრივ, ნიშნავს პოტენციურ მომხმარებლებში ინფორმირებულობის დაბალ დონეს შეთავაზებული საქონლის ან/და მომსახურების შესახებ, ეს კი მოითხოვს პოზიტიური აღქმის ფორმირებას და ტრადიციულ მეწარმეობასთან შედარებით, მომხმარებელთან უფრო მეტად პერსონალური, პროაქტიური ურთიერთობების ფორმირებას.

***გასაღების არხები.*** მნიშვნელოვანი როლი პროექტების რეალიზაციაში უჭირავს მომხმარებელთა ინფორმირებას შეთავაზებული საქონლის/მომსახურების შესახებ. ტრადიციული არხების მეშვეობით ინფორმირება, როგორიცაა რეკლამა, შეტყობინებების დაგზავნა და სხვ. გაანალიზებულ პროექტებში/ორგანიზაციებში პრაქტიკულად არ გამოიყენება. დიდი მნიშვნელობა აქვს პარტნიორებს, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ბენეფიციარების მოზიდვა. გარდა ამისა, გასაღების მნიშვნელოვან არხად სოციალური მეწარმეები იყენებენ საყოფაცხოვრებო მარკეტინგის ინსტრუმენტებს (event marketing), ანუ საქონლის/მომსახურების განვითარებაზე მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსის შექმნას.

***შემოსავლის მიღება.*** ორ პროექტში გამოყენებულია შემოსავლის მიღების შერეული მიდგომა (შემოსავალი საქმიანობიდან და ქველმოქმედებით მიღებული სახსრები), ხოლო ორ პროექტში გამოყენებულია ფინანსური სტაბილურობის მხოლოდ არასაბაზრო მექანიზმები. შემოსავლის საბაზრო და არასაბაზრო წყაროების ერთობლიობა დამახასიათებელია სოციალური მეწარმეობისთვის, როგორც შერეული ტიპის ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმისთვის. სწორედ ასეთი სტრატეგიის ხარჯზე სოციალურ მეწარმეებს შესწევთ უნარი განახორციელონ გარღვევა ისეთ სფეროებში და შექმნან ბაზარი იქ, სადაც კომერციული კომპანიებისთვის არ არის ხელსაყრელი ბაზრის შექმნა. პროექტების - „ფრილანსერი" და „გამჭვირვალე ხელები" მოდელში ხორციელდება დამატებითი ელემენტების ჩართვა, რომელიც უზრუნველყოფს შემოსავლის საკუთარი წყაროების განვითარებას და მიმართული იქნება თვითკმარობის ეტაპზე თანდათან გადასვლისკენ. ამგვარი განვითარება იძლევა არაკომერციული ორგანიზაციებისთვის დამახასიათებელ პროექტზე ორიენტირებული მიდგომიდან ისეთ მიდგომაზე გადართვის შესაძლებლობას, რომელიც ეფუძნება საქმიანობის გრძელვადიან განხორციელებას და შედეგად, სოციალური პრობლემის გადაჭრას სისტემურ საფუძველზე. სოციალური მეწარმის საქმიანობის მთავარი მოტივატორი არის განსაზღვრულ სი-

ტუაციასთან შეურიგებლობა და სისტემური ცვლილებების მიღწევისკენ სწრაფვა, რაც შესაძლებელია მხოლოდ საქმიანობის გრძელვადიანი დაგეგმარების გამოყენებით.

ზოგიერთ შემთხვევაში შემოსავლის წყაროდ გვევლინება თავად ბენეფიციარი, თუმცა, უფრო ხშირ შემთხვევაში, შემოსავლის წყაროს წარმოადგენს მესამე მხარე. ეს უმეტეს შემთხვევებში აიხსნება ბენეფიციართა გადახდისუუნარობით და სოციალური მეწარმეების მიერ ისეთი ბიზნესმოდელის აგების აუცილებლობით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება სტაბილური ფუნქციონირება სხვა დაინტერესებული მხარისგან შემოსავლის მიღების ხარჯზე.

ბალანსის დაცვა სოციალური პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული ძირითადი მისიის განხორციელებასა და ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნებას შორის მნიშვნელოვანია არამხოლოდ თვით ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის მიღწევის თვალსაზრისით, არამედ ასეთი ორგანიზაციების არსებობის ლეგიტიმურობის თვალსაზრისითაც იმის დემონსტრირებით, რომ სოციალური პრობლემების გადაჭრა შესაძლებელია ბიზნესინსტრუმენტების მეშვეობითაც.

## დასკვნა

სოციალური მეწარმეობის ბიზნესმოდელების ანალიზი გვეხმარება იმ ლოგიკის გააზრებაში, რომელიც საფუძვლად უდევს ფირმების საქმიანობას, ასევე მათ სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიმართულია ღირებულებების შექმნისა და მიღებისკენ, ამიტომაც, ბიზნესმოდელების თავისებურებების განხილვა სოციალურ მეწარმეობაში და ბიზნესმოდელის, როგორც ანალიზის ერთეულის გამოყენება სოციალურ მეწარმეობაში სავსებით ლოგიკურია.

ყველა გაანალიზებულ პროექტში ადგილი აქვს არასაბაზრო რესურსების აქტიურ მოზიდვას დანახარჯების მინიმიზაციისთვის. სწორედ არასაბაზრო რესურსების გამოყენება, სოციალურ მეწარმეებს, როგორც წესი, აძლევს საშუალებას დანახარჯები დაიყვანონ მინიმუმამდე და განახორციელონ საქმიანობა დაბალმარგინალურ სფეროებში, სადაც ტრადიციული ბიზნესისთვის საქმიანობის განხორციელება არახელსაყრელია.

მიუხედავად გაანალიზებული ორგანიზაციების სხვადასხვა სფეროზე მიკუთვნებისა, განხილულ ქეისებში გამოვლენილი იქნა რიგი კანონზომიერება, რაც ადასტურებს სოციალური მეწარმეობის სპეციფიკური ხასიათის არსებობას და ხაზს უსვამს სოციალური მეწარმეობის მოდელების განსაკუთრებულობას.

## ლიტერატურა


- გველესიანი რ., ერქომაიშვილი გ., გოგორიშვილი ი., ლეკაშვილი ე., ფარესაშვილი ნ., ხურცია ლ. (2017). სოციალური მეწარმეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- მურღულია შ., მოდებაძე ზ., მხეიძე ი., დათუაშვილი ე. (2017). სოციალური მეწარმეობის სახელმძღვანელო. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი.
- სამადაშვილი უ. (2018). „ევროკავშირისა და ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ინტეგრაცია - გლობალური სტაბილურობის პირობა." გლობალიზაცია და ბიზნესი, №6 194-198.
- "სოციალური მეწარმეობის პრაქტიკა და გამოწვევები საქართველოში" (2017). საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი.
- შენგელია თ. (2016). ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები.
- შაბურიშვილი შ. (2012). „სოციალური მეწარმეობის ფენომენი და ინკლუზიური ბიზნესის მოდელები." ეკონომიკა და ბიზნესი 101-113.
- ჩაკვეტაძე ნ. (2017). „სოციალური მეწარმეობის ინდიკატორები." Forbes Georgia https://forbes.ge/blog/237/socialuri-mewarmeobis-indikatorebi.
- Amit Raphael and Christoph Zott. (2001.) "Value creation in e-business." Strategic Management Journal 493-520.
- Chesbrough Henry W. and Richard S Rosenbloom. (2002.) "The role of the business model in capturing value from innovation; evidence from Xerox Corporation's technology spin-off companies." 529-555.
- Drucker Peter F. (1954.) "The practice of management." Harper and Row Publishers 404.
- Guo Hai, Jing Zhao and Jintong Tang (2013.) "The role of top managers' human and social capital in business model innovation." In Chinese Management Studies, 447-469.
- Mair Johanna and Oliver Schoen (2007.) "Successful social entrepreneurial business models in the context of developing economies: an explorative study"." International Journal of Emerging Markets 54-68.
- Pfeffer Jeffrey and Gerald R Salancik (1978.) "The external control of organizations : a resource dependency perspectives." 300. New York: Harper and Row.
- Seelos Christian and Johanna Mair. (2007.) "Profitable business models and market creation in the context of deep poverty : a strategic view." Academy of Management Perspectives 49-63.
- Shaburishvili S. (2011.) "Stimulating Innovative Activities of Small and Medium Enterprises Under Conditions of Globalization." Problems of foreign Economic Relations Development and Attraction of Foreign Investments: Regional Aspect 408-413.

- Smallbone D. (2001.) Researching social enterprise : final report to the Small Business Service. Research report / Small Business Service RR004/01, Sheffield: SBS Research Directorate.
- Sommerrock Katharina (2010.) "Social entrepreneurship business models." 307. Houdsmill: Palgrave Macmillan.
- Stewart David W., Qin Zhao (2000.) "Internet marketing, business models, and public policy." Journal of Public Policy & Marketing 287-296.
- Yunus Muhammad (2010.) "Building social business models : lessons from the Grameen experience." In Long Range Planning, by Muhammad Yunus, Bertrand Moingeon and Laurence Lehmann-Ortega, 308-325.
- http://segeorgia.org/iinfo.php?ID=44 / ბოლო ნახვა 8 აპრილი 2020.

**References:**

- Gvelesiani R., Erqomaishvili G., Gogorishvili I., Lekashvili E., Pharesashvili N., Khurtsia L. (2017.) sotsialuri metsarmeobis ganvitarebis tendentsiebi sakartveloshi. [Social entrepreneurship development trends in Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi state university.]
- Murghulia S., Modebadze Z., Mkheidze I., Datuashvili E. (2017.) sotsialuri metsarmeobis sakhelmdzghvanelo. sakartvelos strategiuli kvlevebis da ganvitarebis tsentri. [Social entrepreneurship handbook. Georgian Center for Strategic Research and Development.]
- Samadashvili U. (2018.) "evrokavshirisa da evraziuli ekonomik'uri kavshiris integratsia - globaluri stabilurobis piroba." [„Integration of the EU and the Eurasian Economic Union – the condition of global stability". Globalization and Business„ №6 194-198.]
- "sotsialuri metsarmeobis praktika da gamotsvevebi sakartveloshi" ["Social entrepreneurship practises and challenges in Georgia." 2017. Georgian Center for Strategic Research and Development.]
- Shengelia T. (2016.) biznesis administrirebis sapudzvlebi. [Basics of business administration.]
- Shaburishvili S. (2012.) "sotsialuri metsarmeobis penomeni da inkluziuri biznesis modelebi." ["The phenomenon of social entrepreneurship and inclusive business models." Economics and Business 101-113.]
- Chakvetadze, N, 2017. "sotsialuri metsarmeobis indikatorebi." ["Social entrepreneurship indicators."] Forbes Georgia https://forbes.ge/blog/237/socialuri-mewarmeobis-indikatorebi.
- Amit Raphael and Christoph Zott. (2001.) "Value creation in e-business." Strategic Management Journal 493-520.
- Chesbrough Henry W. and Richard S Rosenbloom. (2002.) "The role of the business model in capturing value from innovation; evidence from Xerox Corporation's technology spin-off companies." 529-555.

- Drucker Peter F. (1954.) “The practice of management.” Harper and Row Publishers 404.
- Guo Hai, Jing Zhao and Jintong Tang (2013.) “The role of top managers’ human and social capital in business model innovation.” In Chinese Management Studies, 447-469.
- Mair Johanna and Oliver Schoen (2007.) “Successful social entrepreneurial business models in the context of developing economies : an explorative study”.” International Journal of Emerging Markets 54-68.
- Pfeffer Jeffrey and Gerald R Salancik (1978.) “The external control of organizations : a resource dependency perspectives.” 300. New York: Harper and Row.
- Seelos Christian and Johanna Mair. (2007.) “Profitable business models and market creation in the context of deep poverty : a strategic view.” Academy of Management Perspectives 49-63.
- Shaburishvili Shota (2011.) “Stimulating Innovative Activities of Small and Medium Enterprises Under Conditions of Globalization.” Problems of foreign Economic Relations Development and Attraction of Foreign Investments: Regional Aspect 408-413.
- Smallbone David (2001.) Researching social enterprise : final report to the Small Business Service. Research report / Small Business Service RR004/01, Sheffield: SBS Research Directorate.
- Sommerrock Katharina (2010.) “Social entrepreneurship business models.” 307. Houdsmill: Palgrave Macmillan.
- Stewart David W., Qin Zhao (2000.) “Internet marketing, business models, and public policy.” Journal of Public Policy & Marketing 287-296.
- Yunus Muhammad (2010.) “Building social business models : lessons from the Grameen experience.” In Long Range Planning, by Muhammad Yunus, Bertrand Moingeon and Laurence Lehmann-Ortega, 308-325.
- http://segeorgia.org/iinfo.php?ID=44 / last seen 2020, April 8.

# Social Entrepreneurship Business Models in the Case of Georgian Social Enterprises

**Nino Janelidze**
*Doctoral student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*nin89@ymail.com*

In modern business administration theories, the term "business model" is widely used to describe the process of value creation by organizations (Guo, Zhao and Tang 2013), (Amit and Zott 2001), (Chesbrough and Rosenbloom 2002), and describing the means of generating income (Stewart and Zhao 2000). (Drucker 1954).

Despite the proliferation of research in the field of social entrepreneurship, which describes the concepts of business models, it should be noted that in most cases, the term "business model" is referred to simply as "fashionable definition" (Sommerrock 2010) and is used in only a few papers. (Mair and Schoen 2007), (Seelos and Mair 2007), (Yunus 2010). It should be noted that these studies are fragmentary and almost non-existent in the Georgian context.

The concept of a business model used in the article is used to discuss individual cases, to identify the features and characteristics of successful models of social entrepreneurship, and to assess the quality of the unit of analysis.

The article presents an example of four successful organizations working in the field of social entrepreneurship. In order to reveal the peculiarities of the formation of the basic models of social entrepreneurship, the research strategy uses a case-method.

The following theoretical analyzes are discussed in the study:

a) Successful social enterprises not only determine their place in the value chain in a defined sector, but also proactively form their own network of pricing with companies that share their social vision;

b) Successful social entrepreneurs accurately identify the necessary resources and, accordingly, formulate a resource strategy, which is introduced in the earliest stages of the business model.

**Keywords**: Social entrepreneurship; business mode; case method; value network; key resources.

**JEL Codes:** L20, L21, L26

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 101-107*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 101-107*

# ფინანსები და საბანკო საქმე ◊ ბიზნესი ◊ მენეჯმენტი ◊ მარკეტინგი
# FINANCE ◊ BANKING ◊ MANAGEMENT ◊ MARKETING

## საბანკო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე

**მაია გოგოხია**
*ასოცირებული პროფესორი*
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*mayagogokhia@gmail.com*

*საბანკო სექტორი საფინანსო-საკრედიტო სისტემის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის აუცილებელია ეკონომიკის რეალური და საფინანსო სექტორების ურთიერთქმედების ახალ ეტაპზე გადაყვანა, რაც გამოიხატება ინვესტირების გზებით წარმოების რესტრუქტურიზაციისა და მრეწველობის ძირითადი ფონდების განახლებისათვის.*

*იმის გამო, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი თითქმის განუვითარებელია, ანაბრები ბანკებში ფინანსური რესურსების მობილიზაციის უპირატესი ფორმაა. ამიტომ ბანკების ამოცანაა სახსრების მოზიდვის ისეთი ფორმების შექმნა, რაც რეალურად დააინტერესებს კლიენტებს და ჩამოუყალიბებს მათ დაზოგვის ჩვევას, რომელიც ეკონომიკის ინვესტიციურ შესაძლებლობებს განსაზღვრავს. ეკონომიკის სამრეწველო სექტორთან ბანკების ურთიერთქმედების საფუძველს სწორედ მათი საკრედიტო-საინვესტიციო და სადეპოზიტო-აკუმულაციური სტრატეგია წარმოადგენს.*

*ფულის ბაზრის განსხვავება ყველა სხვა ბაზრისაგან, მისი მონოპოლიური ხასიათია, მონოპოლისტი ჩვეულებრივ ეროვნული ბანკია. ქართულ სინამდვილეში, ინფლაცია უკვე დიდი ხანია მხოლოდ იცვლის თავის სიდიდესა და ფორმას. ინფლაციური მოლოდინი ძალზედ მაღალია, რაც თავისთავად ძლიერი ინფლაციური ფაქტორია. სუსტი ეკონომიკი-*

*სათვის ინფლაცია საშიშია, მაგრამ, მეორე მხრივ, რთულ პრობლემებს ქმნის ინფლაციის შეზღუდვაც.*

*ამგვარად, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება დიდად არის დამოკიდებული საბანკო სექტორის ეფექტიან საქმიანობაზე. შესაბამისად, სტატიაში განხილულია საბანკო საქმიანობის სრულყოფის მიმართულებები და პერსპექტივები, საკრედიტო-საინვესტიციო პოტენციალის ამაღლების გზები და სხვ.*

***საკვანძო სიტყვები:*** *გლობალიზაცია, ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, საკრედიტო-საინვესტიციო მექანიზმი, საცალო ბანკინგი.*

***JEL Codes:*** *G20, G21, G22, G28*

გლობალიზაცია, რა თქმა უნდა, რეალური ფენომენია. საერთაშორისო ვაჭრობა და ინვესტიციები უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე მსოფლიო ეკონომიკა; ასე რომ, ეროვნული ეკონომიკები უფრო მყარად ურთიერთდამოკიდებული ხდება (Krugman, 1999). ღია ეკონომიკებისათვის მნიშვნელოვანია ისეთი გლობალური შოკები, როგორიცაა ვოლატილობა საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო ბაზრებზე, აგრეთვე – ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის ცვლილება. გლობალიზაციის პირობებში ცენტრალურმა ბანკებმა ეფექტურად უნდა გამოიყენონ სხვადასხვა მოდელი, მეთოდი და ინსტრუმენტი, რათა მხედველობიდან არ გამოეპაროთ ფასისმიერი არასტაბილურობის საფრთხეები. მათ უნდა ჩაატარონ ეკონომიკური მდგომარეობის ყოვლისმომცველი ანალიზი.

ბევრი ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელია შიდა ცვლილებების მხოლოდ უმნიშვნელო გავლენა საზღვარგარეთის ეკონომიკებზე, ზემოქმედების სრულ არარსებობამდეც კი. ასეთ შემთხვევაში, მონეტარული ხელისუფლება სამამულო ეკონომიკაში განიხილავს საზღვარგარეთის საპროცენტო განაკვეთს, გამოშვების დონესა და ინფლაციას, ეგზოგენური ცვლადების სახით სამამულო ეკონომიკის მიმართ (Уолш, 2014).

დღეისათვის ქართული საბანკო სექტორი აწყდება რიგ პრობლემას, რომელთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური არასტაბილურობა. ზოგადად, გლობალური ეკონომიკის პოსტკრიზისული განვითარება ხასიათდება სუსტი და არასტაბილური ზრდითა და მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობით, რაც გარკვეულ გარემოებებთან თანხვედრისას, აპროვოცირებს ახალ კრიზისს (Kovzanadze, 2018).

საქართველო წარმოადგენს ქვეყანას განვითარებადი ბაზრით (emerging market), რომელიც ხასიათდება ფულითა და ფინანსური ინსტრუმენტებით შედარებით დაბალი გაჯერებულობით, შეზღუდული ლიკვიდურობით, უცხოურ ინვესტიციებზე მასშტაბური დამოკიდებულებით, საკუთრე-

ბის კონცენტრირებული სტრუქტურით, შიდა მოთხოვნის სიმწირით, ფინანსური ოლიგოპოლიით.

საქართველოს ეროვნული ბანკი უცხოურ კაპიტალს განიხილავს როგორც მთლიანად ეკონომიკასა და საბანკო სექტორში კრიზისული მოვლენების სტაბილიზაციის მნიშვნელოვან წყაროს. ეროვნული ბანკის ძირითად მიზნად განსაზღვრულია ფასების სტაბილურობა, რაც ეკონომიკური ზრდის აუცილებელი პირობაა, მაგრამ, ჩვენი აზრით, არა ერთადერთი, რაც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებითაც დასტურდება.

თანაფარდობის – ფული–ფასი სტაბილურობის ნებისმიერი ემპირიული შეფასება, რომელიც დაფუძნებულია ფულზე მოთხოვნის ტოლობაზე, აუცილებელს ხდის გაკეთდეს მრავალრიცხოვანი პრაქტიკული და ურთიერთდაკავშირებული არჩევანი (Papademos, 2010).

ფულად-საკრედიტო ურთიერთობები ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. აშშ-ს ფსს-ს არ აშინებს ინფლაციის პროვოცირება ფულის ემისიის ხარჯზე და რეფინანსირების განაკვეთის გამოყენება 0,25%-ის დონეზე, ეცბ-ს კი – 0,05%–ის დონეზე. ის, რომ დასავლეთის ქვეყნებში რეფინანსირების განაკვეთები 2008 წლიდან დღემდე სიმბოლურია, კრედიტს ხდის ხელმისაწვდომს ეკონომიკის ყველა სფეროსათვის.

კერძოდ, საქართველოში, ლარის კურსის მკვეთრი მერყეობა ძირს უთხრის მისდამი მოსახლეობის, სავაჭრო პარტნიორების ნდობას, მაშინ როცა თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც ფინანსებზეა ორიენტირებული, ვალუტა ქვეყნის თავისებური სახეა.

სებ-ს შეუძლია გავლენა მოახდინოს ლარის კურსზე რეფინანსირების განაკვეთით, რომელიც ორიენტირებული უნდა იყოს ეკონომიკის რეალური სექტორის რენტაბელობაზე. თუ ლარის კურსი მკვეთრად მერყევი იქნება, მარეგულირებელს შეუძლია საკუთარი რეზერვებიდან უცხოური ვალუტის გაყიდვა ბაზარზე, მაგრამ ეს ვერ შეცვლის საერთო ტრენდს (იხ. გრაფიკი).

ცენტრალური ბანკი საბანკო ლიკვიდობის გაზრდაზე ზემოქმედებს ფასიანი ქაღალდებით უზრუნველყოფილი კრედიტებით, სავალუტო სვოპებით, პირდაპირი რეპო ოპერაციებით.

ცენტრალური ბანკების მიერ განსაზღვრულია მაკროპრუდენციული პოლიტიკის ძირითადი ანალიტიკური ინსტრუმენტარი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლების მონიტორინგს, კრიზისების ადრეული გაფრთხილების სისტემებს (early warning systems) და ბანკების სტრესტესტირებას. ამასთან, საზღვარგარეთ, სისტემურად მნიშვნე-

ლოვანი ფინანსური ინსტიტუტებისათვის გამოიყენება ინფორმაციის გახსნა განსაზღვრული შოკების შესახებ.




*შედგენილია წყაროების მიხედვით: Lari.ge, bm.ge, m2b.ge, netgazeti.ge*

ბევრ ექსპერტს დაწვრილებით შეუძლია მოგვცეს ეროვნული ვალუტის ღირებულების ცვლილების შედეგების მიახლოებითი შეფასება, მაგრამ, საეჭვოა, მათ ზუსტად გათვალონ რამდენი პროცენტით შეიცვლება საბანკო სექტორის ძირითადი მაჩვენებლები, ასეთი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთდაკავშირებული მაკროფაქტორების კომპლექსური სისტემის გამოყენებით, რომელშიც საბანკო სისტემა განიხილება, როგორც ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური და ფინანსური სისტემის წამყვანი რგოლი.

აწმყოში გამოყენებული სტრესტესტირებისადმი მიდგომების უდიდესი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს საკრედიტო რისკზე. ამასთან, მართებულად მიგვაჩნია მიდგომა, როდესაც ყველა ბანკი ექვემდებარება შემოწმებას აუცილებელი „კაპიტალის ბუფერის“ არსებობის თაობაზე.

კომერციული ბანკები ვადიანი ფინანსური ინსტრუმენტების ბაზრის ძირითადი მოთამაშეებია. ფინანსური ბაზრის ამ სეგმენტის ოპერაციები გაზრდილ რისკთანაა დაკავშირებული და, შესაბამისად, მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას სებ-ის მხრიდან. ამას მოწმობს ახლახან მიღებული „ფინანსური გირავნობის, ურთიერთგაქვითვისა და დერივატივების შესახებ საქართველოს კანონინ.

ეკონომიკის ეფექტიანობა და სტაბილურობა დიდადაა დამოკიდებული იმაზე, როგორ ასრულებენ ბანკები თავის ძირითად ფუნქციას – მიმართონ ფინანსური სახსრები მსესხებლებისაკენ პროდუქტიული საინვესტიციო შესაძლებლობებით (Мишкин, 2006).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული საბანკო სექტორის საკრედიტო-საინვესტიციო პოტენციალის ამაღლების გზებია:

- საკუთარი კაპიტალის გაზრდა;
- მოსახლეობის დანაზოგების აკუმულირება;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- სებ-ის რეფინანსირების ინსტრუმენტების განვითარება;
- ეკონომიკური კონიუნქტურის გამოცოცხლება.

სებ-ის მიერ შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დაკრედიტების სტიმულირების სხვადასხვა, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის, აგრეთვე ეკონომიკის ექსპორტზე ორიენტირებული სექტორების მხარდასაჭერად მიმართული მექანიზმი. ეკონომიკური კონიუნქტურის გაჯანსაღება კი შესაძლებელია: „ცუდი" ვალების შემცირებით, ეკონომიკური სუბიექტების მოგების ზრდით, კაპიტალის გადინების შემცირებით, ინფლაციის დონის რეგულირებით.

ბოლო პერიოდში შეინიშნება ბანკების საკრედიტო პორტფელებში ვადაგადაცილებული დავალიანების ზრდის ტენდენცია, აგრეთვე ბანკების მიერ ინვესტირების მოცულობის შემცირება. მოსახლეობაში ფულის დეფიციტის მიზეზებია: უცხოური ვალუტების (დოლარი, ევრო) კურსის ზრდა და გაურკვევლობის მდგომარეობა ქვეყანაში.

თანამედროვე ეტაპზე მოსახლეობის დაკრედიტების ზრდას აქვს როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური მნიშვნელობა. ზოგიერთი მოსაზრებით, მიუხედავად სამომხმარებლო დაკრედიტების მნიშვნელოვანი მასშტაბებისა, ბაზარი გაჯერებულია, რამაც შეიძლება უარყოფითი დინამიკა განაპირობოს. ფინანსური კრიზისის გამო გამწვავდა კრედიტების დაუფარაობის პრობლემები. ძალიან ხშირად მსესხებელი თავისი ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავს სესხის დასაფარავად, რაც, დიდი ალბათობით, მას რისკის ჯგუფში ახვედრებს. კრიზისის პირობებში, როცა ადამიანი კარგავს მომავლის რწმენას, კრედიტისადმი ინტერესი მცირდება.

მაკროეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების პირობებში, იპოთეკური დაკრედიტების განვითარება რჩება ეკონომიკური ზრდის სტიმულირების პერსპექტიულ მიმართულებად. სამშენებლო სექტორი სისტემაშემქმნელია, ის წარმოადგენს ქვეყნის მშპ–ს სტრუქტურის მნიშვნელოვან კომპონენტს და აქვს მულტიპლიკაციური ეფექტი მთელი ეკონომიკისათვის. მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნას იპოთეკურ კრედიტზე, არის შინამეურნეობებისა და

შრომის ბაზრის მდგომარეობა, რომელზეც შეინიშნება ისეთი უარყოფითი ტენდენციები, როგორიცაა უმუშევრობის ზრდა და მოსახლეობის რეალური განკარგვადი შემოსავლების შემცირება.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს სიტუაციას, თავად კრედიტორი ბანკების მდგომარეობაა, მათი ფინანსური მდგრადობა მთლიანობაში. არც თუ ცხადია, LTV-ს და PTI-ის ოპტიმალურ წონასწორულ მაჩვენებლებად მათი რა მნიშვნელობა ჩაითვალოს მიმდინარე ქართულ პრაქტიკაში.

კრიზისისათვის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ ძველი მოდელების ნაცვლად აიგება ახალი. თანამედროვე ტენდენციას აფორმირებს გადახდები მობილური ტელეფონის გამოყენებით, რაც განსაკუთრებით აქტუალურია კორონაპანდემიის პირობებში.

დასასრულ, დასკვნის სახით, კიდევ ერთხელ გავამახვილებთ ყურადღებას მცირე და საშუალო ბიზნესის საექსპორტო კომპანიების მხარდაჭერაზე. აშშ–ს ექსიმბანკის სტატისტიკით, მისი ოპერაციების დაახლოებით 85% სწორედ ამ სექტორზე მოდის. ასევე, ევროპის ქვეყნების გამოცდილებით, შესაძლებელია კერძო კომპანიების მოზიდვა, სახელმწიფოსთან ერთად რისკის დაზღვევისათვის. სახელმწიფო აზღვევს პოლიტიკურ რისკებს. მექანიზმის შემუშავება, რომლის ფარგლებშიც ხდება საექსპორტო კრედიტების დაზღვევა და მათი რეფინანსირება, აქტუალური გადაწყვეტილება იქნება.

**ლიტერატურა:**


- Krugman P. (1999). The Accidental Theorist and other dispatches from the Dismal Science. London.
- Уолш К. (2014). Монетарная теория и монетарная политика, пер. с анг., Москва.
- Kovzanadze I. (2018). Global Economy: Post-crisis to Sustainable Development. Bloomington.
- Papademos L. D., Stark J. (2010). Enhancing Monetary Analysis. European Central Bank.
- Мишкин Ф.С. (2006). Экономическая теория денег, банковского дела и финансовых рынков. пер. с анг., Москва. Санкт-Петербург, Киев.
-


**References:**


- Krugman P. (1999). The Accidental Theorist and other dispatches from the Dismal Science. London.
- Walsh C.E. (2014). Monetarnaya teoriya i monetarnaya politika. [Monetary Theory and Policy. Moscow.] in Russian.
- Kovzanadze I. (2018). Global Economy Post-crisis to Sustainable Development. Bloomington.

- Papademos L. D., Stark J. (2010). Enhancing Monetary Analysis. European Central Bank.
- Mishkin F.S. (2006). Ekonomicheskaya teoriya deneg, bankovskogo dela i finansovykh rynkov. [The Economics of Money, Banking and Financial Markets, Moscow. St-Petersburg. Kiev.] in Russian.


# Directions for Improving Banking Activities at the Contemporary Stage


**Maya Gogokhia**

*Associate Professor*

*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*

*mayagogokhia@gmail.com*



The banking sector is an integral part of the financial and credit system. Consequently, in order to promote economic growth in the country, it is necessary to move the economy to a new stage of interaction between the real and financial sectors, which is reflected in increased investment in the restructuring of production and the renewal of major industry funds.

Due to the fact that the securities market in Georgia is almost underdeveloped, deposits are the predominant form of mobilization of financial resources in banks. Therefore, the task of banks is to create forms of attracting funds that will actually interest customers and develop their saving habit, which determines the investment opportunities of the economy. The basis of banks' interaction with the industrial sector of the economy is their credit-investment and deposit-accumulation strategy.

The difference of the money market from all other markets is its monopoly nature; the monopolist is usually the National Bank. In the Georgian reality, inflation has long been only changing its magnitude and form. Inflation expectations are very high, which in itself is a strong inflation factor. Inflation is dangerous for a weak economy, but on the other hand, limiting inflation also creates difficult problems.

Thus, the economic development of the country is highly dependent on the efficient operation of the banking sector. Accordingly, the article discusses the directions and prospects for improving banking activities, ways to increase credit and investment potential, etc.



**Keywords:** Globalization, monetary policy, credit-investment mechanism, retail banking.

**JEL Codes:** G20, G21, G22, G28

ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 108-118
ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 108-118

# The Process of Formation and Stages of the Development of Technoparks in Azerbaijan

**Zumrud Nadjafova**
*The Lecturer of the "Economy" Department*
*Azerbaijan State Economic University (UNEC)*
*zumrud_n@mail.ru*

**Natiq Gurbanov**
*The Lecturer of the "Economy"Department,*
*Azerbaijan State Economic University (UNEC)*
*natik1952@hotmail.*

*Abstract:Technopark is a subject of scientific and innovative infrastructure that creates conditions that positively affect the development of productionin the scientific and technical sphere, with highly qualified personnel and experimental facilities. The development of the nonoil sector in Azerbaijan is a strategic goal. The government of Azerbaijan is taking all possible measures to develop the production sector. These measures include direct public investment and encouraging entrepreneurs to work actively in the applied economy. In Azerbaijan, there are sufficient natural resources and qualified personnel that contribute to the development of the production sector.*

***Keywords:*** *Development of industry, technopark, plant, state regulation, Azerbaijan*

***JEL Codes:*** *L60, L70, O10, P23, Q55*

Industry is the main sector of the economy of Azerbaijan. Since the middle of the last century, thanks to the activities of the national leader of the Azerbaijani people, Heydar Aliyev, metallurgy, mechanical engineering, fuel and energy, food, light, chemical and other industries have started to develop.

As we can see from the table, over the period of 2009-2014, the volume of industrial production actually increased by 3.5 times. In this direction, an important role was played by the reforms implemented at manufacturing enterprises.

**The volume of industrial production at the enterprises of the Republic of Azerbaijan (AZN million)**

| | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| The entire industry, including: | 22564 | 27978 | 35027 | 34565 | 33898 | 35646 |
| Public sector | 5036 | 5575 | 6817 | 6875 | 6397 | 6893 |
| Private sector | 17528 | 2403 | 28210 | 27690 | 27501 | 27924 |
| Mining industry | 16460 | 20862 | 26894 | 25607 | 24655 | 5983 |
| Processing industry | 836,1 | 5735,7 | 6392,4 | 7031,8 | 7243.8 | 7126,1 |
| Production electric power | 1148,3 | 1225,5 | 1555,9 | 1724,3 | 1773.9 | 1765,4 |
| Water supply, and waste recycling | 119,5 | 154,5 | 184.3 | 201.7 | 225,1 | 223,4 |

*Source: the table is based on the materials of the state statistics Committee of the Republic of Azerbaijan [33]*

The development of industry in Azerbaijan is a priority direction of the socio-economic policy that is being implemented in the country. Based on the Decree of the Head of state, 2014 was declared the “Year of industry” in Azerbaijan. [13. c. 338.]

In Azerbaijan, there are sufficient natural resources and qualified personnel that contribute to the development of the production sector. The construction of a Technology Park in our country has created thousands of jobs. This improves the social level of the population.

In April 2009, the Law “on the establishment of Special economic zones in the Republic of Azerbaijan” was adopted. [1. p. 78-82.] As a result of the adoption of this law, it is expected to expand innovation activities in different regions of the country, solve socio-economic problems, develop the country’s regions and lagging sectors of the economy, and increase the export potential of the country’s non-oil sector.

Azerbaijan has the “State Program of the Republic of Azerbaijan On the national strategy for the development of science for 2009-2015”, [4.p.82.] which provides for the development of technoparks in the Republic.

As a result, organizations such as UNESCO provide support to the Republic of Azerbaijan in the development of technoparks. Technopark is a means of creating an innovative, knowledge-intensive and competitive economy

At the event held on March 12, 2014 in connection with the announcement of the year of industry, the idea of creating industrial quarters was first put forward. On April 8, 2014, President Ilham Aliyev signed a decree "on the establishment of industrial districts and the organization of their activities" [ 2 ]. This document stated that industrial districts are of great importance for the development of small and medium-sized businesses, the organization of the production process, strengthening cooperative ties,and other issues.

On the territory of industrial blocks, it is planned to create external and internal infrastructure, which is an advantage of the blocks. The advantage is to save money on creating infrastructure for your company.

Industrial districts will be created in such a format that they can function in small areas of the country. At the moment, it is planned to create one industrial quarter in each economic zone of Azerbaijan. After evaluating their activities, blocks will be created in other regions of the country.

## The Sumgayit technopark

Since the 70s of the XX century, the national leader Heydar Aliyev has laid the Foundation for the development of today's successful economy of Azerbaijan. President Ilham Aliyev, continuing this policy, implemented a large number of economic reforms, which led to favorable conditions for private entrepreneurs. In this regard, in the territory of the Republic of Azerbaijan, In the city of Sumgayit, in accordance with the relevant Decrees and Orders of President Ilham Aliyev, Azenco OJSC has built a giant Sumgayit Technology Park. STP is considered one of the largest technology parks in Europe.

Sumgayit was built immediately after the Second world war as a center of the chemical industry and aluminum industry. Decline 32 industrial production in the early 1990s strongly affected Sumgayit factories, but thanks to the purposeful policy of our state, Sumgayit began to reborn. Gradually, an aluminum plant was put into operation, then a pipe plant, and production began to improve.

In Sumgayit Technological Park, consisting of 17 plants. These factories create various types of products that play an important role for our country. This company is one of the largest tax payers, which contributes to the stable development of the economy of the Republic of Azerbaijan.

Thanks to the construction of the Sumgayit Technological Park, thousands of jobs were opened, which led to an improvement in the social level of the population. Highly qualified specialists with extensive experience in this field are involved in the work at this Technopark. All actions to attract staff are fully in line with the overall socio-economic policy of the government of Azerbaijan.

**The following enterprises are currently operating in the STP:**

- Cable factory
- Plant, plastic pipe Plant, hot-dip galvanizing
- Precision machinery manufacturing plant heavy machinery Plant
- Plant for the production of electrical equipment
- Plant of technical gases.

All these plants have machines and equipment based on the latest technologies and purchased in developed industrial countries of the world - Japan, great Britain, Belgium, China, etc. Application at the factories of the latest technologies in the production of products is not limited only to internal needs, but also creates opportunities to export products, and does not harm the environment.

The products produced at the factories of the Sumgait Technological Park can meet the needs of the domestic Market, and it is also planned to export these products to other countries in the near future, since the products produced are competitive in the foreign market.

One of the promising plants on the territory of the Sumgait Technological Park which has been operating since December 2009. is a Plastic pipe Factory.[ 2 ] the Plant specializes in the production of water and gas pipes, drip irrigation pipes, telecommunications and drainage pipes, multi-layer polyethylene pipes with aluminum inserts for heating systems and other types polypropylene pipes. In addition to plastic pipes, various types of PE, PP fittings, polycarbonate sheets and PVC profiles are produced. The Plant has more than 80 different production lines.

Heavy Machinery plant, commissioned in 2011. This plant has become an important element in the development of the machine-building industry in Azerbaijan.

The annual capacity of the Heavy Machinery Plant is 120,000 tons. [ 4, page 5]

There are two areas within the plant: crane repair and crane manufacturing.

**Composition of the Heavy Machinery Plant**

*Figure 1*




The Foundation of the Press factory was laid on may 26, 2010 on the territory of STP covering an area of more than 11160 m2, and finally launched in August 2011. This plant uses high-tech lines and universal pressing equipment of well-known brands that meet international standards. The hydraulic press, which has no analogues in the country, is able to process various chassis parts and other parts for the automotive industry. This equipment is unique. The uniqueness lies in the ability to work not only in Autonomous mode, but also in combination with other equipment, the so-called tandem, and this, in turn, allows you to work on larger and larger parts for cars. On the territory of the Sumgait Technopark there is a polymer products factory, which is the largest in the region.

## Evaluating the effectiveness of Azerbaijan's technoparks and industrial zones

The creation of technopolises abroad can be considered as one of the most ambitious social experiments in the twentieth century, covering a wide range of economic, technical and technological, research, communication, social and other problems that go far beyond the limits of today in their significance and consequences.

After analyzing the activities of technoparks around the world, you can see both positive and negative aspects in the work of technoparks. Positive aspects in the development of Technology Parks should be applied when creating a similar structure on the territory of our country.

**Positive aspects of creating technoparks**

*Figure 2*




1. The most important is the state's interest in the development of technology parks, allowing them to commercialize innovative ideas, and provide assistance and support to achieve results in various industries. This understanding leads to serious and high-quality support of technoparks from the state.

2. Serious support of the Technopark's resident companies from the management company, which attract "anchor residents" who could provide financial support by investing their capital, thereby enabling tremendous business development companies.

3. Developed system of services. Here we mean not only assistance and services to residents within the framework of business services, but also services aimed at business development. These services include:

- Assistance in forming a legal entity that is the owner of ideas;
- Learning the basics of doing business;
- To promote the implementation of R & d and implementation results.

In 2014, the industrial sector of Azerbaijan was under special attention. This year, more than 230 new industrial enterprises were put into operation, existing production facilities were expanded and the foundations for the future of the country's industrial industry were laid.

## The role of the state in the development of technoparks

The modern economy is extremely complex, and it is designed to create conditions for a wide variety of activities of people. Depending on how the economy is organized, on what principles this organization is built, you can determine what tasks it is able to solve, what interests of society and various social groups it can meet. The state plays an important role in ensuring the normal functioning of any modern economic system. The state throughout its

history, along with the tasks of maintaining order, law and order, and organizing national defense, has performed certain functions in the economic sphere.

State regulation of technoparks activity is a set of measures implemented by the state authorities of the subjects of the Republic of Azerbaijan and local self-government bodies aimed at establishing a legislative basis for the implementation of activities by technoparks, determining measures of state support for technoparks, ways to manage the activities of technoparks, developing requirements for technoparks and assigning the status of a Technopark.

The state authorities of the subjects of the Republic of Azerbaijan interact in the sphere of state regulation of technoparks by:

1) participation in the work of the interdepartmental Commission for coordinating the creation, operation and development of technoparks in the field of high technologies;

2) providing state support to technoparks, which is carried out by the bodies of the subjects of the Republic of Azerbaijan by providing property, financial resources, tax and other benefits, information support and other assistance to the management company of the Technopark, founders or residents of the Technopark;

3) providing information and consulting support, which is carried out by the bodies of the subjects of the Republic of Azerbaijan in order to establish relations with interested economic entities, promote the products of technoparks on the domestic and international markets, protect the results of intellectual activity, and create other measures to promote the development of technoparks.

The goals of state regulation for the creation and the purpose of technoparks is to accelerate the innovative development of the Republic of Azerbaijan, meet its needs for innovative products and services, increase the competitiveness of such products and services in the domestic and international markets, strengthen the integration of science, education and production, and solve other socio-economic problems.

For the development of national TPs, the government has developed special programs:

- “plan for the development of technopolisies”, which involves the provision of subsidies, low-interest loans for venture capital business, reduction of payments for the lease of industrial facilities and buildings.

- “plan for the location of scientific production”, which presupposes the territorial concentration of regional industries and their association by specialization.

- a “basic research plan” that promotes the development of the enterprise in the early stages of its existence.

**Special programs for the development of national TPs**

*Figure 3*




Policy conducted in the Republic of Azerbaijan is aimed at the development of the industry, enhancement of the socio-economic level of the population, reduction of poverty, increase of oil production, creation of new production sectors, increase of the level of self-sufficiency in basic foodstuffs and construction materials.

## References:


- State Program Of The Republic Of Azerbaijan " About National Strategy for the Development of Science for 2009-2015".
- Information and Cultural Portal in City. Sumgait industrial Park http://incity.az/
- Materials of the Ministry of Economic Development of Azerbaijan (www.economy.gov.az)
- Technical assistance Programs with the participation of Azerbaijan
- http://www.tracecaorg.org/en/technical-assistance/
- State Statistical Committee of the Republic of Azerbaijan http://www.stot.kuv.oz/menu/11/
- Mechanism of state support of technoparks / / "Entrepreneurship" - 2007. - №5.
- The Role of Techno Parks in the Process of Commercialization of Technological Innovations // Integral-2007
- Hajiyev Sh. "Azerbaijan on the way to world peace community:foreign economic development strategy". Kiev: 2018

# ტექნოპარკების ფორმირების პროცესი და განვითარების ეტაპები აზერბაიჯანში

**ზუმრუდ ნაჯაფოვა**
*აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის"ეკონომიკის" განყოფილების ლექტორი*
zumrud_n@mail.ru

**ნატიკ გურბანოვი**
*აზერბაიჯანის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის"ეკონომიკის" განყოფილების ლექტორი*
natik1952@hotmail.com

მრეწველობა აზერბაიჯანის ეკონომიკის ძირითადი დარგია. XX საუკუნის შუა წლებიდან აზერბაიჯანელი ხალხის ეროვნული ლიდერის ***ჰეიდარ ალიევის*** ხელმძღვანელობით დაიწყო მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, საწვავისა და ენერგიის, კვების, მსუბუქი, ქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების განვითარება.

2009-2014 წლებში სამრეწველო წარმოების მოცულობა 3.5-ჯერ გაიზარდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამრეწველო საწარმოებში განხორციელებულმა რეფორმებმა. ინდუსტრიის განვითარება აზერბაიჯანის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებაა. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მეთაურის განკარგულების საფუძველზე, 2014 წელი აზერბაიჯანში გამოცხადდა „ინდუსტრიის წლად". აზერბაიჯანში არსებობს საკმარისი ბუნებრივი რესურსები და კვალიფიციური კადრები წარმოების აღნიშნული სექტორის სწრაფი განვითარებისათვის. ქვეყანაში ტექნოლოგიური პარკის მშენებლობამ ათასობით სამუშაო ადგილი შექმნა, რაც აუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას.

2009 წლის აპრილში მიიღებული იქნა კანონი „აზერბაიჯანის რესპუბლიკაში სპეციალური ეკონომიკური ზონების შექმნის შესახებ". ამ კანონის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ინოვაციური საქმიანობის გაფართოება, მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ქვეყნის რეგიონების განვითარება, ეკონომიკის ჩამორჩენილი სექტორების განვითარება და ექსპორტის გაზრდა.

ქვეყანას აქვს „აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო პროგრამა 2009-2015 წლებში მეცნიერების განვითარების ეროვნული სტრატეგიის შესახებ", რაც ითვალისწინებს რესპუბლიკაში ტექნოპარკების განვითარებას.

იუნესკო და სხვა ორგანიზაციები დახმარებას უწევენ აზერბაიჯანის რესპუბლიკას ტექნოპარკების განვითარებაში. ტექნოპარკი არის ინოვაციური, ცოდნის ინტენსიური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნის საშუალება.

2014 წლის 12 მარტს, ინდუსტრიის წლის გამოცხადებასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე, პირველად წამოიჭრა ინდუსტრიული კვარტლების შექმნის იდეა. 2014 წლის 8 აპრილს პრეზიდენტმა ***ილჰამ ალიევმა*** ხელი მოაწერა განკარგულებას „სამრეწველო რაიონების შექმნისა და მათი საქმიანობის ორგანიზების შესახებ". ამ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სამრეწველო რაიონებს დიდი მნიშვნელობა აქვს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, წარმოების პროცესის ორგანიზაციის, კოოპერატიული კავშირების განმტკიცებისა და სხვა საკითხების გადაჭრაში.

სამრეწველო ოლქები შეიქმნება ისეთი ფორმატით, რომ მათ ფუნქციონირება შეძლონ ქვეყნის მცირე ტერიტორიებზე. დღეისათვის აზერბაიჯანის თითოეულ ეკონომიკურ ზონაში იგეგმება ერთი ინდუსტრიული კვარტლის შექმნა, რომელთა საქმიანობის შეფასების შემდეგ, ბლოკები შეიქმნება ქვეყნის სხვა რეგიონებში.

თანამედროვე ეკონომიკა უკიდურესად რთულია და ის კარგი საფუძველია ადამიანთა მრავალფეროვანი საქმიანობის პირობების შესაქმნელად. იმისდამიხედვით, თუ როგორ არის ორგანიზებული ეკონომიკა, რა პრინციპებზეა აგებული ეს ორგანიზაცია, შეგიძლიათ განსაზღვროთ, თუ რა ამოცანების გადაჭრა და საზოგადოების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილება შეუძლია მას. სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნებისმიერი თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველყოფაში. სახელმწიფომ მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში, წესრიგის, კანონისა დაცვისა და ეროვნული თავდაცვის ორგანიზების ამოცანებთან ერთად, შეასრულა გარკვეული ფუნქციები ეკონომიკურ სფეროში.

ტექნოპარკების საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის სუბიექტებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ერთობლიობა, რაც მიზნად ისახავს ტექნოპარკების მიერ საქმიანობის განხორციელების საკანონმდებლო ბაზის შექმნას, ტექნოპარკების სახელმწიფო დახმარების ღონისძიებების განსაზღვრას საქმიანობის მართვის მიმართულებით, ტექნოპარკებისადმი მოთხოვნების შემუშავებას და მათთვის სტატუსის მინიჭებას.

მთლიანობაში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ზემოაღნიშნული გან-ხორციელებადი პოლიტიკა მიზნად ისახავს ინდუსტრიის განვითარებას, ნავთობის მოპოვების გაზრდას, ახალი წარმოების სექტორების შექმნას, სამშენებლო სექტორის გაძლიერებას, და რაც მთავარია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური უზრუნველყოფის ამაღლებას.

***საკვანძო სიტყვები:*** *მრეწველობის განვითარება, ტექნოპარკი, სახელ-მწიფო რეგულაცია, აზერბაიჯანი.*

***JEL Codes:*** *L60, L70, O10, P23, Q55*

ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 119-137
ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 119-137

# მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის ანალიზი ეკონომიკური საქმიანობის ზომისა და სექტორების მიხედვით საქართველოში *

**დავით სიხარულიძე**
ასოცირებული პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
david.sikharulidze@tsu.ge

**შოთა შაბურიშვილი**
ასოცირებული პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
shota.shaburishvili@tsu.ge

**თეა მუნჯიშვილი**
ასოცირებული პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
tea.munjishvili@tsu.ge

**ლეილა ქადაგიშვილი**
ასისტენტ- პროფესორი
ივ.ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
leila.kadagishvili@tsu.ge

**რუსუდან მაისურაძე**
დოქტორანტი
ივ.ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
rusudan.maisuradze@tsu.ge

**ხატია უდესიანი**
დოქტორანტი
ივ.ჯავახიშვილის სახ.
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
khatia.udesiani@gmail.com

*სტატიაში განხილულია კავშირი საწარმოს ზომასა და მწარმოებლურობას შორის სექტორების მიხედვით. მაკმილანისა და როდრიკის მეთოდების საშუალებით დავადგინეთ ცალკეულ ზომით კატეგორიაში შრომის მწარმოებლურობის ტენდენცია. მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის შესაფასებლად გამოვიყენეთ Olley და Pakes -ის მიდგომა.*

*კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, რომ მსხვილი საწარმოები, მცირე და საშუალო საწარმოებთან შედარებით, უფრო მწარმოებლურია. თუმცა განსხვავება შეიმჩნევა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით. 2008-2018 წლებში საწარმოს ზომის კატეგორიის მიხედვით შრომის მწარმოებლურობა იზრდებოდა შემდეგ სექტორებში: „კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა, დამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგიის, აირის, წყლის წარმოება-განაწილება, სასტუმროები, რესტორნები, ტრანსპორტი და კავშირგამბულობა, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა, მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა, ჯანდაცვა, სოციალური დახმარებან, ხოლო დანარჩენ სექტორებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება მთლიანი*

* კვლევა განხორციელდა თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სამეცნიერო საგრანტო პროექტის ფარგლებში.

*მწარმოებლურობის მაჩვენებელს, ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალური დახმარების სექტორის გარდა, აღნიშნულ პერიოდში ყველა სექტორში მცირდებოდა. სტატიაში ასევე გამოკვლეულია მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოებისთვის ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ეკონომიკის სექტორი, წარმოების ფაქტორები, ფაქტორული მწარმოებლურობა, საწარმოს ზომა.*

***JEL Codes:*** *J20, J24, O47*

## შესავალი

ტრანსფორმაციის პერიოდში საქართველოს ეკონომიკის ზრდის ძირითადი მამოძრავებელი იყო შიდა მოთხოვნა, მხარდაჭერილი ფულადი გზავნილებით, კაპიტალის მოდინებით და ეკონომიკის ლიბერალიზაციით, რამაც განაპირობა მწარმოებლურობის ზრდა სექტორული გადანაწილების საშუალებით. შეიძლება ითქვას, რომ მომზადებულია ნიადაგი, რათა ქვეყანამ უზრუნველყოს მწარმოებლურობის განუხრელი ზრდა საწარმოების დონეზე ეფექტიანობის ამაღლებით. მსოფლიო ბანკის 2018 წლის ანგარიშის მიხედვით, ქვეყნისათვის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს მდგრადი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპი. ამავე ანგარიშის მიხედვით, მდგრადი ეკონომიკური ზრდის და 2030 წლისათვის მშპ-ს გაორმაგების მიზნით, მთავრობამ ეკონომიკური პოლიტიკის რეორიენტაცია უცხოური ინვესტიციებიდან მწარმოებლურობაზე უნდა მოახდინოს. არსებული დემოგრაფიული დინამიკის გათვალისწინებით, მაღალი ჩართულობის შემთხვევაშიც კი, სამუშაო ძალა, კაპიტალის აკუმულაციისა და მწარმოებლურობის გარეშე, ვერ გახდება ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებელი. შესაბამისად, მწარმოებლურობა საკვანძო როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკაში. ამიტომ მისი სპეციფიკა და განვითარების პრობლემები მრავალი ქვეყნისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მუდმივი ზრუნვის საგანია. მწარმოებლურობის ფენომენის შესწავლას თანამედროვე ეტაპზე დიდი სამეცნიერო, შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მწარმოებლურობის ზრდა (Shaburishvili S., Kadagishvili L., 2018) - ესაა ახალი პროდუქტები, სამუშაო ადგილები, კონკურენტული გარემო, რეალიზებული პიროვნული პოტენციალი, საექსპორტო შესაძლებლობები, დამატებითი შემოსავალი სახელმწიფო ხაზინაში, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური განვითარება.

## ლიტერატურის ანალიზი

კავშირი საწარმოს ზომასა და მწარმოებლურობას შორის კარგადაა დასაბუთებული ვან არკისა და მონიჰოფის Van Ark და Monnikhof-ის (Van Ark, 1996) ნაშრომში საფრანგეთის, გერმანიის, იაპონიის, გაერთიანებული სამეფოსა და აშშ-ის მაგალითზე, ხოლო ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისათვის - ინდოეთი, ფილიპინები, ტაილანდი, კორეა, ტაივანი, თურქეთი და აფრიკის ქვეყნები წარმოდგენილია სნოუდგრასისა (Snodgrass, 1995) და ვან ბისებროკის (Van Biesebroeck, 2005) კვლევებში. აღნიშნული ნაშრომები, რომლებიც ორიენტირებულია სამრეწველო საწარმოებზე, აჩვენებს, რომ განსხვავება მსხვილ და შედარებით მცირე საწარმოებს შორის დიდია. მაგალითად, Van Ark და Monnikhof-ის ნაშრომიდან ჩანს, რომ 1987 წელს აშშ-ს სამრეწველო საწარმოებში, რომელთა თანამშრომლების რაოდენობა 9-მდე იყო, შრომის მწარმოებლურობა მთლიანი დარგის საშუალო მაჩვენებლის 62% იყო, ხოლო იმ საწარმოების შრომის მწარმოებლურობა, რომლებსაც 500 და მეტი თანამშრომელი ჰყავდათ - 126%. კანადის სამრეწველო სექტორის მონაცემები აშშ-ს მსგავსია ან კიდევ უფრო დიდ განსხვავებაზე მიუთითებს. ბოლდუინის, ჯარმინის და ტანგის (Baldwin, Jarmin, Tang) ნაშრომი გვიჩვენებს, რომ შრომის მწარმოებლურობა გადაზიდვებში იმ საწარმოებში, რომლებსაც 100-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავდათ, მთლიანი დარგის საშუალო მაჩვენებლის 62%-ია, ხოლო შრომის მწარმოებლურობა გადაზიდვებში ისეთ საწარმოებში, რომლებსაც 500-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავდათ, მთლიანი დარგის საშუალო მაჩვენებლის 165%-ია (Baldwin, 2002).

მოსაზრება, რომ წვრილთან შედარებით მსხვილი საწარმოები უფრო მწარმოებლურია, მდგომარეობს შემდეგში: მსხვილი საწარმოები სარგებელს იღებენ მასშტაბის ეკონომიიდან. განვითარებად ქვეყნებში, სადაც ინსტიტუციები, როგორც წესი, სუსტია, ისინი ასევე იღებენ სხვა სახის სარგებელს, როგორიცაა წვდომა ლიცენზიებთან, ფინანსებსა და სამთავრობო კონტრაქტებთან. მეორე მხრივ, მსხვილი საწარმოებისათვის შესაძლოა შემზღუდველი აღმოჩნდეს მენეჯმენტის კომპლექსურობა და ნაკლები მოქნილობა ცვლილებების მიმართ. თავის ერთ-ერთ პირველ ნაშრომში უილიამსონმა აღწერა ეს ალტერნატივა იერარქიული კონტროლის მოდელში, რომელშიც გაფართოების მზარდი უკუგება მიღებულ სარგებელს უპირისპირდება კომპლექსურ მენეჯმენტზე გაზრდილი დანახარჯების შედეგად (Williamson, 1967).

შემდგომი მოდელები აგებულია მცირე საწარმოების ამ უპირატესობაზე - უფრო სწორხაზოვანი და მოქნილი მენეჯმენტი. ამასთან, მცირე სა-

წარმოები შესაძლოა ახალ ტექნოლოგიებთან უფრო ადვილად ადაპტირებადი და მეტად მგრძნობიარე იყოს. მცირე მასშტაბის ქონის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ წარმოების პროცესი არსებულ ტექნოლოგიებში ნაკლებადაა ჩართული. ერთ-ერთი ავტორი თავის ნაშრომში გვთავაზობს თეორიული არგუმენტების შეჯამებას, თუ რატომ აქვთ მცირე ფირმებს უკეთესი მწარმოებლურობა (Dhawan, 2001).

მცირე საწარმოების ეფექტიანობის ადრეული თეორია ჯოვანოვიჩმა შემოგვთავაზა (Jovanovic, 1982). მისი მოდელის თანახმად, ფასის მიმღებმა საწარმოებმა დარგში შესვლისას იციან დანახარჯების განაწილება, მაგრამ უგულებელყოფენ საკუთარ შესაძლებლობებს. მის მოდელში საწარმომ იცის საკმარისად ეფექტიანია თუ არა მისი საქმიანობა იმისათვის, რომ იარსებოს და გაიზარდოს. საწარმოები, რომლებსაც ცუდი მაჩვენებლები აქვთ, გადიან დარგიდან, ხოლო უფრო ეფექტიანი საწარმოები განაგრძობენ ოპერირებას. შედეგად, განხილულმა მაჩვენებლებმა აჩვენა, რომ მცირე საწარმოები ყველაზე ეფექტიანები არიან. თუმცა, კვლევის ეს ხაზი ფოკუსირებულია საწარმოების დარგში შესვლაზე, დამკვიდრებაზე, ზრდაზე და არ განიხილავს დამოკიდებულებას საწარმოს ზომასა და მისი მთლიანი ფაქტორების მწარმოებლურობას შორის.

იდსონი ამტკიცებს, რომ მსხვილი საწარმოები იმკიან სარგებელს მზარდი ამონაგებიდან, რაც ნაკლები გამოუყენებელი დროისა და მეტი წარმოების შედეგია (Idson, 1999). არსებობს გიბრატის წესთან (Gibrat's Law) დაკავშირებული ლიტერატურა, რომელშიც აღნიშნულია, რომ საწარმოების ზრდის ტემპი არაა დამოკიდებული მათ ზომაზე. განვითარებად ქვეყნებში ტიბოტი მსხვილი საწარმოების შედარებით მაღალ მწარმოებლურობას ასევე უკავშირებს ისეთ ცვლადებს, როგორიცაა მზარდი უკუგება და ლობისტური ძალაუფლება (Tybout, 2000).

ამგვარად, აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით არსებულ ლიტერატურაში იკვეთება ორი მიმდინარეობა, რაც ხაზს უსვამს საწარმოს ზომის გავლენას ისეთ ცვლადებზე, რომლებსაც, თავის მხრივ, გავლენა აქვთ მწარმოებლურობაზე. პირველი მათგანია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა. ინფორმაციის ასიმეტრია და ნაკლებად განვითარებული ფინანსური ბაზრები, რომლებიც გავრცელებულია განვითარებად ქვეყნებში, ზღუდავს მცირე ზომის საწარმოების წვდომას ფინანსებზე. საწარმოს დონეზე ჩატარებული კვლევა, რომელიც 54 ქვეყანას მოიცავს, (ბექი და სხვ.) აჩვენებს, რომ ფინანსური, სამართლებრივი და კორუფციასთან დაკავშირებული პრობლემები ზღუდავს მცირე საწარმოების ზრდას (Beck, 2005). ეს გვიჩვენებს იმ მექანიზმს, რომლის საშუალებითაც ზომამ შესაძ-

ლოა გავლენა იქონიოს მწარმოებლურობაზე. მეორე მექანიზმია კავშირი ინოვაციებში განხორციელებულ ინვესტიციებსა და მწარმოებლურობას შორის. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილ საწარმოებს კვლევასა და განვითარებაში მსხვილ მასშტაბიანი ინვესტიციების განხორციელების ფინანსური შესაძლებლობა გააჩნიათ, არსებობს იმის მტკიცებულება, რომ შედარებით მცირე საწარმოების მიერ განხორციელებული კვლევითი ინვესტიციები გაცილებით ეფექტიანია, მაგალითად, პატენტების რაოდენობის კუთხით.

## ემპირიული მოდელი და მონაცემთა აღწერა

მცირე და საშუალო საწარმოების შრომის მწარმოებლურობის ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა მაკმილანისა და როდრიკის მეთოდოლოგია (McMillan, 2011):

$$\Delta \boldsymbol{P_t} = \sum_{i=1}^{n} \boldsymbol{\theta}_{it-k}\, \Delta \boldsymbol{p}_{it} + \sum_{i=1}^{n} \boldsymbol{p}_{it} \Delta \boldsymbol{\theta}_{it} + \sum_{i=1}^{n} \Delta \boldsymbol{\theta}_{it} \Delta \boldsymbol{p}_{it} \quad (1)$$

სადაც $\Delta \boldsymbol{P_t}$– არის მთლიანი ეკონომიკის შრომის მწარმოებლურობა.

$\boldsymbol{\theta}_{ijt}$ – **i** სექტორში დასაქმებული სამუშაო ძალის წილit დროში; **j** - წარმოადგენს ზომის კატეგორიას.

$\boldsymbol{p}_{ijt}$–**i** სექტორის **j** საწარმოს შრომის მწარმოებლურობა **t** დროში;

**Δ** სიმბოლო გვიჩვენებს შრომის მწარმოებლურობის და დასაქმების წილის ცვლილებებს **t-k** და **t** დროს შორის. ფორმულის მარჯვენა მხარის პირველი პირობა სექტორის შიგნით ცვლილებების კომპონენტია, ხოლო მეორე პირობა გვიჩვენებს სტრუქტურულ ცვლილებებს (ანუ სამუშაო ძალის გადანაცვლებას სექტორებს შორის).

მცირე, საშუალო და მსხვილი ზომის საწარმოებისათვის მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის შესაფასებლად გავიყენეთ Olley და Pakes -ის მიდგომა (Olley, 1996). მოდელი იწყება საწარმოს სპეციფიკური წარმოების ფუნქციის აღწერით, რომელიც წარმოდგენილია კობ-დუგლასის წარმოების ფუნქციის სახით:

$$\boldsymbol{y}_{ijt} = \boldsymbol{A}_{it}^{\gamma} \boldsymbol{K}_{ijt}^{\alpha} \boldsymbol{L}_{ijt}^{\beta} \boldsymbol{M}_{ijt}^{\delta} \quad (2),$$

სადაც $\boldsymbol{i}$ არის საწარმოს ზომის ინდექსი, $\boldsymbol{j}$ - დარგის ინდექსი, $\boldsymbol{t}$ - დროს $\boldsymbol{y}$ - პროდუქციის გამოშვება, $\boldsymbol{K}$- ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, $\boldsymbol{M}$ - შუალედური მოხმარება, **A** - მთლიანი ფაქტურული მწარმოებლურობა *(TFP – Total Factor Productivity)* $\boldsymbol{\alpha}$ - კაპიტალის ელასტიკურობის კოეფიციენტი; **β** - შრომის ელასტიკურობის კოეფიციენტი; **δ** - შუალედური მოხმარების ელასტიკურობის კოეფიციენტი.

თუ წარმოების ფუნქციას გარდავქმნით ლოგარითმულ წრფივ ფუნქციად, შესაბამისად, ტოლობა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$lny_{ijt} = \alpha_{oijt} + \alpha_1 lnK_{ijt} + \alpha_2 lnL_{ijt} + \alpha_3 lnM_{ijt} + \mu_{ijt} \quad (3)$$

სტატიაში გამოყენებულია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა ბაზა, კერძოდ, შემდეგი მაჩვენებლები: პროდუქციის გამოშვება, ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში, დასაქმებულთა რაოდენობა და შუალედური მოხმარება.

## კვლევის შედეგები

**ცხრილი 1** გვიჩვენებს შრომის მწარმოებლურობას საწარმოთა ზომის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ წლების მიხედვით კავშირი მწარმოებლურობასა და საწარმოს ზომას შორის მერყეობს, ძირითადი ტენდენცია ნათელია - მცირე საწარმოების შრომის მწარმოებლობა მსხვილ საწარმოებთან შედარებით ნაკლებია.

**შრომის მწარმოებლურობა საწარმოთა ზომის მიხედვით (ლარი)**

*ცხრილი 1*

| წლები | მსხვილი | საშუალო | მცირე |
|---|---|---|---|
| 2006 | 32627,5 | 19190,2 | 12022,5 |
| 2007 | 40494,3 | 26846,2 | 14781,9 |
| 2008 | 44183,5 | 26804,8 | 16470,8 |
| 2009 | 40509,3 | 29126,5 | 17513,7 |
| 2010 | 51070,5 | 32263,0 | 19825,0 |
| 2011 | 58285,2 | 40058,9 | 24009,9 |
| 2012 | 62350,4 | 51673,6 | 26049,8 |
| 2013 | 58106,6 | 47637,1 | 29153,7 |
| 2014 | 59987,1 | 51975,1 | 29759,8 |
| 2015 | 63045,9 | 57399,2 | 32992,9 |
| 2016 | 65204,3 | 60190,1 | 37128,2 |
| 2017 | 66761,3 | 66815,6 | 39174,8 |
| 2018 | 69224,2 | 69224,5 | 41484,8 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ბიზნესსექტორი*

თუმცა განსხვავება წლების მიხედვით მცირდება, კერძოდ, თუ 2006 წელს მსხვილი საწარმოების შრომის მწარმოებლურობა 2,7-ჯერ მეტი იყო მცირე საწარმოებთან მიმართებით, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 1,7-მდე შემცირდა. მსხვილ და საშუალო საწარმოებს შორის შრომის მწარმოებლურობის თანაფარდობა 2006 წელს 1,7 იყო. 2018 წლისათვის მოცემული მაჩვენებლები გათანაბრდა. 2006 წელს საშუალო საწარმოების შრომის მწარმოებლურობა 1,6-ჯერ აღემატებოდა მცირე საწარმოების შრომის მწარმოებლურობას, ხოლო 2018 წლის მონაცემების მიხედვით ეს მაჩვენებელი თითქმის არ შეცვლილა.

**ცხრილი 2** გვიჩვენებს შრომის მწარმოებლურობას ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოებისათვის. შრომის მწარმოებლურობა მაღალია სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაში, ელეტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობებში. ხოლო

**შრომის მწარმოებლურობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (ლარი)**

*ცხრილი 2*

| წლები | ეკონომიკური საქმიანობის სახეები | მსხვილი | საშუალო | მცირე |
|---|---|---|---|---|
| 2018 | სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა | 31176 | 61985 | 36396 |
| | სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება | 102156 | 61604 | 76444 |
| | დამამუშავებელი მრეწველობა | 136260 | 110028 | 56513 |
| | ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მოწოდება | 92841 | 227339 | 96427 |
| | წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები | 24620 | 26975 | 34454 |
| | მშენებლობა | 122618 | 109992 | 93638 |
| | საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი | 45222 | 55089 | 24826 |
| | ტრანსპორტირება და დასაწყობება | 73166 | 108451 | 54080 |
| | განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები | 61952 | 52037 | 27898 |
| | ინფორმაცია და კომუნიკაცია | 107052 | 60883 | 38979 |
| | უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები | 96829 | 88769 | 63931 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2017 | **სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა** | 31176,0 | 61985,0 | 36396,0 |
| | **სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება** | 102156,0 | 61604,0 | 61604,0 |
| | **დამამუშავებელი მრეწველობა** | 136260,0 | 110028,0 | 56513,0 |
| | **ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მოწოდება** | 92841,0 | 227339,0 | 96427,0 |
| | **წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები** | 24620,0 | 26975,0 | 34454,0 |
| | **მშენებლობა** | 122618,0 | 109992,0 | 93638,0 |
| | **საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი** | 45222,0 | 55089,0 | 24826,0 |
| | **ტრანსპორტირება და დასაწყობება** | 73166,0 | 108451,0 | 54080,0 |
| | **განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები** | 61952,0 | 52037,0 | 27898,0 |
| | **ინფორმაცია და კომუნიკაცია** | 107052,0 | 60883,0 | 38979,0 |
| | **უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები** | 96829,0 | 88769,0 | 63931,0 |
| 2016 | **სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა** | 24411 | 44593 | 33644 |
| | **სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება** | 107425 | 38221 | 64531 |
| | **დამამუშავებელი მრეწველობა** | 95896 | 95026 | 54536 |
| | **ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მოწოდება** | 78729 | 163008 | 65234 |
| | **წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისგან გასუფთავების საქმიანობები** | 22909 | 19954 | 22505 |
| | **მშენებლობა** | 144714 | 95898 | 72661 |
| | **საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი** | 46951 | 49777 | 23331 |
| | **ტრანსპორტირება და დასაწყობება** | 56298 | 92360 | 51738 |
| | **განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები** | 51883 | 48297 | 26514 |
| | **ინფორმაცია და კომუნიკაცია** | 100522 | 58560 | 36086 |
| | **უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები** | 85776 | 60088 | 56570 |

*წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: ბიზნესსექტორი*

სამთომოპოვებითი მრეწველობის და კარიერების დამუშავების, დამამუშავებელი მრეწველობის, მშენებლობის, განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობის, ინფორმაცია და

კომუნიკაციის საქმიანობის სახეების მიხედვით, მსხვილი საწარმოების მწარმოებლურობა შედარებით მაღალია. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობის მიხედვით მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების შრომის მწარმოებლურობა თანაბარია.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი, ტრანსპორტირება და დასაწყობება, საქმიანობის მიხედვით საშუალო საწარმოები უფრო პროდუქტიულებია, ვიდრე მსხვილი საწარმოები. ამავე სექტორებში მსხვილი საწარმოების შრომის მწარმოებლურობა შედარებით მაღალია მცირე საწარმოებთან.

**ცხრილი 3**-დან ჩანს, რომ 2007-2011 წლებში მთლიანი მწარმოებლურობის ზრდა იყო დაახლოებით 14%, რაც განპირობებული იყო სექტორებში მწარმოებლურობის ზრდითა და სექტორებს შორის მწარმოებლურობის ცვლილებით.

**სტრუქტურული ცვლილებების მაჩვენებლები (%%)**

*ცხრილი 3*

| წლები | სექტორებში მწარმოებლურობის ცვლილება | სექტორებს შორის მწარმოებლურობის ცვლილება | მთლიანი მწარმოებლურობის ზრდა | მთლიანი ეკონომიკის შრომის მწარმოებლურობა |
|---|---|---|---|---|
| 2007-2011 | 8,4 | 14,4 | 13,9 | 36.7 |
| 2012-2017 | 0,3 | -4,4 | -0,7 | -4.8 |
| 2007-2018 | 3,5 | 5,3 | 5,2 | 14 |

*წყარო: ავტორთა ჯგუფის გათვლები სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა საფუძველზე.*

2012-2017 წლებში მთლიანი მწარმოებლურობის ზრდა უარყოფითია, რაც გამოწვეულია სექტორებს შორის მწარმოებლურობის ვარდნით (Sikharulidze D., 2018). მთლიანად 2007-2018 წლებში მწარმოებლურობის ზრდის ტემპი საშუალოდ 5,2%-ია, რაც გამოწვეულია როგორც სექტორებს შორის მწარმოებლურობის ცვლილებით, ასევე თვით სექტორებში მწარმოებლურობის ზრდით.

**ცხრილი 4** გვიჩვენებს ცალკეულ ზომით კატეგორიაში შრომის მწარმოებლურობის ტენდენციას ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით.

**მწარმოებლურობის ცვლილებების დეკომპოზიცია მცირე, საშუალო და მსხვილ ზომის საწარმოებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2008-2018 წლები**

*ცხრილი 4*

| № | ეკონომიკის საქმიანობის სახეები | საწარმოს ზომით კატეგორიაში შრომის მწარმოებლურობის ცვლილება θΔP | დასაქმებულთა გადანაწილების მწარმოებლურობის ცვლილება საწარმოთა ზომის მიხედვით ΔθP | მთლიანი მწარმოებლურობის ზრდა ΔθΔP | მთლიანი სექტორის შრომის მწარმოებლურობა ΔP |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | -0,2 | -1,6 | -1,5 | -3,3 |
| 2 | თევზჭერა, მეთევზეობა | - | - | - | - |
| 3 | სამთომოპოვებით მრეწველობა | -54,4 | -1,7 | -2,3 | -58,4 |
| 4 | დამამუშავებელი მრეწველობა | 1,0 | -0,8 | -0,8 | -0,6 |
| 5 | ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება | 21,7 | -0,8 | -0,2 | 20,7 |
| 6 | მშენებლობა | -0,4 | -2,3 | -1,3 | -4 |
| 7 | ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | -1,1 | -1,9 | -1,0 | -4 |
| 8 | სასტუმროები და რესტორნები | 1,1 | 2,1 | -5,6 | -2,3 |
| 9 | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 3,4 | -9,4 | -9,6 | -15,6 |
| 10 | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 1,0 | -2,9 | -3,1 | -5 |
| 11 | განათლება | -5,6 | 4,9 | -18,2 | -18,9 |
| 12 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 6,2 | -4,8 | 14,2 | 15,6 |
| 13 | კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა | -0,5 | -1,8 | -1,2 | -3,5 |

*წყარო: შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა საფუძველზე.*

დასაქმებულთა გადანაწილების მწარმოებლურობა 2008-2018 წლებში მცირდება სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, სამთო მოპოვებითი მრეწველობა, ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის, ოპერაციები უძრავი ქონების, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა საქმიანობის სახეებში. მაშინ როდესაც სასტუმროების და რესტორნების და განათლების სფეროში მწარმოებლურობა იზრდება.

**წარმოების ფუნქციის პარამეტრების შეფასება**
**დამოკიდებული ცვლადი: Log (y), შერჩევის პერიოდი 2008-2018**

*ცხრილი 5*

| **საწარმოს ზომა** | C | ln K | ln L | LnM | **დაკვირვება** |
|---|---|---|---|---|---|
| **მსხვილი საწარმოები** | 5.210380 (0.613038) | 0.097377** (0.047987) | 0.509112*** **(0.055589)** | 0.426880*** **(0.04170)** | 102 |
| **საშუალო საწარმოები** | 4.039752 **(0.696379)** | 0.129904*** (0.045195) | 0.479840*** **(0.043023)** | 0.452832*** **(0.040766)** | 102 |
| **მცირე საწარმოები** | 3.992095 (3.992095) | 0.270286*** (0.270286) | 0.482747*** **(0.482747)** | 0.300877*** **(0.300877)** | 102 |

*წყარო: შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა საფუძველზე.*

ცხრილი 5-დან ჩანს, რომ შრომისა და შუალედური მოხმარების ელასტიკურობის კოეფიცენტი უფრო მაღალია, ვიდრე კაპიტალის. ყველა ცვლადი სტატისტიკურად მნიშნელოვანია. მას შემდეგ რაც განვსაზღვრეთ ელასტიკურობის კოეფიციენტები, შემდეგი ნაბიჯი არის მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის გამოთვლა, რისთვისაც ვიყენებთ ფორმულას:

$$TFP_{ijt} = \frac{y_{ijt}}{K_{ijt}^{\alpha} L_{ijt}^{\beta} M_{ijt}^{\delta}} \quad (4)$$

ამ ფორმულის საშუალებით შეფასდა მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოებისათვის მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა 2008-2018წწ-ში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით (იხ. ცხრილი 6).

**მცირე საწარმოების მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით**

*ცხრილი 6*

| | ეკონომიკის საქ-მიანობის სახეები | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | საშუალო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფლის მეურ-ნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 1,320 | 1,286 | 1,284 | 1,344 | 1,317 | 1,325 | 1,312 | 1,323 | 1,531 | 1,492 | 1,501 | 1,367 |
| 2 | თევზჭერა, მეთევზეობა | 1,495 | 1,442 | 1,322 | 1,432 | 1,531 | 1,468 | 1,466 | 1,503 | 1,531 | 1,492 | 1,501 | 1,471 |
| 3 | სამთომოპოვებით მრეწველობა | 1,413 | 1,376 | 1,397 | 1,368 | 1,363 | 1,399 | 1,367 | 1,377 | 1,541 | 1,557 | 1,546 | 1,428 |
| 4 | დამამუშავებელი მრეწველობა | 1,257 | 1,243 | 1,358 | 1,250 | 1,247 | 1,258 | 1,254 | 1,255 | 1,479 | 1,480 | 1,480 | 1,324 |
| 5 | ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება | 1,424 | 1,473 | 1,525 | 1,556 | 1,495 | 1,497 | 1,512 | 1,490 | 1,596 | 1,583 | 1,621 | 1,525 |
| 6 | მშენებლობა | 1,304 | 1,286 | 1,369 | 1,280 | 1,255 | 1,276 | 1,246 | 1,261 | 1,508 | 1,510 | 1,513 | 1,346 |
| 7 | ვაჭრობა; ავტო-მობილების, საყო-ფაცხოვრებო ნა-წარმისა და პირა-დი მოხმარების საგნების რემონტი | 1,221 | 1,226 | 1,300 | 1,234 | 1,228 | 1,235 | 1,227 | 1,228 | 1,498 | 1,503 | 1,504 | 1,310 |
| 8 | სასტუმროები და რესტორნები | 1,266 | 1,265 | 1,301 | 1,261 | 1,247 | 1,249 | 1,247 | 1,255 | 1,499 | 1,497 | 1,494 | 1,325 |
| 9 | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 1,286 | 1,299 | 1,392 | 1,318 | 1,289 | 1,293 | 1,282 | 1,282 | 1,504 | 1,518 | 1,508 | 1,361 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10 | **ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა** | 1,268 | 1,263 | 1,287 | 1,287 | 1,244 | 1,255 | 1,244 | 1,253 | 1,566 | 1,549 | 1,552 | 1,342 |
| 11 | **განათლება** | 1,304 | 1,324 | 1,282 | 1,309 | 1,302 | 1,290 | 1,281 | 1,297 | 1,525 | 1,523 | 1,524 | 1,360 |
| 12 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება** | 1,274 | 1,275 | 1,322 | 1,299 | 1,274 | 1,268 | 1,277 | 1,277 | 1,534 | 1,539 | 1,536 | 1,352 |
| 13 | **კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა** | 1,307 | 1,313 | 1,318 | 1,329 | 1,271 | 1,276 | 1,261 | 1,269 | 1,599 | 1,563 | 1,569 | 1,370 |

*წყარო: შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა საფუძველზე.*

## საშუალო ზომის საწარმოების მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

*ცხრილი 7*

| | ეკონომიკის საქმიანობის სახეები | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | საშუალო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა** | 1,321 | 1,323 | 1,261 | 1,309 | 1,354 | 1,351 | 1,333 | 1,344 | 1,512 | 1,528 | 1,465 | 1,373 |
| 2 | **თევზჭერა, მეთევზეობა** | | 1,590 | 1,596 | 1,563 | 1,605 | 1,598 | 1,610 | 1,666 | 1,512 | 1,528 | 1,465 | 1,573 |
| 3 | **სამთომოპოვებითი მრეწველობა** | 1,414 | 1,373 | 1,388 | 1,413 | 1,410 | 1,409 | 1,424 | 1,395 | 1,554 | 1,565 | 1,559 | 1,446 |
| 4 | **დამამუშავებელი მრეწველობა** | 1,276 | 1,270 | 1,375 | 1,271 | 1,290 | 1,282 | 1,284 | 1,291 | 1,508 | 1,513 | 1,511 | 1,352 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | **ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება** | 1,286 | 1,361 | 1,438 | 1,453 | 1,409 | 1,429 | 1,444 | 1,443 | 1,630 | 1,647 | 1,635 | 1,470 |
| 6 | **მშენებლობა** | 1,274 | 1,251 | 1,341 | 1,272 | 1,266 | 1,276 | 1,280 | 1,291 | 1,512 | 1,519 | 1,540 | 1,347 |
| 7 | **ვაჭრობა; ავტო-მობილების, საყო-ფაცხოვრებო ნა-წარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი** | 1,315 | 1,302 | 1,364 | 1,286 | 1,307 | 1,282 | 1,294 | 1,274 | 1,553 | 1,561 | 1,553 | 1,372 |
| 8 | **სასტუმროები და რესტორნები** | 1,310 | 1,305 | 1,339 | 1,286 | 1,310 | 1,292 | 1,306 | 1,301 | 1,540 | 1,561 | 1,558 | 1,374 |
| 9 | **ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა** | 1,316 | 1,313 | 1,405 | 1,299 | 1,320 | 1,321 | 1,324 | 1,334 | 1,524 | 1,523 | 1,527 | 1,382 |
| 10 | **ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა** | 1,295 | 1,306 | 1,332 | 1,332 | 1,288 | 1,289 | 1,304 | 1,289 | 1,589 | 1,579 | 1,549 | 1,377 |
| 11 | **განათლება** | 1,264 | 1,271 | 1,248 | 1,245 | 1,277 | 1,265 | 1,277 | 1,278 | 1,558 | 1,551 | 1,547 | 1,344 |
| 12 | **ჯანმრთელობის დაცვა და სოცია-ლური დახმარება** | 1,235 | 1,234 | 1,263 | 1,257 | 1,291 | 1,281 | 1,281 | 1,285 | 1,525 | 1,527 | 1,526 | 1,337 |
| 13 | **კომუნალური, სო-ციალური და პერ-სონალური მომ-სახურების გაწევა** | 1,284 | 1,282 | 1,311 | 1,292 | 1,315 | 1,294 | 1,306 | 1,298 | 1,543 | 1,553 | 1,545 | 1,366 |

*წყარო: შედგენილი ავტორთა ჯგუფის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა საფუძველზე.*

## მსხვილი საწარმოების მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

*ცხრილი 8*

| | ეკონომიკის საქმიანობის სახეები | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | საშუალო |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა | 1,372 | 1,351 | 1,340 | 1,357 | 1,321 | 1,281 | 1,288 | 1,279 | 1,493 | 1,496 | 1,500 | 1,371 |
| 2 | თევზჭერა,მეთევზეობა | 1,800 | 1,635 | 1,525 | | | 1,751 | 1,733 | 1,626 | 1,493 | 1,496 | 1,500 | 1,618 |
| 3 | სამთომოპოვებითი მრეწველობა | 1,374 | 1,366 | 1,384 | 1,365 | 1,346 | 1,342 | 1,345 | 1,347 | 1,544 | 1,552 | 1,555 | 1,411 |
| 4 | დამამუშავებელი მრეწველობა | 1,254 | 1,251 | 1,352 | 1,254 | 1,250 | 1,252 | 1,254 | 1,253 | 1,513 | 1,519 | 1,523 | 1,334 |
| 5 | ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება | 1,273 | 1,265 | 1,308 | 1,270 | 1,267 | 1,272 | 1,272 | 1,274 | 1,557 | 1,547 | 1,555 | 1,351 |
| 6 | მშენებლობა | 1,265 | 1,275 | 1,355 | 1,267 | 1,271 | 1,271 | 1,272 | 1,276 | 1,520 | 1,516 | 1,503 | 1,345 |
| 7 | ვაჭრობა; ავტომობი-ლების, საყოფაცხოვ-რებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი | 1,274 | 1,264 | 1,327 | 1,327 | 1,256 | 1,253 | 1,244 | 1,239 | 1,502 | 1,506 | 1,503 | 1,336 |
| 8 | სასტუმროები და რესტორნები | 1,334 | 1,316 | 1,324 | 1,292 | 1,297 | 1,287 | 1,288 | 1,283 | 1,504 | 1,519 | 1,523 | 1,361 |
| 9 | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 1,249 | 1,246 | 1,319 | 1,254 | 1,257 | 1,256 | 1,254 | 1,256 | 1,520 | 1,521 | 1,528 | 1,333 |
| 10 | ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა | 1,315 | 1,312 | 1,336 | 1,289 | 1,297 | 1,294 | 1,292 | 1,287 | 1,632 | 1,642 | 1,634 | 1,394 |
| 11 | განათლება | 1,324 | 1,315 | 1,294 | 1,331 | 1,325 | 1,337 | 1,328 | 1,322 | 1,584 | 1,583 | 1,594 | 1,394 |
| 12 | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება | 1,222 | 1,226 | 1,254 | 1,240 | 1,235 | 1,236 | 1,240 | 1,244 | 1,529 | 1,496 | 1,500 | 1,311 |
| 13 | ლური და პერსონალუ-რი მომსახურების გაწევა | 1,306 | 1,284 | 1,303 | 1,311 | 1,308 | 1,322 | 1,323 | 1,302 | 1,544 | 1,548 | 1,533 | 1,371 |

*წყარო: შედგენილია ავტორთა ჯგუფის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემთა საფუძველზე.*

2008-2018 წლებში მწარმოებლურობის მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩეოდა ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა, ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება, კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა. მთლიანობაში 2008-2018 წლებში, ეკონომიკური საქმიანობის ყველა სახეობის მიხედვით, მცირე საწარმოების მწარმოებლურობა გაიზარდა.

საშუალო საწარმოების შემთხვევაში, 2008-2018 წლებში, მწარმოებლურობის მაღალი ზრდა ფიქსირდება ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილების სექტორში (27%). მწარმოებლურობის მაღალი ზრდით ხასიათდება ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (23,6%), განათლება (22,4), მშენებლობა (21%), კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა (20%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (20%), დამამუშავებელი მრეწველობა (18%), სასტუმროები (18%).

მსხვილი საწარმოების შემთხვევაში, 2008-2018 წლებში, მწარმოებლურობა იზრდება: ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა(24%), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება (23%), ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა (22%), დამამუშავებელი მრეწველობა (21%), ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება-განაწილება (22%), მშენებლობა (19%), ხოლო თევზჭერა, მეთევზეობის სექტორში მწარმოებლურობა მცირდება 17%-ით.

## დასკვნა

ნაშრომში შევისწავლეთ მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების მწარმოებლურობის დინამიკა, უწინარესად განვიხილეთ შრომის მწარმოებლურობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოებისათვის. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ თუ 2006 წელს, შრომის მწარმოებლურობის მიხედვით, მსხვილი საწარმოები ლიდერობდნენ, შემდგომში მდგომარეობა იცვლება და მცირე და საშუალო საწარმოების შრომის მწარმოებლურობა უთანაბრდება მსხვილი საწარმოების მაჩვენებელს.

მცირე, საშუალო და მსხვილი საწარმოების მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობის შესწავლამ აჩვენა, რომ მთლიანობაში მსხვილი საწარმოები უფრო მწარმოებლურია, ვიდრე მცირე და საშუალო საწარმოე-

ბი. თუმცა, საინტერესოა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით ზომასა და მწარმოებლურობას შორის კავშირის ანალიზი. როგორც მე-4, მე-5, მე-6 ცხრილები გვიჩვენებს, სოფლის მეურნეობასა, ნადირობასა და სატყეო მეურნეობაში საშუალო საწარმოები უფრო მწარმოებლურია, ვიდრე მცირე და მსხვილი საწარმოები, თუმცა, მსხვილი საწარმოების მწარმოებლურობა მაღალია მცირე საწარმოებთან შედარებით. **თევზჭერა, მეთევზეობის** სექტორში მსხვილი საწარმოების მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა მაღალია, ვიდრე მცირე და საშუალო საწარმოების. **სამთომომპოვებელ მრეწველობაში** მცირე და საშუალო საწარმოები უფრო მწარმოებლურია, ვიდრე მსხვილი საწარმოები. **დამამუშავებელ მრეწველობაში** საშუალო საწარმოების მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა მსხვილი საწარმოებზე თითქმის ორჯერ მეტია, ხოლო მსხვილი და მცირე საწარმოები თანაბრად მწარმოებლურია. **ელექტრონული, აირის და წყლის წარმოება - განაწილების სექტორში** მცირე საწარმოების მწარმოებლურობა მაღალია ვიდრე საშუალო და მსხვილი საწარმოების. **მშენებლობის სექტორში** საშუალო საწარმოები ლიდერობენ. იგივე სიტუაციაა ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტის სექტორში. აღნიშნულ სექტორში საშუალო მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა, მცირე საწარმოებთან შედარებით, მაღალია. **სასტუმროებისა და რესტორნების სექტორში** საშუალო და მსხვილი საწარმოების მთლიანი ფაქტორული მწარმოებლურობა თანაბარია და დიდად აღემატება მცირე საწარმოების მწარმოებლურობას. **ტრანსპორტისა და კავშირგამბულობის** შემთხვევაში მწარმოებლურობის მხრივ ლიდერობენ მცირე და საშუალო საწარმოები. ხოლო უძრავი ქონების და კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევის სფეროში, მსხვილი საწარმოები უფრო მწარმოებლურია.

**ლიტერატურა:**


- Avasilicai, S. (2009). Entrepreneurship: applied research, . Cluj-Napoca: Tedosco.
- Baldwin, J. R. (2002). The Trend to Smaller Producers in Manufacturing: A Canada/U.S. Comparison. . Economic Analysis Research Paper Series, No. 3, Statistics Canada .
- Beck, T. D.-K. (2005). Financial and legal constraints to growth: Does firm size. The Journal of Finance, 60(1), , pp. 137–177.
- Dhawan, R. (2001). Firm isze and productivity differential: Theory and evidence from a panel of US firms. Journal of economic behavior and organization 44 (3) , pp. 269-293.

- Druker, P. (2009). Innovation and Entrepreneurship, . New York: : Harper Collins.
- Idson, T. L. (1999). Workers are more productive in large firms. American Economic Review, 89(2), , pp. 104–108.
- Jovanovic, B. (1982). Selection and the evolution of industry. Econometrica: Journal of the Econometric Society, 50(3) , pp. 649–670.
- McMillan, M. a. (2011). Globalization, structural change and productivity growth. . NBERWorking Paper 17143, , pp. 1–54.
- Olley, S. a. (1996). The dynamics of productivity in the telecommunications equipment industry. Econometrica 64: , pp. 1263–97.
- Shaburishvili S.kadagishvili L. (2018). Challenges to the development of small and medium business in Georgia. Bulletin of Khmelnytsky National University, Economic sciences N5(1), pp.14-18.
- Sikharulidze D. (2018). Industrial and Enterprise policy. Tbilisi: CSRDC.
- Snodgrass, D. a. (1995). Industrialization and Small Firms Patterns and Policies. San Francisco: : International Center for Economic Growth.
- Tybout, J. R. (2000). Manufacturing firms in developing countries: How well do they do, and why? Journal of Economic Literature, 38(1), pp. 11–44.
- Văduva, S. ( 2004. ). Entrepreneurship, :. Bucharest: Economica.
- Van Ark, B. a. (1996). Size Distribution of Output and Employment: A Data Set For Manufacturing Industries in Five OECD Countries, 1960s-1990. OECD Economics Department Working Paper No. 166.
- Van Biesebroeck, J. (2005. ). Firm Size Matters: Growth and Productivity Growth in African Manufacturing. Economic Development and Cultural Change 53 , pp. 546–583.
- Williamson, O. E. (1967). Hierarchical control and optimum firm size. . The Journal of Political Economy, 75(2), , pp. 123–138.
- World Bank Group. (2018). Georgia: from reformer to performer. A systematic country diagnostic. World Bank.
- National Statistic Office of Georgia. Business statistics. https://www.geostat.ge/ka/single-categories/105/biznes-seqtori-sakartveloshi
- World Bank Group. Georgia from reformer to performer. A Systematic country diagnostic. 2018

# Total Factor Productivity Analysis According to the Size of Economic Activity and Sectors in Georgia

**Davit Sikharulidze**
*Associate Professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
david.sikharulidze@tsu.ge

**Shota Shaburishvili**
*Associate Professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
shota.shaburishvili@tsu.ge

**Tea Munjishvili**
*Associate Professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
tea.munjishvili@tsu.ge

**Leila Kadagishvili**
*Assistant-Professor*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
leila.kadagishvili@tsu.ge

**Rusudan Maisuradze**
*Doctoral Student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
rusudan.maisuradze@tsu.ge

**Khatia Udesiani**
*Doctoral Student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
khatia.udesiani@gmail.com

The main driver of Georgia's economic growth during the transformation period was domestic demand for supported remittances, capital flows, and economic liberalization, which led to increased productivity through sectoral redistribution. According to the World Bank's 2018 report, the main challenge for the country is the high rate of sustainable economic growth. According to the same report, in order to boost sustainable economic growth and double GDP by 2030, the government needs to reorient its economic policy from foreign investment to productivity.The study of the phenomenon of productivity is of great scientific, cognitive and practical importance at the present stage.

Based on the above, within the framework of the scientific grant project of Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Economics and Business – „Small Business Factor Productivity and Export Capabilities in Georgia", we aimed to investigate the relationship between enterprise size and productivity in terms of economic activity.

McMillan's and Rodrik's methods were used to analyze productivity, using which we calculated the trend of labor productivity in a separate size category. We used the Olley and Pakes approach to assess overall factor productivity.

We first discussed labor productivity by type of economic activity for small, medium, and large enterprises. The paper found that if large enterprises were leading in terms of labor productivity in 2006, then the situation would change and the productivity of small and medium enterprises would be equal to that of large enterprises.

The study of the total factor productivity of small, medium and large enterprises has shown that in general large enterprises are more productive than small and medium enterprises. However, it is interesting to analyze the relationship between size and productivity in terms of economic activity.

**Keywords:** Economic sector, factor productivity, production factors, enterprise size.

**JEL Codes:** J20, J24, O4

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 138-153*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 138-153*

# ალტრუიზმის, პროსოციალური ქმედებისა და ქრისტიანული სიყვარულის მნიშვნელობა ქცევითი ეკონომიკის კვლევებში*

**რატი მექვაბიშვილი**
*დოქტორანტი*
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის*
*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
*rati.mekvabishvili@eab.tsu.edu.ge*

*სტატიაში განხილულია ალტრუიზმის და პროსოციალური ქცევის ცნებები და მათი მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერების ქცევითი ეკონომიკის მიმდინარეობის ინტერდისციპლინარული ხასიათის კვლევებში. ასევე განხილულია ალტრუიზმის ძირითადი თეორიული მოდელები და კონცეფციები. ნაჩვენებია, რომ ალტრუიზმი წარმოადგენს ეგოიზმის შეფარულ და გართულებულ ფორმას. აქედან გამომდინარე, ალტრუიზმი პრინციპულად არ განსხვავდება პროსოციალური ცნებისგან: ორივე, საბოლოო ანგარიშით, საკუთარ თავზე ორიენტირებული ცნებებია. მოყვანილია ალტრუიზმის შედარება ქრისტიანულ სიყვარულთან და განხილულია მათი განსხვავებები და მათი თეორიული და პრაქტიკული შედეგების მნიშვნელობა. ნაჩვენებია, რომ ალტრუიზმი და ქრისტიანული სიყვარული არა თუ განსხვავებული, არამედ ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია.*

*ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით, სტატიაში არის მცდელობა პასუხი გაეცეს განსახილველ პრობლემასთან დაკავშირებულ საკითხებს, როგორიცაა: რატომ შეიძინა ქცევით ეკონომიკაში ალტრუიზმმა აქტუალურობა და რას ნიშნავს ტერმინები – პროსოციალური ქცევა და ალტრუიზმი, რატომ გახდა საჭირო ამ ტერმინთა შემოღება; თუ არსებობდა ქრისტიანული სიყვარულის ცნება, რა დამოკიდებულებაშია ალტრუიზმი ქრისტიანულ სიყვარულთან და აქვს თუ არა რაიმე თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ამ ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნას. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს ალტრუიზმზე და პროსოციალურ ქცევაზე ბოლო ათწლეულების მანძილზე შემუშავებული ეკონომიკური თეორიების მიმოხილვას. აგრეთვე, ალ-*

* კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ მხარდაჭერით [გრანტი PHDF-19-321].

*ტრუიზმის, პროსოციალური ქცევის და ქრისტიანული სიყვარულის ცნებების განმარტებას და მათ შორის არსებული განსხვავებების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის წარმოჩენას.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ქცევითი ეკონომიკა, პროსოციალური ქცევა, ალტრუიზმი, ქრისტიანული სიყვარული, ევოლუცია, ქრისტიანული მსოფლმხედველობა, ევოლუციური მსოფლმხედველობა.*

***JEL Codes:*** *D60, D64, D69*

## შესავალი

ბოლო პერიოდში ვხვდებით ეკონომისტთა შეხედულებებს იმის თაობაზე, რომ დღეს გაბატონებული „მეინსტრიმული" ეკონომიკური თეორია კრიზისულ მდგომარეობაშია (მექვაბიშვილი, 2018; ბალარჯიშვილი, 2018), საიდანაც ერთ-ერთ გამოსავლად ეკონომიკის სხვა დისციპლინებთან (სოციოლოგია, ბიოლოგია, სოციალური ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და ა.შ.) სინთეზს მიიჩნევენ (პაპავა, 2018). მართლაც, დღესდღეობით მეცნიერული კვლევების დიდი წილი ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და თუ XX საუკუნეს შეიძლება ვუწოდოთ დისციპლინათა შიგნით სპეციალიზაციის ერა, XXI საუკუნეს თამამად შეიძლება დავარქვათ დისციპლინათაშორისი სინთეზის ერა.

მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის „მეინსტრიმული" ეკონომიკური თეორია კვლავაც დომინანტურ პოზიციას ინარჩუნებს როგორც მეცნიერულ კვლევებში, ასევე ეკონომიკურ განათლებაში (ბალარჯიშვილი, 2018), ბოლო ათწლეულების მანძილზე ინტერდისციპლინალური ხასიათის ექსპერიმენტული კვლევების საფუძველზე, ქცევითი ეკონომიკის მიმდინარეობამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა. განვითარების ამგვარმა ვექტორმა განაპირობა ეკონომიკური მეცნიერების კვლავ „ადამიანისკენ შემობრუნება" და დღის წესრიგში დააყენა სტანდარტული თეორიული ეკონომიკის პოსტულატების გადახედვის აუცილებლობაც (Белянин, 2017).

ქცევითი ეკონომიკის ინტერდისციპლინარული კვლევების განვითარების ამგვარ პირობებში ალტრუიზმი, როგორც პროსოციალური ქცევის ერთ-ერთი მთავარი მოტივი, მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მოექცა. მეცნიერულ კვლევებში საზოგადოების კეთილდღეობის ქვაკუთხედად სწორედ ალტრუისტული ტიპის ადამიანი იქცა, რომელზეც ბევრი რამ არის დამოკიდებული. გარდა ზემოთ აღნიშნული დისციპლინათაშორისი სინთეზისა, ასევე მცდელობებია დღევანდელი მეცნიერების და თეოლოგიის სინთეზის, რომელშიც ალტრუიზმს და პროსოციალურ ქცევას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია (Meisinger, 2000).

## ალტრუიზმის და პროსოციალურობის მნიშვნელობა ეკონომიკურ ურთიერთობებში

XX საუკუნის 70-ანი წლებიდან სოციალურ, მათ შორის - ეკონომიკურ მეცნიერებაში, მკვლევართა ინტერესი საზოგადოებაში ადამიანის უარყოფითი, ანტისოციალური ქცევის შემზღუდავი მექანიზმების შესწავლიდან დადებითი, პროსოციალური ქცევის მასტიმულირებელი მექანიზმების შესწავლისკენ გადაიხარა (Batson, 2012; Свенцицкий, Казанцева, 2015; Eisenberg, Beilin, 1982). ერთ-ერთი მიზეზი იმისა, თუ რატომ გახდა პროსოციალური ქცევა კვლევის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი, არის ის, რომ ის პირდაპირ კავშირშია ადამიანის ბუნების ფუნდამენტურ საკითხებთან, რაც საუკუნეების მანძილზე ფილოსოფიური განსჯის საგანი იყო. როგორც საერთოდ მოაზროვნეთა და განსაკუთრებით მეცნიერთა წინაშე იდგა და დღესაც დგას შემდეგი კითხვები: როგორია ადამიანის ბუნება, არის თუ არა ის კეთილი? ბუნებით ადამიანი ეგოისტია თუ ალტრუისტი? ადამიანს შეუძლია წმინდა ალტრუისტული ზრახვებით მოქმედება, თუ მის ქცევას მუდამ თან ახლავს ეგოისტური მოტივები? პროსოციალური ქცევის ერთ-ერთი ფორმა, კერძოდ კი უცნობ ადამიანთა შორის ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა დღეს ერთ-ერთ ყველაზე ღია და მწვავე გამოწვევად რჩება თანამედროვე მეცნიერების წინაშე (Kennedy, Norman, 2005).

ეგოისტური და მატერიალისტური „Homo Economicus"-ის პარადიგმაში, ალტრუიზმის და პროსოციალური ქცევის ადგილი, რა თქმა უნდა, აღარ რჩება. თუმცა, ეკონომისტთა ნაწილი განახლებული ინტერესით მოეკიდა ადამ სმიტის ნაკლებად ცნობილ, მაგრამ მნიშვნელოვან ნაშრომს – „მორალურ გრძნობათა თეორია", რომელშიც ავტორი აღნიშნავს, რომ ადამიანის ბუნებას არამხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სხვების კეთილდღეობაზე უანგარო ზრუნვაც ახასიათებს და ადამიანის ბუნების ორივე მხარეზე მიუთითებს, – ეგოისტურზეც და არაეგოისტურზეც (Smith, 1984).

"Homo Economicus"-ის პარადიგმაში რაციონალური და ეგოისტი ინდივიდი ყოველთვის იქცევა ოპორტუნისტულად, თუ კი მისთვის ეს სარგებლის მომტანია. ხელშეკრულებებში, რომლითაც წესრიგდება მხარეთა შორის ეკონომიკური ურთიერთობები, შეუძლებელია ყველაფრის სრულად გაკონტროლება და ამომწურავად გაწერა. ამდენად, ოპორტუნისტული ქცევის შესაძლებლობა ყოველთვის არსებობს, იქნება ეს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, შრომითი ხელშეკრულებები, ფირმათაშო-

რისი ხელშეკრულებები, გადასახადები თუ სხვ. ოპორტუნისტულმა და ეგოისტურმა ინდივიდუალურმა გადაწყვეტილებებმა შესაძლოა საზოგადოება მიიყვანოს სხვადასხვა სახის სუბოპტიმალურ და დაბალეფექტიან ეკონომიკურ შედეგებამდე: დაბინძურებული გარემო, უთანასწორო შრომითი პირობები, გაუმართავი საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სხვ.

თუმცა, რეალურ ცხოვრებაში, ხშირ შემთხვევაში ადამიანები არ იქცევიან ისე, როგორც „Homo Economicus"-ის ტიპის ინდივიდი. მრავალმა ეკონომიკურმა ექსპერიმენტულმა კვლევამ ნათლად დაადასტურა, რომ ინდივიდთა მნიშვნელოვან ნაწილს არამარტო თანამშრომლობა და პროსოციალურობა ახასიათებს, არამედ საერთო კეთილდღეობისათვის ისინი საკუთარი დანახარჯების ფასად მზად არიან კიდევაც დასაჯონ ოპორტუნისტი და ეგოისტი ინდივიდები. ასეთი „ალტრუისტი დამსჯელის" არსებობის შემთხვევაში თვით ეგოისტი ინდივიდიც შესაძლოა მოიქცეს პროსოციალურად და შედეგად ეკონომიკური ურთიერთობა დასტაბილურდეს „თანამშრომლობის" წონასწორობის წერტილში. მაშასადამე, თუ ვაღიარებთ ადამიანის ბუნების არაეგოისტური მხარის არსებობას, მყისიერად დგება ინდივიდთა ეკონომიკური ქცევის და მათი ურთიერთქმედების გადახედვის საჭიროებაც.

ალტრუისტი და ეგოისტის ინდივიდების ამგვარი ურთიერთქმედებისას, პროსოციალური ქცევის მასტიმულირებელი და დამცავი მექანიზმების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ეკონომიკურ და სოციალური პოლიტიკას. „Homo Economicus"-ის პარადიგმაში ოპორტუნისტული და ანტისოციალური ქცევის შემცირების მიზნით, მითითებაა მხოლოდ სანქციებზე, დასჯაზე და მსგავსი სახის მექანიზმების აუცილებლობაზე, რაც თავისთავად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში, ანტისოციალური ქცევის დაძლევის წინაშე მარტო რჩება შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტები, როგორიცაა სასამართლო, პოლიცია და ა.შ. ამგვარად, ოპორტუნისტულ ქცევასთან ბრძოლა მძიმე საგადასახადო ტვირთად აწევს ეკონომიკას. მრავალი სახელმწიფო ინსტიტუტის შენახვა ხომ მეტ გადასახადებთანაა დაკავშირებული, რომ აღარაფერი ვთქვათ ხანგრძლივი ბიუროკრატიული და სამართლებრივი პროცედურებით გამოწვეულ ეკონომიკურ დანახარჯებზე. ნათელია, ისეთ საზოგადოებაში და ეკონომიკაში, სადაც კულტივირდება და დომინირებს ინდივიდთა შორის პროსოციალური ქცევა, სახელმწიფო ინსტიტუტებს გაცილებით ეფექტიანად და მცირე დანახარჯებით უხდება მისი დაცვა და შენარჩუნება.

## სოციალური პრეფერენციების ახალი ეკონომიკური თეორიები

ახალმა ეკონომიკურმა ხედვებმა და ეკონომიკური ექსპერიმენტის შედეგებმა ბიძგი მისცა სოციალური პრეფერენციების (Social Preferences) ეკონომიკურ – თეორიული მოდელების შემუშავებას. ეკონომისტი ***ჯეიმს ანდრეონი*** ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა „არაწმინდა ალტრუიზმის თეორია“ (Theory of Impure Altruism), სადაც ინდივიდს ახასიათებს როგორც ეგოისტური, ასევე არაეგოისტური ქცევა. ამას მალევე მოჰყვა ეკონომისტების – ***ერნსტ ფეჰრის*** და ***კლაუს შმიდტის*** „სამართლიანობის თეორია“ (Theory of Fairness), სადაც ეკონომიკურ აგენტს არ მოსწონს უთანასწორობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას სხვებთან შედარებით დიდად ნაკლები შემოსავალი გააჩნია, რისთვისაც იგი მზადაა შეამციროს სხვების შემოსავალი (Fehr, Fischbacher, 2003). ეკონომისტებმა ***მ. რაბინმა, ა. ფალკმა*** და ***უ. ფიშბახერმა*** წარმოადგინეს რეციპროკული (Reciprocity) ალტრუიზმის, ანუ „ალტრუისტული ნაცვალგების თეორია“. აღნიშნულ მოდელებში განზრახვას განსაკუთრებული ყურადღება მიენიჭა. თეორიული მოდელის მიხედვით, ადამიანები აფასებენ ქცევას იმის მიხედვით - კეთილი თუ ბოროტი განზრახვით იყო ის ნამოქმედარი. შედეგად მოხდა ალტრუიზმის სამართლიანობის „'-'', კბილის წილ“ (tit for tat) პრინციპის ჩარჩოებში მოქცევა. აღნიშნული პრინციპის მიხედვით, ადამიანი ალტრუისტულად ექცევა მეორე ადამიანს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ასევე ალტრუისტული ქცევით უპასუხებს.

მკვლევარმა ***რობერტ ტრივერსმა,*** ბიოლოგიურ საფუძვლებზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბა „რეციპროკული ალტრუიზმის თეორია“ (Theory of Reciprocal Altruism). ევოლუციურ ბიოლოგიაში რეციპროკული ალტრუიზმი ეწოდება ისეთ ქცევას, როდესაც ორგანიზმი ამცირებს საკუთარ შემგუებლობას (Fitness), ხოლო სხვა ორგანიზმის შემგუებლობას ზრდის იმ მოლოდინით, რომ ეს ორგანიზმი მომავალში მასაც ასევე მოექცევა (Fehr, Fischbacher, 2003). რ. ტრივერსის ეს კონცეფცია საფუძვლად დაედო ევოლუციურ თანამშრომლობას როგორც ორმხრივ, ურთიერთსასარგებლო ალტრუისტულ აქტს. მოდელის მიხედვით, ერთმანეთისთვის უცხო ინდივიდთა შორის, კონკრეტულ ვითარებაში, ბუნებრივი გადარჩევის პირობის მიუხედავად, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ალტრუისტულ ქცევასაც. ეს ქცევა ეფუძნება მოგება-ზარალის პრინციპებს და გრძელვადიან პერიოდში მეორე ინდივიდისგან საპასუხო ალტრუისტული ქცევის მიღებას.

ევოლუციურ თანამშრომლობაზე დაფუძნებული რეციპროკულობის მსგავსი კონცეფცია შეიმუშავეს ***რ. აქსელროდმა*** და ***უ. ჰამილტონმა.*** მათ მოდელშიც, ადამიანი მხოლოდ მაშინ მოიქცევა ალტრუისტულად მეორე

ადამიანის მიმართ, თუ მის მიერ ალტრუისტულ ქცევასთან დაკავშირებული ხარჯები (დახარჯული დრო, ენერგია და ა.შ.) უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე სამომავლოდ მისაღები სარგებელი (Fehr, Fischbacher, 2003). სამართლიანობის მოდელებისგან განსხვავებით, რეციპროკულობის თეორია კეთილ ქცევას აჯილდოებს და ბოროტ ქცევას სჯის მაშინაც, როდესაც თანასწორობის და სამართლიანობის აღდგენა შეუძლებელია. რეციპროკულობა მხოლოდ ორ ინდივიდს შორის თანასწორობის დამყარების პრობლემატიკით არ შემოიფარგლება, ის სამართლიანობის დამყარებისკენ ნებისმიერ შემთხვევაში მიისწრაფვის.

ალტრუისტული თანამშრომლობის ახსნას შეეცადა უილიამ ჰამილტონი და წარმოადგინა სისხლით ნათესაურ (Kinship) კავშირზე დაფუძნებული თანამშრომლობის და ალტრუისტული ქცევის თეორია. მისი თეორია, რომელიც თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც „ერთიანი შემგუებლობის თეორია“ (Inclusive Fitness), შემდგომ საფუძვლად დაედო „ნათესაური გადარჩევის თეორიას“ (Kinselection). „ერთიანი შემგუებლობის თეორია“ ახლებურ გადაწყვეტას სთავაზობდა მეცნიერებს კითხვაზე, თუ რატომ იქცევიან ადამიანები ალტრუისტულად. კერძოდ, უ. ჰამილტონმა მათემატიკურ გათვლებზე დაყრდნობით აჩვენა, რომ ევოლუციურ პროცესში გენეტიკურად დაკავშირებული ინდივიდები ერთმანეთს ეხმარებიან გენის გადარჩენა-გავრცელების მიზნით (Fehr, Fischbacher, 2003). „ნათესაური გადარჩევის თეორიის“ მთავარი კითხვაა – რა შემთხვევაში აჭარბებს სარგებელი მასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ანუ რა შემთხვევაში ექნება ალტრუისტულ ქმედებას ადგილი. თეორიის მიხედვით, გადარჩევის პროცესში ერთიანი შემგუებლობის მექანიზმი უპირატესობას ანიჭებს იმ ინდივიდებს, რომლებიც ახდნენ ერთიანი შემგუებლობის მაქსიმიზებას, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა ალტრუისტული ურთიერთქმედების, ანუ გენების გამრავლება-გადაცემის გზით. შედეგად, ალტრუისტული ქცევის წამქეზებელი გენი ეხმარება მისნაირ გენებს გამრავლებაში და მომავალი თაობების სიცოცხლის გაგრძელებაში. თუმცა, ნათესაური გადარჩევა სრულებით ვერ ხსნის უცნობ ადამიანთა შორის ფართომასშტაბიან თანამშრომლობას და ალტრუისტულ ქცევას, ის მხოლოდ ნათესაურ კავშირში მყოფი ინდივიდების თანამშრომლობით შემოიფარგლება.

ქცევითი ეკონომიკის კვლევებში ანთროპოლოგიასა და სოციობიოლოგიაზე დაყრდნობით, მკვლევართა ნაწილი ***(ს. ბოულსი, ჯ. ჰენრიხი, ჰ. გინტისი, პ. რიჩერსონი, რ. ბოიდი)*** შეეცადა „ჯგუფური გადარჩევის“ (Group Selection) და „გენურ-კულტურული თანაევოლუციური“ (Gen-culture Coevolution) მიდგომების გამოყენებით, ჩამოეყალიბებინა ალტრუისტული და პროსოციალური ქცევის თეორიული მოდელები და მათი საშუა-

ლებით აეხსნა უცნობ ინდივიდთა შორის თანამშრომლობის ფენომენი (Fehr, Fischbacher, 2003). კვლევის ეს მიმართულება, რომელიც ცნობილია ასევე როგორც „კულტურულ-ჯგუფური გადარჩევის“ (Cultural Group Selection) თეორიული მიმართულება, დღეს ყველაზე ფართოდ არის წარმოდგენილი და „გენურ-კულტურულ თანაევოლუციაზე“ დაფუძნებულ სხვადასხვა თეორიულ მოდელს და კონცეფციას გვთავაზობს. აღნიშნული თეორიული მოდელების მიხედვით, ორი პროცესი - კულტურული და გენური, ერთმანეთზე ურთიერთზემოქმედებენ და საბოლოო ანგარიშით, აყალიბებენ ადამიანის ქცევას საზოგადოებაში. „კულტურული სწავლების“ (Cultural Learning) პროცესი გავლენას ახდენს ადამიანის გენომის ბუნებრივი გადარჩევის ძალებზე, ხოლო კულტურის ზეგავლენის ქვეშ ევოლუციონირებადი გენომი, თავის მხრივ, აყალიბებს ადამიანის აზროვნებას, რომელიც ამ თანაევოლუციონირების პროცესის შედეგად განახლებულ ინფორმაციას უკან აბრუნებს მის კულტურულ ცნობიერებაში. როგორც ***ჯ. ჰენრიხი*** აღნიშნავს: „ასეთი ინტელექტუალური მიდგომა აქარწყლებს „ევოლუციურ“ და „კულტურულ“ თეორიულ ახსნებს შორის არსებულ დიქოტომიას და სრულად ახდენს კულტურული მიდგომების შეყვანას დარვინიზმის გაფართოებული ქოლგის ქვეშ“ (Henrich 2015). „ჯგუფურ-კულტურული გადარჩევის“ თეორიებში აბსოლუტური კატეგორიები არ არსებობს, ყველაფერი ექვემდებარება ევოლუციურ და უსასრულო ცვლილებას: იცვლება კულტურა, გენები, ფსიქოლოგია, ნორმები. ამგვარი სახის თანაევოლუცია პირდაპირ ზემოქმედებს ადამიანის ალტრუისტულ ქცევაზე. სწორედ ალტრუიზმი წარმოადგენს, მათი აზრით, პასუხს კითხვაზე, თუ როგორ ახერხებენ თანამშრომლობას და პროსოციალურ ქცევას უცნობი ადამიანები.

ქცევით ეკონომიკაში მკვლევარები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებენ ორი ტიპის ადამიანზე: ძლიერ რეციპროკულსა და ეგოისტზე. ამ ორი ტიპის პრეფერენციების მქონე ინდივიდების ურთიერთქმედებას გადამწყვეტი როლი ენიჭება როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. კვლევის მთავარი ობიექტია „ძლიერი რეციპროკული“ ტიპის ინდივიდი. ასეთი ტიპის ეკონომიკური აგენტი არ მიეკუთვნება არც „Homo Economicus“-ის ეგოისტურ ტიპს და არც წმინდა ალტრუისტულ ტიპს, არამედ მათი „ნაზავია“. ძლიერი რეციპროკული ტიპი ერთდროულად შეიძლება იყოს „პირობითი მოთანამშრომლეც“ (ალტრუისტულად მოიქცევა, თუ მას სხვებიც ალტრუისტულად მოექცევიან) და, ამასთანავე, „ალტრუისტი დამსჯელიც“ (იგი მზადაა საკუთარი დანახარჯების ფასად დასაჯოს ის, ვინც ალტრუისტულად არ იქცევა). ალტრუისტულ დასჯას

კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება: თუ ალტრუისტული დასჯა არ არსებობს, პროსოციალური ქცევა ვერ ნარჩუნდება, განსაკუთრებით ინდივიდთა ფართო ჯგუფებში (Fehr, Fischbacher, 2003).

ქცევით ეკონომიკაში აშკარად სახეზეა ეგოისტი „Homo Economicus"-ის პარადიგმიდან გამოსვლის და ახალი თეორიული მულტიდისციპლინური ბაზის შექმნის მცდელობები, თუმცა ახალი თეორიული მოდელები ან კვლავ ინარჩუნებენ მასთან მემკვიდრეობით კავშირს, ან რჩებიან „დარვინიზმის გაფართოებული ქოლგის ქვეშ." ეს გამოიხატება იმ მთავარი გარემოებით, რომ ეგოიზმი კვლავ მძლავრად ზემოქმედებს ინდივიდის ქცევასა და არჩევანზე. თუ ალტრუისტული დასჯის ხარჯები მკვეთრად იზრდება, მაშინ ასევე კლებულობს ალტრუისტული დასჯა.

ყველა ზემოაღნიშნულ თეორიულ მოდელში პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, თუ საიდან წარმოიშობა ალტრუისტი და ის კრიტერიუმები, რის მიხედვითაც ალტრუისტული ქცევა განსხვავდება ეგოისტურისგან და სამართლიანი - უსამართლოსგან. იქნება ეს ალტრუისტი, რეციპროკული ალტრუისტი თუ ძლიერი რეციპროკული ინდივიდი, მათი ქცევა მოყვანილია მორალური სისტემის ანალიზის გარეშე. ევოლუციურ მიდგომებზე დაფუძნებულ მოდელებში ასევე პასუხგაუცემელია შემდეგი ორი კითხვა: როგორ მოხდა ალტრუიზმის ევოლუციონირება, თუ საერთოდ მისი „გადარჩევა" შეუძლებელია? (Pope, 2007) და თუ ალტრუიზმი „გენურ-კულტურული თანაევოლუციის გადარჩევის" პროცესით მიიღწევა, მაშინ რატომ არის აუცილებელი ალტრუიზმის შესანარჩუნებლად დასჯის მექანიზმი?

## ქრისტიანული სიყვარული და ალტრუიზმი

აღსანიშნავია, რომ მეცნიერულად ევოლუციური თეორიის არც დამტკიცება ან არც უარყოფა არის შესაძლებელი და ამგვარად ის წმინდა მსოფლმხედველობით და ფილოსოფიურ კატეგორიას წარმოადგენს (Hieromonk Seraphim (Rose), 2000). ამასთანავე, ნებისმიერ თეორიული ეკონომიკის მიმართულებას გააჩნია იდეოლოგიური მხარე, რომელიც კონკრეტული ფასეულობების და ღირებულებების სისტემის მქონე ადამიანების შემოქმედებითი აზროვნების შედეგია (მექვაბიშვილი, 2018). გამომდინარე აქედან, ალტრუიზმის და პროსოციალურობის განხილვისას მსჯელობის საგანი ხდება არა რაიმე მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტი და მოვლენა, არამედ მსოფლმხედველობა და მრწამსი. ყოველივე ზემოაღნიშნული შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენი შემდგომი მსჯელობის ამოსავალ პუნქტად, სადაც განვიხილავთ ქრისტიანულ სიყვარულს, როგორც ქრისტიანული მსოფლმხედველობის ნაწილს და ალტრუიზმს და მისგან

გამომდინარე პროსოციალურ ქცევას, როგორც არაქრისტიანული და ევოლუციური მსოფლმხედველობის შემადგენელს.

თეოლოგიის მეცნიერულ დისციპლინებთან სინთეზის მცდელობების შედეგად, ალტრუიზმთან მიმართებით გვხვდება ბევრი მცდარი მიდგომა და მოსაზრება. მაგალითად, ზოგიერთი ფიქრობს, რომ ევოლუცია ღმერთის მოქმედებად არის მიჩნეული და თავად ღმერთი კი ალტრუიზმის წყაროდ (Meisinger, 2000). ვხვდებით ისეთ შეხედულებებსაც, რომელთა მიხედვით სახარება და სოციო-ბილოგია პროსოციალურობის და ალტრუიზმის სახით, ერთი და იმავე ფენომენს იკვლევს და, ამ თვალსაზრისით, მეცნიერული და რელიგიური მიდგომები ერთმანეთს ავსებს (Meisinger 2000. 749, Pope 2007).

**„ალტრუიზმი“ –** XIX საუკუნის ფრანგი სოციოლოგის და პოზიტივიზმის ფილოსოფიური მიმდინარეობის ფუძემდებლის ***ავგუსტ კომტეს*** მიერ შემოღებული ტერმინია. ა. კომტეს შეხედულებით, ადამიანს გააჩნდა მორალური ვალდებულება, უარი ეთქვა პირად ინტერესებზე და ეცხოვრა სხვებისათვის, ხოლო სოციალური ურთიერთობები უნდა გამხდარიყო მორალური ეთიკის წყარო (Comte, 2000). ალტრუიზმი მორალური შეგრძნებაა და გამომდინარეობს ადამიანის ბუნებაში არსებული სიმპათიის გრძნობებიდან. იგი მოიცავს სიკეთის და ბოროტების, სწორი და არასწორი ქცევის, სამართლიანობის და უსამართლობის კრიტერიუმებს. პოზიტივიზმის ფილოსოფია, მეცნიერების დახმარებით, საზოგადოების გადაწყობას და პროგრესს ისახავდა მიზნად, სადაც „პოზიტიური საზოგადოება“ წარმოადგენს ადამიანთა რელიგიას. სწორედ ამ პოზიტიური საზოგადოების „ადამიანური რელიგიის“ მთავარი მცნება გახლდათ „vivre pour autrui“, ანუ „იცხოვრე სხვისთვის“, ანუ ე. წ. ალტრუიზმი. აღსანიშნავია, რომ „ადამიანური რელიგიის“ თაყვანსაცემად პარიზსა და ნიუ- იორკში ტაძრებიც აშენდა და დღესაც ჰყავს მიმდევრები (Harp, 1991). ამგვარად, ტერმინ „ალტრუიზმის“ შემოღება ქრისტიანული სარწმუნოების მიღმა მდგარი ფილოსოფიური აზროვნების ნაყოფია და წარმოადგენს მის ზნეობრივ მწვერვალს (Тихомиров, 1906).

ალტრუიზმი თანამედროვე სოციალურ მეცნიერებაში განიმარტება ისეთ ქცევად, როდესაც ერთი ადამიანი თავისი ხარჯის ფასად და თავისი ნებით მოქმედებს სხვა ადამიანის საკეთილდღეოდ და მისი სამიზნე არა საკუთარი თავი, არამედ სხვა ადამიანია. ალტრუიზმი გამოიხატება ისეთი პროსოციალურ ქცევებით, როგორიცაა: დახმარება, თანამშრომლობა, ქველმოქმედება და განაწილება (Batson, 2012). პროსოციალური ქცევა ნებაყოფლობითი ქცევაა, რომელიც გამოხატულია როგორც სხვისი დახ-

მარება, თუმცა ის, საბოლოო ანგარიშით, საკუთარ თავზე ორიენტირებული ქცევაა. სწორედ ამ ძირითადი ნიშნით განსხვავდება პროსოციალური ქცევა ალტრუიზმისგან.

ქრისტიანულ სარწმუნოებაში სიყვარული თავად ღმერთია, შესაბამისად მისი ზუსტი განსაზღვრება შეუძლებელია და მისი განსაზღვრებების ძიებისას დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ (წმ. იოანე სინელი, 2011). **ქრისტიანული სიყვარულის** ნაწილობრივ განმარტებას ვპოულობთ წმ. პავლე მოციქულის კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში, წმ. იოანე სინელის ნაშრომში „კლემაქსში" და წმ. ბასილი დიდის ნაშრომებში.

წმ. იოანე სინელი განმარტავს, რომ ქრისტიანული სიყვარული არ არის გრძნობა, არამედ, თავისი არსით, ადამიანის ნების გარკვეული მდგომარეობაა, რომელიც მცნებების შესრულების გზით მიიღწევა (წმ. იოანე სინელი, 2011). წმ. იოანე სინელის აზრით, რომ გავიგოთ სიყვარული, ჯერ უნდა გავიგოთ რას ნიშნავს ვნებებისგან გათავისუფლება. წმ. პავლე მოციქული „კორინთელთა მიმართ ეპისტოლეში" აღგვიწერს ქრისტიანულ სიყვარულს: „სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ქედმაღლობს, არ ეძებს თავისას, არ განიზრახავს ბოროტს, არ შეჰხარის უსამართლობას, ყველაფრის სწამს, ყველაფრის იმედი აქვს, ყველაფერს ითმენს" (I კორ.13).

წმ. ბასილი დიდი წერს, რომ სიყვარულის ცნების მიღებასთან ერთად ადამიანმა მიიღო სიყვარულის ძალა, რომელიც ადამიანის შექმნისთანავე ჩაიდო მის ბუნებაში, რისი დასტურიც ადამიანის გარეთ კი არ მოიპოვება, არამედ ადამიანშივე დევს (Св. Василий Великий, 2009). ამდენად, სიყვარული არ „ისწავლება", არც გარემოდან შეიმეცნება, არამედ ის ადამიანის ბუნებაში ჩანერგილი სწრაფვაა (Св. Василий Великий, 2009). ადამიანი შეიქმნა ბუნებით კეთილი (წმ. იოანე დამასკელი, 2000) და მისი ბუნებისთვის ორგანულია სწრაფვა სილამაზისკენ, სიყვარულისკენ და სიკეთის ნებაყოფლობით კეთებისკენ (Св. Василий Великий, 2009). სწორედ ამ ჩანერგილი სიყვარულის თესლს სჭირდება შემდგომ კულტივირება და სრულყოფა (Тихомиров, 1906; Pope, 2007).

ქრისტიანული სიყვარულის ზემოთ მოყვანილი აღწერა არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს გრძნობები, ემოციები და ინსტიქტები უცნობი იყო ქრისტიანული სწავლებისათვის. წმ. ბასილი დიდი აღნიშნავს: „ვინ არ იცის, რომ ადამიანი არის ცხოველური არსება, თვინიერი და ურთიერთობის მოყვარული და არა ველური და ჩაკეტილი? არაფერი არ არის ისე დამახასიათებელი ადამიანის ბუნებისთვის, როგორც ერთმანეთთან ურთიერთობა, ერთმანეთის საჭიროება და ერთმანეთის სიყვარული" (Св. Василий Великий, 2009).

## წინააღმდეგობა ალტრუიზმსა და ქრისტიანულ სიყვარულს შორის

მეცნიერული მიდგომა ალტრუიზმს განიხილავს სწორედ ადამიანის ინსტინქტების ფარგლებში (Pope, 2007; Тихомиров, 1906). ქრისტიანული სწავლების მიხედვით კი ადამიანის ბუნებაში ჩადებული ეს გრძნობები მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულის აღმოცენებისთვის საჭირო ნიადაგია. ალტრუიზმი გაცილებით დაბალ საფეხურზე დგას, ვიდრე ქრისტიანული სიყვარული. ალტრუიზმი ადამიანის ინსტინქტებს და ფშვინვიერ ნაწილს მიეკუთვნება, ქრისტიანული სიყვარული კი - სულიერს.

თუ ქრისტიანული სიყვარულის წყარო ღმერთია, მაშინ რა არის ალტრუიზმის წყარო? – ალტრუიზმის წყარო საზოგადოებაა (Тихомиров, 1906). ალტრუისტისთვის ღმერთის ადგილი „საზოგადოებამ“ დაიკავა და სწორედ საზოგადოების კეთილდღეობისთვის იღწვის იგი. ალტრუისტი მზადაა დასაჯოს ის, ვინც ხელს უშლის ამ საზოგადოების კეთილდღეობას და დაასაჩუქროს ის, ვინც ამ საზოგადოების კეთილდღეობაზე მის მსგავსად ზრუნავს (Тихомиров, 1906). აქედან გამომდინარეობს სწორედ ალტრუისტის „პრო“ სოციალურობაც, ის საზოგადოების კეთილდღეობის სამსახურშია. გვხვდება ასეთი მცდარი შეხედულებაც - სახარებისეული კეთილი სამარიტელის ქმედება წარმოჩენილია როგორც ალტრუისტული აქტის ილუსტრაცია. კეთილი სამარიტელი ალტრუისტი ვერ იქნება, ვინაიდან იგი იჩენს ქრისტიანულ სიყვარულს ისტორიული მტრის მიმართ, რაც ალტრუისტს არ შეუძლია. ქრისტიანული სიყვარულსთვის უცხოა ადამიანებს რაიმე ჯგუფებად ან კატეგორიებად დაყოფა, როგორც ამას ალტრუისტი აკეთებს.

ალტრუისტი ემორჩილება საზოგადოებას, მას ეშინია საზოგადოებრივი აზრის, მისი გაკიცხვის და კანონის. ღმერთის საზოგადოებით შეცვლა ამსხვრევს ადამიანის პიროვნულ ღირსებას, მის ზნეობას და აბსტრაქტულ, ცვალებად საზოგადოებას დაქვემდებარებული, კარგავს თავისუფლებას (Тихомиров, 1906). ქრისტიანობაში ადამიანს პიროვნული ურთიერთობა გააჩნია ღმერთთან, ალტრუისტს კი - უპიროვნო, აბსტრაქტულ საზოგადოებასთან. ალტრუისტთა საზოგადოებაში კონკრეტული ადამიანი ჩანაცვლდა აბსტრაქტული ადამიანით. აქედან გამომდინარე, ალტრუიზმი აბსტრაქტული, არარსებული ადამიანის სიყვარულს ქადაგებს, როცა ქრისტიანული სიყვარული კონკრეტულია და უახლოესი ადამიანების გარემოცვით იწყება (Тихомиров, 1906). შედეგად მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ალტრუისტს არა „სხვა“, არამედ ეგოისტის

მსგავსად, საკუთარი თავი აინტერსებს (Тихомиров, 1906). ამგვარად, არარსებული და აბსტრაქტული ადამიანის სიყვარულის გზაზე შემდგარი ალტრუისტი უბრუნდება საკუთარი თავის სიყვარულს - ეგოიზმს, მაგრამ არა ისეთს, როგროც თავდაპირველად მას გააჩნდა, არამედ შეფარულს და ძლიერს, შეზავებულს თავის მოტყუებასა და საკუთარი თავის განდიდებასთან (Тихомиров, 1906). ალტრუიზმსა და ქრისტიანულ სიყვარულს შორის განსხვავება შეგვიძლია ქვემოთ მოყვანილი ცხრილის სახით შევაჯამოთ:

**ალტრუიზმის და ქრისტიანული სიყვარულის მახასიათებლები**

| **ფაქტორი** | | **ალტრუიზმი** (პროსოციალურობა) | **ქრისტიანული სიყვარული** |
|---|---|---|---|
| სიყვარულის კატეგორია | | ფშვინვიერი | სულიერი |
| სამყაროს ცენტრი | | ადამიანი | ღმერთი |
| წყარო | | საზოგადოება | ღმერთი |
| დაქვემდებარება | | საზოგადოება | ღმერთი |
| მორალური სისტემა | | ცვალებადი | აბსოლუტური |
| ადამიანი | | არასრულყოფილი | სრულყოფილი |
| სიყვარულის ობიექტი | | აბსტრაქტული | კონკრეტული |
| სიყვარულის გაზიარება | | პირობითი | უპირობო |
| სიყვარულის განაწილება | | არათანაბარი | თანაბარი |

*წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ*

როგორი საზოგადოების აშენება გვსურს - ალტრუისტების თუ ქრისტიანული სიყვარულის მქონე ადამიანების – ამ კითხვებზე პასუხის, ორი მორალური სისტემის ერთმანეთისგან გამიჯვნა მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თავისი პრაქტიკული და თეორიული შედეგებით. ალტრუიზმის და ქრისტიანული სიყვარულის ზემოთ მოყვანილი შედარებიდან, ვფიქრობთ, ცხადია, რომ მათი ერთმანეთთან გაიგივება არა თუ მცდარია (Pope, 2007), არამედ ისინი, თავისი არსით, ერთმანეთის საპირისპირო ცნებებია (Тихомиров, 1906). შესაბამისად, ამ ცნებებზე დაფუძნებულ თეორიულ მიდგომებს შეუძლიათ ურთიერთსაპირისპირო შედეგები გამოიწვიოს.

## დასკვნა

წინამდებარე კვლევიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ალტრუიზმი ეგოიზმის შეფარული და გართულებული ფორმაა. გამომდინარე აქედან, სოციალურ მეცნიერებებში დამკვიდრებული შეხედულება, რომ ალტრუ-იზმი და პროსოციალური ქცევა განსხვავდება იმ ნიშნით, რომ პირველი „სხვა" ადამიანის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, ხოლო მეორე - სა-კუთარ თავზე, მცდარია: ალტრუიზმიც და პროსოციალური ქცევაც, საბო-ლოო ანგარიშით, საკუთარ თავზე ორიენტირებული ცნებებია.

ნათელია, რომ ევოლუციური და ქრისტიანული მსოფლმხედველო-ბა, ალტრუიზმი და ქრისტიანული სიყვარული არათავსებადია, უფრო მე-ტიც, ერთმანეთის საწინააღმდეგოა და ამდენად, მათ შორის რაიმე სახის კომპრომისი თუ სინთეზი შეუძლებელია. ფაქტია ისიც, რომ ევოლუციური თეორია და მისი მოდიფიკაციები არ არის მეცნიერულ ფაქტებზე დაფუძ-ნებული და წმინდა ფილოსოფიურ და მსოფლმხედველობით კატეგორი-ას წარმოადგენს. ალტრუიზმის წარმოშობის თუ უცნობ ადამიანთა შო-რის ფართომაშტაბიანი პროსოციალური თანამშრომლობის თავსატეხი განპირობებულია თავად ევოლუციური პარადიგმით. თუ კი გამოვალთ ამ პარადიგმის „ტყვეობიდან" და ვიხელმძღვანელებთ ქრისტიანული მსოფ-ლმხედველობით, ვფიქრობთ, მეცნიერული კვლევა უფრო ნაყოფიერად წარიმართება. ჩვენი აზრით, დროა ყურადღება მიექცეს ქრისტიანული სწავლების მდიდარ ინტელექტუალურ საგანძურს, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას.

**ლიტერატურა:**


- ბალარჯიშვილი ი. (2018). პარადიგმული კრიზისი და ინსტიტუციური ეკონომიკის „მეინსტრიმული" პოტენციალი. ჟურნ. „გლობალიზაცია და ბიზნესი",№ 6. გვ.110-115.
- მექვაბიშვილი ე. (2018). გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი".
- პაპავა ვ. (2018). ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიებისათვის. „გლობალიზაცია და ბიზნესი",№ 6. გვ.15-26.
- წმ. იოანე დამასკელი. (2000). მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნით გადმოცემა. თბილისი: „თბილისის სასულიერო აკადემიის გამომცემლობა".
- წმ. იოანე სინელი. (2011). კიბე ანუ კლემაქსი. თბილისი: გამომცემლობა „ალილო".

- Batson D.(2012). A History of Prosocial Behavior Research. *In Handbook of the History of Social Psychology*, New York: Psychology Press. p. 243-264.
- Comte A. (2000). The Positive Philosophy. Kitchener: Batoche Books. Vol. I.
- Eisenberg N., Beilin H. (1982). The Development of Prosocial Behavior. New York: Academic Press.
- Fehr E., Fischbacher U. (2003). The Nature of Human Altruism."Nature", №425. p.785-791.
- Harp G. (1991). "The Church of Humanity": New York's Worshipping Positivists. "Church History". Cambridge: Cambridge University Press, №60. Vol.4.p.508-523.
- Henrich J. (2015). Culture and Social Behavior. "Current Opinionin Behavioral Sciences", № 3. p. 84-89.
- Hieromonk Seraphim (Rose). (2000). Genesis, Creation and Early Man: The Orthodox Christian Vision. Platina: St. Herman of Alaska Brotherhood.
- Kennedy D.,Norman C.(2005). Whatdon't we know. "Science", №. 309. p.75.
- Meisinger H.(2000). Christian Love and Biological Altruism."Zygon",№. 35. Vol.4. p.745-782.
- Pope S.(2007). Christian Love and Evolutionary Altruism. *In Human Evolution and Christian Ethics*, Cambridge: Cambridge University Press. p. 214-249.
- Smith A. (1984). The Theory of Moral Sentiments. Indianapolis: Liberty Fund
- Белянин А. В. (2017). Лицом к Человеку: Достижения и Ввызовы Поведенческой Экономики. „Журнал Новой Экономической Ассоциации", №. 2.Vol.34. c.166-175.
- Свенцицкий А. Л.,Казанцева Т. В. (2015). Повседневное Просоциальное Поведение Личностикак Накопление Социального Капитала."Вестник Санкт-Петербургского Университета",№. 12.Vol. 2. c. 45-54
- Св. Василий Великий. (2009). Творения. Москва: Сибирская Благозвонница.Т. 2
- Тихомиров Л. А. (1906). Альтруизм и Христианская Любовь. Вышний Волочек: Тип. В.С. Соколовой.


## References:


- Balarjishvili I. (2018). paradigmuli krizisi da institutsiuri ekonomikis „meinstrimuli" potentsiali. [The Paradigm Crisis and The „Mainstream" Potential of the Institutional Economy. Jour. "Globalization and Business", № 6. pp.110-115.] in Georgian.
- Mekvabishvili E. (2018). globalizatsiis epokis pinansuri krizisebi da sakartvelos ekonomika. [The Financial Crisis of the Epoch of Globalization and the Economy of Georgia. Tbilisi: Publisher "Intellect".] in Georgian.
- Papava V. (2018). ekonomikuri metsnierebis krizisi da akhali paradigmis dziebisatvis.
- [The Crisis of Economic Science and For the Search of the New Paradigm."Globalization and Business", № 6. pp.15-26. in Georgian.

- *Tsm. Ioane Damaskeli. (2000). martlmadidebluri sartsmunoebis zedmitsevnit gadmotsema. [St. John of Damascus. (2000). An Exact Exposition of the Orthodox Faith. Tbilisi: "Publishing House of Tbilisi Theological Academy".]*
- Tsm. Ioane Sineli. (2011). kibe anu klemaksi. [St. John Climacus. (2011). The Ladder of Divine Ascent. Tbilisi: Alilo Publishing House.] in Georgian.
- Batson D.(2012). A History of Prosocial Behavior Research. *In Handbook of the History of Social Psychology*, New York: Psychology Press. p. 243-264.
- Comte A. (2000). The Positive Philosophy. Kitchener: Batoche Books. Vol. I.
- Eisenberg N., Beilin H. (1982). The Development of Prosocial Behavior. New York: Academic Press.
- Fehr E.,Fischbacher U. (2003). The Nature of Human Altruism."Nature", №425. p.785-791.
- Harp G. (1991). "The Church of Humanity": New York's Worshipping Positivists. "Church History". Cambridge: Cambridge University Press, №60. Vol.4.p.508-523.
- Henrich J. (2015). Culture and Social Behavior. "Current Opinionin Behavioral Sciences", № 3. p. 84-89.
- Hieromonk Seraphim (Rose). (2000). Genesis, Creation and Early Man: The Orthodox Christian Vision. Platina: St. Herman of Alaska Brotherhood.
- Kennedy D.,Norman C.(2005). What don't We Know. "Science", №. 309. p.75.
- Meisinger H.(2000). Christian Love and Biological Altruism."Zygon",№. 35. Vol.4. p.745-782.
- Pope S.(2007). Christian Love and Evolutionary Altruism. *In Human Evolution and Christian Ethics*, Cambridge: Cambridge University Press. p. 214-249.
- Smith A. (1984). The Theory of Moral Sentiments. Indianapolis: Liberty Fund
- Belyanin A. V. (2017). Litsom k cheloveku: dostizheniya i vyzovy povedencheskoy ekonomiki. [Belianin A. V. (2017). Face to Face to Human Being: Achievements and Challenges of Behavioral Economics. "Journal of the New Economic Association", no. 2.Vol. 34. p. 166-175.] in Russian.
- Sventsitskiy A. L., Kazantseva T. V. (2015). Povsednevnoye prosotsialnoye povedeniye lichnosti kak nakopleniye sotsialnogo kapitala. [Everyday Prosocial Behavior of Personality as Accumulation of Social Capital. "Bulletin of St. Petersburg University", no. 12.Vol. 2. p. 45-54. in Russian.
- Sv. Vasiliy Velikiy. (2009). Tvoreniya. [St. Basil the Great. (2009). Ascetic creations. Moscow: Siberian Blagovesnitsa, Volume II. in Russian.
- Tikhomirov L. A. (1906). Altruizm i khristianskaya lyubov. Vyshniy Volochek: Tip. V.S. Sokolovoy. [Altruism and Christian Love. Vyshny Volochek: Publisher V.S. Sokolova.] in Russian.

# On the Importance of Altruism, Prosocial Behavior and Christian Love in Behavioral Economics Studies *

**Rati Mekvabishvili**
*Doctoral Student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*rati.mekvabishvili@tsu.ge*

In Behavioral Economics, research of prosocial behavior large-scale cooperation between strangers remains one of the most challenging and puzzling questions. In economic relations the risk of opportunistic behavior and cheating always exists. Opportunistic and selfish decisions may lead society to various suboptimal and ineffective economic equilibrium.

In recent theories of social preferences the relations between egoist and the “strong reciprocal” type of individuals are of crucial importance. And in these relations “Altruistic Punishment” is critical: If there is no altruistic punishment, cooperation between parties cannot be sustained. In presence of punishment mechanism and certain conditions, the strong reciprocator individual can enforce the whole group of selfish individuals to act prosaically and cooperate.

Whether it is an altruist, a reciprocal altruist or a strong reciprocal individual, their behavior in social preferences theories are mute about moral system. However, altruism is a moral concept of Positivism Philosophy. Large part of Behavioral Economics theories analyzes origins of altruism and prosocial behavior in Evolutionary Theory framework.

The evolutionary worldview and Christian worldview, altruism and Christian love are contradictory. As a result of our analysis, altruism is a hidden and complicated form of selfishness. Therefore, the established view that altruism and prosocial behavior differ, as first is focused on the well-being of “others” and the latter is self-centered, is misleading: both altruism and prosocial behavior are ultimately self-centered concepts.

The puzzle of large-scale cooperation between strangers is derived from evolutionary paradigm itself. If we come out of the “captivity” of this paradigm and are guided by the Christian worldview, we think that scientific research will be more fruitful. In our view, it is time to pay attention to the rich intellectual heritage of Christian teaching that can significantly contribute to the welfare of society.

***Keywords:*** *Behavioral economics, altruism, prosocial behavior, Christian love, Christian worldview, evolutionary worldview.*

**JEL Codes:** *D60, D64, D69*

---

* The research was supported by Shota Rustaveli Georgian National Science Foundation [Grant PHDF-19-321].

# ციფრული მეწარმეობის გამოწვევები და პერსპექტივები საქართველოში

**ამირან მაღლაკელიძე**
*დოქტორანტი*
*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის*
*სახელმწიფო უნივერსიტეტი*
maglakelidze.amirani@gmail.com

*გლობალიზაციის პირობებში ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ შესაძლებელი გახადა სამეწარმეო საქმიანობის ვირტუალურ სივრცეში განხორციელება. ინტერნეტის საყოველთაო გავრცელებამ და სხვადასხვა ელექტრონული პლატფორმების წარმოქმნამ საფუძველი ჩაუყარა ციფრული მეწარმეობის, როგორც სამეწარმეო საქმიანობის თანამედროვე ფორმის ჩამოყალიბებას.*

*ნაშრომის მიზანია საქართველოში ციფრული მეწარმეობის არსებული მდგომარეობის ანალიზი და აღნიშნული მიმართულებით გამოწვევებისა და პერსპექტივების შეფასება, ასევე, დაძლევის შესაბამისი გზების მოძიება და კონკრეტული ღონისძიებების ჩამოყალიბება.*

*საქართველო ჯერ კიდევ ციფრული სამეწარმეო აქტივობის დაბალი დონით ხასიათდება. დღეისათვის ციფრული მეწარმეობის ძირითადი პრობლემაა, რომ ქვეყანას პრაქტიკულად არ გააჩნია გეგმაზომიერი ციფრული სამეწარმეო პოლიტიკა, რომლის შედეგად შესაძლებელი იქნება ციფრული პროდუქტის წარმოება. მიზერულია თანამედროვე მსოფლიოს ციფრულ განვითარების ტემპსა და პერსპექტივებთან მიმართებით, საქართველოში გაწეული ციფრული სამეწარმეო ინიციატივების მხარდამჭერი დაფინანსება. ციფრულ სამეწარმეო აქტივობას არაორგანიზებული სახე აქვს და განვითარება ცალკეული ინიციატივების ხარჯზე მიმდინარეობს.*

*სტატიაში გადმოცემულია მეწარმეობის თანამედროვე ფორმის - ციფრული მეწარმეობის არსი და მნიშვნელობა ეკონომიკის განვითარებისათვის. გაანალიზებულია საქართველოში მიმდინარე პროცესები ციფრული მეწარმეობის, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარების მიმართულებით. წარმოჩენილია დღეს არსებული აქტუალური გამოწვევები და შემოთავაზებულია მათი ადეკვატური დაძლევის გზები.*

***საკვანძო სიტყვები:*** *ციფრული მეწარმეობა, ციფრული ეკონომიკა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ინოვაცია, იდეა.*
***JEL Codes:*** *L26, M13, O31, O57*

**ციფრული მეწარმეობა** მიზნად ისახავს ციფრული ტრანსფორმაციით მოიცვას ბიზნესის ყველა სექტორი, ასევე შეიქმნას ახალი ციფრული კომპანიები ინოვაციური საქმიანობის გასაუმჯობესებლად, ისეთი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, როგორიცაა: სოციალური ტექნოლოგიები, მობილური, დიდი ზომის მონაცემები (big data) და ღრუბლოვანი (cloud) გადაწყვეტები. ციფრული მეწარმეობის სტრუქტურული მონახაზი, გარემო ფაქტორების გათვალისწინებით, მოიცავს ხუთ კომპონენტს: ციფრული ცოდნის ბაზა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) ბაზარი; ციფრული ბიზნესგარემო; დაბეგვრა და ფინანსური გარემო; ციფრული უნარ-ჩვევები და ელექტრონული ლიდერობა (e-leadership); სამეწარმეო აზროვნება (European Commission 2015, 14-15).

ციფრული მეწარმეობა აღწერს პროცესს, რომელშიც მიმდინარეობს ინდივიდების სამეწარმეო შესაძლებლობების იდენტიფიცირება, შეფასება და წარმატებული გამოყენება, რა დროსაც ისინი ციფრულ პროდუქტს ავითარებენ, ან მსგავს პროდუქტებს ციფრული არხებით რეალიზებენ (Pioch 2019, 3).

ცნებაში „ციფრული მეწარმეობა" ასევე მოიაზრება ციფრული ეკონომიკის დამოუკიდებელი და ორიგინალური, სამართლებრივი ეკონომიკური სუბიექტის შექმნა (ელექტრონული სტარტაპი), რომლის ფარგლებშიც თავისუფალ დამფუძნებელებს, პროდუქციის ან/და მომსახურების, სპეციფიკური ონლაინ შეთავაზებით, უცხო (მრავალგვარი) მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სურთ (Kollmann 2019, 19).

თანამედროვე ეკონომიკის მთავარი რესურსი ინფორმაცია და ცოდნაა. წარმოების პროცესი კი დაკავშირებულია მეცნიერებატევად ტექნოლოგიებთან (ბედიანაშვილი, 2018), ამასთანავე, ფორმირდება ინფორმაციული საზოგადოება, რომელიც ხასიათდება ინფორმაციული ტექნოლოგიების ინტენსიური გამოყენებით და ამის თანმხლები გარდაქმნით: ინდუსტრიულიდან - ცოდნის საზოგადოებისაკენ (Kollmann 2018, 183). შესაბამისად, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროს განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენდეს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა (მაღლაკელიძე, 2019ა).

## მეწარმეობის დაწყება ციფრულ ეკონომიკაში

ციფრულ ეკონომიკაში მეწარმეობის დაწყების საფუძველს წარმოადგენს ტექნოლოგიური ინოვაციები ტელეკომუნიკაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, მედია ტექნოლოგიების და გართობის სფეროებში. აღნიშნულ ინოვაციებს ჰქონდა და აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ინფორმაციის, კომუნიკაციის და ტრანსაქციების დამუშავების შესაძლებლობებზე (Kollmann 2019, 5).

**ტექნოლოგია,** ხშირად, გარკვეულ **ტექნიკათა** ერთობლიობაა, რომელიც მიმართულია კონკრეტული მიზნისაკენ (Runge, 2014). მუდმივი ინოვაციები **ინფორმაციულ ტექნიკაში -** კომპიუტერის სიმძლავრეზე, გაციფრულებაზე, ქსელში ჩართვასა და მონაცემთა რაოდენობაზე დაყრდნობით, რეალიზდება ისეთ ინოვაციურ **ინფორმაციულ ტექნოლოგიებში,** როგორიცაა: ინტერნეტი, მობილური ტელეკომუნიკაცია და ინტერაქტიული ტელევიზია (Kollmann, 2019). საქმიანობის მოდელი, რომელიც ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინტერაქტიულ პროცესს იყენებს, შესაძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორც ელექტრონული ბიზნესი. სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები სამეწარმეო გარემოს შიგნით ყოველთვის ქმნის ინოვაციური ბიზნესმოდელის ფორმირების შესაძლებლობას. დამწყები საწარმოები უფრო ხშირად მიისწრაფიან საქმიანობის ისეთი მოდელის შემუშავებისკენ, რომელიც ეფუძნება ელექტრონულ ინფორმაციებს და საკომუნიკაციო სისტემას (Kollmann, 2018).

ციფრულ ეკონომიკაში მეწარმეობის დაწყებისთვის მნიშვნელოვანია განუწყვეტელი სამეწარმეო ინოვაციები, თანამედროვე ტექნოლოგიური და ელექტრონული საბაზრო კონიუნქტურის პროგრესული ხედვა, კრეატიულობა და სამომავლო ტენდენციების პროგნოზირების უნარი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეუქცევადი წარმატება. სამეწარმეო ინოვაცია ვითარდება სამი მთავარი ეტაპის გასწვრივ. პირველი – **აღმოჩენის ეტაპი,** რომელიც ფოკუსირდება სამეწარმეო გარემოში არსებული შესაძლებლობებისა და რისკების დაკვირვებასა და ისეთი იდეის აღმოჩენაზე, რომლისთვისაც ღირს სამეწარმეო საქმიანობა. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) სფეროში მიმდინარე სწრაფი განვითარებით, ბოლო წლების განმავლობაში უფრო მრავალფეროვანია შესაძლებლობები, რომლებსაც კომპანიები იყენებენ, რათა აღმოაჩინონ ან ჩამოაყალიბონ ინოვაციური ბიზნესიდეები. მეორე – **ინკუბაციის ეტაპი** მოიცავს ყველა იმ მოქმედებას, რომელიც აყალიბებს კონკრეტული

გადაწყვეტილების კონცეპტს სამეწარმეო ინოვაციის იდეიდან. ის მოიცავს სხვადასხვა ტექნიკური ვარიანტის დამუშავებას და სხვადასხვაგვარი ბიზნესმოდელის გამუდმებულ მოსინჯვას. მესამე – **აქსელერაციის ეტაპია,** რომლის ძირითადი ამოცანაა სამეწარმეო ინოვაციების გაძლიერება და ზრდის დაჩქარება. ამ ფაზაში სამეწარმეო ინოვაცია უნდა მომწიფდეს ისე, რომ შესაძლებელი გახდეს სავაჭრო ბრუნვის და საქმიანობის მსვლელობის სწორი პროგნოზირება. კონცენტრაცია ხორციელდება გაყიდვების მაქსიმიზაციაზე (Gassmann, Schweitzer 2018).

ციფრულ ეკონომიკაში, ყოველი საწარმოს დაფუძნებისას ბიზნესკონცეფციის ცენტრში დგას **იდეა,** რომელიც თავისი ევოლუციის გზაზე გაივლის განვითარების შემდეგ ფაზებს: უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია რელევანტური იდეის პოვნა და წარმატების ალბათობის შემოწმება, რომელიც **იდეის წარმოშობის** ფაზას წარმოადგენს; მეორე, **იდეის ფორმულირების** ფაზაა, რომელშიც აღნიშნული იდეის რეალიზაციისთვის უნდა მომზადდეს მყარი საფუძველი და შედგეს მასთან დაკავშირებული ბიზნესგეგმა; მესამე – **იდეის განხორციელების** ფაზა, რომელშიც უნდა მოხდეს ზემოაღნიშნული ბიზნესგეგმის პრაქტიკული რეალიზაცია; მეოთხე – **იდეის ინტენსიფიკაციის** ფაზაა, რომელშიც, ბიზნესმოდელის განხორციელების კვალდაკვალ, მიმდინარეობს ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაცია და აქტიური განვითარება; დაბოლოს, **იდეის გახანგრძლივების** ფაზა, რომელშიც მოიაზრება იდეის ხანგრძლივად დამკვიდრება ბაზარზე და ამ ხნის განმავლობაში, შეუქცევადი წარმოების უზრუნველყოფა (Kollmann 2019, 134). შესაბამისად, იდეა შესაძლოა დარჩეს მხოლოდ იდეად, სანამ მისი რეალიზება არ მოხდება პროდუქტის ან მომსახურების შეთავაზებაში, რა დროსაც ის, ასევე, შეიძლება აღწერილ იქნეს, როგორც ინოვაცია. შეთავაზება მხოლოდ მაშინ ითვლება ინოვაციად, როდესაც ის წარმატებით არის განხორციელებული და გამოიყენება რომელიმე საზოგადოების ანდა ბაზრის მიერ, რომლისთვისაც მოაქვს სარგებელი. ინოვატორისთვის წარმატების მისაღწევად, მნიშვნელოვან ასპექტებს შემოქმედებითობა, წარმოსახვა, გამჭრიახობა, ინფორმირებულობა და ტესტირება შეადგენს (Whittington, 2018), რაც ასევე იდეა-ინოვაცია - წარმატების ჯაჭვის კონცეპტუალურ დეტერმინანტებსაც წარმოადგენს, რისკის გაცნობიერებასა და გაბედულებასთან ერთად (იხ. ნახაზი). ამ საფუძველზე იქმნება ციფრული (ელექტრონული) ღირებულება.

**იდეა-ინოვაცია – წარმატების ჯაჭვი ციფრულ მეწარმეობაში.**




ციფრულ ეკონომიკაში მეწარმეობის დაწყება, თავისი ენდოგენური არსით, ასოცირდება ელექტრონული დამატებითი ღირებულების შექმნასა და მასზე დაფუძნებულ ბიზნესთან, რომელიც სამომავლო განვითარებაზეა ორიენტირებული. ამასთანავე, ინოვაციური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ., ინტერნეტსტარტაპების ელექტრონული შესყიდვით სარგებლობა), არსებობს ეჭვი მომხმარებლების მზაობის თვალსაზრისით, რაც იწვევს მაღალ **რისკს** ციფრული (ინტერნეტ) ეკონომიკის განვითარებასთან და შესაბამისად, ამ სფეროში, ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით. აღნიშნული რისკი იმით კომპენსირდება, რომ ჯერ ერთი, ციფრული ეკონომიკა და მისი ფუძემდებლური ტექნოლოგიები წარმოადგენს მთავარ განვითარებად სფეროს და, შესაბამისად, დაკავშირებულია მრავალ შესაძლებლობასთან (Kollmann, 2018), და მეორე, ინტერნეტის და ციფრული ტექნოლოგიების ფართო გავრცელება და მათზე მოსახლეობის უმრავლესობის წვდომა, ონლაინკომერციული პროცესის მოქნილობა და სისწრაფე, უბიძგებს ადამიანებს ციფრული სერვისებით სარგებლობისაკენ. მაგალითად, ევროკავშირში, მოსახლეობის 87% აქტიურად იყენებს ინტერნეტს, ისლანდიაში -99%, გერმანიაში - 93% (eurostat), ხოლო საქართველოში დაახლოებით - 70% (geostat.ge). გარდა ამისა, ციფრულ ეკონომიკაში დიდმნიშვნელოვანია კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რომელთან გამკლავებაც ისეთივე საპასუხისმგებლოა, როგორც ტრადიციული მეწარმეობის დაცვა სხვადასხვა ფიზიკური ვანდალიზმისგან.

ინფორმაციის ახალი განზომილების, როგორც კონკურენტული უპირატესობის დამოუკიდებელი წყაროს მეშვეობით ელექტრონული ღი-

რებულება ციფრულ მონაცემთა ქსელში განხორციელებული ღონისძიებების (ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, შერჩევა, დაკავშირება და კლასიფიკაცია) საფუძველზე იქმნება. „ინტერნეტ ეკონომიკის საწარმოს მაგალითია autoscout24.de, მეორადი მანქანების ყიდვა-გაყიდვის ინტერნეტპლატფორმა. აქ ღირებულებას მომხმარებელთათვის არა მეორადი ავტომობილები, არამედ ამასთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციების მიმოხილვის, შერჩევის და გადაცემის ფუნქცია, მისი დროითი და სივრცითი შეზღუდულობისგან თავისუფალი ხელმისაწვდომობა ქმნის. აღნიშნული „ელექტრონული პროდუქტის“ შექმნა შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით. იგივე ეხება amazon.com-ს, სადაც, მაგალითად, არა „წიგნი“ ქმნის ღირებულებას, არამედ ინტერნეტში ელექტრონული შერჩევისა და შეკვეთის საშუალება. ზემოაღნიშნული დამოკიდებულება არ ეხება ისეთ შეთავაზებას, როგორიცაა, მაგალითად: seat.com (ავტომწარმოებელი კომპანიის ვებგვერდი). აქ, ღირებულება მომხმარებლისთვის რეალური პროდუქტის - „ავტომობილის“ მეშვეობით იქმნება და ონლაინ მაღაზია არის „მხოლოდ“ სადისტრიბუციო არხი. ეს საშუალება ამარტივებს შეკვეთის პროცესს, მაგრამ არ ქმნის დამოუკიდებელ ღირებულებას. ასე რომ, seat.com არ წარმოადგენს ინტერნეტ ეკონომიკის კომპანიას“ (Kollmann, 2018).

## ციფრული მეწარმეობის განვითარება საქართველოში

ციფრული მეწარმეობა ფოკუსირდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით სხვადასხვა ელექტრონულ პლატფორმაზე, კომერციული აქტიურობის განხორციელებაზე. ციფრული სამეწარმეო პლატფორმა იძლევა საშუალებას დაინტერესებულმა პირებმა თავიანთი შემოქმედებითი იდეები გარდაქმნან სამეწარმეო საქმიანობად და მიიღონ სათანადო სარგებელი. მართალია, საქართველო არც ისე დიდი ხნის წინათ სოციალისტური სამყაროს ნაწილს წარმოადგენდა, რომლისთვისაც უცხო იყო კერძო სამეწარმეო აქტიურობა და, შესაბამისად, მოსახლეობა სამეწარმეო აზროვნებისა და ინიციატივის სიმწირით ხასიათდებოდა (რისი გავლენაც დღემდე იგრძნობა ქართულ სოციუმში). თუმცა, მიუხედავად ამისა, თანამედროვე გლობალური კონიუნქტურის გათვალისწინებით, აუცილებელია, ინდივიდების აზროვნების მეტამორფოზა სამეწარმეო, განსაკუთრებით ინოვაციური სამეწარმეო და ტექნოლოგიური მიმართულებით. რისკი, სიახლე და ცვლილებები არ უნდა იქნეს აღქმული, რო-

გორც ბუნდოვანება და პრობლემა, ის უნდა წარმოადგენდეს გამოწვევას და შესაძლებლობას პროგრესული, ტექნოლოგიატევადი იდეების განსახორციელებლად. ზემოაღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ საჭიროა სამეწარმეო, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, განათლების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და სისტემატური რეალიზაცია დამწყები მეწარმეებისთვის და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, რაც უზრუნველყოფს ადეკვატური პროგრესული ცოდნის გადაცემას (მაღლაკელიძე, 2019ბ) და საზოგადოებაში რელევანტური სამეწარმეო და ციფრული უნარ-ჩვევების განვითარებას.

ქვეყანაში ციფრული მეწარმეობის განვითარების მთავარი ინდიკატორია ციფრული და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების დონე. მსოფლიო ბანკის (World Bank) თანახმად, ციფრული ათვისების ინდექსი (DAI), რომელიც სამი კომპონენტის - ბიზნესის, მოსახლეობის და მთავრობის მიერ ციფრული ათვისების მიხედვით დგება, საქართველო, მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის, 2016 წელს, 0,598 ქულით, 69-ე პოზიციას იკავებდა. მეზობელთაგან ჩვენზე უკეთესი ციფრული მდგომარეობა ჰქონდა რუსეთს - 0,744 ქულა/28-ე პოზიცია, თურქეთს - 0,632/57 და სომხეთს - 0,621/60. პირველ ადგილზე სინგაპური იმყოფებოდა 0,870 ქულით (worldbank.org. იხ. დიაგრამა 1).

*დიაგრამა 1*



*დიაგრამა 2*




BBVA Research-ის ციფრული ინდექსის (DiGiX), რომელიც ზომავს გაციფრულების ხარისხს სამი კატეგორიის - მიწოდების პირობების, მოთხოვნის პირობების და ინსტიტუციური გარემოს მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, საქართველო, მსოფლიოს 99 ქვეყანას შორის, 0,502 ქულით 57-ე ადგილზეა. მეზობლებიდან ჩვენზე უკეთესი ციფრული მდგომარეობა აქვს აზერბაიჯანს - 0,594 ქულა/38-ე ადგილი და რუსეთს - 0,548/46. პირველ ადგილს ლუქსემბურგი იკავებს 1,000 ქულით (bbvaresearch.com. იხ. დიაგრამა 2). ზემოაღნიშნული კვლევების შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველო ციფრული განვითარების საშუალო დონით პოზიციონირებს მსოფლიოში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2019 წლის ივლისის მონაცემებით, საქართველოში ინტერნეტზე წვდომა ჰქონდა შინამეურნეობების 79,3%-ს, რომელთაგანაც 70,6%-მა გამოიყენა ბოლო სამი თვის განმავლობაში მინიმუმ ერთხელ მაინც; კომპიუტერით უზრუნველყოფილი იყო 62%; მობილური ტელეფონით - 84,8%; ინტერნეტით მოსარგებლეთა 96% აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს, ხოლო საქონელი/მომსახურება შეიძინა მხოლოდ 20,8%-მა. 2018 წელს საწარმოების მხოლოდ 3,2%-მა მიიღო შეკვეთა ვებგვერდის მეშვეობით (geostat.ge). ბოლო ორი მონაცემი მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოს მოსახლეობაში და, შესაბამისად, საწარმოებში ელექტრონული კომერცია განვითარების დაბალ დონეზეა.

ქვეყანაში, ციფრული ტექნოლოგიების სფეროში მეწარმეობის მხარდაჭერასა და შესაბამისი ეკოსისტემის ფორმირებას ახორციელებს სა-

ქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო შემდეგი პროგ-რამებით:

- **მცირე გრანტების პროგრამა** (5000 ლარის ფარგლებში), რომელიც მიმართულია სტარტაპების შექმნისა და განვითარების ხელშეწყობისაკენ. გრანტები გაიცემა სამი მიმართულებით: 1. ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში პროტოტიპების შექმნისა და განვითარებისათვის; 2. ჰაკათონის, მეიქათონის, კრეათონის, ინოვაციების ხელშემწყობი ღონისძიებების ჩატარების მიზნით; 3. სამგზავრო გრანტი - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით, საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის (gita.gov.ge). 2016-2019 წლებში, მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, სულ დაფინანსდა 365 პროექტი, 1,3 მლნ ლარის მოცულობით (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, ინდივიდუალურად გამოთხოვილი ინფორმაცია).
- **თანადაფინანსების გრანტების პროგრამა,** რომლის მიზანია საქართველოში, საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისების და კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების წარმოქმნის სტიმულირება. დაფინანსება მიმდინარეობს ორი მიმართულებით: 1. თანადაფინანსების გრანტები სტარტაპებისთვის, მაქსიმუმ 90%-იანი თანადაფინანსებით (მაქსიმუმ 100 000 ლარი); 2. თანადაფინანსების გრანტები ინოვაციების მიმართულებით მინიმუმ 50%-იანი თანადაფინანსებით (მაქსიმუმ 650 000 ლარი) (grants.gov.ge). 2018-2019 წლებში, ორივე კომპონენტის ფარგლებში, სულ დაფინანსებულია 60 პროექტი, 8,1 მლნ ლარის მოცულობით. (საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, ინდივიდუალურად გამოთხოვილი ინფორმაცია).
- **პროგრამა „სტარტაპ საქართველოს" მაღალტექნოლოგიური კომპონენტი,** რომელიც მოიცავს იდეების დაფინანსებას ისეთ დარგებში, როგორიცაა: ხელოვნური ინტელექტი; კომპიუტერული მეცნიერება; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ნანოტექნოლოგიები; ტელეკომუნიკაცია და სხვა. სააგენტომ 2016 წელს განახორციელა კონკურსი, რომლის ფარგლებშიც გამოვლინდა 20 გამარჯვებული პროექტი, ჯამურმა დაფინანსებამ შეადგინა 2 მლნ ლარი (gita.gov.ge).

პროგრამა „სტარტაპ საქართველოს" **ინოვაციური კომპონენტი** კი, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური ან სოციალური ღირებულების მქონე გამოყენებადი, ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროდუქტის, პროცესის ან მომსახურების (ინოვაციური იდეა) დანერგვის ფინანსურ ხელშეწყობას, დღემდე ხორციელდება სს საპარტნიორო ფონდის შვილობილი კომპანიის შპს „სტარტაპ საქართველოს" მიერ. 2016-2019 წლებში,

„სტარტაპ საქართველოს“ მიერ, ინოვაციური კომპონენტის ფარგლებში, განხორციელებულმა ინვესტიციებმა შეადგინა 4,4 მლნ ლარი (startup.gov.ge. შპს „სტარტაპ საქართველო“, ინდივიდუალურად გამოთხოვილი ინფორმაცია. იხ. დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3**




*წყარო: შპს სტარტაპ საქართველო*

საქართველოში, 2016 წლიდან მიმდინარე ძვრები ციფრული და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა-განვითარების მიმართულებით, პროგრესულად უნდა შეფასდეს, თუმცა, ამასთანავე, აუცილებელია ამ მაღალპერსპექტიული სფეროსადმი კომპლექსური მიდგომა. საჭიროა ციფრული სამეწარმეო კულტურის ამაღლება და მისი გადაქცევა სახელმწიფო პოლიტიკის სტრატეგიულ მიმართულებად (ერქომაიშვილი, 2019). დღეისათვის არ არსებობს ციფრული ეკონომიკის განვითარების და გაციფრულების მიზანმიმართული სტრატეგია. საქართველოს ეკონომიკაში პრაქტიკულად არ მოიძებნება ინდუსტრია 4.0-სთვის დამახასიათებელი ელემენტები, რომელიც კიბერფიზიკურ სისტემებს იყენებს „ჭკვიანი“ საწარმოების შესაქმნელად (Whittington, 2018). მიზერულია, თანამედროვე მსოფლიოს ციფრულ განვითარების ტემპსა და პერსპექტივებთან მიმართებით საქართველოში გაწეული ციფრული სამეწარმეო ინიციატივების

მხარდამჭერი დაფინანსება. ციფრულ სამეწარმეო აქტიურობას არორგანიზებული სახე აქვს და განვითარება, დიდწილად, ცალკეული, პერსონალური ინიციატივების ხარჯზე მიმდინარეობს.

## დასკვნა

საქართველოში ციფრული მეწარმეობის პრობლემატიკის გაანალიზებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყანას პრაქტიკულად არ გააჩნია გეგმაზომიერი ციფრული სამეწარმეო პოლიტიკა, რომლის პერმანენტული რეალიზაციის შედეგად, ციფრულ ეკოსისტემაში, შესაძლებელი იქნება, ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით, ციფრული პროდუქტის წარმოება. ეჭვგარეშეა, რომ ციფრული მეწარმეობა თანამედროვე გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მიმართულებით, ადეკვატური ნაბიჯების გადადგმა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს უნდა ქმნიდეს.

მდგრადი ციფრული ეკოსისტემის და ციფრული მეწარმეობის შეუქცევადი განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელია:

- ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი ინსტრუმენტარიუმი შერჩეულ იქნეს ტექნოლოგიური განვითარების პროგრესული ხედვიდან გამომდინარე და ინფორმაციული საზოგადოების პერსპექტივების ადეკვატურად გაანალიზების საფუძველზე;
- შეიქმნას ციფრული ეკონომიკის/მეწარმეობის განვითარების სტრატეგია;
- გაფართოვდეს ციფრული სამეწარმეო ინიციატივების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამების მასშტაბი, რათა მეტი ტექნოლოგიატევადი ინოვაციური იდეის განხორციელება გახდეს შესაძლებელი;
- ინოვაციების ცენტრების და მისი მსგავსი საგანმანათლებლო სივრცეების ქსელის შექმნა/გაფართოება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში მოსახლეობის ტექნიკური და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება.

**ლიტერატურა:**


- ბედიანაშვილი, გ. (2018) კულტურა როგორც ცოდნის ეკონომიკის ფორმირების ფაქტორი პარადიგმული ცვლილებების სისტემურ-ინსტიტუციური კონტექსტით. *ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“*, N6, გვ.58-66.
- ერქომაიშვილი, გ. (2019) ციფრული ეკონომიკა - ეკონომიკური ზრდის ინო-

ვაციური ინსტრუმენტი. *ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“*, N2, გვ.37-46.
- მაღლაკელიძე,ა.(2019)ეროვნულიინოვაციურისისტემისფორმირებისათვის საქართველოში. *ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“*, N1, გვ.171-179.
- მაღლაკელიძე, ა. (2019) მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და საშუალო ფენის ფორმირება საქართველოში. *ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“*, N7, გვ.123-129.
- საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, ინდივიდუალურად გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია, 16 მარტი, 2020.
- შპს „სტარტაპ საქართველო“, ინდივიდუალურად გამოთხოვილი სტატისტიკური ინფორმაცია, 11 მარტი, 2020.
- European Commission (2015) Digital Entrepreneurship Scoreboard 2015. Brussels.
- https://ec.europa.eu/growth/content/digital-entrepreneurship-scoreboard-2015-0_en
- Gassmann O., Schweitzer F. (2018) Entrepreneurial Innovation. *In Handbuch Entrepreneurship,* Hrsg. G. Faltin, 71-89. Springer Gabler, Wiesbaden.
- Kollmann T. (2018) E-Entrepreneurship, Unternehmensgründung in der Net Economy. *In Handbuch Entrepreneurship,* Hrsg. G. Faltin, 181-199. Springer Gabler, Wiess baden.
- Kollmann T. (2019) E-Entrepreneurship, Grundlagen der Unternehmensgründung in der digitalen Wirtschaft. 7. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden.
- Pioch S. (2019) Digital Entrepreneurship, ein Praxisleitfaden für die Entwicklung eines digitalen Produkts von der Idee bis zur Markteinführung. Springer Gabler, Wiesbaden.
- Runge W. (2014) Technology Entrepreneurship, a Treatise on Entrepreneurs and Entrepreneurship for and in Technology Ventures. Volume 1, KIT Scientific Publishing, Karlsruhe.
- Whittington D. (2018) Digital Innovation and Entrepreneurship. Cambridge University Press, Cambridge.
- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi /ბოლო ნახვა 24 თებერვალი, 2020/
- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/104/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebi /ბოლო ნახვა 15 მარტი, 2020/
- https://gita.gov.ge/geo/static/127 /ბოლო ნახვა 16 მარტი, 2020/
- https://gita.gov.ge/geo/static/135 /ბოლო ნახვა 17 მარტი, 2020/
- https://grants.gov.ge/ka /ბოლო ნახვა 16 მარტი, 2020/
- http://startup.gov.ge/geo/program /ბოლო ნახვა 17 მარტი, 2020/
- https://www.bbvaresearch.com/en/publicaciones/digix-2019-tracking-digital-evolution/ /ბოლო ნახვა 07 მარტი, 2020/
- https://ec.europa.eu/eurostat/tgm/refreshTableAction.do?tab=table&plug-

in=1&pcode=tin00028&language=de /ბოლო ნახვა 24 თებერვალი, 2020/
- https://www.worldbank.org/en/publication/wdr2016/Digital-Adoption-Index / ბოლო ნახვა 05 მარტი, 2020/

**References:**

- Bedianashvili G. (2018) kultura rogorts tsodnis ekonomikis pormirebis paktori paradigmuli tsvlilebebis sistemur-institutsiuri kontekstit. [Culture as a Factor of Knowledge Economics with Paradigmatic Changes in Systemic Institutional Context. *Journal "Globalization and Business"*, N6, P.58-66.] in Georgian.
- Erkomaishvili G. (2019) tsipruli ekonomika - ekonomikuri zrdis inovatsiuri instrumenti. [Digital Economy – An Innovative Tool for Economic Growth. *Journal "Economics and Business",* V.XI, N2, P.37-46.] in Georgian.
- Maglakelidze A. (2019) erovnuli inovatsiuri sistemis pormirebisatvis sakartveloshi. [For the Purpose of Forming National Innovation System in Georgia. Journal "Economics and Business", V.XI, N1, P.171-179.] in Georgian.
- Maglakelidze A. (2019) mtsire da sashualo metsarmeobis ganvitareba da sashualo penis pormireba sakartveloshi. [Development of Small and Medium Entrepreneurship and Formation of a Middle Class in Georgia. *Journal "Globalization and Business"*, N7, P.123-129.] in Georgian.
- sakartvelos inovatsiebisa da teknologiebis saagento. [Georgia's Innovation and Technology Agency. Individually requested statistical information, 16 March, 2020.] in Georgian
- SHPS „startap sakartvelo". [Startup Georgia Ltd. Individually requested statistical information, 11 March, 2020.] in Georgian.
- European Commission (2015) Digital Entrepreneurship Scoreboard 2015. Brussels. https://ec.europa.eu/growth/content/digital-entrepreneurship-scoreboard-2015-0_en
- Gassmann O., Schweitzer F. (2018) Entrepreneurial Innovation. In Handbuch Entrepreneurship, Hrsg. G. Faltin, 71-89. Springer Gabler, Wiesbaden.
- Kollmann T. (2018) E-Entrepreneurship, Unternehmensgründung in der Net Economy. *In Handbuch Entrepreneurship,* Hrsg. G. Faltin, 181-199. Springer Gabler, Wiesbaden.
- Kollmann T. (2019) E-Entrepreneurship, Grundlagen der Unternehmensgründung in der digitalen Wirtschaft. 7. Auflage, Springer Gabler, Wiesbaden.
- Pioch S. (2019) Digital Entrepreneurship, ein Praxisleitfaden für die Entwicklung eines digitalen Produkts von der Idee bis zur Markteinführung. Springer

Gabler, Wiesbaden.

- Runge W. (2014) Technology Entrepreneurship, a Treatise on Entrepreneurs and Entrepreneurship for and in Technology Ventures. Volume 1, KIT Scientific Publishing, Karlsruhe.
- Whittington D. (2018) Digital Innovation and Entrepreneurship. Cambridge University Press, Cambridge.
- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/106/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebis-gamoqeneba-shinameurneobebshi / ბოლო ნახვა 24 თებერვალი, 2020/
- https://www.geostat.ge/ka/modules/categories/104/sainformatsio-da-sakomunikatsio-teknologiebi (last seen 15 .03. 2020)
- https://gita.gov.ge/geo/static/127 (last seen 16.03. 2020)
- https://gita.gov.ge/geo/static/135 (last seen 17 .03. 2020)
- https://grants.gov.ge/ka (last seen 16.03. 2020)
- http://startup.gov.ge/geo/program (last seen 17 .03. 2020)
- https://www.bbvaresearch.com/en/publicaciones/digix-2019-tracking-digital-evolution/ (last seen 07. 03. 2020)
- https://ec.europa.eu/eurostat/tgm/refreshTableAction.do?tab=table&plugin=1&pcode=tin00028&language=de (last seen 24.02. 2020)
- https://www.worldbank.org/en/publication/wdr2016/Digital-Adoption-Index (last seen 05.03. 2020)

# Challenges and Perspectives of Digital Entrepreneurship in Georgia

**Amiran Maglakelidze**
*Doctoral Student*
*Iv. Javakhishvili Tbilisi State University*
*maglakelidze.amirani@gmail.com*

Under the conditions of globalization, the rapid development of information technology has made it possible to carry out entrepreneurial activities in the virtual space. The widespread use of the Internet and the create of various digital platforms have laid the foundation for digital entrepreneurship as a modern form of entrepreneurial activity. To start a digital entrepreneurship, it is important to have continuous entrepreneurial and digital innovations, progressive

vision of modern technological and electronic market conjuncture, creativity and the ability to predict future trends.

Georgia is still characterized by low levels of digital entrepreneurial activity. Nowadays, the main problems of digital entrepreneurship are that the country has no virtually planned digital entrepreneurial policies, the permanent implementation of which will make it possible to produce digital products using digital platforms in the digital ecosystem. With regard to the global pace and prospects for the development of digital entrepreneurship, funding for digital entrepreneurship initiatives in Georgia is miserably small. Digital entrepreneurship is an unorganized and development is mostly driven by individual initiatives.

For the irreversible development of a sustainable digital ecosystem and digital entrepreneurship in Georgia, it is necessary to: The relevant toolkit of economic policy should be selected based on the progressive vision of technological development and on the basis of adequate analysis of the prospects of the information society; It is necessary to create a strategy for the development of digital economy and digital entrepreneurship; expand the scale of financial support programs for digital entrepreneurship initiatives to make it possible to implement more technologically innovative ideas; creating / expanding a network of innovation centers and similar educational spaces, which should ensure the development of technical and entrepreneurial skills of the population in the field of innovation and technology.

**Keywords**: *Digital entrepreneurship; digital economy; information technology, innovation, idea.*

**JEL Codes:** *L26, M13, O31, O57*

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 169-175*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 169-175*

# ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა
# MISCELLANEOUS

## ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილი III ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია

კარგ ტრადიციად ჩამოყალიბდა ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილი ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება. წლევანდელი კონფერენცია თემაზე: „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები". პროფესორ **ნოდარ ხადურის** ხსოვნას მიეძღვნა და მას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტმა უმასპინძლა.

კონფერენციის ორგანიზატორებია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისია, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი, ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტი, გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი". კონფერენციის საორგანიზაციო-სამეცნიერო ხელმძღვანელია თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი **ვლადიმერ პაპავა.**

კონფერენციას წინ უძღოდა დოქტორანტთა სამეცნიერო ნაშრომების კონკურსი პროფესორ **ნოდარ ხადურის** პრემიის მოსაპოვებლად. კომპეტენტური ჟიურის მიერ, კონფიდენციალურობის სრული დაცვით, შეირჩა ერთი გამარჯვებული ნაშრომი.

III ეროვნულ სამეცნიერო კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ საპატიო სტუმრები, ასევე პროფესორ **ნოდარ ხადურის** ოჯახის წევრები და ახლო ნათესავები.

კონფერენციის გახსნის საზეიმო ცერემონიალს უძღვებოდა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი **გიორგი ღაღანიძე.** კონფერენციის სტუმრებს და მონაწილეებს მიესალმნენ და მუშაობაში წარმატებები უსურვეს: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **არჩილ თალაკვაძემ,** თსუ-ის რექტორმა **გიორგი შარვაშიძემ,** სა-

ქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა **ნათია თურნავამ,** საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **როინ მეტრეველმა,** საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარემ **ირაკლი ლექვინაძემ.**

კონფერენციის პლენარული სხდომის სამეცნიერო ნაწილს უძღვებოდა აკადემიკოსი **ვალდიმერ პაპავა,** რომელიც დამსწრე საზოგადოების წინაშე ასევე წარსდგა მოხსენებით: „ეკონომიკურ მეცნიერებასა და ეკონომიკურ პოლიტიკაში კორონომიკსის ასახვის შესახებ“. პროფესორმა **ელგუჯა მექვაბიშვილმა** პლენარულ სხდომაზე თავის მოხსენებაში – „სახელმწიფოს როლი ეკონომიკური კრიზისების დაძლევასა და პოსტკრიზისულ ეკონომიკურ განვითარებაში (გლობალური ფინანსური კრიზისისა და კორონომიკური კრიზისის გამოცდილება)“, კომპლექსურად განიხილა და განაზოგადა გლობალური ფინანსური კრიზისისა და კორონომიკული კრიზისის გამოცდილება. პროფესორმა **ეთერ ხარაიშვილმა** წარმოადგინა მოხსენება „კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის გაზომვის თანამედროვე გამოწვევები აგროსასურსათო სექტორში“; ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის თეორიულდმეთოდოლოგიური პრობლემები განიხილა თავის მოხსენებაში პროფესორმა **რევაზ გველესიანმა;** პროფესორ **იური ანანიშვილისა** და თსუ-ის მაგისტრანტ **ლევან გაფრინდაშვილის** ერთობლივად მომზადებულ მოხსენებაში ყურადღება გამახვილდა მოდელირების საფუძველზე საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბების პროგნოზირებისა და მთავრობის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობის საკითხებზე.

პროფესორმა **სიმონ გელაშვილმა** მსმენელებს შესთავაზა კორონოსტატისტიკის ფორმირების ამოსავალი პრინციპები, რაც, მისი აზრით, საქართველოში კორონავირუსის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზისთვისაა აუცილებელი. პროფესორ **დავით ნარმანიას** მოხსენება მიეძღვნა კორონავირუსის პირობებში ენერგეტიკის სექტორის ფუნქციონირების ისეთ ასპექტებს, როგორიცაა: ენერგიის მოხმარება, ფასები და მომხმარებელთა გადახდისუნარიანობა. პროფესორ **თეიმურაზ შენგელიას** მოხსენების თემა იყო „კორონავირუსის მსოფლიო გეოგრაფია და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები“.

კონფერენციაზე გამომსვლელებმა თბილი სიტყვებით პატივი მიაგეს პროფესორ ნოდარ ხადურის ხსოვნას და დიდი გულისტკივილი გამოთქვეს მისი ნაადრევი გარდაცვალების გამო.

პლენარული სხდომის დასასრულს, კონფერენციის საორგანიზაციო და სამეცნიერო ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ** პროფესორ **ნოდარ ხადურის** სახელობის სამეცნიერო კონკურსში გამარჯვე-

ბულ დოქტორანტ **ცოტნე მარღიას** (ხელმძღვანელი პროფ. **ი.ანანიაშვილი)** გადასცა სიმბოლური პრიზი და მიიწვია ტრიბუნასთან, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა კონფერენციის ორგანიზატორებს, დოქტორანტთა სამეცნიერო ნაშრომების ჟიურის და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება – „მაკროეკონომიკა პანდემიის დროს: მომხმარებელთა ქცევა და შეკავების ოპტიმალური პოლიტიკა".

III ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მეორე ნახევარი დაეთმო სექციებში მუშაობას.

პირველ სექციაში – „კორონომიკის მიერ შექმნილი ახალი გლობალური წესრიგი, პოსტკრიზისული ეკონომიკური განვითარების პერსპექტივები და ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი გამოწვევები" (ხელმძღვანელები: პროფესორები **ელგუჯა მექვაბიშვილი** და **რევაზ გველესიანი)** – მოხსენებით გამოვიდნენ პროფესორი **ვახტანგ ჭარაია,** ასოცირებული პროფესორი **მიხეილ ჩიკვილაძე,** პროფესორი **იოსებ არჩვაძე და** თსუ-ის დოქტორანტი **გიორგი ბენაშვილი.**

მეორე სექციაში – „მაკროეკონომიკური რეგულირების ძირითადი პრობლემები, სოციალურ – დემოგრაფიული გამოწვევები და ეკონომეტრიკული მოდელები" (ხელმძღვანელები: პროფესორები **იური ანანიაშვილი** და **მირიან ტუხაშვილი)** მოხსენებები წარმოადგინეს: ასოცირებულმა პროფესორებმა **მალხაზ ჩიქობავამ, ნაზირა კაკულიამ, გივი ბედიანაშვილმა, ემზარ ჯგერენაიამ, მურმან ცარციძემ, ნინო მიქიაშვილმა;** დოქტორანტებმა **მაკა ღანიაშვილმა, ნიკა ასანიძემ და მირიან თედიაშვილმა.**

მესამე სექციაში – „მიკროეკონომიკური გარემო და მისი გაუმჯობესების ძირითადი ინსტრუმენტები" (ხელმძღვანელები: პროფესორები **ეთერ ხარაიშვილი** და **სიმონ გელაშვილი)** – მომხსენებლები იყვნენ ასოცირებული პროფესორები – **გივი ბედიანაშვილი, ია ნაცვლიშვილი, მერაბ ჯულაყიძე, გულნაზ ერქომაიშვილი** და ეკონომიკის დოქტორი **ქუჯი ბიჭია.**

მეოთხე სექციაში – „კორონომიკა და ბიზნესის გამოწვევები საქართველოში" (ხელმძღვანელები: პროფესორები **თეიმურაზ ბერიძე** და **თეიმურაზ შენგელია)** – წარმოდგენილი იყო ასისტენტ-პროფესორის **ლელა ჯამაგიძის,** ასევე თსუ-ის დოქტორანტების **გვანცა სისოშვილის, ელენე ცხომელიძის** და **მარიამ ხურციძის** მოხსენებები.

სექციებში მუშაობის შედეგების შესახებ პლენარულ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდეს სექციების ხელმძღვანელებმა – პროფესორებმა **ელგუჯა მექვაბიშვილმა, იური ანანიშვილმა, სიმონ გელაშვილმა** და **თეიმურაზ ბერიძემ.**

მონაწილეთა მიერ აღინიშნა კონფერენციის მაღალი მეცნიერული დონე.

ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის შედეგები შეაჯამა აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ.**

აღსანიშნავია, რომ ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილ ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის ჩატარების ტრადიციას სამი წლის ისტორია აქვს. I კონფერენცია ჩატარდა ევროპის უნივერსიტეტში, II - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბატონმა ლადომ აქვე ამცნო საზოგადოებას IV ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის მომავალში ჩატარების დრო და ადგილი – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2021 წლის 11 სექტემბერი.

ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის" რედაქცია წარმატებებს უსურვებს ეკონომისტის დღისადმი მიძღვნილ ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის ყველა მონაწილეს თუ ორგანიზატორს. იმედს ვიტოვებთ, რომ კონფერენციის არეალი გაფართოვდება და ეს მნიშვნელოვანი ტრადიცია გაგრძელდება.

**მარი უკლება**
*თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის*
*მთავარი სპეციალისტი*

## III National Scientific Conference dedicated to the Economist's Day

It has become a good tradition to hold a national scientific conference dedicated to the Economist's Day. This year 's conference had a double workload, as it was also dedicated to the memory of TSU Professor ***Nodar Khaduri***. That is why Faculty of Economics and Business, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, hosted the III National Scientific Conference on September 11 of the current year on the topic: "Economics: Contemporary Challenges of Economic Science and Economic Policy."

The conference was organized by the Commission of Economic Sciences of the Georgian National Academy of Sciences, TSU Faculty of Economics and Business, TSU Paata Gugushvili Institute of Economics, European University Faculty of Business and Technology, Institute for Research on Economic and Social Problems of Globalization, Journal "Globalization and Business". The organizational and scientific head of the conference was TSU Professor, Academician **Vladimer Papava.**

The conference was preceded by a competition of doctoral students' scientific works for the award of Professor **Nodar Khaduri**. The work entitled

"Macroeconomics at the time of Pandemic: Consumer Behavior and Optimal Restraint Policies" was selected by a competent jury with full confidentiality.

Honorary guests, as well as family members and close relatives of Professor **Nodar Khaduri** were invited to the III National Scientific Conference.

The opening ceremony of the conference was chaired by Professor **Giorgi Gaganidze**, Dean of the Faculty of Economics and Business of TSU. The guests and participants of the conference were welcomed and wished success in their work by the Chairman of the Parliament of Georgia **Archil Talakvadze**, the Rector of TSU Dr. **Giorgi Sharvashidze**, the Minister of Economy and Sustainable Development of Georgia, Dr. **Natia Turnava**, the Vice President of the Georgian National Academy of Sciences, Academician Roin Metreveli, the Chairman of the Georgian Competition Agency Dr. **Irakli Lekvinadze**.

The scientific part of the plenary session of the conference was chaired by Academician **Vladimer Papava**, who also made a presentation: "On the Reflection of the Coronomics in Economic Science and Economic Policy." Professor **Elguja Mekvabishvili**, in his report presented at the plenary session, "The Role of the State in Overcoming Economic Crises and Post-Crisis Economic Development" (Experience of Global Financial Crisis and Coronary Crisis)" comprehensively reviewed and generalized the experience of the global financial crisis and the coronary crisis. Professor **Eter Kharaishvili** presented the report "Modern Challenges of Measuring Competitiveness in the Agri-Food Sector". Theoretical and methodological problems of the concept of economic policy were discussed by Professor **Revaz Gvelesiani** in his report. The joint report prepared by Professor **Yuri Ananiashvili** and TSU Master student **Levan Gaprindashvili** was focused on the prediction of the spread of coronavirus in Georgia on the basis of modeling and the effectiveness of government preventive measures.

In his report, Professor **Simon Gelashvili** presented the basic principles of coronostatistics, which, in his opinion, is necessary for the quantitative and qualitative analysis of the coronavirus in Georgia. Professor **David Narmania's** report was devoted to the aspects of the functioning of the energy sector under the coronavirus, such as: energy consumption, prices and consumers solvency. The topic of Professor **Teimuraz Shengelia's** report was "World Geography of Coronavirus and Prospects of the Georgian Economy".

Speakers at the conference paid tribute to the memory of Professor **Nodar Khaduri** with warm words and expressed their deep sorrow over his untimely death.

At the end of the plenary session, the organizational and scientific head of the conference, Academician **Vladimer Papava** handed over a symbolic prize to

the winner of the **Nodar Khaduri** Scientific Competition to doctoral student Tsotne Marghia (supervisor: Prof. I. Ananiashvili). Mr. Marghia thanked the conference organizers, the jury for doctoral students' works, and presented a report to the audience "on Macroeconomics during Pandemic: Consumer Behavior and Optimal Retention Policies."

The second half of the III National Scientific Conference was devoted to working in sections.

At the first section - "The New Global Order Created by Coronomics, Prospects for Post-Crisis Economic Development and the Main Challenges of Economic Policy" (Supervisors: Professors **Elguja Mekvabishvili** and **Revaz Gvelesiani**) reports were made by Professor **Vakhtang Charaia**, Assoc. Professor **Mikheil Chikviladze**, Professor **Ioseb Archvadze** and TSU doctoral student **Giorgi Benashvili.**

At the second section - "The Main Problems of Macroeconomic Regulation, Socio-Demographic Challenges and Econometric Models" (supervisors: Professors **Yuri Ananiashvili** and **Mirian Tukhashvili**) - reports were presented by Associate Professors **Malkhaz Chikobava, Nazira Kakulia, Givi Bedianashvili, Emzar Jgerenaia, Murman Tsartsidze, Nino Mikiashvili**, Doctoral students **Maka Ghaniashvili, Nika Asanidze** and **Mirian Tediashvili**.

At the third section - "Microeconomic Environment and the Main Tools for Its Improvement" (supervisors: Professors **Eter Kharaishvili** and **Simon Gelashvili**) - the speakers were Assoc. Professors - **Givi Bedianashvili**, **Ia Natsvlishvili**, **Merab Julakidze**, **Gulnaz Erkomaishvili** and Doctor of Economics **Kuji Bichia**.

At the fourth section - "Economics and Business Challenges in Georgia" (Supervisors: Professors **Teimuraz Beridze** and **Teimuraz Shengelia**) - the reports were made by Assistant Professor **Lela Jamagidze** "Global Trade Flows during Pandemic", and TSU doctoral students Gvantsa Sisoshvili, Elene Tskhomelidze and Mariam Khurtsidze.

The heads of the sections - Professors **Elguja Mekvabishvili**, **Yuri Ananishvili**, **Simon Gelashvili** and **Teimuraz Beridze** informed the participants attending the plenary session about the results of the work in the sections.

The high scientific level of the conference was noted by the participants.

The results of the National Scientific Conference were summarized by Academician **Vladimer Papava.**

It is noteworthy that the tradition of holding a national scientific conference dedicated to the Economist's Day has a history of only three years. The first conference was held at the European University, the second - at Batumi Shota Rustaveli State University. Against this background, Mr. L. Papava also informed

the public about the time and place of the forthcoming IV National Scientific Conference - Gori State University, September 11, 2021.

The editorial board of the journal "Economics and Business" wishes success to all participants and organizers of the National Scientific Conference dedicated to the Economist's Day. We hope that the conference scope will expand and this important tradition will continue for a long time.

**Mari Ukleba**
*Chief Specialist*
*TSU Faculty of Economics and Business*

*ეკონომიკა და ბიზნესი, 2020, №3, გვ. 176-177*
*ECONOMICS AND BUSINESS, 2020, №3, pp. 176-177*

# გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

## პროფესორი ნოდარ ხადური

## ადამიანი, ვისთვისაც უნივერსიტეტის პროფესორობა ყველაზე დიდი თანამდებობა იყო



***„...მრავალ არიან ჩინებულნი და მცირედ - რჩეულნი”.***
*სახარება მათესაგან (22, 2-14)*

ერთი წელი გავიდა ბატონი ნოდარის გარდაცვალებიდან ..... ამ ხნის მანძილზე მთელი მისი ადრეულად შეწყვეტილი ცხოვრების გააზრება მოხდა. ბევრი რამ შეიცვალა და გადაფასდა. ...მივხვდი, რომ ბატონი ნოდარი წარსული არასოდეს იქნება ჩვენთვის - იმ ხალხისთვის, ვინც მასთან ერთად და მის გვერდით ქმნიდა და აშენებდა ლაღ, წარმატებულ, მეგობრობასა და პროფესიონალიზმზე, ურთიერთპატივისცემასა და თანადგომაზე დამყარებულ ურთიერთობებს. ჩემთვის დიდი პატივი იყო მასთან ერთად მუშაობა. თითქმის ყოველდღე მისი სიტყვები მახსენდება: *„ - არაფერი არ ფასობს ისე, როგორც სიმართლე...“*

ძალიან, ძალიან ცოტაა 49 წელი იმისათვის, რომ ამდენი სიკეთის კეთება მოასწროს ერთმა ადამიანმა. უცნობი თუ ნაცნობი, ამდენი ჩუმად ატირებული ადამიანი, ამდენი გულთბილი პოსტი თუ საჯარო გამოსვლა ძნელად თუ მახსენდება... ასე უყვარდათ და უყვართ ბატონი ნოდარი იმ თაობას, სადაც ერთხელ მაინც შესულა და ერთი ლექცია მაინც წაუკითხავს:

*„ჩემს ლექცია-სემინარების ცხრილში არის ერთი ასეთი სექტორი: (დარჩილი ასოებით მისი სტუდენტების ჩანაწერებია) „საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა - ლექცია - ნოდარ ხადური. ოთხშაბათი 20:00". წავიკითხავ. ვხურავ... ისევ გავხსნი ცხრილს, ისევ ვკითხულობ. ყოველ გადაკითხვაზე ჩვეულებრივზე მეტად დასევდიანებული და გაკვირვებული ჩავკეცავ გვერდს. საფუძვლიანად კვლავ არ მაქვს გააზრებული როგორ უნდა ჩავიარო მეხუთე სართულზე (ჩემი მეხუთე სართული <3 ) ისე, რომ აღარ მქონდეს ლაღი, მხიარული, მოწიწებული და საქმიანი ბატონი ნოდარის ხილვის მოლოდინი."*

*„რამდენი წლის მანძილზე სჯეროდა ჩემი და მხარს მიჭერდა. ჩემთვის ბატონი ნოდარი დარჩება როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ნაღდი გულშემატკივარი. განვითარება და პროგრესი მისი ხელწერა იყო!"*

დაუსრულებლად შეიძლება აქ იმ სტუდენტების სიტყვათა ამონარიდი მოვიყვანო, რომელთა გულისტკივილიც იმ მოგონებათა წიგნში შევა, რომელიც იწერება. აქ კი ამ გახსენებითაც ნათელია, რა სიყვარულის მატარებელი იყო ლექტორი, პროფესორი - ნოდარ ხადური.

ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ბატონი ნოდარის სახელის უკვდასაყოფად: მისი სახელობის ეროვნული კონფერენცია, ბატონი ნოდარის სახელობის პრემია წარმატებულ ახალგაზრდა მეცნიერის ნაშრომს, ქვეშის (გორის მუნიციპალიტეტი) საჯარო სკოლისთვის ნოდარ ხადურის სახელის მინიჭება.. ეს მცირედი ჩამონათვალია, რომელიც კიდევ უფრო მეტად გაიზრდება.. და არიან ადამიანები, ვინც არასოდეს დაივიწყებს და ყოველთვის ხელს შეუწყობს მისი სახელის უკვდაყოფას.

ეს ტკივილნარევი გახსენება კი მინდა მისი მეგობრის – ერთ-ერთი პროფესორის სიტყვებით დავასრულო, რომლის აზრს ყველა მისი უმცროსი თუ უფროსი კოლეგა იზიარებს :*„ეს ხანმოკლე სიცოცხლე ამ სიყვარულის ფასად ღირდა.... სიკვდილიც კი რა უფერული აღმოჩნდა შენთან.... არადა რა გულნატკენი გაგაცილეთ, ნოდარ! „სიკვდილს მაინც ნუ დავარქმევთ გარდაცვალებას!"... მადლობა სიყვარულისთვის, მეგობრობისთვის, ერთგულებისთვის და კიდევ ბევრი დაფარული, გაუმჟღავნებელი და უთქმელი სიკეთისთვის....შეხვედრამდე იმ საუფლოში!"*

*და მართლაც „* - არაფერი არ ფასობს ისე, როგორც სიმართლე..."!!!!

სიმართლე კი იმ სიყვარულშია, რომელიც თან გაჰყვა ამ საოცარ პიროვნებას!!!

**ნაზირა კაკულია**
*მაკროეკონომიკის კათედრის*
*ასოცირებული პროფესორი*

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ნინო ებრალიძე

Prepared for publication by Natia Dvali and Nino Ebralidze

დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchavtchavadze Avenue,
Tbilisi 0179 Tel +995 (32) 225 04 84, 6284, 6278
www.press.tsu.edu.ge